

14
974/3



ენციკლოპედია

6

1974



ა. ნ. კუჩუკიძე
დაბადებულია 175 წლისთვის ბავშვ

ენათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური საქართველოს
და საზოგადოებრივ-კოლმეცნიერული შურობის

წელიწადი 50-ე

№ 6

ივნისი, 1974 წ.

საქართველოს საზოგადოებრივ-კოლმეცნიერული შურობის ორგანო

შინაარსი

184-23

ალექსანდრე პუშკინი — ძეგლი, ლექსი, თარგმანი პაოლო იაშვილისა	3
გიორგი ნატროშვილი — კოეტის ფავორიტი	4
სერგო კლდიაშვილი — მოთხრობები	8
ფილარ ივანოვი — ლექსები	23
რამაზ კობიძე — გვიგისი ფოთლები, რომანი	26
ვახტანგ ზორბაძე — კაი ურის მარჯვენა, ლექსი	81
შაბუზა არაბული — ლექსები	83
ალექსანდრე ბლუმი — დიდი და პატარა მკვლევარი, რომანი, წიგნი მეორე	85
გარედა ბერიანური — ლექსები	121
ალექსანდრე ბლუმი — ორი თვე სოფელ ანა იმერული ქოროლი, რომანი	123
მადია ზვინაძე — დარო ბაბო, მოთხრობა	138

კრიტიკა და კომენტარები

ა. კარბალაშვილი — დიდი კავკასიონი	148
ალექსანდრე სიგუა — პუშკინი და „ივანია“	158
კონსტანტინე გამსახურდიძე — შესანიშნავი მომენტები	163
ელისო აბრამიანი — ნიკო ლორთქიფანიძის კომპოზიციური კრიტიკა	167

წიგნების მიმოხილვა

ბ. მისაბიძე — დინასტიის აღსასრული	180
ალექსანდრე თომაძე — შიმოქვიძის მართალი სახე	184
საზოგადოებრივი	188

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ქ. შატავას სახ. საქ. სსრ
საბჭოთაო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ზორბე ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

მ. აბაშიძე, რ. ანაშუაელი (პ/მგ მდივანი), ღ. ბენაშვილი, ღ. გავაჩაიაშვილი, ვ. ლიბანიძე, ვ. ვალბაძე, ზ. შლენგი, ა. სულავერი, ა. ქუთათაი, ხ. შანშიაშვილი, ღ. შიგბლაძე, ვ. წულუკიძე, მ. ვილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯივლაძე.

ტიქერედაქტორი რ. ნაკვებავა

გადაეცა ასაწყობად 19/IV-74 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 12/VI-74 წ., ასაწყობის ზომა $7\frac{1}{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108\frac{1}{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8, საიდ.-სავაჭომომცემლო თაბახი 12.

რედაქციის მესამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბელაშვილები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მდივანის — 98-55-18, განყოფილება-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

ფე 00112. ტირაჟი 13.000. შეფ. № 1533.
საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



კლემენდრა კუშკი 60

ქ ე ბ ი

exegi monumentum

ქორაციუსი

ძველი ავიგე ხელთუქმნელი, მარად უკვდავი,
მას მიაწყდება ხალხის დენა ახალ-ახალი.
მიემართება ზეცისაკენ უდრეკი თავით,
აღუქსანდრულ სვეტზე მალალი.

არა, მთლიანად არ მოვკვდები, ჩანს ჩემი სული
შერჩეს, აცილდეს გახრწნილების დაღის ღაჩენა;
მე მადიდებენ, სანამ ქვეყნად, როგორც სულდგმული,
ერთი პოეტი მაინც დარჩება.

ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი,
ყოველი ერი შემინახავს დამახსოვრებით,
სლავთა მემკვიდრე და ფინელი და ტუნგუსელი,
ყალმუხი, ტრამალ ველთა მცხოვრები.

მოყვარულ ხალხში არ მოკვდება ჩემი სუფევა,
რადგან სიკეთეს უგალობდა ჩემი ჩანგური,
რადგან ვადიდე ჩვენს სასტიკ დროს თავისუფლება
და შევირდომე ყველა ჩაგრული.

დაემორჩილე, ჩემო მუზა, მაღალ განგებას,
ნუ შიშობ წყენას, ნურც მოელი გვირგვინს ანთებით,
გულცივად შეხედი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას
და რვევენ კაცს ნუ ვკამათები.

1836 წ.

თარგმანი პაოლო იაშვილისა

გიორგი ნატროშვილი

პოეტის უკვდავება

იენისის პირველი დღეები — პუშკინის დღეები იყო მრავალგვარი საბჭოთა ქვეყნის პოეტებმაც და მეთხველებმაც უღრმესი სიყვარულის, მოწიწების და თაყვანისცემის გრძნობით მოინახულეს ყველა ადგილი, რომელიც დაკავშირებულია პუშკინის სახელთან, ყველა ქალაქი, ქუჩა და სახლი, სადაც უცხოვრია, სადაც თავისი უბრუნევადესი ნაწარმოებები შეუქმნია დიდ რუს პოეტს; საბჭოთა ქვეყნის პოეტები ვამყენენ პუშკინის მარშრუტებს, და ყოველი მათგანი ცდილობდა უფრო ახლოს მისულყო პუშკინთან, უფრო მჭიდროდ ეგრძნო მისი დიდი გულის სიბოძო, მისი პოეტური გენიის შუქი და ბრწყინვალეობა.

თბილისისათვის, მთელი საქართველოსათვის დაუფიქრარი იქნება ის დღეებო, როცა მოძველები და ბავშვები პოეტური სიტყვის ოსტატები პუშკინის მარშრუტით, დაკრძალვის ხეობით წყნარ დედაქალაქში ჩამოვიდნენ.

პუშკინი ეკუთვნის კაცობრიობის იმ ყველაზე საუკეთესო, ყველაზე დიდებულ და რჩეულ პოეტთა რიცხვს, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ადამიანის მუდმივი სულიერი თანამგზავრები არიან. ამიტომ „პუშკინის დღეები“ მეტად პირობითი ცნებაა და მარტო საზეიმო თარიღებს არ მოიცავს. პუშკინისა ყველა დღე, როცა პოეზიაზეა ლაპარაკი.

და ეს ამიტომ, რომ პუშკინი არის სრულყოფილი, ცოცხალი და უშუალოდ განსახიერება უცვლელი იმისა, რასაც პოეზია ჰქვია.

პუშკინი თანამედროვეა ჩვენთვის და ასევე ახალი, ასევე ცოცხალი იქნება მომდევნო თაობებისათვის, ის ადამიანური ყოფნის სიბრძნის, სიცოცხლის სიღამაზის, მის სულიერ ღებოლვას, მის სიკეთეს, კეთილშობილური გულის სანდუკარ ოცნებებს გამოხატავს. ეს მძლავრი განცდა სიცოცხლის მშვენიერებისა,

არის საფუძველი და სათავე ქვეყნარტი პოეზიისა, ასეთი ქადოქრული არტიზიმით, ასე ლაღად და თავისუფლად რომ მოდის პუშკინის ლექსის სტრიქონებიდან; ამიტომ პუშკინის ლექსი მოიცავს ბუნებასაც, სოციალურ სფეროსაც, წარსულსაც, აწმუოსა და მომავალსაც; სამუაროს ეს პოეტური შეგრძნება არის სათავე იმ პუშკინიზმისა, ადამიანის გულში იმ წმიდათაწმიდის გაღვივებისა, რომელიც პოეზიის მთავარი შინაარსი და უპირველესი დანიშნულებაა, სიკეთისა და სიღამაზის დიდმა შეგრძნობამ წარმოშვა პუშკინის პოეზია, და ასევე მოსდევს იგი ლიტერატურის მთელ ისტორიას, რათა ადამიანს სიცოცხლის სიხარული ჩაუნერგოს, რათა დაუპირისპირდეს სიკეთილსა და არყოფნას, კაცობრიობის ყველა ჭირსა და ტყვეობებს.

პუშკინის მთელმა შემოქმედებამ განუზომლად დიდი როლი შეასრულა ხალხთა განათავისუფლებული მოძრაობის ისტორიაში; სამწერლო ახარეწვე იგი გამოვიდა იმ წლებში, როცა დეკაბრისტები ის იყო იწყებდნენ თავიანთი ფარული საზოგადოებების შექმნას, როცა ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ დესპოტიზმისა და შავნელა რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. თავის წერალებში „ვერცენის სიკვნას“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „დეკაბრისტებში გამოღვივდეს ვერცენი, ვერცენში გაჩაღდა რევოლუციური აგიტაცია“. ასე იწყებოდა ხალხთა განათავისუფლებული ბრძოლის ისტორია, და თუმცა პუშკინი არ იყო დეკაბრისტთა ფარული საზოგადოების წევრი, მაგრამ მისი სახელი, მთელი მისი პოეზია განუყოფელია „თავადანაურული რევოლუციონერების“ ამ სახელოვანი თაობის თავგანწირული ბრძოლისაგან. დეკაბრისტები — მისი უახლოესი, განუყოფელი მეგობრები იყვნენ და



პუშკინი მათთვის შთამბეჭებელი იყო, მათთან ერთად ენობრივად რეაქციის, თვითმპყრობე-
ლურ რევოლუციას და ბატონობას... ამიტომ იყო, რომ ჭერ ალექსანდრე პირველი და შემდეგ ნიკოლოზ პირველი, მათი მოხელეები უკვლავდნენ აკრძალვებს იმისათვის, რათა ჩვენს ხელს ხმა პოეტისა, რომელიც თავისი ხალხის უკვლავდნენ მალაქა და კეთილშობილურ მისწრაფებებს გამოხატავდა.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა პუშკინის — „წარმოსახული საუბარი ალექსანდრე პირველთან“, რომელიც პოეტმა 1834 წელს ჩაუწერა თავის დღიურში, პოეტმა წერს:

„შე რომ შევედ ვყოფილიყავ, გამოვსაჩვენებდი ალექსანდრე პუშკინის და ვეტყოდი: „ალექსანდრე სერგეევიჩ, თქვენ მშვენიერ ლექსებს წერთ“. პუშკინი თავს დამიკრავდა როგორც თავმჯდომარე დამორცხვებით, მე კი განვაგრძობდი: „შე წავიკვიბე თქვენი ოდა „თავისუფლებას“. ის დაწერილია, ცოტა არ იყოს, უთავბოლოდ, ძალზე ბოლად მოფიქრებულა, მაგრამ მასში არის სამი ძალიან კარგი სტროფა... თქვენ შეგიძლიათ აქონოთ უმართებულ აზრებს, მაგრამ შე ვბედავ, რომ თქვენ პატრიუსტებით მოკეპარათ სიმართლეს და პირად ღირსებას თვით მამინაც კი, როცა საქმე შეფესებება“. „ახ, თქვენო უღადებულესობა, რად გაიხსენეთ ეს ბავშვურა ლექსი? უკეთესი იყო წავიკვიბათ „რუსლანს და ლუდმილას“ მესამე და მეექვსე სიმღერებს, თუ მთელი პოემა არა; ან „კავკასიის ტყვის“ პირველი ნაწილი, ან „ხანისაზარის შადრუანი“. „რონგინი“ უკვე იბეჭდება. შე გამოვიგზავნით თქვენი ბიბლიო-ოტკისათვის ორ ვეზემპლარს, და თუ თქვენი უღადებულესობა იპოვის დროს... „როგორ ვუადრებთ, ალექსანდრე სერგეევიჩ, ჩვენი მეფურთი წესი ასეთია: საქმეს წუ გაკეთებ, მაგრამ საქმეს წუ გაეცევა“.

შემდეგ ალექსანდრე პირველი და ალექსანდრე პუშკინი კიდევ კარგა ხანს საუბრობენ, მეფე ეკითხება, თუ რატომ მოხდა, რომ პოეტს ასე კარგად შეეწყო გენერალ ინსოვს და ვერაფრით ვერ შეუთავსდა გრაფ ვორონოვს, პოეტმა უპასუხებს, რომ ინსოვი — კეთილშობილი კაცია, თავისიანების მოუყარულა, ხოლო „ინვლისელი უქნარსაგან“ ბერიანს არაფერს უნდა მოელოდეთო. ბოლოს, მეფე კიდევ ერთ საუვედურს მიახლის პოეტს:

— Но вы же и афеи? вот что уж никак да не годится.

პოეტმა თავს იმართლებს, ათესტი არა ვარო; ბოლოს, მათი საუბარი მაინც მშვიდობიანად არ მთავრდება. პუშკინი გაბრაზდება და ბერის რამ ზედმეტი წამოსცდება, თავის მხრივ გაბრაზდება მეფეც და ბრძანებს პოეტმა ციმბარში გადაასახლოს.

როგორი მძაფრი ირონიითა აღხავეს ეს სტრიქონები! პოეტმა თითქმის ზღმურბეს, მტკუნამას ხომ უკვე გაუღილი აქვს შეფესებურბეობა და პეტერბურგიდან გაძევებაც, გადასახლება სასპეტროვს (ეკატერინოსლავი, ყირიმი, კაშინოვო); უსტად იმავე ხანებში დაიპირა პოლიციამ მისი წერილი, სადაც ის თავის „ფილიზმზე“ ლაპარაკობდა... არც ის არის შემთხვევითი, რომ პუშკინი აქ თავის სახელგანთქმულ ლექსს „თავისუფლებას“ ახსენებს, რომელიც უადრესად გაზედული და ვაკეცურა შებრვა იყო თვითმპყრობელური რეაქციის წინააღმდეგ. პოეტმა პირდაპირ მემართავდა მეფეს:

Самовластительный злодей:
Тебя, твой трон я ненавижу,
Твою погибель, смерть детей
С жестокой радости вижу.

ეს ლექსი დაწერილია 1817 წელს, უსტად ახი წლით ადრე დიდ ოქტომბრამდე, რომელმაც ცხადად და სინამდვილედ აქცია ის, რა უნდაც პუშკინი ოცნებობდა: დაიხსო შეფეს ტახტი, დაამსხვრია ბორკილები და თავისუფლება მისაწია ხალხთა მილიონებს.

ამ ხანებში, როცა თვითმპყრობელობამ მხეცურად გაუსწორა ანგარსში დეკაბრისტებს, პუშკინსაც სასტიკი ზედაშედეგელობა დაუწესეს. მის უკვედ ლექსს, მოთხრობას თუ პოემას ცენზურა ეკით უტყპერდა, და პოეტმა ხშირად იძულებული იყო გადაეკრულა ეთქვა ის, რაც უკვედ ძალიან აწუხებდა. ეს ეტყობა, კერძოდ პუშკინის „არზრუმში გამგზავრებას“, რომელზედ ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებს არაერთხელ აღწინასწავ, რომ ბერის რამ აქ მინიმუმით არის ნათქვამი, ბერის რამ თითქმისა დაშიფრულია. ეს მართლაც ახეა.

აი, პირველი თავის პირველივე სტრიქონები. „მოსკოვიდან კალუგით, ბელიოვით და ორიოლით გავემართე და, ამრივად, ორასი ვერსი ზედმეტი გავიარე, სამაგიეროდ ვინახული ვრმოდოვი“.

შეათხველის ინტერესი უკვე აღძრულია და დამახული. შერისხული, დევნილი პოეტმა კავკასიაში მიეზღავრება, მიდის უნებართვოდ და ეს იმ დროს, როცა მასზე საიდუმლო მეთველურებობა დაწესებულია, და მისი საცოდ რომ პირდაპირ წავიდეს, ორასი ვერსის მანძილზე იმართებს გზას, რათა ასევე შერისხული გენერალი ინახულოს, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ მოხსნა ნიკოლოზმა კავკასიის შთავარმართებლის პოსტიდან („ნიკოლოზმა... საშინო ერმოდოვი კავკასიაში შეცვალა უნიჭო პასკევიჩით“, წერდა ვერცენი); პუშკინი სწორედ პასკევიჩის სტუმარია, კავკასიაში მის პასკევიჩი დაუხვდება, როგორც იქალონების მფლობელი და შირძანებული. მას არაღმად მას რაზე მიდის პოეტმა განწევრებულ ერთ-

მოლოდინი? რა მიზანი აქვს ამ ელჩის? აი, პუშკინის პასუხი:

„ერმოლოვიმ ჩვეული თავაზიანობით მიმიღო... დაუვათ მანთან ორ საათს... მოაგრობაზე და პოლიტიკაზე არცერთი სიტყვა არ თქმულა“.

ასე იყო ვითომ? ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ მოაგრობასა და პოლიტიკაზე? ერთი სიტყვა კი არა, მათ უიარაღე დაუფინეს უველათური; ამაში მკითხველი უმალ დარწმუნდება, თუ ცოტა მეტო უურადლებით დააჯივრდება ამ მშვენიერ ნარკვევის იმ სტრიქონებს, სადაც პოეტისა და გენერლის საუბრის წინაარსი ესოდენ მჭინწად არის გადმოცემული, და მაინც ბევრირამ არის ნათქვამი.

პუშკინი ერთმოლოვი უყვარდა, შეიძლება იმიტომ, რომ ერთ ბუდევემ იყენებდა, შეიძლება იმიტომაც, რომ სწეროდა, თითქოს მან, კავკასიის პარკონსულმა შეიფარა დღეწილი და აწიოებულე დეკაბრისტებმა, ზოლო უფრო და რადაც თანაგრძობით ეყარობოდა მათ...

უველემუხოხვევაში, ასე უქარბოდა პუშკინი ერთმოლოვი 1828 წლის ზაფხულში. შემდეგში, როგორც ჩანს, პოეტის გული აიკრუა მანზე. აღბათ დარწმუნდა, რომ მითქმა-მოთქმა ერთმოლოვის მოქანუებოზე გავზიადებულე იყო. და აი, პუშკინის 1834 წლის დღიურში ასეთი ჩანაწერს ვხვდებით:

„ნამ იენისს ვისაბლეთ ვიაზემსისთან. იყენენ, ჩემს გარდა, ურკუსკი, დავალოვი და კისელიოვი. ბევრი ვილაპარაკეთ მის მშაროვლოზაზე ვალაშაში. ის შეიძლება, ვეღლაზე შესანიშნავია ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, დიდი თადლიის (შელიხის შარლათი) ერთმოლოვის ჩათვლით“.

ერთმოლოვი ღამარაკობს იმაზე, რაც უველაზე მეტად აწუხებს — ის ვერ უარავს თავის სიძულველს თავისი შემცველელისადმი. „რამდენაერმე ჩაოვადო ღამარაკი პასკევიჩზე და უველეთის ვესლაწად, — წერს პუშკინი და განაგრძობს: — როდესაც ღამარაკობდა თუ რა იოლადა მიაღწია პასკევიჩმა გამარჯვებებს, ადარებდა მას ნავისს, რომლის წინაშეც კედლები საუფარის ხმაზე ეცეშოდა, და ერევენს გრაფს (გრაფ ერევენსსსსსს) იერკონის გრაფად ნათლავდა (ნათლ ერკონისსსსს)“.

საოკრად მწარე ირონია, გამოხატული დიდი გონება-მანველობით, რითაც საერთოდ გამოირჩეოდა ერთმოლოვი.

ერთმოლოვი ძალიან გამწარებულა — აღარა წოგავს მოპირდაპირს, პუშკინი ასე გადმოკვცევს მის სიტყვებს:

„— დაე, პასკევიჩი თავს დაესხას ფაშას, დაე, წე იქნება ის ფაშა კვიანი, წე იქნება დახელაუნებულა, იფოს მხოლოდ ჩიუტა, ისე როგორც ის ფაშა, შეშლას რომ იცავდა, და მანინ შენი პასკევიჩი ხელ დაიღუპებო“.

გავეუო შეშდეგ:

„მე ვადავცი ერთმოლოვს გრამი ერთმოლოვის სიტყვებს: პასკევიჩი ისე კარვად სიტყვადნდა სპარსეთის კამაინაში, რომ კვიანი კაცს ერთოლა რჩება — იმყოვედოს მასზე ცუდად, რათა განახსუოს თავისი თავი მისგანო, ერთმოლოვიმ ვაიცინა, მგარამ არ დაშეთანხმა. შეეძლო ვადაერჩინა ზალხა და დაეწოგა სარჯიო, თქვა მან“.

უცებ მკითხველს ღრმა ინტერესს იწვევს პუშკინის ასეთი ფრაზა:

„უვექარობ, რომ ერთმოლოვი თავის მეშუარებს სწერს, ან აიბრებს დაწერას... თავად კურბსკის ჩანაწერებზე იგი რამარაკობდა con amore (გატაცებოთ, სიუვარბოთ)“.

თითქოს დაირღვა საუბრის ჩვეულებრივი მიმდინარეობა. პოეტი და გენერალი საუბრობდნენ ომზე, რომელიც ადრ ამ წუთში, სადაც უკრს, კავკასიაში და იმისი ფარგლებს იქით მიმდინარეობდა. ეს განაგებდა იყო. პოეტი ამ ომში მიდიოდა, ზოლო გენერალი წუხდა, რომ თითონ ადარ სარჯლობდა თავის არმიას... და აი უცებ ხინი მე-16 ზაუყუნეს, ანდრეი კურბსკის ჩანაწერებს ვადსწვდენს. საიდან სადაო?! რატომ ვახსენდათ მათ ეს ძველი მოქანუე, რომელიც სამშობლოდან გაეცევათ ვადარჩა მუღე იანე მრისხანეს? რა შუაშია ამ კონტექსტში კურბსკის ჩანაწერები? ეს ადვილი მისახვედრია, თუ ვავისხენებო, რომ თავის ჩანაწერებში კურბსკი მრალხა სდებდა ივანე მრისხანეს ამაში, რომ მის სისატრეეს საზღვაო არა აქვს, რომ უსამართლოდ სჯის სიკვდილით ადამიანებს, რომელითაც არაფერი დაუშავებოთ... ძველი მისახვედრია არ არის, რომ აქ ღამარაკია მარტო ივანე IV-ზე კი არა, თვითონ ნიკოლოზ პირველზე, რომელიც მათს თავაღწინ მძინვარებდა.

აი, რამდენ რამე შეიკვავს უბრბოლო ფრაზა — კურბსკის ჩანაწერებზე ერთმოლოვი სიუვარულით და გატაცებოთ ღამარაკობდაო,

ამას მოსდევს ასევე ვაუთლისსო ფრაზა:

„გერმანელებს მოხვდათ, ორმოცდაათი წლის შემდეგ, — ამბობდა იგი, — ლექარებენ, რამ ახლანდელ ღამარაკობაში მონაწილეობას აღებდა პრუსიის და ანსტრიის დამშმარე არმია, რომელსაც ესა და ეს გერმანელი გენერლები მეთაურობდნენ“.

სხვათაშორის, „არწარუში ვამგვარებინს“ ეს ადვილი ქართულ თარგმანში ზუსტად არ არის გადმოცემული, იქ ისე გამოდის, თითქოს ფრაზას „გერმანელებს მოხვდათ“, ერთმოლოვი წარმოსთქვაშდეს, სინამდვილეში, ამას პუშკინი ამბობს და ამბობს მკითხველის მისამართით. მკითხველის განავანად, რათა მიანიშნოს მის რაზე იყო საუბარი. ხოლო აქ, კურბსკის ღროინდელი ლიფონის ორდენის რაინდებთან შეტაცება და საერთოდ იმდროინდელი ამბები რომ არ იგულისხმება, ამას ცხადად მოწმობს

სიტყვები: „ახლანდელ ლაშქრობაში...“ ცნა-
დია, დაპარკია 1828 წლის ომზე, რაღაც ასო-
ცაა ცნობილი უკვე აღივინიანსაც, მაგრამ
დასაბრუნებელი არსტრატეგიის მოქა-
ლდებაზე ნიკოლოზ პირველის სახელმწიფო
პარატში, რაც მუდამ აწუხებდა ერმოლოვს
და ეს იყო მისი მუდმივი საღაპარო თემა.
საერთოდ კი, პუშკინის მთელი არსებით
სმულდა თავისუფლების მტერთა ბანაჟი — მე-
ფის ირგვლივ შემოკრებილი ბროვა, მალაღი
წრე, შიგვრელი ზედაფენი, უკვე, ვინც ბურ-
ჯაუ ედგა მუფის ტახტს, ხელ ერთია იქნებო-
და ეს გერმანული წარმოშობის ბენევენდორფი,
თუ რუსული წარმოშობის პასკევიჩი, უკვე
მათი მისამართით პოეტის წერდა:

ჩამოვეყალეთი თქვენი არა მწამს,
არც თქვენი ბრძანდებით ჩემი გამგებნი
ქვად უქვეყიბართ კირსა და ვარამს,
ვერ გავაყვებლებთ ქნარას პანეები!
როგორც კუბონი, სულს ეზარებთი
თქვენი სიბრძნის, ბნელი ზრახვების
დღემდე ერთგული მსახურთაგანი
იყო ნაქანი, შოლტი, სეანი.

ახე ახსიათებდა პოეტის-მუშინისტი რეაქციის
ბნელი ძალების ბანაჟს; იმავე დროს, როგორი
განუზომელი იყო მისი სიუყარული დაჩაგრული
და ნაწამები უბრალო ხალხსაღმე; პუშკინი
ცუთუნის მოწინავე კაცობრიობის იმ დიდ სუ-
ლიერ წინამძღვართა რიცხვს, ვინც ხალხთა მი-
ლიონებს შთააგონებდა ნათელი მომავლისაო-
ვის ბრძოლის იდეებით. ამ მებრძოლი მუშინის-
მით არის გამსჭვალული მთელი მისი პოეზია.
„თავსუფლებავი ამ ქვეყნად მხოლოდ შენდა
სწურადი, შენდა გნატრობდა“, ამბობს პუშ-
კინი თავის ერთ გმირზე, და ეს იმქმის თვი-
თონ პოეტზე, თავისუფლების ამ მგზნებარე
მომღერალზე, რომელმაც ლიტერატურა აქცია
ბრძოლის მაღალ ტრიბუნად, მრისხნე ძაღად,
რომელიც თავწარს სცემდა რეაქციის ბანაჟს.

პუშკინმა კარგად იცოდა, და თავის „მეღმეო“
თქვა კიდევ, რომ უკვე ხალხები უკვე მწიფე
ან. მისი მთავარი თემა, რა თქმეს უნდა, დიდ
რუსეთი იყო, მისი ისტორია, მისი აწმყო, მაგ-
რამ პოეტი ასეთივე სიუყარული წერდა უკრა-
ინელებსა და ქართველებზე, ზერქვეებსა და
ბაშკირებზე, ბოშებსა და მოღდაველებზე,
პოლონელებსა და ფინელებზე...

პუშკინის პოეზია იყო უბრუნინაღესი გან-
სახიერება იმისა, რასაც ლიტერატურაში ხალ-
ხურობა ეწოდება; ამით აიხსნება მისი ცხოველ-
ცხოველი ისტორიის გულისთა აქანუების ბუღა-
დის — ემღიან პუგაჩოვისაღმე; მის ცხოველ-
ბასა და ბრძოლას უძღვნა პუშკინმა უმშვენი-
ერესი მოთხრობა „კაპიტანის ქალიშვილი“ და
ბრუნინაღელ ნარკვევი „პუგაჩოვის ისტორია“,
სადაც პოეტმა ვერ დაძალა თავისი აღტაცება,
გამოწვეული ამ დიდი სახალხო მოძრობით;
გულისთა ამ სტიქიური აქანუების სურათებს
პუშკინი აშკარად თანაგრძნობით ხატავდა; მან
კარგად იცოდა, რომ მომავალი ხალხს ცუთი-
ნოდა, მომავლის ეს ბრძნული განჭერტა ნათ-
ლად ჩანს მთელ მის პოეტურ და ბუღეტრის-
ტულ ქმნილებებში.

დად კუნს პოეტს მთელი გულით, მთელი
გატაცებით უყვარდა საქართველო; ამას ადას-
ტურებენ მისი უმშვენიერესი ლექსები „საქარ-
თველოს მთებზე“, „არა, ლამაზო, ნუ გამაგო-
ნებ“, „მონასტერი შეინვარზე“, ნარკვევი „არ-
ზრუმში გამგზავრება“ და მრავალი სხვა ნაწარ-
მოებები; პუშკინი სასუღამოდ დაქვეადრდა
ჩვენს სულში, როგორც ხალხთა ძმობის დიდი
მოციქული, თავისუფლების უკვედავი პოეტი.
რუსთაველთან, ნიჟამისთან, შეჯიქოსთან ერ-
თად, პუშკინი მუდამ იქნება მასწავლებელი
საბჭოთა პოეტებს ახალი თაობებისა, რომლე-
ბიც უმღერიან კაცობრიობის ახალ ისტორიას,
პუშკინმა რომ წინასწარ განჭერტა და მისნუ-
რი თვალით წინასწარ დაინახა.



საქართველოს
საბჭოთა პოეტების
საბჭოთა პოეტების
საბჭოთა პოეტების

სერგო კლდიაშვილი

ს ე ვ ღ ა

ქალაქიდან აღრიანად გაემგზავრნენ. მანქანამ მალე ჩამოიტოვა გარეუბანი, და, როგორც კი ძველებური კუზიანი ხიდი გადაიარა, მალღობს შეუდგა.

აქამდე დინჯად მიმავალ შეხნიერებულ ფიატს აქ უცბადვე შეეცვალა გუნება, — გაჭირვებულდა, წაიგრძელა შავი კვამლის კუდი და ქოშინი ასტეხა.

გორაკის გადაღმა დაიწყო ტყიანი ვიწრო ხეობა, სადაც გზას მიჰყვებოდა ოდნე შესამჩნევი ღელე. რიყის ქვით მოფენილი მისი კალაპოტი ცხადად მოწმობდა, რომ ახლა თვინიერმა, დაშრობის პირზე მიმდგარმა ნაკადულმა აედარში არც თუ უბრალოდ გადიდება იცოდა და ისე გააფთრდებოდა ხოლმე, იქ გავლას საშიშს ხდიდა.

აქვე, დაღმართთან დამთავრდა მუხნარით დაბურული ხეობა და მაშინვე გამოჩნდა შორ სივრცეზე გამოლილი ვაკე.

ეს შეათედ მიეშურებოდა ხარიტონი სოფლისაკენ. ოღონდ ის განსხვავება იყო წინანდელთან, რომ ახლა მსუბუქი მანქანით მიდიოდა და, ამასთანავე, ქალიშვილი ახლდა.

ის ამბავი, რომ ამჯერად შვილი გამოჰყოლოდა, მამისადმი პატივისცემითა და მასზე ზრუნვით არ ყოფილა გამოწვეული. ამის ფარული მიზეზი

ის იყო, რომ ოჯახში ხარიტონს აღარ ენდობოდნენ, ცოლი და, განსაკუთრებით ქალიშვილი ეჭვიანობდნენ, რომ ის აქამდე დარდობდა მიტოვებულ სოფელზე და ჭერაც არ გაქრობოდა უკან დაბრუნების სურვილი... კი ბატონო, ნამდვილად ასეა, თორემ მამ რატომ იყო, რომ სიტყვა ჩამოგარდებოდა თუ არა სოფელზე და იქ მიტოვებული სახლკარზე, ისე ღრმად ამოიხრებდა ხოლმე, გამგონეს გულს აუღუღებდა.

ამიტომ იყო, ალბათ, ისიც, რომ აგერაც ათი წელიწადია და, ვერ იქნა, ვერ გაიყიდა სახლი. ხარიტონის ხრიკებია რალაც, თორემ აქამდე როგორ არ გამოჩნდებოდა მყიდველი! რა თქმა უნდა, რალაც საეჭვო ამბავია! ვინ უშლის ხელს, ვინ ჩხირკედელაობს? თვითონ ხარიტონი, თუ სხვა ვინმე? აი, ამის შესამოწმებლად და ნამდვილის გასაგებად იყო ახლა წამოსული ქალიშვილი.

მანქანა მიჰყავდა მისსავე პატრონს, ქალაქელ ჰაბუკს. გულში ის იქნებ ნაინობდა კიდევაც, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევდა. აბა როგორ გაემხილა, როცა ის არსება უჭდა გვერდით, ვის გამო ძილი ჰქონდა გატეხილი და ფარულად ოხრავდა. შერმედ კიდევ თვითონ შესთავაზა წაგიყვანო და ახლა როგორღა დაეწყო წუწუნნი!

ასე იყო, თუ ისე, ამ ქალიშვილზე მიმზიდველი და უკეთესი სხვა არავინ ეგულებოდა. ვითომ ასეა და, მხოლოდ სიყვარულმა იცის, რომ ღვთაებრივ არსებად მოგაჩვენებს მიწაზე მოსიარულეს? მაგრამ მოდით და უძახეთ ოცდასამი წლის ჭაბუკს, რომ აგრერივად მონუსხა ოცი წლის ჩათქვირებულმა გოგომ, ლოყები რომ დასკდომაზე აქვს, თვალები რომ უბზინავს, და ვისაც სახელიც საოცარი აქვს, სწორედ მასზე გამოპრილი, მისთვის შესაფერისი, მისთვის აელერებული. მაშ როგორაა, რომ არსად არავისგან სმენია ჭერ... მხოლოდ ერთხელ, ისიც ამერიკულ კინო-სურათში, თორემ არსად თქმულა, რომ აქ ვინმეს ერქვა: ეოლინა... დიახ, ეოლინა! ამ სახელს მხოლოდ ის ატარებს, ვინც ახლა გვერდით უზის და ვინც თავის მხრივ, თუ ოცნება არ ატყუებს, მისდამი მგონი გულგრილი არ არის...

ეს აბურღული ფიქრები ზოგჯერ ხელს უშლიდა ჭაბუკს მანქანის მართვისას. მაინცდამაინც ისეთ ადგილზე აეკვატებოდა ხოლმე წარშტატი ოცნება, სადაც ქვა ან კოლბოხი დაუხვდებოდა ბორბალს. ასეთ წუთებში ოცნებები, რა თქმა უნდა, უმაღლეს შეწყდებოდა და რომანტიკოსი მესაჭე სინამდვილეს უბრუნდებოდა. ასე იყო, მაგრამ, მაინც არ გაუღვებია საყვედური ეოლინას მიმართ, რომ ამ თავსამტვრევ გზაზე წამოსასვლელად შეაციდინა. თვითონ ქალიშვილი კი თავს არ იწყებდა ფიქრით და ოცნებით. არც ვინმეზე, არც რაიმეზე. მანქანის სარკმლიდან რომ გარემო ჩანდა, ქალიშვილი მას გულგრილად უყურებდა. ისე კი, ვერ იტყოდა კაცი, უსიამო შესახედავიაო ეს შეყვითლებული გორაკები და შორ მანძილზე გაჭიმული და ძველი ფარდაგივით გახუებული ველი. რამდენიმე წუთით თვალი შეაჩერა მხოლოდ პატარა მდინარეზე, როცა მოტორის ხროტინისაგან დამფრთხალმა წერომ გაშალა ფრთები, მძიმედ გადა-

იარა კალაპოტი და მეორე ნაბიჯზე დაეშვა.

უფრო ხანგრძლივად თვალი იქ შეჩერდა, სადაც მდინარეში ბავშვები ქუეშაობდნენ. გახალისებულნი, მცირე ხნით ნაპირზე ამოვიდნენ, გაინავარდეს, ერთმანეთს სილა შეაყარეს და მერე კიყინით ისევ წყალში გადაეშვნენ. რატომღაც თვალი ველარ მოაშორა მათ. დიდხანს უყურა და, მისთვის უნებურად რაღაც მოგონებამ, თქოს სიზმრის მსგავსმა, სევდანარევმა, ძალიან შორეულმა მოგონებამ გაპკრა გულში... ამავე დროს ისიც მოეჩვენა, რომ იმ კიყინში საკუთარი ხმაც გაიგონა.

ისე ეოცა, რომ წამიერად კიდევაც ირწმუნა, თითქოს ნამდვილად ასე იყო. უცბადვე გონს მოეცა, გულცივი გამომეტყველება მიიღო და მწყრალად გადახელა იქაურობას... ტყუილად აწონებენ თავს ეს შემოდგომის მინდვრები, შეყვითლებული გორაკები, მათ თავზე თეთრ სვეტად ამართული ღრუბელი, ეს მხიარული მდინარე. არა, აღარაფერი აკავშირებს მათთან. აგერაც, ათი წელიწადია ეღირსა ქალაქის ცხოვრებას და ახლა უკან დაბრუნდეს?! ნურას უჟაცრავდა.

ხარიტონი უკან იჭდა მარტო. ამ ათი წლის მანძილზე, მეტი თუ არა, ათჯერ მაინც მოიარა სოფელი იმის გასაგებად, გაიყიდა თუ არა სახლი. ჩადიოდა იქ ყოველთვის სიამოვნებით. ორ-სამ დღეს დარჩებოდა, გაიხარებდა ძველი მეზობლების ნახვით, სულს მოითქვამდა. მართალია, სახლი გაუყიდავი დახვდებოდა, მაგრამ ახლა ვერ ბედავს თავის თავსაც გაუმხილოს, რომ სულაც არ სწყინდა ეს ამბავი. ეგ კი არა, კმაყოფილიც იყო, რომ ისევ ხედავდა მას. სამხრეთ კედელთან, ზედ ფანჯარასთან რომ უნაბის ხე ღვას, ისეთი თვალით შეხედავდა, თითქოს დიდხანს მეგობარს შეხვდაო. ღმერთო შეგვცოდე და, ის უნაბის ხეც ისეთი წარმოსტდგება ხოლმე, გვეგონება სულიერი არისო.

ისეთი დანადგლიანებული ეჩვენება, ისე უმწეოდ მიკვრიან ტოტები კედელს, ისე იცქირებთან ფანჯარაში, თითქოს ეძებენ იმათ, ვისთვისაც გემრიელ ნაყოფს ისხამენ...

დღეს ხარიტონი უწინდელზე უფრო კმაყოფილი იყო, რომ სოფელში მიემგზავრებოდა. ფიქრებიც ისეთი სასამოვნო ჰქონდა, სულაც არ უგდებდა ყურს რას ლაპარაკობდნენ ქალიშვილი და მანქანის პატრონი ჭაბუკი... როგორც ჩანს, ის ძალიან თავაზიანი და კეთილი ახალგაზრდაა, პატივი სცა და თავი არ დაზოგა ამოდენა გზაზე მის წამოსაყვანად. ორჯერ-სამჯერ მანამდისაც ჰყავს ნანახი... ეოლინას ახლდა... სახლამდე მოაცილა ქალიშვილი... ჭიშკრამდე მოსული, დიდხანს იდგა იქ და ესაუბრებოდა... მართალია, მიაყურადა, მაგრამ საექვო ვერაფერი გაიგონა, რატომღაც ძალიან ჩუმად ბაასობდნენ. არა, ღმერთმა იცოდეს, ცუდს მასზე ვერაფერს იტყვის, მაგრამ კიდევაც რომ ჰქონდეს სათქმელი, ვინაა გამგონე, ვინ გაუწევს ანგარიშს. ცოლი? დედაკაცს, ზომ, არაფერი ეკითხება ამ ოჯახში, აქ ეოლინაა ოჯახის უფროსი, ის არის აქაურობის ბატონ-პატრონი. ბიჭი ხარ და, წინააღმდეგობას გაუწევ რამეში. კი ბატონო, თუ ეს თავაზიანი ახალგაზრდა მისი შვილის ბედი, უნდა დაემორჩილოს ბედის განაჩენს. რამდენიც არ უნდა ეწინააღმდეგო ბედს, ვერაფერს გახდება მასთან... ნეტავი ასე მორიდებულად ოჯახის მარჩენალთან იქნებოდნენ... იქნებ ის მართლაც ღირსეული ახალგაზრდაა... ღმერთმა ქნას... შესახედავად, სიმართლე რომ ითქვას, დიდი არაფერია, მაგრამ მამაკაცი, შენ ხარ ჩემი ბატონი, თუ სულ ღმერთგამწყრალი არაა და ცოტათი თუ სჯობია ქაჯს, ბოლოს და ბოლოს, მაინც მამაკაცია და არ დაიწუნება. ახლაო და, მართალია, არსენა ოქელაშვილის მოყვანილობა პრავიქვს, ვერც ომბაქცივი, რომ ნესტორ ესაბუასავით გულმკერდს მტკაველით ზომავ-

დეს, მაგრამ მამაკაცი თუ ოჯახის ურთულე იქნება, ყოველნაირი ნაკლები ეპატიება. განა არ იცით მშობლის სიხარბე? შნოიანი ვაჟაკი რომ იყოს სიძე, მაინც ისეთი უნდა, ყველას ჯობნიდეს და ყოველგვარად გამოსარჩევი იყოს! პო და, ამ ყმაწვილსაც ხარბი თვალთ არ უნდა შეხედო... დიახ, ასე აჯობებს, ოღონდ, ღმერთო შეგცოდე, ერთი რამ მაინც უნდა ვთქვა: ცოტა არ იყოს, გამხდარია... ცოტა კი არა, ნამეტნავადაც და, ალბათ, იმიტომ არის, რომ ასე წვრილი და გრძელი კისერი მოუჩანს. სხვა თუ არაფერი, ცოტა უზერხულია ისეთი კისერი ჰქონდეს მამაკაცს. მაგრამ რას იზამ, რაც არის, არის... დრო გაივლის, ხანში შევა, თავს შეიპატივებს, ხორცს შეისხამს და ყველაფერი რიგზე იქნება.

ხარიტონი უბრალო კაცი იყო, მებაღე, და თუ საჭირო იქნებოდა, ღურგლობასაც გასწევდა. სოფლად მას პატივისცემა ჰქონდა. ქალაქში გადასვლის შემდეგ კი, როგორღაც და რატომღაც, აღარ გრძნობდა წინანდელ ყურადღებას და პატივისცემას. ეს კიდევ არაფერი, სხვა მხრივაც დისაჯა. წინათ არავის შეუშინებია მისთვის რაიმე სნეულება. ეს გოლიათი კაცი, სახლის დედაბოძს რომ გაუჭირვებლად ასწევდა ხოლმე, ქალაქში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ თითქოს ჭიანი შეიქმნაო, ახ ისე, მსხალს რომ გარედან ვერ შეატყობ და შიგნით კი ნელნელა ღრღინის რაღაც საოცარი და ძლიერი სნეულება... ამ ქვეყნად, ზომ გაუგებარი არაფერი რჩება და, ბოლოსდაბოლოს, აქამდე იღუმალებით მოსილი ამ სენის საიდუმლოც გაიჩვენა: ხარიტონი მეოცნებე გამხდარიყო.

ღამეთანხმებით, ცხადია, ძალიან ბოროტი სენი გახლავთ. ადამიანის დასჯას რომ მოინდომებს მამაშეციერი, სწორედ ამით დაასნეულებს. იქნებ ვინმე სხვა აზრის იყოს და თქვას — არც ასეა-საქმეო! აბა მაშ ვის გინახავთ, ვის გავიგიათ, რომ ოცნებას დაჩვეული

კაცი თავისი ბედით კმაყოფილი ყოფილიყოს!

ხარიტონი ხატრიანიც იყო. სხვას ადვილად აპატიებდა ხოლმე უმართებულო საყვედურს და მოქმედებასაც, მაგრამ ერთხელ, როცა კოლმეურნეობის მეთაურმა აშკარა უსამართლოება გამოიჩინა, ვეღარ შესძლო თავის შეკავება, გაცეცხლდა და გამწარებულმა, იქაურობის მიტოვება გადაწყვიტა.

იმ საბედისწერო დღიდან აქამდე მოუშორებელ და გაუმხელელ სევდას ატარებდა გულში. შიატოვა სოფელი და ორი ვაჟიც გადააკარვა. თავისი ბუდიდან აყრილი, ისინი ჯერ შახტებში წავიდნენ სამუშაოდ, იქიდან კიდევ უფრო შორეულ მხარეში გადაინაცვლეს. ამჟამად კი სად არიან, სად უხარიათ, თუ დარდობენ, ღმერთმაც აღარ იცის მათი სამყოფელი. ხარიტონს მხოლოდ ეს გოგო შერჩა, იმ უბედურ დღეს ათი წლის ბავშვი რომ იყო.

ათი წელიწადი გავიდა, მხოლოდ რაღაც ათი და საცაა სულ წაიშლება წარსულის მოგონება... თითქოს არც ოდესმე ჰყოლია ორი ქოჩორა ტალივი ბიჭი, თითქოს ის ამბავი მხოლოდ სიზმარი იყო, ან მოლანდებდა. ჰო, გადავიდა ქალაქში საცხოვრებლად, მაგრამ რა მოიგო ამით? მართალია, არ მოშეებია და მოწყურებია, მაგრამ ოჯახი მაინც დანაგრა როგორღაც. აი, მაგალითად, ცოლი... ქალაქურმა გარემომ დაამბუნა სოფლის ბუნებით გალადებული ქალი. ახლა ის ხშირად უჩივის თავის ტყვივლს, შუბლზე მუდამ კომპოსტოს ფოთლი აქვს მიკრული და ისე უბრალო რაიმეზე დაიწყებს ჭაქანს, ისე კაპასობს, რომ ხარიტონი მარტო მისი დაბადებას კი არა, თავისი გაჩენის დღესაც მიანწყველის ხოლმე. ქალიშვილი კი, ღვთის მადლით, ისე საესვა ჭანლონით, რომ თუ შეასახელებ, მოხვედრს წააქცევს. აგერ ოცი წლისაა და წითელა-ბატონების მოხდა რომ კვლავ საგაღდებულა ყველა ბავშვისათვის, ამას ახლოსაც არ გააკარებია. მხოლოდ

ის იცის ხოლმე, რომ ისე ხშირად დაეცემინებს ცხვირს, დაბადებით ყოველგაიგონებს. ენაცვალის მამა, შესახედავად ვერ დადებ წუნს, ტანად ზორბაა, თვალწარბით ეშხიანია, ოღონდ ხასიათი აქვს ისეთი, რომ... ერთი სიტყვით, თუ შენი რაიმე არ ესიამოვნა, გარჩევნია მოგრიდო, რას იზამ, ესეც მისი ბრალი არაა, დედამისია ასეთი და ალბათ მისგან გამოიყვია. მაგრამ ამის გამო ვის დაუწუნებია ქალი: პირიქით, ასეთებს უფრო დაწყობილად აქვთ ხოლმე ოჯახი.

სანამ მანქანა მთავარ გზაზე მირიხინობდა, ხარიტონს დროც ჰქონდა და გარემოებაც ხელს უწყობდა თავისუფლად მისცემოდა თავის ფიქრებს. იმის შემდეგ კი, როცა სოფელს მიუახლოვდნენ, იმ კუთხე-გარემოს ძველი სიყვარული კიდევ უფრო გაუცხოველდა... ეს, რა ყოფილა მშობლიური კუთხის ეს ძველი სიყვარული! ათი კი არა, ათჯერ ათი წელი რომ გავიდეს, მაინც შეგოტოკებს გულს და გაგანაზებს...

ფიქრებში წასული ხარიტონი მიძინებულს გავდა. დიდხანია ფანჯარაშიც არ გაუხედავს. თუმცა ეს საჭიროც არ ყოფილა. შეუძლომად იცოდა ამ წუთში სად მიგორავდა მანქანა, რა ადგილს გაუარა, რომელი დაღმართი ჩაიხარა... ერთი მოზრდილი აღმართი რომ გადაიარა, — აი იქ, სადაც ამასწინათ სასაუზმე გახსნეს, უარს არ იტყოდა რამდენიმე წუთით მაინც შიგ შესულიყო, მაგრამ არა უშავს, ახლა სულ მალე სოფელშიაც შეიღწევს. იქ კი, ღვთის მადლით, ისეთი ძველი მეგობრები ელოდებიან, რომ...

მანქანა ისე შევიდა სოფლის შუაგულში, ყურადღება არავის მიუქცევია. ეზოებში ჩრდილქვეშ ჩათვლემილ ქოფაკებსაც, წინათ რომ ორღობებში მიმავალ ორად მოხრილ დედაბერსაც გაფთვრებით უყეფდნენ და დაგლეჯას უპირებდნენ, ახლა ყურით არ გაუბარტყუნებიათ, ცალი თვალრთაც არ ვამოუხედავთ იმის ვასაგებად: თუ რა

იყო, რა ხმა ისმოდა მზიან სიჩუმეში. ისინი უკვე შეჩვეული იყვნენ მოტორის ბენზინიან ხროტინს და იქნებ კიდევაც ეზარებოდნენ მანქანის დანახვა.

გარშემო ყველაფერი ნაცნობი იყო და თითქოს არაფერი ჩანდა ისეთი, თვალი შეეჩერებოდა რაიმეზე. ბროწეულის ბუჩქები გზის გასწვრივ, ეზოებიდან ლეღვის ხის გადმოხრილი ტოტი, იგივე ყორე და ყორეს ძირში მიწაზე ჩამოცვენილი გადაშფიფებული ქანქერი, რომელსაც ვარაუდობთ კორტინდნენ. შემოდგომის მზის შუქი დაფენია აქაურობას, საამოდ თბილი, თბილი და ფერად მოყვითალო, სწორედ ისეთი, როგორც აქვს ახლა გოგრას, სიმინდის ღეროს, ბალახსა და ლეღვის ფოთოლს. ფერთ ხომ ასეთია ახლა მზე, ალბათ სურნელიც ისეთი ახდის, როგორც მწიფე ხილსა და ნაყოფს: ალბათ ასეა, თორემ აბა რატომ დამდგარა პაერში ეს საამოდ დამათრობელი სურნელი.

თითქოს ყველაფერი იგივეა და მაინც თითქოს სხვანაირი, სამზერად სანატრელი და გულზე სიამის მომწენი. პირველად რომ თვალი გაახილა, იმ დღიდან ხედავს აქაურობას ასეთს, შარშანაც ხომ იგივე ნახა, მაგრამ ამ მოკლე დროშიც რაღაც შეცვლილი ეჩვენა, თითქოს რაღაც მოაკლდაო და თითქოს კიდევაც შეემატაო. ის, რომ ახლად აშენებული აგურის სახლი გამოჩნდა? შეიძლება. ამ პატარა ლეღვზე ბოგირის ნაცვლად ქვის ხიდი რომ დახვდა? შეიძლება ამიტომაც... მაგრამ ხომ შეიძლება, რომ სულ სხვა მიზეზი იყო და სხვა სარჩული ედო ამ გაურკვეველობას. აი, ვთქვათ, იმ სევედის გამო, რომელიც სიამოვნებასთან ერთად გულში ბუღობდა ახლა. დიახ, ის უჩინარი სევედა, რომელსაც თვალით ვერ დაინახავ და უბრალო სიტყვით ვერ გამოიტყუებ გულიდან.

აქ ყველაფერი ნაცნობი იყო ხარტონისათვის, მაგრამ თვალი და გული მაინც დაშრებულა და იქნებ ამიტომაც

მაც იყო, რომ დატყბილულ მშხამში მართა მანქანის პატრონს კლინთონს

— რობინზონ, კირიმე, თუ შეიძლება აქ ნელა გაატარე. ძალიან დაგიმადლი.

ვაჟმა შეასრულა თხოვნა, ქალიშვილმა კი თვალები გადმოუბრიალა. აბა რა ნახა აქ საცქერაალი? ეს ბოსტნები, ეს უსწორმასწოროდ გაზრდილი ხეები, ან ხბოები და წიწილებიანი კრუხი?! თავი მომპრა ამ ყმაწვილთან, მეტი არაფერი!

ეკლესიის გაღვანს რომ გაუსწორდნენ, აქ ხარიტონმა ხათრი აღარ დაუდო და პირდაპირ მოითხოვა, რაც შეიძლება ნელა წაეყვანა მანქანა. ახლა უბრალოდ მოგონებები კი არა, გაცოცხლებული წარსული შემოეგება. რამდენჯერ ახმაურებულა ეს გაღვანი და მისი მიმყოლი გზა სათემო დღეობებზე... საიდან მოსულ კაცს არ შეხედებოდი აქ...

— კმ... კმ... — გადაჰყურებდა მწვანედ ჩამკვდარ გაღვანს და თავის თავს ელაპარაკებოდა: — ვითომ ცუდი იქნებოდა ისევ შემოდგოთ თემის დღესასწაულები? აი, მაგალითად: ენკნობა, მოსაელის აღების, ნაყოფიერი შემოდგომის დღესასწაული...

მანქანამ ჩაიბრიკინა მოკლე, დამრეცი დაღმართი, რომლის ბოლოში ერთ მხარეს გამოჩნდა ახლადაშენებული აგურის ოდა, მის პირდაპირ კი ძველი ხის სახლი და ეზო, სადაც კაკლისა და უნაბის ხეები იდგა.

— მივედიო! — ხმამაღლა, ხალისიანად თქვა ხარიტონმა.

სამივენი გადმოვიდნენ მანქანიდან და ეზოს მიაშურეს. წინ ხარიტონი მიდიოდა. დინჯად მიაბიჯებდა. რაღაც საზეიმო იერი ჰქონდა მის ნაბიჯს.

შემოუარეს სახლს, შიგნითაც შეიხედეს, ეზო მიმოიარეს. დამწიფებულ უნაბს გემო გაუსინჯა ეოლინამ, მოამტვრია რამდენიმე ტოტი და რობინზონს გადასცა წამოსაღებად.

ხარიტონი ერთხანს ცალკე იდგა ეზოს ბოლოში და ქვევით, მდინარის პირზე გაშლილ სოფელს გადაჰყურებდა. ნაც-

ნობი იყო ყოველივე ეს, მაგრამ მაინც დიდად სასიამოვნო საცქერალო.

რალაც ხმამ გამოარკვია ის ოცნებაში წასული, უნდომად მოშორდა იქაურობას და წავიდა მეზობლის სანახავად და იმის გასაგებად, იყო თუ არა ვინმე მუშტარი, სახლის მყიდველი.

— არა, მყიდველი არ გამოჩენილა. ხის სახლს ახლა აღარ ყიდულობენო.

ეს ამბავი არც სწყენია და არც გახარებია ხარითონს. გულგრილად ც მოუსმინა და თანამგზავრებისაკენ გამობრუნდა.

— რაო, რა გაიგე? — დამცინავად ჰკითხა ქალიშვილმა.

— რა უნდა გამეგო, — ჩაილაპარაკა ხარითონმა. — არავის უნდა...

— ჰოდა, წავიდეთ, რალას ვუცადოთ, — თქვა ეოლინამ.

ის იყო მანქანაში შესვლას აპირებდნენ, გზაზე გამოჩნდა ჩამრგვალებული პატარა კაცი. ის ჩქარი ნაბიჯით მოიწვედა მანქანისაკენ, რალაცას იძახდა და ხელებს აქნევდა...

— ასე უნდა ამიარო გვერდი ძველ მეგობარს და მირონს?! შეგარცხვინა ღმერთმა! — უსაყვედურებდა და თან ეხვეოდა ხარითონს.

პატარა კაცი ისე შეეხალისა მეგობარს, რომ აგერ როდის-როდის დაინახა მანქანასთან მდგარი ქალიშვილი და ჰკბუჯი.

— უკაცრავად, ქალიშვილო, ძმაკაცის ნახვამ დამარტყანა, ვერ შეგნიშნე, — ხელი გაუწოდა ანდრიამ.

— ვერ იცანი? — გაეღიმა ხარითონს.

— უკაცრავად, მაგრამ... — მოიბოდიშა ანდრიამ.

— ჩემი ქალიშვილი! — ისევ იღიებოდა ხარითონი.

— შენი შვილი?! — გაიკვირვა ანდრიამ. — რომელი?

— ამის მეტი გოგო არ მყოლია მე... — გაეცინა ხარითონს. — შენ რომ მონათლე, სწორედ ის.

— ნუ გადამრიე! — გაოცდა ანდრიამ. — ხუმრობ თუ მართლა?

— ნამდვილად ის არის! — ისევ იცინოდა ხარითონი, — დაგავიწყდებოდა, მამ რა... ქალაქში რომ გადავედით, იმის შემდეგ არ გინახავს.

ნათლულმა გაღიმება სცადა, მაგრამ მხოლოდ დაედმიჯა სახე. მაინცდამაინც არ მოეწონა ის ამბავი, რომ ასე უბრალოდ ჩაცმული კაცი ყოფილიყო მისი მომნათველი. ძალა დაატანა თავს და წაიბურტყუნა:

— კი, ბატონო, ის გახლავარ...

ანდრიას სახეზე დაბნეულობა გამოეხატა:

— ესენი გადამრევენ მე! — ხან ნათლულსა და ხან მამამისს შეჰყურებდა ანდრია, — აი ის პატარა გოგო, ქე რომ... აი, ის... თალიკო, ხომ?

— ოლინა! — გაუსწორა ხარითონმა, რომელიც ყოველთვის შეცდომით წარმოთქვამდა შვილის სახელს.

— ა? როგორაო? — სახელი ეუცხოვა ანდრიას.

— ეოლინა... — მამას დასწრო ქალიშვილმა.

— გამოვტვინებულვარ ნამდვილად, — ხელი წააქნია ანდრიამ, — აბა, რა, ნათლიას რომ დაგავიწყდება რა და ანათლე ბავშვს...

— იმითმ არ გახსოვს, რომ ახლა სხვა სახელი აქვს, — გასამხნეველად უთხრა ხარითონმა. — ოლინა თუ ეოლინა კი არა, წინათ თეოლინა ერქვა... თეოლინა, დიახ... ქალაქში რომ გადავედით, დაირცხვინა და გამოიცვალა... ასე არ იყო, გოგო?

ამის გაგონება ნათლიაზე უფრო რობინზონს ეუცხოვა და გაკვირვებით გადახედა ქალიშვილს. ეოლინა მდუმარედ იდგა და გაბრაზებული შეჰყურებდა მამას.

— კი, ბატონო, თეოლინა... მომაგონდა! — გახარებული იყო ანდრია. ნამდვილად თეოლინა, ჩემი ნათლული! — ზედვიხედ იმეორებდა კმაყოფილი, — რამხელა გაზრდილა, ენაცვალოს ნათლია!

ანდრია მოეხვია, ლოყაზე კოცნა და-

უპირა, მაგრამ ეოლინამ სწრაფად დახარა თავი და ნათლიამ ძლივს მოასწრო ქალიშვილის თავზე შემოხვეულ პრელ ხილაბანდს შეხებოდა ტუჩებით.

— არ გაიკვიროვო, თუ ვერ გიცანი, — არ ეშვებოდა ანდრია, — არ გეწყინოს!

— ათი წელიწადია არ გინახავს, ისიც კარგია, რომ გაიხსენე, — ნამუსი მოეწმინდა ხარიტონმა.

— როგორ არა, კარგადაც მახსოვს, — თავმოძწონედ თქვა ანდრიამ. სულ ჩემს ეზოში ტრიალებდა და ჩემს ბავშვებს ეთამაშებოდა... მაშინ ერთი გარუჯული, გამწლელი გოგო იყო, მუდამ ქაჯივით თმაგაწეწილი, ნიდაგ ფეხშიშველა დატრიალებდა, დარშიც და ავდარშიც... ასე არ იყო, ბიძიკო? — ხითხითებდა ანდრია. — ის უწნო გოგო თუ ადამიანის სახეს მიიღებდა, ვინ იფიქრებდა მაშინ...

ეოლინას სულაც არ სიამოვნებდა ნათლის მოგონებები. ეგ კი არა, არცხვენდა კიდეცაც. სხვა დროს როგორმე კიდეც აიტანდა მის ლაუბობას, მაგრამ ახლა რობინზონი რომ აქვე იდგა და უსმენდა, ბრაზობდა, გულს ასკდებოდა. ქალს თავი მოსწონს, სხვა გოგონებს თავს არ უყადრებს და ახლა აქ ვილაც კაცი მის სამასხარო წარსულს იხსენებს, ნურას უკაცრავად, ამ კუთხე არ გახლავთ!

ნათლია არ ცხრებოდა. წარსულის გახსენებით გახალისებულო, გატაცებით იგონებდა ათასგვარ რაიმეს. ჟერ კიდეც ითმენდა ეოლინა, მაგრამ როცა ანდრიამ ისიც გაიხსენა, თუ როგორ შეისწრო ნათლული ატმის ხეზე, შვიფე ხილის მოსაპარავად ასული, იფიქრა, რომ ის სხვა ასეთ რაიმესაც იტყოდა რტბინზონის გასაგონად, შეშინდა და მამას მიმართა:

— აღარაა, ბატონო, დრო... წავიდეთ, თორემ დაგვიღამდება... ეჩქარება პატივეცემულს! — მიუთითა რობინზონზე.

— როგორ გეკადრება, რას მტყვი წასვლა! — შეიცხადა ანდრიამ. — სახ-

ლი არ მაქვს, კარი არ მაქვს, თუ რაო? — ქალაქიდან ჩამოსულს კიდევ იმოდენა გზა გაქვთ მსაფლელი და მშვიერი გაგიშვათ? მამ შე მკვლარი ვყოფილვარ და ეგაა!

ხარიტონმა ზრდილობისათვის უარი თქვა, შეწუხება არ გვინდაო, მაგრამ ისეთი კილოთი, ცხადად შეიმჩნეოდა, რომ ნასიამოვნებიც იყო დაპატიებით.

— არავითარი შეწუხება! — თავისას არ იშლიდა ანდრია. — ეგ კი არა, ძალიანაც გამახარებთ! დავჯდეთ, ვისიამოვნოთ. ამ უცხო ყმაწვილსაც ჩემო ოჯახს გავაცნობ... შენს ამბავს კი, ჩემო ნათლულო, ერთს ისეთნაირად გავიხსენებ, რომ... ხი, ხი!

ეოლინას ეს არაფრად ეპიტნავა. აქამდისაც ისეთი რამ გააგონა მან რობინზონს, რაც მას არ უნდა სცოდნოდა. და ახლა ეს ვილაც ნათლია კიდეც უფრო მეტის თქმას იქადის?! ამგვარმა დაბირებამ კიდეცაც დააფრთხო ქალიშვილი და მან მტკიცე უარი განაცხადა:

— არა, ბატონ რობინზონს არ შეუძლია... არავითარ შემთხვევაში... დიახ... მამაჩემს კი როგორც სურდეს. თუ უნდა, სულაც დარჩეს... ასეა და, ნურას უკაცრავად!

ბევრი სთხოვა ნათლიამ, მაგრამ ვერავითარმა შეპატიებდამ ვერ გასკრა და ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, რომ მარტო ხარიტონი ესტუმრებოდა ანდრიას. ამაზე ლევილად დათანხმდა ეოლინა. ამით ის თავიდან აიცილებდა ნათლის მოგონებებს, რომელთა შორის ერთი-ორი ისეთი იქნებოდა, რომ თავს მოსჭრიდა ქალიშვილს და საბოლოოდ დასცემდა მის ღირსებას.

იმ საბაბით, თითქოს რობინზონს ძალიან სურდა სოფლის დათვალიერება, ახალგაზრდები ჩასხდნენ მანქანაში და გზას დაადგნენ.

• • •

დანიშნულ დროზე საყვირმა სტუმარსა და მასპინძელს ამცნო, რომ მანქანა

დამბრუნებელიყო და კიშკართან იც-
ლიდა.

ხარიტონს ვასტკობობდა მასპინძელ-
თან ყოფნა და ისიც ემჩნეოდა, რომ
ლენინს საკმაოდ მირამვეც მოესწრო.
ფეხს ითრევდნენ ისიც და ანდრიაც.
ისე მიღწიეს მანქანამდე, ვერ იქნა და
ვერ დასცილდნენ ერთმანეთს. ეხვეოდ-
ნენ, კოცნდნენ, დაემშვიდობებოდნენ
და ისევ ჩაებღაუჭებოდნენ ერთიმეო-
რეს.

— ჰო, კარგი ახლა, გეყოფა, მამაჩე-
მო! — გულშოსულად გადასძახა ეო-
ლინამ.

ანდრიამ მხიარულად შეავლო თვა-
ლი ქალიშვილს და მერე ხარიტონს მი-
მართა:

— გამიგონე, რა ვითხრა! არ გეხუმ-
რები... დამიტოვე ჩემი ნათლული. აქ
ერთი ისეთი კარგი ბიჭი მეგულებდა, მა-
გის შესაფერი, გაგეხარდებდა...

— ვინაა? — იკითხა ხარიტონმა.

— განთქმული კოლმეურნეა ჩვენს
სოფელში. ვარსკვლავივით ბიჭია! რას
იტყვი? ა?

— კარგი საქმეა, — თქვა ხარიტონმა.
ამის გაგონებაზე ეოლინას ჯერ გაე-
ცინა, მერე უეცრად გაბრაზდა და გა-
დასძახა:

— თუ მოღიხარ, წამოდი, თორემ
შენი მოცდის თავი არ გვაქვს ჩვენ!

ხარიტონმა, მანქანაში შესვლა რომ
დააპირა, ისე ჩაებღაუჭა კარებს და ისე
ლონივრად მოქანა თავისკენ, თითქოს
უნდა წაქციოსო. ეოლინამ გაცეხით
შეხედა მამას, უმალვე შეატყო, რომ
ის გაგულსებული იყო, მაგრამ მაინც
უსაყვედურა:

— დალიე, მამაჩემო?

— დავლიე! — გამომწვევად მიაძახა
ხარიტონმა.

— გეტყობა, — ხმაძალა ვეღარ გა-
ბედა და მხოლოდ ჩაილაპარაკა ეოლი-
ნამ.

— მეტყობა თუ არ მეტყობა, შენ
არავინ გეკითხება, ეგ შენი საქმე არაა!
— ახლა უფრო ბრანობდა ხარიტონი.

ეოლინამ გაჩუმება ამკობინა. კარგად
იცოდა, რომ ლენინასვამს მამამისი
ახლა მოსარიდებელი იყო. ქალიშვილი
დარცხენილად გრძნობდა თავს რობინ-
ზონის წინაშე და გულში სწყევლიდა
იმ წუთს, როცა ამ დღიით სოფლისა-
კენ გამოემგზავრა.

ხარიტონი ვერ ისვენებდა. ფანჯარას
ჩარჩო ჰქონდა დაზიანებული და არ
იღებოდა. ხარიტონს კი ჰაერი არ ყოფ-
ნიდა და ბორგავდა. ჯერ საყელო მოი-
შლიოდა, მერე პერანგის ყველა ღილი
შეიხსნა და, როცა არც ამის შემდეგ
მიეცა შვება, ფანჯრის ჩარჩოს დაუწყო
ჩხიკინი.

— ხელი არ გაიკაწრო, ბატონო! —
მორიდებულად გააფრთხილა რობინ-
ზონმა. მას უფრო ჩარჩოს გაფუჭების
შიში ჰქონდა.

— შენ ნურაფერი გედარდება, —
მაინც მოირიდა უცხო კაცი და შეეცა-
და რაც შეიძლება თავდაპირილად ება-
სუხნა, — თუ გაეიკაწრავ, ჩემსას გაეი-
კაწრავ, სხვისას კი არა!

ეოლინამ ეს უკმეზობად ჩათვალა:

— რა პასუხია ახლა ეგ? — გულშო-
სულად შეუბრიალა თვალები, — ამ პა-
ტიოსანმა ადამიანმა ამხელა გზაზე გა-
ტარა და მადლობის მაგიერ მანქანა
გინდა დაუზიანო?

— არაფერი არ მინდა მე? — ხმა-
დაბლა ჩაიბურტყუნა ხარიტონმა.

ეოლინამ იგრძნო, რომ ნამუსზე შე-
აგდო ზარხომად მყოფი, გული მოეცა
და ახლა თვითონ გადავიდა შერტევაზე.

— ნუ შფოთავ, წყნარად იყავი, თო-
რემ გადმოვალთ ჩვენ და წავალთ ჭკეი-
თად. შენ კი ბრძანდებოდე მარტო!

— შემაშინა ქალბატონმა! ხი, ხი! —
თავისას არ იშლიდა ხარიტონი, ერთ-
ხანს კიდევ ხორხოცობდა, ბოლოს თი-
თქოს დაწყნარდა და მხოლოდ ბუზღუ-
ნი ისმოდა.

• • •

მანქანას ღიდი გზა ჰქონდა გავლილი.
ვიწრო ხევიც ჩამოეტოკებინა და ახლა,

როცა დაღმართი დაიწყო, გაუქირებულად მიგორავდა.

ერთხანს სიჩუმე იყო, ძარაში ხანდახან თუ მოისმოდა ხარიტონის ამოხვრა. ფიქრით ის ჯერ კიდევ სოფელს დატრიალებდა და თან მოჰყვებოდა სევდა იქაურობაზე, ქალიშვილი და რობინზონიც დუმდნენ. ხმას არავინ იღებდა, მაგრამ სიმშვიდე მაინც არ იგრძნობოდა.

გადახრილი მზე თანდათან მოყვითალო ფერს იღებდა. ფანჯრებიდან ახლაც მოჩანდნენ მინდვრები და მდინარე. შორს კი, დასალიერზე, იისფერ ბინდში იმალებოდნენ გორაკები. გარემო დაღლილი ჩანდა და თანაც სევდიანი.

ხარიტონმა რამდენიმე წუთით ჩათვლიმა კიდევაც, მაგრამ გამოეღვიძა თუ არა, უშალვე იგრძნო, რომ მოთენთილი იყო და გულიც თითქოს ამღვრეული ჰქონდა. რაღაც დარდი აწეა, უაზრო და უსიამო... გამოიღვიძა და ბნელი დახვდა გარშემო. აღარაფერი ჩანდა, მაგრამ მაინც ჯიუტად იხედებოდა ფანჯრიდან და რატომღაც ამ ბნელში ისე ელანდებოდა, რომ ისევე უშეზერდა აქრილ ყანებს და ტყით დაფარულ გორაკებს. ყველაფერი ეს, რისი დანახვაც დღით სიამეს გვრიდა, ახლა ანაღვლიანებდა და, რატომღაც მარტოობის გრძნობას უძლიერებდა.

ქალიშვილი და რობინზონი რომ სდუმდნენ, ახლა ეს აღიზიანებდა. თავმოყვარეობა ხელს უშლიდა, თორემ მზად იყო თვითონ დაეწყო საუბარი. ისინი კი, როგორც ეჩვენებოდა, განზრახ, ჯიბრზე სდუმდნენ. ამაზე ფიქრი ძალიან აწვალებდა და, რაც დრო გადიოდა, უძლიერდებოდა.

ყველაზე უფრო ისევე ის მომბაზვრებელი სიჩუმე აწვალებდა ხარიტონს და მეტი აღარაფერი დარჩენოდა, იძულებული გახდა თავისთავთან დაეწყო ლაპარაკი.

ისე ჩამოღამდა, აღარაფერი ჩანდა გარეთ. მხოლოდ ზოგჯერ ფარეზის შე-

ქი თუ გამოათრევდა ბნელიდან რომელიმე ბორცვს ან ხეს. ამ სიბნელეში ხარიტონი მხოლოდ წინ დასჯდარ ქალიშვილს და მძლოლს არჩევდა და უნებურად ამათ ვარშემო დაიწყო ფიქრმა ბორილი...

„ხმ... მანქანით წამოიყვანეს... შვილი და, ალბათ, ის ვაებატონიც აყვედრიან ამას. მაგრამ, ნურას უკაცრავად, მაინც დამაინც არც თუ ისეთი პატივისცემა იმ ყმაწვილის მხრიდან. მან, მგონი, მხოლოდ ოლინას სასიამოვნოდ უფრო დაძრა ეს თავისი ურიცელა... ჰოდა, ქალიშვილისაგან მიიღოს მადლობა. განზრახ იბრძავებს ხარიტონი თვალებს, თორემ კარგად ხედავს და კარგად იცის, რომ ის ბიჭი ოლინას ეკურკურება. ჰო, ნამდვილად ასეა... ოღონდ ვინაა წინააღმდეგი, თუკი ეს ოლინას ბედია, შეურცხვეს იმას თავი, ვინც ხელი შეუშლოს. ჰებუცი, მართალია, ვერ დაიტრახებებს რაიმე სახარბიელო თანამდებობა მაქვსო. ვერ იამაყებს კაცი, რომ ბულრუგუნაში დგახარ მთელი დღე და საღამო. დარში თუ აედარში, სიცოცხლეში თუ პაპანაქებაში თეთრ ხალათში გამოხვეული, თეთრი ჩაჩით თავდახურული და გაზიანი წყლით ვაჭრობ... ჰო, ამბობენ სარფიანი საქმეაო, მაგრამ წყალი მაინც წყალია და გაზი მხოლოდ გაზია. ჯანდაბა მის თავს, ამას კიდევ შეეგუება კაცი, ეგ კიდევ არაფერი, რითაც უნდა იმით ივაჭროს, მაგრამ შესახედავად მაინც უნდა ივარგოს ახალგაზრდამ... მაშ რაა, თქვენი პირიმე, წრიბაა და უხორცოს ჰავეს. ამას კიდევ მოითმენს კაცი, მაგრამ კისერი აქვს ძალიან წერტილი. დაინახვ და უნებურად გაგიკვირდება, როგორაა, რომ ამ საცოდავ ქიაყელაზე მობმულია დიდი, გოგრასავით მომრგვალებული თავი. უყურებ და გეშინია, აგერ ახლა გაწყდება ის ქიაყელა და დაგორდება გოგრა... თუ არ შესუქდა ეს ბიჭი, ოლინას მუდამ დაჩაგრული ეყოლება ის და, ვინ იცის, თუ მეტი არა. დღეში ერთხელ მაინც შემოეღობება ამ აშარ

გოგოს... კი ბატონო, ითხოვს ეს ღეთის რისხვა და მოაშოროს... ხი, ხი! ითხოვს და ნახავს შემდეგ რა ყოფილა ის ჯოჯოხეთი, სადაც დედაკაცი თავის ნებაზე ატრიალებს ყველაფერს. მისი იმედით მტერი იქნა, მგონი არაფერში გამოსადეგიც არაა. აქ, ქალაქში, მან ვერავითარ საქმეს ვერ მოკიდა ხელი. არც ქარხანაში ივარგა და არც სადმე წარმოებაში... თვალების ტრიალი იცის მხოლოდ, სხვა არაფერი... ახ, ეს ქალაქი! მათთვის არ გამოდგა ის სახეირო... ცოლიც სულ გამოიყვალა აქ. წინათ რომ საქმეს ხელიდან ვერ გააგდებინებდი, ახლა მთელი დღე კომბოსტოს ფოთოლი ადევს შებლზე და თავი აქვს შეხვეული. იმდენი კომბოსტო აქვს გაფუჭებული, დიდ ოჯახს თვეობით ეყოფოდა იჯრად... პოდა, რა სჯიდა, რა ეშმაკებმა შეაცდინეს და მიატოვებინეს ბალი და სოფელი, გადაისროლეს ამ გენიაში და აუბურდეს ცხოვრება... რატომ მოწყდა მიწას, რომელიც ბევრ სიხარულს ანიჭებდა და ბედნიერს ხდიდა?! რა იყო, რას ერჩოდა თავის თავს?!*

ხარიტონი რაც უფრო უახლოვდება ქალაქს, უფრო ძლიერად მსგავსდება სევდამ. ამასთანავე, რატომღაც, მართობას გრძნობდა. ერთხანს ითმინა, შეებრძოლა, ბოლოს მაინც ველარ მოერიდა თავს, ერთი ამოიგმინა თავისი ძლიერი ბანიო და, რამდენადაც მანქანის ძარა ამის საშუალებას აძლევდა, ხელი მოიქნია. მუჯი ისე ღონივრად მიახეთქა თუნუქის კედელს, რომ ქალიშვილსა და მძლოლსაც გული შეუტოკდათ.

— ნუ გეშინიათ, არაფერი წამხდარა... დაიბობღინა ხარიტონმა.

ეს იყო თუ სხვა რამ მიზეზი, ხარიტონი ამის შემდეგ უცბადვე მოღბა და გაირინდა.

მანქანამ ჩამოიტოვა უკანასკნელი პატარა გორაკი. რამდენიმე წუთით გამოჩნდა დაბლობში ჩაბუდებული ქალაქი. მკრთალად ციმციმებდნენ ელნათურები, და ისინი ახლა უფრო ნაღვლიანი და საცოდავი ეჩვენებოდა ხარიტონს. ფანჯარას მიყრდნობილი, ის უაზროდ მისჩერებოდა ბნელ გზას, რომელზედაც მიივლაცნებოდა ფარების ყვითული, ესეც სევდიანი შუქი.

უანტასმაგორია

ნაშუადღევს შინ რომ დავბრუნდი, ღერეფანში სოფლური კალათა დავინახე. ღერეფანში მოწყული შემოდგომის სურნელი იდგა. ვყნოსავ კომპს. ვაზის და ლელვის შემკვნიარ ფოთოლს... სემირამიდას ბალიდან ჩამოტანილი კალათაა!

ასეთი ამბავი დამხვდა:

— ვილაც ახალგაზრდამ გიკითხა. ისევე შემოივლის.

— ვინ უნდა იყოს? ვინ მესტუმრა?

დაბინდებისას ისიც მოვიდა. ოთახში მორიდებულად შემოაბიჯა და, რატომღაც, მრავალჯერ მობოდიშა. არ იცის სად მიუჩინოს ადგილი გახუნებულ კეპს: ჯერ მოიხადა, მერე ისევე დაიხურა. კედლის სარკეში თავისი ორეული

შეეფეთა, უცბადვე ზურგი უჩვენა და კეპი მოიშორა. სტუმრის ტანსაცმელს შემოპყვა სოფლის სურნელება. შერეული მატარებლიდან გამოყოლილ გზოლინის სუნთან.

საუბარს დიდხანს ვერ მოვაბით თავი. ზრდილობისათვის მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო შეკითხვებს ვაძლევთ ერთმანეთს.

რა საშინლად აწუხებენ ხელები! ყველა თითი სახსრებში დაატკაცუნა. რატომღაც ცერს უფრო ეკიდება, თითქოს მოგლეჯას უპირებდეს.

თავში სხვადასხვა მოსაზრება მიტრიალებს:

„ეს ახალგაზრდა, რომელზეც ასამი წლის წინათ მასწავლებელი გახდა. ქა-

კ. მარქსის ს.ხ. ს.ქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა ბიბლიოთეკა

2. „მნათობი“, № 6.

ლაქში უსაქმოდ არ ჩამოვიდოდა... და იმ კალათით თუ ძღვენიც მოიტანა, ცხა-
დია, ჩემგან რაღაც დახმარებას საჭი-
როებს... ჰო, მაგრამ რა შემიძლია მე?
ვიღაც შეოცნებეს ვინ ვამიწივს ისეთ
ანგარიშს, რომ შორიდან გამოვგზავრე-
ბული კაცი იმედგაცრუებული არ დაბ-
რუნდეს?"

წარმოვიდგინე ყველა ეს შესაძლებე-
ლი თხოვნა, რომელიც მას ეჭნებოდა:
სხვა რაიონში ვადაყვანა, სამინისტრო-
ში მიძღოლა, უმადლეს კურსებზე მო-
წყობა...

სოფლის ამბები გამოვკითხე. ბოლო
ხანს, თურმე, ხშირად წვიმს, ეს კი ახ-
ლა სულაც არაა საჭირო. თუ ავდარმა
არ დაახიანა, კარგი მოსავალია მოსა-
ლოდნელი. ახალგაზრდები ქალაქს ეტა-
ნებიან და მამაკაცის ხელი აკლდება სო-
ფელს...

არ მინდა, მაგრამ მაინც სინუბე დგე-
ბა და ვგრძნობ ახლოვდება წუთი,
როცა საიდუმლო უნდა ითქვას.

პიჯაკის ჭიბეებიდან, ჩემთვის მოუ-
ლოდნელად, მასწავლებელმა ორი სქე-
ლი რვეული ამოაცოცა. დარცხვენოლად
შემომხედა და, როგორც იქნა, გაბედა:

— დიდიხანია მინდოდა ეს ნაწერე-
ბი შენთვის გადმომეცა. აქ ჩემი მოთხ-
რობებია. თუ დრო გექნება და პატივს
მცემ, წაიკითხე. დიდად დამავალებ...
ბევრს არაფერს ვთხოვ, მინდა მხოლოდ
ვიცოდე, ღირს თუ არა განვაგრძო წე-
რა? იქნებ ტყუილად ვეარგავ დროს
და...

ვამჩნევ, რომ მღელვარებისაგან ბუ-
რანშია გახვეული და თავს ძალას ატ-
ანს თქვას რაიმე.

მეტი რა ძალაა, ასეთ მოკრძალებულ
და პატიოსან კაცს უნდა ვაპატიო, რომ
დიდი რვეულების წაკითხვით დასჯას
მიბიძგებს.

— ბედნიერ ვარსკვლავზე ხარტ გა-
ჩენილი მწერლები, — თითქმის აღვზ-
ნებული განაგრძობს, — თქვენ ყვე-
ლანი, ხომ დიდად კეთილშობილები
ხართ. წარმოდგენილი მაქვს, რა სუ-
ლიერტყუილად ვანიცდით როცა

წერას შეუდგებით... მრავალჯერ მი-
ნატრია შემეხედნა ვინმე როგორი
ხარტ შთაგონების წუთებში. ასე მგო-
ნია, თქვენი სახე მაშინ უჩვეულო ნა-
თელით არის შემკული...

უნებურად გამელიმა და კინალამ მი-
ვახალე, რომ სისულელეს ამბობს. მინ-
დოდა, მაგრამ ველარ შევხედე ამ თვი-
თონ წმინდანს, რომელიც კეთილი
თვალთ და ასეთი გულუბრყვილობით
შესცქერის მწერალს. ხოლო წერის
პროცესი რაღაც დევაებრივ მოვლუ-
ნად აქვს მიჩნეული! არ იცის მან, რომ
გოლგოთაზე ასვლას უდრის ერთი მარ-
თალი წიგნის დაწერა და რომ არა
ერთი და ორია ისეთი, ვინც თავს არ
შეიწუხებს და ხელშიაც არ აიღებს
კალამს, თუ სხვა ბილიყებით მოაღწია
თავისი სახელის პოპულარობას. ასე-
თებს, ხომ სიყვარული კი არ აწერი-
ნებს, არამედ მხოლოდ ანგარება.

სხვაც ბევრი რამ მინდოდა გამემზი-
ლა მისთვის, მაგრამ თავი შევიკავე და
მხოლოდ ეს წავილულულე.

— დამიჯერე, ძალიან ხშირად, ის
ვინც თითქოს მხოლოდ პატარა საქმეს
აკეთებს, ბევრად უფრო შთაგონებული
და კეთილშობილია და მეტი სიკეთე
მოაქვს მოყვასისათვის...

ესეც ხომ ცოტაა და უმნიშვნელო სი-
ტყეებია, მაგრამ ამასაც არ ვეტყოდი
სხვა ვინმეს. ახლა კი განა შემეძლო სი-
მართლედ მიმელო მიამიტური მისი სი-
ტყეები და მამლაყინწობა გამომეჩინა
ამ პატიოსან კაცთან, რომელიც ქვეს-
კნელში ჩაეკლას უფრო ამჯობინებდა,
ვიდრე მითხრობების ავტორობა გაემ-
ხილა? მე რომ ბოლომდე გულწრფელი
ვყოფილიყავი, ფეხებში უნდა ჩავვარდ-
ნიოდი ამ სასურველ აღამიანს და მეტქ-
ვა მადლობა, რომ ასეთი კეთილშობი-
ლი არსება ასე უბრალოდ გამომეცხადა
და არ ითაკილა ჩემთან, უჩინარ პატარა
აღამიანთან საუბარი.

— დარწმუნებული ვარ, შენი მოთხ-
რობები კარგი იქნება, — ვეკბნები
გულწრფელად.

ნამდვილად მჯერა, რომ ასეა, რო-

გორ შეიძლება კაცს ასეთი წმინდა, შეუზღალავე გული ჰქონდეს და მისმა ნაწერმა არ ივარგოს!

რვეულები გამოვართვი. გადავფურცლე.

სუფთად გადაუწერია. ოდესღაც ასე მუშაობდნენ პერგამენტებზე დაწერნი.

თვალი ჩავკიდე გვერდს. რამდენიმე აბზაცი ჩავიკითხე.

მასწავლებელი თავდახრილი ზის და ისევ ცერს ეკიდება. ცოდვაში არ გამხვიოს ამ შორიდებულმა ახალგაზრდამ... აგერაც მოიგლეჯს, თუ კითხვა არ შევწყვიტე.

— დღესვე ჩავეუძები და ზეგ ყველაფერს გეტყვი! — დავკვიე რვეული.

— ამაღამ უნდა გავბრუნდე. ვერ დავიციდი, მიმელიან, პატარა ბარათს თუ გამომიგზავნი, დიდად დავიმადლებო...

დერფთანში გავიდა, მოიფათურა და ოთახში კალათასთან ერთად ხურჭინცი შემოიტანა. ხურჭინი მხოლოდ ახლა დაგინახე.

კალათას აცალიერებს. სამაგიეროდ ჩემი მაგიდა დაფარა მტევნებმა, კომშმა, ლელვმა და ატამშმა. ბოლოს ხურჭინიდან ღვინიანი დოჭიც ამოიყინა.

— აბა ეგ რა საჭირო იყო! — ვუსაყვედურე.

— ნუ შემიმგუნებ. — ამას თამამად ამბობს, — შენგან ბევრი სიკეთე მახსოვს და ერთხელ მეც მინდა გასიამოვნო ჩემს ბაღში მოწეულით...

დაცარიელებული ხურჭინი კალათში ჩააგდო და წასასვლელად განემზადა.

გულთბილად ვემშვიდობებებით ერთმანეთს.

მაგიდაზე აურაცხელი სიმდიდრეა. იმედი მაქვს. ცოტა რაიმეს დასახლისიც დაუმატებს და ამის შემდეგ ჰორრეული გურმანებიც რომ მესტუმრონ, ყველას ღირსეულად დავუხვდები.

— ვინ იყო ის საცოდავი? — მეკითხება გაკვირვებული ცოლი.

— საცოდავი კი არა, კაცური კაცია და, მეგობარა, ხალასი ტალანტი მაქვს თითქმის გაჯავრებულმა ვუბნახე. მან შესანიშნავი მოთხრობების კრებული გადმომცა!

— როდის მოასწარი წაკითხვა? — ილიმება ცოლი.

პასუხისათვის არ მეცალა. ჩემი აზრის სიმართლე რომ დავუმტკიცო, ამას დიდი დრო სჭირდება.

ტელეფონთან ვიჩქარი.

— ალლო! ოთარი ხარ? თუ მოგეძებნება ძველებური კალენდარი, გადაფურცლე და ნახე რომელი წმინდანის დაბადების დღეა? გამოგონე, სოფლიდან ჩამოვიდა ერთი ჩემი მეზობელი, მოახდინა სასაწული და სუფრა ჩემი ავესო ხორავითა მრავლითა. ამასთანავე, ვეებერთელა დოჭი რქაწითელის წვენით სავსე. რა აზრის ხარ ამაზე? მე მშვენიერის... დაუარე ჩვენს მეგობრებს. ერთ საათში მოგვლით!

სანამ დიასახლისი ხარშავს, წვავს და სტუმრების მისაღებად ემზადება, რვეული გავშალე და მოთხრობას ვკითხულობ.

აქ ყოველი სიტყვა ისე ძარბალი, უტყუარი და მაცოცხლებელია, ვით წყაროს თვალი, დილის ნამი და კერიას სითბო. არსად ღვარკნილება და ფერუმარილი. სტრიქონში სიტყვა უცოდველია და ისე ხარობს, როგორც ბალახი მინდორზე და ყვავილი რტოზე. ვკითხულობ და საკუთარ თავს ვეუბნები:

— შენ კი სად დაბინდე ნათელი, რომელიც წინათ თანამგზავრი იყო შენი, რატომ დაქვედი სიყვარულის ლეთიურ ძალაში, რამ დაბადა შენში შიში და რამ გაგიცივა გული? დაე, მალე მოვიდეს შენი შემცვლელი. ვისაც მეტი სიახლოვე აქვს ბუნებასთან, ესმის მისი ენა და შეუძლია ხმა შეუწყოს მთებსა და ველებს... დაე, ვერ გულუბრყვილო ჩანდეს მისი თხრობა და მისი ხერხები, დაე, ამ საქმეში შენ უფრო იყო გაწერილი, მაგრამ თავს ნუ იქებ ამის გამო. სამაგიეროდ ამ უბრალო მასწავლებ-

ბელს გაანინა სხვა დიდი საუნჯე და მისი სიმდიდრე აურაცხელია!

— ოცნებით გადავდივარ სოფელში, მის ბუხრიან ოთახში... ზის ეს პათოსანი კაცი, ძერწავს სტრიქონებს და თვითულ სიტყვას თავისი გულის ნაწილს გააყოლებს ხოლმე... რამხელა გული უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ორას გვერდზე ნაწილებად ჩამოარიგო და მაინც კიდევ შეგარჩეს სასიცოცხლო ძალა!

განვაგრძობ კითხვას და უწმინდეს პაერს ვსუნთქავ...

კარი გაიღო და ხმაურით შემოიჭრნენ ოთახში შალვა, გოგი და სანდრო. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი სუფრას შემოვიყვანდით.

— ნეტავი მენახა ის კაცი! — ნატრულობს შალვა, — აუცილებლად გმირად გამოვიყვანდი ჩემს მომავალ ნაწარმოებში!

— არაფრად არ ივარგებდა ეგ ნაწარმოები! — ხელი ჩაიჭნია ოთარმა, — შენ დროს დაკარგავდი, სხვა არაფერი... შენ მხოლოდ არამზადების და სიმახინჯის დახატვა გეხერხება...

— მეც ასე მგონია, — კვერს უკრავს

სანდრო, — რომ ფრესკა შენი საქმე არაა.

— აგრე იყოს, — ცოტა არ იყოს განაწყენებულია ოთარი და ჭიქას აესებს, — იმით ხომ არაფერი დაშავდება, თუ იმ ფანტასტიურ მწერლის სადღეგრძელოს შევსვამ. გრაალიდან მოვლენილ გედს ვაუმარჯოს!

დავაპირე რომელიმე მოთხრობიდან ერთი გვერდი მაინც წავიკითხო ხმამალა.

— ეგ შეუძლებელია! — ერთბაშად მომძახის ყველა, — დარჩეს ის კაცი ჩვენს წარმოდგენაში შეულახავ, მიუწვდომელ სწმინდედ!

შუალამე გადავიდა. სუფრა ნაომარ ველს გავს, გადათელილს და გაპარტახებულს.

— გამოიანგარიშე, რამდენ ასეულ გრამს შეიძლება იწონიდეს იმ საკვირველ ახალგაზრდას გული? — საითთაოდ გვეკითხება ოთარი.

ანგარიშის თავი აღარავის აქვს.

— ფანტასმაგორია! — გასძახის გოგი.

მისი ბოხი ხმა სიონის დიდი ზარივით გუგუნებს.

ბედნიერების ჩამომრიგებელი

დედაკაცი ქარიშხალმა გააღვიძა. შემკრთალმა, მაშინვე საწოლზე მოიფათურა და, გვერდით რომ ცარიელი აღგილი დახვდა, მძიმედ ამოიოხრა. ნახევარი საუთუნეა კორტოხზე წამომდგარ ამ ქოხში შემოდგა ფეხი, ბევრჯერ დაუფრთხა ძილი, როცა ღამით ქარი ბობოქრობდა და მაინც ვერ შეეჩვია, ყოველთვის შიშს გვრიდა მისი ღმუილი.

კერიანზე ცეცხლი ბეუტავდა. შორიახლოს მამაკაცი იჯდა სამფეხზე. უცხო ვინ იქნებოდა, მაგრამ დედაკაცმა მაინც იკითხა:

— შოშიტა ხარ?

ჯერ გული მოეცა, გამხნედა, მაგრამ როცა თვალი მოჰკრა, რომ ქმარი ქალამანს იკრავდა, უცბადვე შეიეცალა გუნება და შიშიც განუახლდა.

— წასვლას აპირებ? — საყვედური გაისმა ქალის ხმაში.

— უნდა წავიდე... — თქვა შოშიტამ, — აბა როგორ იქნება...

— კი ბატონო, მიბრძანდი... — ისე ჩაილაპარაკა დედაკაცმა, ეტყობა ნაწყენი იყო.

იცოდა, ვერ გადაათქმევიანებდა და მეტი ვერაფერი უთხრა. პირველად ხომ არ იყო, რომ შოშიტა ახალწლის განთიადზე მეკვლედ მიდიოდა... ბედნიე-

რი ფეხი აქვსო და ელოდნენ მეზობლები.

მარტო დარჩენის შიში აწუხებდა დედაკაცს და ახლა, თავს რომ უმწეოდ გრძნობდა, გუნებაში წყველიდა იმ დღეს, როცა ბედმა ამ ახირებულ კაცთან ცხოვრება არგუნა. ბედნიერი ფეხი აქვსო... ჰმ... თუ ასეთი ძალა უწყალობა განგებამ, რაღა სულ სხვაგან არიგებს იმ რაღაც ბედნიერებას, ერთხელ საკუთარი სახლიც გაიხსენოს და ცოტა რამ თავისთვისაც შემოინახოს... ამაზე წინათაც უთქვამს მისთვის საყვედური, მაგრამ როგორ გინდა მოარჩულო ადამიანი, თუ ღმერთმა ის მოუსაზრებელი და ჭიუტი გააჩინა...

ეს ხომ ასეა, ოღონდ ისეთი რა შესცოდა მამაზეციერს, რომ აგრე დასაჯა და შეაუღლა ობროდ მამაკაცთან? ობროდია, მამ ვინ? მთელმა სოფელმა იცის მისი უცნაურობის ამბავი და ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ კიდევაც დასცინიან... გულსაკლავად დასცინიან ხოლმე, მაგრამ მოდი და უსაყვედურე ვინმეს, როცა ის თვითონ არ ერიდება გამოაჩინოს თავისი ობროდობა! ყველამ იცის რა უბედურება სჭირს... აი, თუნდაც ეს: საღმე მინდორში რომ თვალს მოჰკრავს სულ უბრალო გვირილას ან ბროწეულის ტოტზე ჰრეღად გახარებულ ნაყოფს, ისე გვერდს არ ჩაუვლის მათ, რაღაც საალერსო არ გადასძახოს. გეგონება, ყვავილის ენა გაეგებო... წყაროს წააწყდება გზაზე და, რომ არ სწყუროდეს, ერთ პეშვს მიანც შესვამს, მადლობას ეტყვის და კიდევაც დალოცავს... ზოგჯერ ამაზე უარესიც მომხდარა: გამოვა თუ არა თავის პატარა ეზოში, მიმოიხედავს, მერე უეცრად გარინდდება და ყურს უგდებს გარემოს. სხვას არაფერი ესმის, ის კი დიდხანს დგას და სულ-განაბული აყურადებს. იფიქრებ, ვიღაც ელპარაკება და უცნაურ რაღაცას უამბობსო... ეს კიდევ არაფერი, გაიგონებს რაიმეს სხვის სასიხარულო ამბავს და, ეს მადლობას შესძახებს

იმ კაცის გახარებისათვის... ასეა და, მოდი ნუ იტყვი, რომ ობროდია... რა თქმა უნდა, ობროდია და საკვირველია, ასეთ კაცს, რატომ თხოვენ მეკვლად იყოს?! ვთქვათ, მართლაც რაღაც სიკეთე მოაქვს მის მილოცვას... მერე რაო? ბოლოს ვინ გეტყვის ამისთვის მადლობას, ვინ დაგიფასებს? გაქალარავდა კაცი და აქამდე ვერ შეიგნო, რომ სიკეთისათვის სიკეთით არავის უბასუხნია... რამდენჯერ უთხრა, მაგრამ ვინაა გამგონე... ერთ ყურში რომ შეუშვებს, მაშინვე მეორედან გაუშვებს... ეგაა და ეა!

— არ შეშინდე, მალე დაებრუნდები! — თავისი ძველი ნაბადი მხრებზე მოიგდო შოშიტამ და სახლიდან გავიდა.

ეშმაკაც ფაულია, ჯოჯოხეთი ტრიალებდა გარეთ. გააფთრებული ქარი ფეხებს უბორკავდა და ნაბიჯს ურევდათ ერთ უღაბნოში გარემო არ ჩანდა: აღარსად დაღმართი, ან მოსახვევი ყველგან ყველაფერი თოვლით დაფარული, ერთმანეთის მსგავსი და განურჩეველი.

მეხსიერებით მიიკვლევდა გზას. საცაა დიდი დაღმართი დაიწყება, იქ, ჩაჩეხილ ფერდობთან, ორი ტყუბი წაბლის ხე დგას. როგორც კი იმ ადგილამდე მოაღწევს, მარჯვნივ უნდა გაიხსიოს და, ბოლოს, გაივარებს თუ არა, ეზო-ქიშკარიც გახშირდება...

განთიადს ნათელი ემატებოდა. გამორჩნდა აქამდე თეთრ ბურუსში შემალული სახლები. ქარს ხანდახან კვამლის სუნიც მოჰქონდა.

შოშიტა ყველგან შევიდა, ყველას ბედნიერი წელიწადი დაუბეგა და როგორც კი დალოცა უცანასკნელი მოსახლე, თავის სახლისკენ მიმავალ დაღმართს შეუდგა.

დაბლობში დამცხრალმა ქარმახალმა აქ ისევ იჩინა თავი, ისევე ცხვრდა, ბობოქრობდა, ცივად ქროდა. გარე-

მო ისევ თეთრად იყო დაბანდული და საძებარი ხდებოდა გზა.

ძალა თანდათან ელეოდა, მაგრამ გასაჭირს მაინც არ ნებდებოდა და წინ მიიწეოდა... რას იზამ, შინ დედაკაცი ელოდება და უნდა მიხედოს...

ალმართის შუაწელს რომ გადასცილდა, უეცრად ტყუბი წაბლის ხეები მოლანდა. ამის დანახვამ გაამხნევა და ღონეც შემატა, შოშიტას... აქედან აღარც ისე შორს იყო სახლი, ოღონდ რატომღაც აქ უფრო იგრძნო, რომ ძალიან დაღლილიყო და რომ ცოტათი მაინც თუ არ შეიცვენებდა, სიარულს ვეღარ შეძლებდა.

მოფარებული ადგილი მოიძებნა, ნაბადი შემოიკრა და ჩაიმუხლა.

ერთხანს გასუდრული იქდა და თავისი თავით კმაყოფილიც იყო, რომ სულმა არ წასძლია და შეიცადა. იბორჯოს ახლა ქარბუქმა, სანამ თვითონვე არ დაიღლება და არ დაცხრებდა...

იქდა და გუნებაც უფრო და უფრო გამოუყვთოდა... ეს ნაბადიც რა მადლიანი და სამეგობრო გამოდგა ამ დიდ გასაჭირში. აღარც ჰქონდა იმედი, რომ მასთან ერთად შებერებულს ამდენი სითბო შერჩებოდა. ახლა აღარც ფეხები ეყინება, აღარც სხეული აქვს გათოშილი. ცხადია, ეს ნაბდის წყალობაა, მაგრამ ალბათ ჰაერიც შეთბა და სუნთქვაც ამიტომ გაუადვილდა. აი, ასე კარგია მოთმინება. არ შეუშინდა განსაცდელს, დასძლია და ახლა კიდევ უფრო კმაყოფილია, რომ თავისი ვალდებულება პირნათლად შეასრულა. ერთი-ორი საათით შეწუხება რა სახსენებელია იმ სიკეთესთან რაც ამ მოკლე დროში დარგო და დასთესა. არა უშავს, მალე მივა შინ, დიდ ცეცხლს გააჩაღებს და დედაკაცსაც გაამხნევებს. ის ნაწყენი იყო, როცა განთიადზე მარტო რჩებოდა, მაგრამ ახლა კიდევაც აპატიებს და კიდევაც მოუწონებს... აბა როგორ... ბევრის შეველე იყო და დღეიდან თუ არა, ხვალღან მაინც ყველას სიხარულში და-

ულამდება და გაუთენდება... ოღონდ რატომ ხვალღან... ვე თავი იჩინა შეველეს ძალად და დალოცვამ... აი, ჩაღვა ქაირშხალი და კიდევაც დათბა. ისე დათბა, რომ ამწვანებულა მთა და ველი და ყვავილებით შემოსილა ნუში, ატამი და კიდევ უფრო ამალღებულან ტყუბი წაბლის ხეები... დიდება შენ სახელს, უფალო, მეაცირი ხარ და სამართლიანი, მრისხანე და უსაზღვროდ კეთილი, რომ ეს ქვეყანა მოგვეცი საცხოვრებლად და გავვიჩინე მშვეც, ლურჯი ცის სიმადლიდან რომ დაგვეცქერის. შენ რომ ახლა ხმა გესმის, ეს სოფელი გამოსულა გარეთ და იმ მშისა და სიცოცხლის საგალობელს გუგუნებს...

შუადღისას ორი მამაკაცი ამოდიოდა ალმართზე. ახალგაზრდები იყვნენ და არც თუ დიდად ეძნელებოდათ გზის გაკვლევა. წაბლის ხეებს რომ მიუახლოვდნენ, უეცრად თვალი მოჰკრეს ნაბადშემოხვეულ კაცს, რომელიც ნამქერის ძირში ჩამხოზილიყო.

— ეპეი, ზედმეტი დაგიღევია, ბიძაჩემო! — მხიარულად დასმახა ერთმა.

— აღეპი, ძია — კაცო, შინ უკეთ დაიძინებ! — მის გაღვიძებას ეცადა მეორე.

ერთხანს კიდევ არ უსვენებდნენ და მხოლოდ მაშინ, როცა ნაბადი ახადეს, გაიგეს ვინც იყო და რა მომხდარიყო.

შოშიტას თვალები გახელილი დარჩენოდა. ფართოდ გახელილი და თითქოს გაკვირვებულიც. სახეზე სიმშვიდე ედინა. და ისეთი ბედნიერი ღმილიც შერჩენოდა, როგორც წინათ არასოდეს ჰქონია.

P. S. ამ პატარა ესკიზს არავითარი პრეტენზია არ აქვს იმისა, რომ მორალის შემცველი იქნეს, რაიმე ზნეობრივი მოძღვრების როლი შეასრულოს. აქ ავტორმა ოდნავი გულტბრყვილობით გაიხსენა ის ამბავი, რომელიც ერთ მის თანასოფელს გადახდა.

დიდარ ივარდებს

ოვალში მიგახიდა ხეზე

მამაჩემის ეზო,
საყვარელი ვეზომ, —
მწვანე ფერი,
მწვანე ფერი,
ეჰ ვველა ფერს ჭარბობს...
ოჯალეში მიგრეხილა ხეზე,
თითქოს,
რალაც მნიშვნელოვანს ამბობს.
და უსმენენ...
და უსმენენ...
უხმაუროდ თითქმის,
(მხოლოდ ზოგჯერ თმებს აიშლის მუხა!),
რალაც ფიქრით,
მძიმე ფიქრით,
ფარფატებენ
ნუშის ყვავილთ ფიფქნი
და ეკვრიან,
ზედ ეკვრიან

ობელისკად
ზე აღმართულ ბუხარს!
...ეს მარანი,
სადაც ახლა ვდგავარ,
სხვაზე მეტად მაგრძობინებს
ფესვებს წინაპართა;
უა ახლა მე
იმ სიცოცხლის
ძლიერ ტალღას ვგავარ,
რაც ამთელებს,
რაცაჲ ჰკურნავს
ტკივილების ნაპრალს...
ოჯალეში კი
ვეება ხეზე
მიგრეხილა და ნიავის ენით,
რალაც ამბავს
ლამბავს!

• • •

ბებერ როსინანტს რა შეეძლო იმაზე მეტი,
მოიმოქმედა რაიც! —
მართლაც საყვარლად,
უდრტივინველად,
ისე, ვით ღმერთი,
მოემსახურა ლამანჩელ რაინდს.
— ვინ დაუფლასა? — თქვენ მკითხავთ მაშინ,
— რა საჭიროა! — გაპასუხობთ უმალ;
— მთავარი არის არ დარჩა ვალში

და არ უმტყუნა ალლომ და გულმა.
...მოვალეობა,
მხოლოდ შენი, თუ ქუდი მხურავს,
ჩემო მამულო,
ვედილობ და ვნატრობ,
გადავიხადო,
ისე ერთგულად,
ვით როსინანტმა გადუნადა
ლეთაებრივ პატრონს.

საქართველოს
წიგნწერის
კავშირის
სამდივო

ჭკავს ჩაჩაბიდან აფრენილ ნაბადს
 ღამე, კოლხური ზღაპრების ღამე, —
 აქ ოჩოკონი შავ თვალებს ნაბავს,
 კბილები უგავს ალესილ დანებს.
 და უნატობაც ბზის კორომებით
 მოქცეულია მთის ხელისგულზე, —
 ღერწმოვანია სავსე ღომებით
 და კატის თვალთ მწვერვალებს ეუმზერ.
 მოზიდულია ოცნების მშვილდი, —
 მშვილდი მჭრელი და ახლა მჩხიბავი, —
 ეს ღამე ვითარ იქნება მშვიდი,
 ან ეს ამბავი ჭრელი იგავი,

როცა ღვეგნდა ყველა ორშვლით,
 ვითარც ხალიჩა დღეს იქსოვება,
 ზღაპარი ჩვენში უკვე მომალეს,
 თავად ღვეგნდა გახდა ცხოვრება.
 ენგურის ტალღაც სულ მალე ვიცი,
 დაფლეთს ღამეს და ოჩოკონს, ვაი!..
 მწამს ჩემი ხალხის საკმით თუ ფიცით
 დაემგანება ეს მიწა მაისს.
 უკვე ყველაფერს ვხედავ და მესმის!
 (ერთება ენგური, ვით ღურჯი ვენა)
 იალუებს, ვითარც მნათობი — ჰესი
 აწ მარადიულ ვარსკვლავთა დენად!

თავი დამანებეთ
 თუ ღმერთი გწამთ.
 ჭრელო სიზმრებო,
 გემუდარებით თავი დამანებეთ,
 თორემ მიახლებს

ტიტა ისევ
 ღია ჭრილობას
 და მე
 რა ვუყო თავსატყუარს —
 ჩემს ბოლო იმედს.

უდგავარ და ვხედავ, ვითარც მწვერავი,
 მთიდან უჩუმრად მოცოცავს თოვლი,
 თითქოს ვერ ხედება ახლა ვერავინ,
 რაზე მდუმარებს დეკემბრის თოვლი.

და არეული ნაბიჯთა ჩქამი
 წამიდან წამით ხდება თამამი, —
 ძარღვებში ყინავს გამჭოლი ქარი —
 მესმის წადილი თეთრი ქარავენის.

და ეს ზამთარი, შეხედეთ ერთი,
 როგორ ფძღვება ვნების კვირბაძალს,
 ადრევეც ასე უცვარდა თეთრი,
 მაგრამ ყოველთვის მწვანედ მინავლდა.


უნდა მანამდე ხელი დარიოს
 მთას, მიწას, —
 რაც კი მოესხელთება!
 (რამ გამახსენა:
 ამგვარად ჰქონდა, თურმე დარიოსს,
 მაკედონელით გულის ხეთქება!)

მოცოცავს თოვლი და ასე, მერე
 გარდასულ წამებს პანგებად ისმენ.
 გატანას, ღალატს,
 ვნებას და ფერებს
 ვემორჩილებით ისევ და ისევ!

...მოცოცავს თოვლი — თეთრი მწვერავი!



ალუბლის ტოტი --- რძის ერთი წვეთი,
 ჰა, სააპრილოდ მონაცვრევს სურნელს! ---
 ნახეთ სოფელი? ---
 მოქმედი ღმერთი
 თავად უნთიათ კოფოზე ურმებს.
 ვვაილითა ნისლია აბოლებული,
 ქვეყანა ახლა დიდი ტილოა,
 ჰანგი ასეთი, შართლაც მეფური,
 ღანლა შვაწნა ფერთა ცილობას.
 მე განა დიდხანს
 დუმილს ვაპირებ,
 თვალს ვაძოვნიებ ღმერთის ოინებს,
 შერე კი ---
 შინდვრად მე და აპრილი,
 გადარეული ვირბენთ ორივე.
 თუმც რა დაუშალო?
 ნადლია, მშებო,
 თუკი მირჩევთ და გამიწევთ შველას. ---
 სხვადასხვა ფერი თუ როგორ ვძებნო,
 რადგან აპრილმა წამგვარა ყველა.
 ვის დავესესხო?...
 არის ხსნა თუმცა ---
 გადმოვიხატო ირგვლივ რაც არი, ---
 ვადევნო თვალი
 ალბომს, ვით ფურცლავს,
 აპრილი --- ფერთა ნადდი მხატვარი.



შიშის...
 მუცხის...
 მთავარი...
 მთავარი...

რამაზ კობიძე

გვიმრის ფოთლაგი

რომანი

თავი პირველი

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნის ამბავი შესახებებში სასადილოში გაიგეს. ის იყო ხარშო ჩამორიგდა და ცალთვალა მოხუცმა გერასიმე ცნობილამ პურსაც გაუწოდა ხელი, რომ სასადილოს უკანა კარი ხმაურით გაიღო. შვეგვრემანი, სვეინჩასავით დალეული იორამ ნოსელიძე შემოვარდა, კარებშივე სული მოითქვა, ზედვე ეტყობოდა, რომ ნარბენი და აფორიაქებული იყო. ფერდაკარგულს მკერდი ფორიაქით აუღ-დაუდიოდა. თვალებს ფეთიანივით აბრიალებდა. თავისიანების დანახვაზე აღგილიდან მოწყდა, მაგიდასთან მივარდა და, თითქოს ეს ხალხი რამეში დამნაშავე ყოფილიყოს, პირდაპირ ძაღლივით შეუყუფა.

— მოხსნეს!

გერასიმეს პურის ნატეხი გაუვარდა ხელიდან:

— საიდან იცი?

— მარგალიტამ ბრძანება გამოაკრა.

— შეხედე შენ! — გერასიმე ერთ ხანს უძრავად იჯდა. მერე ის პურის ნატეხი მავიდიდან აიღო, თეფშზე დადო, გულხელი დაკრიფა და ისევ გახევდა.

კარგახანს ხმა არც სხვებს ამოუღიათ ბოლოს სიჩუმე მალალმა, ბეჭებში მოხრილმა, ერთიანად გამელოტებულმა არქიფო ცალუღლიშვილმა დაარღვია.

— ესე იგი, არ დაინდეს. ზომ? მის მაგივრად ვინ დაინიშნოსო?

— ეგ იმათ ჰკითხე!

ისევე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰმ! — გერასიმემ ამოიხენეშა, შარვლის ჯიბიდან ყაყაჩოსავით წითელი ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით შეცვარებული შუბლი შეიწმინდა, — ახლა ჩვენ რა ვქნათ?

მას არავინ უპასუხა. საკმელიც აღარავის ახსოვდა, იორამმა მეზობელ მაგიდასთან მდგარი სკამი ფეხით მოიჩოჩა, ჩამოვდა, პაპიროსს მოუყიდა და ისე გამეტებით მოქაჩა, რომ იფიქრებდით, ამ თითის სიმსხო „ყაზბეგს“ ერთი მოქაჩვით ჩაათავებდსო.

— თვითონ ჯიბრაილმა იცის? — ალბათ, გერასიმეს კიდევ რალაცის იმედი ჰქონდა.

— ეცოდინება — არქიფომ ხელი უიმედოდ ჩაიჭნია.

— ჯიბრაილმა კი არა, ეგ მეც ვიცო-
ლი— ახმაურდნენ სხვებიც.

— რა ლაპარაკი უნდა!

— გუშინწინ გოლეთიანმა რომ ფეხი
მოიტეხა, მაშინვე მივხვდი, რომ ეგ ამ-
ბავი ჯიბრაილის კისერზე გადატყდუ-
ბოდა.

— მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკ-
ლია.

— გაიგეთ, უდიპლომო ხალხს თანა-
მდებობებზე აღარ აჩერებენ.

— ჰოდა, ჯიბრაილის ჭერიც მოვიდა.

კარგა ხნით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ა, კაცო! ეს საქმეა? — გერასიმემ
ხარშოიანი ჯამი გასწია და ერთადერთი
თვლით უმწეოდ მიმოიხედა, — რო-
გორც იქნა, უბანი საათივით ავაწყვეთ.
გეგმებს ყოველდღე ვასრულებთ, სა-
ხელმწიფოსთან პირნათლად ვართ. გა-
მომუშავება ადამიანური გვაქვს, სახლ-
ში დასაძინებლად რომ დავწევები, ვი-
ცი, რომ შუალამისას არავინ გამაღვი-
ძებს, არიქა. უბანზე ავარია მოხდაო...
აღარც კი მახსოვს, ბოლო ავარია უბან-
ზე როდის იყო. ყველაფერ ამას ველირ-
სეთ და — ა! ყველაფერი გვენგრევა და
წყალში გვიცვივდება, — გერასიმემ ხე-
ლი გულის ჯიბეზე მოიფათურა, დასრე-
სილი სიგარეტი ამოაძრო, ერთხანს
ისევ ჩაფიქრებული იჯდა. მერე ასანთიც
ამოიღო და აცანცახებული ხელებით
ძლივს მოუციდა.

— სხვა უბანზე გადავალ, — იორამ-
მა ხელი გააჩხლებით ჩაიქნია.

— ეეჰ! — ისევ ახმაურდნენ მეშახ-
ტეები.

— სხვა უბნებზე სწორედ ჩვენ გვე-
ლოდებიან.

— აბა?

— დაფიქრდი, ბიჭო, ზედმეტი კაცი
ვის რად უნდა?

— საქმე ყველგან საათივითაა აწყო-
ბილი.

— არა, ხალხო! — კომბაინის მემან-
ქანემ, ჰალარა, მხარბეკიანმა, ლამაზ-
სახიანმა, იულო სოფრომამემ თავი ში-
მედ გადააქნია, — არა, იორამ! ახლა
უხეიროდ ნუ ავცმუცლებით, სხვა უბნე-

ბზე ჩვენ არავინ გვეპატივება, თუ მა-
ინც მოახერხებ და შეეჩხირებ, ვე-
ლამ იცით, — ავითვალისწინებენ, გამ-
ზადებულ ტაბლას მიუჭეკიო, და ერთ
კვირაში უკანვე გამოგაბრძანებენ. ჩვენ
გამოსავალი მხოლოდ ერთი გვაქვს —
ჯიბრაილი არ უნდა დავთმოთ.

— მერე და მაგას ჩვენ ვინ გვეკითხე-
ბა? — შელოტმა არქიფომ იულოს გა-
კვირვებით შეხედა.

— თუ ეგეც ადგილკომი გგონია, ვი-
საც გინდა, იმას რომ წამოასკუბებ.

— მაგ საქმეში სამთო ზედამხედველი
იქნება ჩარეული.

— მოიცადეთ! — იულომ თავი ისევ
მძიმედ გადააქნია, — მოიცადეთ! სამ-
თო ზედამხედველი ერთია, მაგრამ მა-
გის გარდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, არის
ტრესტი, არის რაიკომი... საათივით აწ-
ყობილ უბანს სამთო ზედამხედველს
ვინ მოაშლევინებს?

— ეეჰ!

— სულ ტყუილი ლაპარაკია!

— რაიკომს შენ გეგმა შეუსრულე და
უბნის უფროსად ჯიბრაილი იქნება, თუ
იორამი, ეგ იმას, არ ეკითხება.

— იორამის ჭირი გეცეს მაგ გვერ-
დებში...

— კარგი, კარგი.. ნუ აყფედი.

— რაიკომის მდივანმა რომ ის იძროს,
რომელ უბანზე ვინაა უფროსი, სად
წავა?

— ეგ შახტის უფროსის საქმეა.

— სწორედ! სარდიონი ჯამაგირს მა-
გაში იღებს.

— რაიკომი აქ არაფერ შუაშია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვითომ, სარდიონს მოსწონს ეს ამ-
ბავი? — გერასიმე ისევ რალაც იმედს
ებლაუჭებოდა.

— შენც არ მომიცვდე!

— მოსწონს კი არა, დაზაფრული იქ-
ნება.

— ეს ჩაოხრებული უბანი ჯიბრაილ-
მა ამოუტეხა.

— მაგრამ კანონს სარდლიონი იმე-
რევა?

— ვერა, ძმაო, კანონს ვერც სარდონი მოერევა.

მეშახტეები ისევ გაჩუმდნენ. იორამმა მერე პაპიროსს მოუყიდა და ისევ თავდაუზოგავად მოქაჩა. გულზელდაკრეფილი იულო უაზროდ იყურებოდა შემოსასვლელი კარისაკენ, ხმას აღარც ვერასიმე იღებდა.

— ხალხო! — არქიფო ცალუღლიშვილმა უშულო რატომღაც ნეკით მოიქექა, — იცით, რას გეტყვით? მოდით, ამ ხარშოს ნუ გავაციებთ იქნება, ისეთი დღეებიც დაგვიდგეს, რომ სადილ-ვახშმისთვის ვეღარც კი მოვიცალოთ, იცოც გვინახავს, რომ დღე ერთი იყო და უბანზე სამი ავარია ხდებოდა. ჰოდა, მშვიერი კაცი არაფერში ვარგა. მერე თვითონ ჯიბრაილს მოველაპარაკოთ. თავისი საქმე იმ კაცს უკეთ ეცოდინება. იქნება, ე უბნის უფროსობა მაგ ადამიანს თვითონაც აღარ უნდა და — რას ერჩი? საბოლოოდ კი, ალბათ, მაინც სარდიონთან მისვლა მოგვიწევს. სხვა მოკავშირე ჩვენ ამ საქმეში არცა გვეყავს და არც გვეყოლება, მართალს არ ვამბობ?

— მართალია!

— აგრეთ!

მეშახტეებმა უგუნებოდ ისადილეს დაშხარჯი არქიფომ გაისტუმრა — წინა ხელფასი სოფელში გასაგზავნი გაუხდა, რადგან ცოლი ჰყავდა ავად, და ერთ კვირას ბიჭები ინახავდნენ. მერე წამოდგნენ და სასადილოდან მწყრივად, ერთი მეორის მიყოლებით გამოვიდნენ.

* * *

მეშახტეებს კარი ტანმორჩილმა, მაგრამ მოხდენილმა ეწრო, ირიბთვალებიანმა ირინემ გაუღო. ეტყობოდა, ხასიათზე ისედაც არ იყო, მოსულების დანახვაზე კი მრისხანე თვალეები კიდევ უფრო ჩაუმუქდა და წარბებშუა ღარი გაუჩნდა.

— ვინ ვნებავთ?

მეშახტეები დაიბნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ველრა გვცნობ, ირინე?

— გცნობთ!

— ჯიბრაილის ნახვა გვინდა.

— ჯიბრაილის! — უქმეხად ისროლა ირინემ. მერე გატრიალდა, კარი ღია დატოვა და თვითონ სამზარეულოში შევიდა. თითქოს გატრიალებისას ტუჩებში რაღაც ჩაიბურტყუნა კიდევ. მეშახტეები კიდევ უფრო დაიბნენ და ერთმანეთს ერთხელაც გადახედეს. მაგრამ რალა უნდა ექნათ? უკანვე ხომ არ გაბრუნდებოდნენ. ქედები მოიხადეს და ერთი მეორის მიყოლებით მარჯვნივ, მისალეზ ოთახში შელაგდნენ.

— მიგვიღებ, ჯიბრაილ?

— მობრძანდით! — ჯიბრაილი წამოდგა და გაზეთი ტახტზე მიავლო.

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი სანდომიანი შესახედაობის ვაჟკაცი იყო. საშუალოზე ოდნავ მაღალი, მხარბეჭიანი, ქერა, საფეთქლებთან თმა ოდნავ შეკლარავებული ჰქონდა, მაგრამ ეს სულაც არ უკარგავდა ახალგაზრდულ იერს. ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა... ნათელი უშულო, სწორი, ჩამოჭნილი ცხვირი, მუქი თაფლისფერი თვალეების პირდაპირი, გამსქვალავი გამოხედვა... ჯიბრაილმა ექვსივე მოსულს ხელი მაგრად ჩამოართვა. სიგარეტების კოლოფი და ასანთი მაგიდაზე დააწყო და ხელეები გაშალა:

— დაბრძანდით!

მოსულნი სკამებზე ჩამოლაგდნენ. ერთი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენს ცოლს, მგონი, მაინცდამაინც არ გახარებია ჩვენი დანახვა — ცალთვალა გერასიმემ თავისი წითელი ცხვირსახოცი ამოიღო და შეცვარული უშულო შეიმშრალა.

— ქალეების საქმეში არ ვერევი, — ჯიბრაილმა უხალისოდ გაიღიმა.

— კაცების საქმეში? — გერასიმემ თავის ამხანაგებს ეშმაკურად გადახედა.

— მაგისი რა მოგახსენოთ, — ჯიბრაილმა კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, აუჩქარებლად მოუყიდა და ასანთი საფერფლეში ჩაავლო.

— ხომ ხედები, რატომაც მოვედით?

— ასე ვთქვათ.

— მერე?

— რა — მერე?

— ასე ლეთის ანაბარა გეტოვებ?

— რატომ ლეთის? ჩვენსა და ღმერთს

შუა კიდევ ბევრი ვინმეა.

— ეგ მართალია, მაგრამ...

— ასეა.

ისევ სიჩუმე ჩამოეარდა, მესახტეებ-მა ერთმანეთს გადახედეს. ისინი — გერასიმეცა და დანარჩენებიც თითქოს ახლა-და მიხედნენ, რომ ჯიბრაილს ალა-რაფერი შეეძლო, სანამ იყო უბნის უფროსად — მუშაობდა, მტერთანაც პირნათლად იყო და მოყვარესთანაც, ახლა — მოხსნეს, ახლა რაღა ჰქნას? რაღა შეუძლია?

— რომ გავასაჩივროთ! — იულომ ეს გერასიმეს უფრო ჰკითხა, ვიდრე ჯიბრაილს.

გერასიმემ ხელი უიმედოდ ჩაიჭინა. ჯიბრაილი უცხად წამოდგა, სივარჯ-ტი საფერფლეში ჩააქრო და ოთახში გაიარ-გამოიარა. ისე პირქუშად გამოი-ყურებოდა, რომ სიტყვასაც ველარ შეუ-ბედავდი. თითქოს ახლა, ამ წუთებში, ხელახლა განიცდიდა იმ წყენასა და დამცირებას, თანამდებობის უმიზეზოდ დაკარგვას და საერთოდ, დაუმსახურებელ შეურაცხყოფას რომ ახლავს ზოლმე. ასეთი წარბშეკრული ჯიბრაილი მესახტეებს არასოდეს ენახათ.

— მაგ საქმეზე ლაპარაკი, ხალხო. მე აღარც კი მინდა, — ჯიბრაილი ყველას მიმართავდა, მზერით კი გერასიმეს მის-ჩერებოდა. — ან რა უნდა ვითხრათ? სარდიონი რომ უფრო მაგრად დამდგა-რიყო, ეს, ალბათ, არც მოხდებოდა. მაგ-რამ... არ ინდომა ან, იქნებ მოერიდნენ, კანონი იმათ მხარეზეა, ახლა მე რაღა ვქნა?

ამ კითხვის პასუხი მესახტეებს არ გა-აჩნდათ. ამიტომ დუმდნენ, არკიდომ და იულომ ერთმანეთს თვალებით ისიც კი ანიშნეს, რაღას ვზივართ, ავდგეთ და წავიდეთო.

— გვესმის... — გერასიმემ ამოიოხ-რა და უცხად, იქნებ, თავისთვისაც მო-

ულოდნელად, ჯიბრაილს აღერსიანად გაუღიმა, — ის მაინც გვითხარი, შენი ცოლი ჩვენ რას გვერჩის?

— მაგას მე თითონ გეტყვით, — გაი-სმა უცებ ირინეს ხმა, ჯიბრაილის მოხ-დენილი ცოლი მუშაბანდიდან ოთახში შემოიჭრა, ლოყებზე აღმური ასლიოდა და მოგრძო, ირიბად გაქრილი თვალე-ზიდან ცეცხლს აფრქვევდა. — მე და-სამალავი არაფერი მაქვს და არც ვინ-მეს მოვებოდიშები. დიახ! მე ვიცი, აქ რისთვისაც მობრძანდით. ამას უნდა თხოვოთ, ნუ მიგვატოვებო. ვიცი! საქ-მით ყველაფერი ამისთანების კისერზე გადადის, დიახ! მაგრამ ახლა კი ნურას უკაცრავად! ჯიბრაილის ფეხი მაგ მხა-ტაზე აღარ იქნება, დიახ! მორჩა! — ირინემ ეს ყველაფერი თითის გააფთრე-ბული ქნევით მიახალა გაოგნებულ გე-რასიმეს, და ისევ ლოჯიაში გავარდა. თან თმებს ისწორებდა და ანავერჩხ-ლებულ ლოყებზე ხელს ისვამდა.

მესახტეები დუმდნენ, ჯიბრაილმა კი მოულოდნელად ხმამაღლა გადაიხარხა-რა, გუნება როგორღაც შეუმჩნევლად შეცვლოდა. წელანდელი ნაღველის ნა-ტამალიც კი გამქრალაყო. უბნის ყო-ფილ უფროსს თავი გადაეგდო, თეთრი კბილები გამოეჩინა და გულიანად ხარ-ხარებდა.

გერასიმემ ამოიოხრა.

— რას ერჩი? — ეგ ქალი მართალს ამ-ბობს. აქ მართლაც იმატომ მოვედით, რომ შენთვის უბანზე დარჩენა გვეთხო-ვა, ნურც გაგვამტყუნებ, ჯიბრაილ: მე რომ მესახტე ვარ და მთელი ჩემი სი-ცოცხლე, ყოველი ცისმარე დღე იმ უკუნეთსა და ბნელეთში სამუშაოდ ჩავ-დივარ. ის მაინც უნდა ვიცოდე, ჩემი უბნის უფროსი სად და რატომ მგზავნის, უნდა ვიცოდე, რომ იქ კისერი არ მომ-ტყდება და ცოლშვილი არ დამიბოლ-დება. ჩემი უბნის უფროსს საკუთარი თავივით უნდა ვენდობოდე. აი შენთან რატომ მოვედით. ახლა რა ვიცი, შენს მაგიერ ვის დაგვინიშნავენ, იქნება, ვინ-მე გუშინდელი ბავშვი დაგვისვან, — დიპლომიანიო... ჰოდა, სანამ ეგ იმ

სიბნეულში თვალს გააჩვევს, სანამ აფეთქების ხმას შეეჩვევა და შახტში სიარულს ისწავლის, მე, იქნება, ეს კისერი ათჯერაც მომტყდეს. მაგრამ შენ რა დამნაშავე ხარ? სანამ იყავი, ხომ იყავი! ღმერთთა მოწამე, ჩვენ მადლობის მეტი... ხო! მაგრამ ახლა მოგხსნეს და... რას იზამ! აბა, შვილო, ბედნიერად და, კარგად იყავი!

მეშახტეები წამოდგნენ, ჯიბრაილიც წამოდგა. ისევ დანაღვლიანებულიყო და მარცხენა წარბი ნერვიულად უხტოდა. ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

— სასწავლებლად წახვალ? — ჰკითხა არქიფომ.

ჯიბრაილმა ხმა მოუღებლად მხრები აიჩქრა.

— წადი, ძმაო, წადი. ირინეც აღარ გაგაჩერებს. ხომ ხედავ, წადი, აიღე ის ოხერი დიპლომი და მერე... ისევ ჩვენ დაგვიბრუნდი. ა?

— ენახოთ! — ჯიბრაილმა უხალისოდ გაიღიმა.

— აბა, კარგად იყავი!

მეშახტეები ერთი მეორის მიყოლებით გამოლაგდნენ ოთახიდან.

* * *

— რა ვქნათ, ხალხო! — უმისამართოდ იკითხა არქიფო ცალუღლიშვილმა. მეშახტეები ქუჩაში, ჯიბრაილის სადარბაზოსთან იდგნენ. ქალაქს და მის მიდამოებს ლურჯი ბინდი შემოჰპარვოდა,

აქა-იქ სახლებში ელექტრონის მუქი ენთო.

— ავი სარდიონთან უნდა წახსულიყავით! — იორამის კილოში საყვედური გაისმა.

მას არავინ უპასუხა. ყველანი გერასიმეს მიაჩერდნენ.

— სარდიონი ახლა შახტზე აღარც იქნება, — ცალთვალა მეზიგემ ხელი ჩაიქნია, — არადა, ამ ადამიანს უბნის უფროსობა თუ თვითონ აღარ უნდა, სარდიონი, რა, ძალას ზომ არ დაატანს?

— არ უნდა კი არა, განაწყენებულია. ხუთ წელიწადს იშრომა, იწვალა, ოფლი ღვარა.

— ეგ ვიცით.

— აბა?

— არაფერი. სარდიონს აქ არაფერი შეუძლია.

— სარდიონის ნება რომ იყოს, ჯიბრაილს არც მოხსნიდა.

— ნამდვილად!

— აბა, ჩვენ რა ვქნათ?!

ყველანი ისევ გერასიმეს მიაჩერდნენ.

— შე რას მომჩერებხართ? იმე!

— რაიმე გვიჩიე.

— რა გირჩიოთ?!... მოვიცადოთ. აღდგომა და ხვალეო... თუ არადა, მაგ უბანზე ჯვარი კი არ დამიწერია. მე ჩემს გზას მოვინახავ, და თქვენც თქვენი გზა ეძიეთ. ასე! — გერასიმემ ქუდი გაბრაზებით ჩამოიფხატა და, აღარავის დამშვიდობებია, ქუჩას ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა.

თავი მერე

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილმა თავისი სოფელი თორმეტიოდე წლის წინათ მიატოვა. გაწყობილი სახლ-კარი და თვალისჩინივით მოვლილი საკარმიდამო უმცროს ძმას დაუტოვა, — აკავი ბავშვობიდანვე სუსტი იყო, დღენიადგ თავის ტკივილს უჩიოდა, ვერც სწავლაში იჭარხალდა ვერც მუშაობაში, — და

ზედის საქმენელად ქვანახშირის ქალაქს მოაკითხა.

პირველ ხანებში ამხანაგს შეეკედლა და სოფლიდან წამოდებული ფული, სამასი თუ ოთხასი მანეთი, სულ ქარს გაატანა — მინდა ქალაქური ცხოვრების გემო ენახო. დღე და ღამე ქვიფსა და დროსტარებაში იყო. აქაური ქალე-

ბი ზომ სულ გადარია. შესახედავად ღმერთით ბივი იყო, ქალეზმა კი აუ ერთი ამოვიჩემეს — შორჩა! თითქოს საკაცეთი დაილია და ამ ერთადერთ კაცზე დადგაო. ეს ერთი ქალი მაინც, — ლამაზა, ბეჭდებიანი და საყურეებიანი ლამაზმანი, ვაჭრობის სამშრომლოში რაღაც დიდი ადგილი რომ ექირა... ბო-ბო-ბო! სულ დასახლებას პირ-ღებოდა. ოღონდ ჩემთან იყავი და თვის არ გაგანძრევენებ, პატარაღივით შეგინახავ, მანქანასაც გიყიდი და რაც გინდა, მთხოვეო... იმდენი უტრიალა თვალწინ ის მოწიშვლებული მუხლისთავენი, იმ შაცდურმა, რომ სისხლი აუმღვრია და შეიტყუა. ჭიბრაღილა მასთან რამდენი ღამე გაათია და რომ იტყვიან, ბაწარზე გადასაკიდებლად გახადა. მაგრამ მერე კი — ნურას უკაცრავად! მებუთე თუ მექვეს დილას ხუმრობით გადაუკრა — შენი დასახლებელი მე არაფერი მჭირს, შენი მღაზიები და საწყობები შენთვისვე შეინახეო, და სამუდამოდ დაემშვიდობა. თუმცა, რატომ სამუდამოდ? არა, ქალაქში მერეც ხვდებოდნენ ერთმანეთს. ლამაზა ისევ უწყუენუნებდა თვალებს და გულამოვარდნილი ელაპარაკებოდა, მაგრამ ჭიბრაღი ახლოსაც აღარ გაეკარა.

ჭიბრაღის ძარღვებში მშრომელი კაცის სისხლი უდუღდა, შახტში ჩავიდა და სულ უბრალო საქმე — მებაგეს შეგირდობა იკისრა. აქედან დაიწყო, სამი წლის შემდეგ კი მისი სახელი მთელ ქალაქში ჰქუხდა.

— მკითხეთ, ხალხო, — იტყოდა ხოლმე მოკალეობის ემის მოხუცი ოტია მესხი, ჭიბრაღის პირველი მასწავლებელი და შახტში გზის გამწველვეი, — მკითხეთ, შენს ცხოვრებაში რა გავიკეთებიაო. ანგარიშიანი კაცი ვარ, ჩემი ნასიკეთარი სულ მისხალ-მისხალ მაქვს აწონალი, აბა! დიდი რეველუციონერი არ გყოფილვარ, მაგრამ მეფის სტრანნიკებისთვის ერთი-ორი ქვა მეც მისროლია. პირშავ კოწია სულაქველიძეს მუშტისისმსხო ქვა სწორედ ბუკში ვთხლი-შე. მერე სამ წელიწადს იძიებდა, ბუკში

ვინ მომტეხაო... ოცდაათი წელიწადი შახტში ვმუშაობ, სულ ამ სხეფუფუღულ უმადურ საქმეზე. ცოლისთვის ჩემს სიცოცხლეში ავი სიტყვა არ მითქვამს. ორი შვილი გავზარდე და გზაზე დაეყენე, თამუნია გაუათხოვე, ნოე კი, ყველამ იცით, მეცნიერების კანდიდატია და, თუ გაუნართლდა, ხელ და ხეც, იქნება პროფესორიც კი გახდეს. შენ ხარ ჩემი ბატონი... ახლა კიდევ, ამ სიბერეში, ისეთი მეშახტე გამოვიზარდე, როგორც ეს ჩვენი ჭიბრაღილია. რამეს უწუებთ?! მაგის გამაგრებულ სანგრევში თოთო ბავშვებს შეუშვებ და გული არ შემიქანდება. აბა! გაუფრთხილდით და, მე თქვენთვის მითქვამს, საქვეყნოდ გასახლებთ; ჰოდა, ახლა მითხარით, ამ ერთი კაცისგან, ამ ერთა უსწავლეული ოტია მესხისგან მეტი რა და გინდათ?

ოტიასაგან მეტი არავის არაფერი უნდოდა. ჭიბრაღი კი ერთ დღეს შახტის უფროსთან, სარდიონ რაქველიშვილთან დაიბარეს.

— გამარჯობა, ამხანაგო ჭიბრაღი! — ჩასუქებული, ლოყებდაედაეა სარდიონი წამოდგა და ჭიბრაღის ხელი გამოუწოდა.

— გავიმარჯვო!
— დაბრძანდით, — სარდიონმა სკამზე მიუთითა და თვითონაც დაქდა, — ჯერ ერთი ეს მითხარი, ე თათრული სახელი ვინ დაგარქვა?
— თათრული?!

— აბა! ჭიბრაღი — იგივე ქართული გაბრეილია. მაგრამ ეს არაფერი. უკრაინული ანდაზა გავიგონია? აბი ჩორტ, აბი ბის, ლიშ ბი იაიცა, ნის! გესმის! სახელად ვინდ ეშმაკი გერქვას და ვინდ ქაჯი, ოღონდ კვრცხები კი დამიდევით... პა-პა-პა, უკრაინული მე დოხეცეში ვისწავლე, პრაქტიკაზე. შენ უკრაინაში ყოფილხარ?

— არა.
— გავგზავნით. ყველგან გავგზავნით. ანდა, ვაკმა რომ თქვას, უკრაინაში რაღა გინდამისე თუ გაისიერებდითრემ, ამ ჩვენს საქართველოში იმხელა მსახტე-

ბი ავაშენეთ, რომ პრაქტიკაზე ხალხს მალე აქეთ გამოგვიგზავნიან. რას იტყვი?

ჯიბრაილმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— კეთილი ახლა, ჩემო ჯიბრაილ, აი, წინ შენი პირადი საქმე მიდევს.

— სარდიონმა წითელყდიანი „საქმე“ ასწია და დაანახვა. — მე მგონი, კარგად შევისწავლე, ახლა წვრილად მოგახსენებ, რაც შენზე ვიცი და თუ რამე შეემშალოს, ნუ მოგერიდება, გამაჩერე და შემისწორე, მოდის?

— ბატონი ბრძანდება!

— კეთილი. აბა, ასე შენ დაბადებულხარ ათას ცხრაას ოცდათორმეტ წელს, თექვსმეტ იანვარს, სოფელ ზტიცულში, კოლმეურნის ოჯახში, საკოლმეურნეო მინდვრებს აღრე სწევევიხარ. ეს შენი სურვილით იყო, თუ ოჯახს უპირდა, არ ვიცი. ეს შენ უკეთ გეცოდინება. დაგიმთავრებია... დაგიმთავრებია რვა კლასი. მერე — ისევ საკოლმეურნეო მინდვრები. მერე ჭარი, საარტილერიო ნაწილი, დემობილიზაცია, ისევ, შენ ხარ ჩემი ბატონი, საკოლმეურნეო მინდვრები... მერე კი — შახტი, ეს ჩვენ შახტი, ოტია მესხის სიყვარული და პატრისცემა.. ასეა, თუ არა?

— ასეა, — ჯიბრაილმა ისევ მხრები აიჩეჩა და გაიღიმა.

— კეთილი, — სარდიონი წამოდგა, „საქმე“ მაგიდაზე დააგდო, ხელები უკან დაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან გაჩერდა და ჯიბრაილს იქიდან გამოჰხედა:

— ისე დიდად ნასწავლი კაცი არ გეთქმის ა? რატომ?

— სოფელში რვა კლასზე მეტი არ იყო.

— აქ?

— აქ... — ჯიბრაილმა მხრები აიჩეჩა და თავი ჩაღუნა, სახეზე სიწითლე მოერია.

— აქ — უბრალო პროფესია, ბევრი ფული, პატრისცემა... ხომ?

ჯიბრაილი ხმას არ იღებდა.

— ეხ-ეხ-ეხეჰ... — სარდიონმა თავი გადააქნია, — რა განებვიერებული თაო-

ბა ხართ, ბიჭო! შენნობაზე... თუმცა, შეაყარე კედელს ცერცვმა, მტრის შენის-თანასთვის მიტევაში, ბიჭო! ისარგებლე ამ ცხოვრების სიკეთით, წიგნს მოკიდე ხელი, ისწავლე, იკითხე, გაიზარდე-მეთქი... შენც არ მომიკდე! ყურიც არავის უთხოვებია, არადა, ძალით რა იქნება? თუ სწავლა არ გინდა, თავის ქალას ხომ ვერ აგზინ? წიგნებს თავში ძალით ხომ ვერ ჩაგიტენი.

სარდიონმა ხელი ჩაიქნია და ისევ თავის მაგიდას მიუჭდა.

— ახლა ასე, ჩემო ჯიბრაილ, ოტია მესხი პენსიაზე მიდის და მეზობეების ბრიგადირად შენ უნდა დაგაყენო. ეს საქმე შენ იცი და გაუძღვები. ყაბული ხარ?

ჯიბრაილი ერთ ხანს დუმდა, მერე თავი აუჩქარებლად დაუქნია.

— ასე აბა, შენი იმედი მაქვს. მეშახტეს მეზობეების იმედი უნდა ჰქონდეთ. მე რომ მეშახტე ვარ და შახტში ჩავდივარ, უნდა ვიცოდე, რომ ქერი თავზე არ ჩამომეგრევა. აბა, ახლა წადი, ოტია მესხი მონახე და მაგასთან ერთად ორივე სანგრევი და ყველა გვირაბი ჩამოიარე. თუ რამე გადაუღებელი გასაკეთებელი იყოს, ჩაინიშნე და მომასხენე. ხვალ ამ დროს აქვე გელოდები. პო, ბრიგადირობაში გამომუშავეების ნახევარს დაგიმატებ, ცოტაა?

— მეყოფა.

— აბა, შენ იცი!

სარდიონი წამოდგა და ჯიბრაილს ბეჭზე ხელი მოუთათუნა.

ჯიბრაილისთვის, სარდიონს გარდა, სხვასაც ბევრს უთქვამს. ისწავლე, ბიჭო, ათწლედი მაინც დაამთავრე და დრო დადგება ამ შახტების ბატონ-პატრონი შენ იქნებიო, მაგრამ ჯიბრაილს ყური არავისთვის უთხოვებია. წიგნების თავი ნამდვილად აღარ ჰქონდა. ახლა სარდიონის ნათქვამი, ცოტა არ იყოს, გულზე მოხვდა: ერთთა, როცა ვილაც გარეშე, თუნდაც გულშემატკივარი და კეთილისმსურველი გირჩევს, და მეორეა, როცა რაიმის ის კაცი გეუბნება, რომელზეც შენი ბედ-იღბალია დამოკიდე-



ბული. ჯიბრაილი უკვე სახელმწიფოებრივი მებრძოლი იყო, ანგარიშსაც უწყვედნენ და ფულსაც თავსაყრად ჰქონდა, მაგრამ სარდიონის ნათქვამის არაფრად ჩაგდება მაინც არ ივარგებდა. „უნდა მართლა ვისწავლო, — გაიფიქრა ჯიბრაილმა, როცა ოტია მესხის საქმერად სამორიგეოსკენ მიდიოდა, — ათწლედი მაინც უნდა მოვაბრჩო, თორემ სარდიონი თავის ნათქვამს ვინ იცის, როდის გამიხსენებს. არ უყვარს, როცა აბუჩად იგდებენ, არადა, ეს ჩემი წუთისოფელი მართლაც სულ მებრძოლობაში ხომ არ უნდა დაეღამო“, ნათქვამია, ვინც ზევით არ მიიწევს, ის ქვევით ეშვება“.

მაგრამ ეს გადაწყვეტილება ჯიბრაილმა ვერ შეასრულა. ჯერ იყო და — ბრიგადირობამ ახალი საზრუნავი გაუჩინა. ოტია მესხი გამოცდილი და პატიოსანი მეშახტე იყო, მაგრამ, ალბათ, სიბერეში საქმეს ვეღარ აუდიოდა და ჯიბრაილს სანგრევებსა და გვირაბებში არაერთი ბივის გამოცვლა მოუხდა. მერე, ცოტა რომ მოიცალა, რაღაც წიგნს მართლაც წაშთავლო ზელი, მაგრამ თავში არაფერი შეუვიდა, წიგნის კითხვას სულ გადაჩვეულიყო. მერე ისიც გაიგო, რომ სწავლის გასაგრძელებლად ათსგვარი საბუთის მოგროვება იყო საჭირო, დაეზარა, ზელი ჩაიქნია და სამერმისოდ გადადო.

უბნის უფროსად კი ჯიბრაილი ისევ იმავე სარდიონმა დააყენა.

უბნის მანამდელი უფროსი, უკვე მოსტეობაში შესული და დასნეულებული ლეროსი აბეანდაძე საქმეს თავს ვეღარ არამეცდა. სამორიგეოში თითქმის ყოველდღე მიუჭდებოდა ხოლმე მაგიდას, ახენეშდებოდა და აკანკალებული ხელით განცხადებებს წერდა — გამათავისუფლეთო. ჰპირდებოდნენ და მისი განთავისუფლება მართლაც უნდოდათ, მაგრამ შემცლოვს ვერ მოულობდნენ. საშველი კი არ იყო. უბანზე გეგმები თვითობით არ სრულდებოდა, გახშირდა ავარიები და უბედური შემთხვევები. მეშახტეები ჰურის ფულს ძლივს გამოდიოდნენ და სარდიონს არა ერთხელ

აუყვირდნენ, ან მოგვხედეთ და რამე გვიშველეთ, ან სხვა შახტზე გადავალთო; სარდიონს ცალკე პარტორგანიზაციის მდივანი, მინაგო ჩარკვიანი აწვევებოდა, — პარტორგანიზაცია ვერ შეურიგდება იმას, რომ უბანზე გეგმები არ სრულდებოდეს და მეშახტეებს ჰურის ფული საქმერი ჰქონდეთო, ცალკე კიდევ ტრესტიდან აძრობდნენ ტყავს, სახელმწიფოს ქვანახშირს აკლებო.

მეშახტეებს სარდიონი ყოველნაირად აშოშინებდა, უყვავებდა და ეხვეწებოდა, შახტს ნუ უღალატებთ, ცოტაც მოითმინეთ და ყველაფერი მოგვარდებაო, მაგრამ თვითონაც კარგად ჰხედავდა, რომ გამოსავალი არსად იყო.

მებრძოლები კი, ჯიბრაილის ხალხი, მაინც კარგად იყვნენ; რაც უფრო ცუდად მიდიოდა საქმეები უბანზე, მით უფრო მეტი სამუშაო უჩნდებოდათ. მებრძოლები სამუშაოზე თითქმის ყოველ ცელაში გამოდიოდნენ. სიტყვაზე, ქვედა სანგრევში რომ ერთ ადგილს ვაძაგრებდნენ, ხალხს დააშოშინებდნენ და სახლებს მიაშურებდნენ, ნახევარი საათის შემდეგ განგაში საკონვეიერო შტრეკში ატყდებოდა, — ართია, ჰერი თავზე გვეგრევა და მოგვეშველეთო. მებრძოლები სახლებიდან გამოცვივდებოდნენ და საკონვეიერო შტრეკს ეცემოდნენ. მართალია, ამასობაში ცოტა ზედმეტად კი იღლებოდნენ, მაგრამ ფულს კარგად გამოდიოდნენ და ამიტომ დაღლილობას არავინ აღარაფრად აგდებდა.

ამიტომ ჯიბრაილი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა, როცა ერთ დღეს უთხრეს, სარდიონი გიბარებსო.

— რა უნდა, თუ იცი? — ჰკითხა ჯიბრაილმა მეშახტეს, ვინც ეს ამბავი მოუტანა.

— არ ვიცი. ახლავე მოვიდესო.

ჯიბრაილი შახტიდან ახალი ამოსული იყო. ისედაც დაღლილი, ცხელმა შახტმა მთლად მოთენთა და ერთი გამოძინება მთელ ქვეყნიერებას ერჩივნა, ამიტომ გულში მადიანად შეუკურთხა ქვანახშირის და შახტების მომგონსაც, სარდიონს.

საც და.. სარდიონის კაბინეტისკენ მიმავალ კიბეს აჰყვა.

სარდიონი წარბებშეკრული იჭდა მაგიდასთან და რაღაცას წერდა. ჯიბრაილის შესვლაზე თავი ასწია, არც კი მისაღმებია და წერა განაგრძო. ჯიბრაილი მიუპატიებლად ჩამოჯდა სკამზე. ახლა დიდი ცერემონიების თავი არც ამასა ჰქონდა.

სარდიონი კარგა ხანს დახეწვოდა ქალაღს, მერე კალმისტაჰი მიაგდო, ნაწერი ერთხელაც, უგულოდ ჩათვალიერა, წამოდგა და, — ჯიბრაილისათვის არც შეუხედავს, კაბინეტში გაიარ-გამოიარა.

— ორი წელიწადია, სულ წერას ვუნდები — გეგმა ვერ შევასრულეთ — ამიტომ და ამიტომ! გვირავი ჩამოგვენგრა — ამიტომ და ამიტომ! ლაქაში წყალი შემოგვექრა — ამიტომ და ამიტომ! კაცი დავვისახიჩრდა — ამიტომ და ამიტომ! ვზივარ, ზარმაცი მოწაფესავით ჰერს მიეჩერებვივარ და ვიგონებ. ეშმაკი ვერ გაიგებს, რაა მართალი ამ ჩემს ნაქლაბში და რა ტყუილი. ზევით კი კითხულობენ და... ჩემი ნაქლაბნიც ისევე სჯერათ, როგორც ბებიას ზღაპრები. ეჰ! — სარდიონმა ხელი ჩაიქნია, — შენ რას შერბობ?

— არა მიშავს...

— რა უნდა გიშავდეს, რა!.. რაც უბანს ხელფასის ფონდი აქვს, შენ და შენს მუბიგეებს გინდებათ. ფულებში იხრჩობით. სხეები კი სხედან და.. ეეჰ! არა, ძმო, არა, ეს უნდა გათავდეს, მე მეტი აღარ შემიძლია. იმ საქმის რა ჰქენი?

— რომელი საქმის?

— ათწლეღის.

ჯიბრაილი ყაყაჩოსავით გაწითლდა და თავი ჩალუნა.

— შენ გეკითხებიან... — სარდიონი გაანჩხლდა.

ჯიბრაილი სდუმდა.

— არ გესმის?...

— ისა... მესმის.

— მერე?

— ვისწავლი, ერასტოვიჩი, უსათუოდ ვისწავლი.

— კა, უსათუოდ ისწავლი, გეტყობა. მითხრეს, დღე არ გავა, ერთი წიგნა მაინც რომ არ ჩააბულბულოსო, თურმე მთელი უმაღლესი მათემატიკა გავიზიპირებია.

ჯიბრაილმა ეს შოლტიც ხმაამოუღებლად შეირგო. იცოდა, რომ ეს გულყეთილი სარდიონი ერთხელ თუ იფეთქებდა, მორჩა, მისი შემკავებელი ძეხორციელი აღარაეინ იყო. ასეთ წუთებში სარდიონს ყველანი ერიდებოდნენ.

— ეეჰ, — სარდიონმა ხელი ჩაიქნია, — არ ისწავლი და... მე რა ვიყო? ისევე შენ იზარალებ, ბიძი, მე კი არა. ახლა ასე, — სარდიონი დადუმდა და ჯიბრაილს პირდაპირ თვალებში მიაჩერდა. ერთხანს ასე იყო, მერე ისევე ხელი ჩაიქნია, — ახლა ასე, უბანი უნდა ჩაიბარო.

— რაო? — ჯიბრაილი კინაღამ შეხტა.

— რაც გაიგონე! — სარდიონი ისევე მაგიდას მიუჯდა, წედანდელი ქალაღი ერთხელაც, უგულოდ გადაათვალიერა, გვერდზე მიაგდო და ჯიბრაილს ისევე თვალებში შეხედა, — ჩაიბარებ, სხვა გზა არ არის. მე ამ საქ...

— ერასტოვიჩი...

— მაცაღე, მე ამ საქმისათვის, სხვა თუ არაფერი, ერთ მაგარ საყვედურს მომარტყამენ, მაგრამ რა ვქნა? ამას...

— ბატონო..

— მაცაღე-მეთქი!... შენ ისეთს ვერაფერს შეტყვი, მე რომ უკვე არ ვიცოდე. აქ ლაქლაქს ათწლეღის ატესტატი აველო, ის გერჩია, ხო! ახლა ასე: უბანს ჩაიბარებ. ეს გადაწყვეტილია, ახლა ამბზე ნულარ ვილაპარაკებთ. შენ სხვა მითხარი... — სარდიონი წამოდგა, ოთახში ფიქრიანად გაიარ-გამოიარა და დამარცკვლით გაიმეორა, — შენ სხვა მით-ხარი.

— საყვედურს მოგარტყამენ?

— ნამდვილად. არის კანონში ერთი მუხლი. შახტში, უბნის უფროსი ინჟინერი თუ არა, ტექნიკოსი მაინც უნდა



ნოს. დამიანე? ჭყონია თავს წამაცლის.

— ვინა?

— ჭყონია, სამთო ზედამხედველი. არ იცი? თუ შენი ბიგების მეტი არაფერია გაინტერესებს? თხუნელა ხომ არა ხარ?!

— როგორ არ ვიცი... ვიცი...

— ჰოდა, თუ იცი, ჩვენ ყველანი მაგის ხელში ვართ. მაგას არც ტრესტის ეშინია, არც სამმართველოსი და არც არავისი. ამ საქმეებს ეგ აკონტროლებს. და თავს წამაცლის ნამდვილად, მაგრამ რა ვქნა? გავუძლებ მეტი რა ჩარაა!.. მაგაზე უარესებისთვისაც გამიძლია.

— სარდიონ ერასტოვიჩ!

— ა?

— შეიძლება?

— ბრძანე...

— იწამე ღმერთი, ნუ შეშინებ მაგ უღელში, რომელ უბნის უფროსად მე გამოვადგები?!... ეს ამდენი ხალხი, სანგრევები, მექანიზმები... მე...

— სუტ, ნუ დამიწყე წილადობილა... ვიცი, გაგიბორღება; მაგრამ... ვის არ გაჭირვებია? იმ ქანცგამოლეულ ლავროსის მაინც ველარ აჯობებ? მაშინ ბარემ თავიე ჩამოიხრჩე და ეგ იქნება. გაჩუმდი. მაგაზე კრინტი აღარ დასძრა, ოლონდ... ჰმ... — სარდიონი ისევ მაგიდას მიუჯდა, ნიკაბი მუშტის დააბჯინა და ღრმად ჩაფიქრდა. — შენ სხვა მით-ხარნი... — კარგა ხანს ჩუმად იყო. მერე თავი ასწია და ჯიბრაილს თვალბეჭდით შეხედა, — რამე კურსებზე მაინც რომ შემაძვრენია შენი თავი... ა? — ისევ გაჩუმდა მერე უეცრად ხელი გადაწყვეტით ჩაიქნია და წამოდგა, — კარგი, ამაზე — მერე! ენახოთ, ახლა შენ წადი, ჭერჭერობით არავის არაფერი უთხრა, ხვალ დილის რვა საათზე კი აქ იყავი.

— რაღა ვზა იყო? მეორე დღეს ჯიბრაილი სარდიონის კაბინეტში ზუსტად რვა საათზე გამოცხადდა. სარდიონი წამოდგა, ახალგაზრდა მეშახტეს ხელი ჩამოართვა, კუთხეში ტახტზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— როგორა ხარ, ჯიბრაილ ჩემო?

— გამაღლობთ.

— დამე კარგად გეძინა?

— საშუალოდ.

— ჩემს დღეში ყოფილხარ? — სარდიონმა პაპიროსი გააბოლა, — საღამოს დიდი ომი გადავიხადე.

— ვისთან?

— ტრესტში. ბევრი ოფლი მადგრე-ვინეს, მაგრამ... ნახშირის ნაკლებობა აღარც იმათ შეუძლიათ. იმათ სახელმწიფო თხოვს. დავითანხმე და დაგნიშნეთ. გილოცავ! ოლონდ...

— ოლონდ რა?

— ერთ წელიწადში — ტექნიკუმი არ მოესწრება და — რაიმე კურსები კი უნდა მოახრჩო.

— თან ამხელა უბანს ვუხელმძღვანელო და თან ვისწავლო?!

— პირობა ასეთია.

— სარდიონ ბატონო!

— ვიცი! ზღაპარია... მაგრამ თუ უბანს ამოქაჩავ, გვაპატიებენ. ა? ამოქაჩავ?

— რაკი დამაყენე, ვეცდები.

— შევეცადოთ, ჯიბრაილ ჩემო, შევეცადოთ. ეს ისეთი საქმეა, რომ როგორც წინათ იტყოდნენ, ღმერთსაც გაუხარდება და ადამიანსაც. სახელმწიფო ხომ სახელმწიფოა და მის ვალში კისრამდე ვზივართ. ორი წელიწადია, შახტს გეგმა არ შეუსრულებია. აქეთ კიდევ... არქიფო ცალუღლიშვილის ცოლი ოთხი წელიწადია, ლოგინიდან არ წამომდგარა... დომენტი სურგულაძეს ექვსი წვრილშვილი ჰყავს და მარჩენალი კი ეგ ერთი ჰყავთ. მაგათ პურის ფული საქმეებარი უნდა ჰქონდეთ?

— ერასტოვიჩ...

— კარგი, გეყოფა. საქმე გაკეთებულია. აწი შენ იცოდე და შენმა ვაყუცობამ.

— ისე მეღაპარაყები, თითქოს უბანს მართლა მართო მე მამარებდე.

— არა. მაგას ნუ იტყვი. მეც აქ ვარ, გვერდიდან არ მოგშორდები, ვიცი...

— რაიმე ავარია რომ მომიხდეს?

— მაშინ მოგვხსნიან: შენ — ავარიისთვის, მე — შენი დანიშნისათვის.

— ხა-ხა... ჯიბრაილს თავისდაუნებურად გაეცინა.

— ასეა, — სარდიონმა ჯიბრაილის მუხლებზე ხელი დაადო და თვალბში შეხედა, — შენი არ ვიცი, შეილო და ძმაო, მე კი ასეთ ყოფას ისევ მოხსნა და საქვეყნოდ თავის მოქრა მიჩვენია...

* * *

უბნის მესახტეები ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის დანიშვნას გაკვირვებითა და შიშნარევი სიხარულით შეხედნენ. გაკვირვებით იმიტომ, რომ — ეს ყველამ ძალიან კარგად იცოდა, — ჯიბრაილს სულ რვა კლასი ჰქონდა დამთავრებული, არასოდეს არავითარ სამთო კურსებზე არ უსწავლია და იმიტომ უბნის უფროსობის უფლებაც არ ჰქონდა; სიხარულით იმიტომ, რომ ჯიბრაილი მათი წრის კაცი იყო, მათთან შეზრდილი და დავაჯაკებელი; შიშით კი მესახტეებს იმისი შეეშინდათ, ვაი, თუ ჯიბრაილმა ამ გაპარტახებულ უბანს ვერ გაუძღოს, ილაგაწყვეტილ და რწმენადაკარგულ მესახტეებს თავი ვერ მოუყაროს, ამ რთულ მექანიზმებსა და დანადგარებს ვერათფერი გაუგოს და იმაზე უარეს დღეში ჩაგვეყაროს, ვიდრე ახლა ვართო.

ისე, კაცმა რომ თქვას, რაკი ლავროსი აბეანდაძეს ათავისუფლებდნენ, წესითა და კანონით ლავროსის თანამდებობა მის მოადგილეს, ანთიმოზ ჩახუნაშვილს უნდა დარჩენოდა. მაგრამ...

ანთიმოზ ჩახუნაშვილი უკვე ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. ოდესღაც, ახალგაზრდობაში, რაღაც ექვსთვიანი სამთო კურსები დაუმთავრებია და იმდენი იჯახირა, რომ როგორც იქნა, უბნის უფროსის მოადგილის თანამდებობას მიიღწია. ამაზე მეტი კი ანთიმოზას არც არათფერი უნდოდა. მან შემდეგ, რაც დასწავლულმა ლავროსი აბეანდაძემ უბნის საქმეები ჩააგუო და მისი შეცვლის საკითხი წამოიჭრა, ანთიმოზმა ძლიერ დაჰკარგა და მოსვენებაც, ეშინებოდა, ლავროსის მავიერად მე არ დამინიშნონ; ეს ამოდენა ჩათახუებული უბა-

ნი არ ამკიდონ და მოსვენებული ცხოვრება არ დამაქარგვინონ.

ჩახუნაშვილმა საკუთარი თავის შესახებ უკეთ იცოდა. იცოდა, რომ უბანს ვერ გაუძღვებოდა და რამე ხათაბალაში გაეგებებოდა. მესახტეებს იგი არ უყვარდათ, ამ მუდამ თავაზიანად მომღიმარ, ერთი შეხედვით უწყინარ და ბუნჩულა კაცს ასი ადამიანის სამყოფი ეშმაკობა ჰქონდა. შახტში ბარე ოცა წელი იმუშავა, მაგრამ ეს წლები სულ იმას მოანდომა, რომ სახიფათო საქმიდან თავის დაძვრენის, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების, საკუთარი უნიათობისა და უხერხემლობის სხვაზე გადაბარლების ხერხები და ილეთები ესწავლა და შესანიშნავადაც ისწავლა. უბანზე რა უბედურებაც არ უნდა დატრაილებულიყო, ანთიმოზ ჩახუნაშვილი წყლიდან მუდამ მშრალი ამოდიოდა, ყველაფერი მუდამ სხვას, ზოგჯერ სრულიად უდანაშაულო ხალხს ბრალდებოდა და ყველაფერ ამას ანთიმოზი მუდამ ღიმილით, აუღელვებლად, აღერსიანი ხითხითითა და ღიქნით აკეთებდა; საწყალ ლავროსი აბეანდაძეს არაერთხელ უთქვამს, მე ხომ აღარა ვვარგვიარ და აღარ, მაგრამ ამ ლოკოკინას რომ აქედან მომშორებდნენ, იქნებ, კიდევ რამე გამეკეთებინათ. მაგრამ „ლოკოკინას“ მოშორება არც ისე ადვილი საქმე იყო. ამ ღვთის პირისაგან შეჩვენებულს თაფლივით ენა ჰქონდა, მტერსაც ადვილად უბამდა თვალებს და მოყვარესაც, შრომის კოდექსის ყველა მუხლი კი ზეპირად იცოდა და ვაგლახად ხელს ვერ წამოჰკრავდი, მით უმეტეს, რომ, როგორც გითხარით, ყოველგვარი სახიფათო და საეგებო საქმიდან თავს ადვილად იძვრენდა, უბნის უფროსის მოადგილის თანამდებობა და ხელფასი კი სავსებით აწყობდა და თავისი ნებით არათფრის გულისათვის არ დათმობდა.

— ანთიმოზ, მალე ახალი უფროსი გვეყოლება, — გადაჰკრა სამორიგეოში შემოსულ ანთიმოზას ვიღაც ახალგაზრდა მესახტემ იმ დღეს, როცა ჯიბრაილის დანიშვნის ამბავი გახმაურდა.

— ახალი უფროსი?

— ჰო, ეგ როგორ არ გაგიგია?

— მაგის გაგება, ჩემო კეთილო და საყვარელო, მე არც მინდა. ლავროსისთანა უფროსს ჩვენ ვეღარ ვიშოვნით. მართალია, ეს ერთი ხანია, გვემებს ვეღარ ვასრულებთ, მაგრამ სამაგიეროდ — ადამიანობა, გულისყური, ხათრი, სიყვარული... ჩვენი ცხოვრება მეტი რა არის? არა, ჩემო კეთილო! აგრე ნუ იტყვი, ლავროსიზე აგრე ლაპარაკი არავის გვარგია.

— რა ვიცი...

— ა?

— რა ვიცი-მეთქი!

— რა არ იცი?!

— ამბობენ, უფროსად ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს გვინიშნავენო.

— ვის?!

— ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს.

— კარგი ერთი!

— ნამდვილად, — დაუდასტურეს ანთიმოზას ხანდახმულმა მეშახტეებმაც.

— ბრძანება უკვე დაწერილია.

— მე რომ არაფერი გამოგია?

— ეტყობა, შენ აღარ შეგითანხმეს,

— ეს ისევ იმ ახალგაზრდა მეშახტემ უთხრა.

— ჰო, ეგრე გამოდის. აბა, ლავროსი გვემშვიდობება? საწყენია, ერთობ საწყენი! შვილებს გეფიცებით... მაგისთანა ტყბილი, ანკარა, აუმღვრეველი კაცი... მაგრამ ჯიბრაილიც სასახელო კაცი გვეზრდება. ა? მე თქვენ გელაპარაკებით. არა, ლავროსი უმჯობესესი ადამიანია, მაგრამ გეგმა? სახელმწიფო. შენ ხარ ჩემი ბატონი, სახელმწიფო რომ თავისას თხოულობს? ხო-ხო-ხო! რა გინდა, რომ ჰქნა? ესე იგი: ჯიბრაილი ხომ?

— თუ ნამდვილად ასეა, სასიხარულოა, მეტად სასიხარულო!

— ჰოდა, გიხაროდეს!

გახარებით ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის დანიშვნა ანთიმოზს ჩახუნაშვილს ნამდვილად არ გახარებია. დასწეულბულო, უნიათო ლავროსი აბჯანდაძე სახელგატეხალი უფროსი იყო და უბანზე რა უბედურებაც არ უნდა დატრია-

ლებულიყო, ყველაფერი მას ბრალდებოდა. ანთიმოზი თავს ადვილად მტკრენდა, ზოლმე: ან იტყოდა, ლავროსიმ ასე გაკეთება გვიბრძანა და ეს უსიამოვნო ამბავიც იმიტომ მოხდაო, ან კიდევ — ლავროსიმ ამის თაობაზე არაფერი გვითხრა, არ ვიცოდით, რა გვექნა და ეს ვაიუშველებელიც იმიტომ დატრიალდაო, თავს ყოველთვის იწვრენდა და, სიმართლე რომ ითქვას, დიდად არც მას აწუხებდნენ. ბევრს არაფერს თხოვდნენ. ყველამ იცოდა, რომ ჩახუნაშვილს თავისი ხელფასისა და მშვიდი ცხოვრების მეტი არაფერი აინტერესებდა, და თუ ძალიან არ აუხიბდებოდნენ, არავის არაფერს უშავებდა. ანთიმოზს მასზე ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

ახლა კი უბნის უფროსად სიცოცხლითა და ჯანღონით სავეს, უშიშარი, უტეხი და შეუპოვარი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მოდიოდა. ანთიმოზი კარგად იცნობდა ამ ახალგაზრდა გამმაგრებელს. ახლა ეს ახლად გამომცხვარი უბნის უფროსი რაღას იზამს? თავს როგორ დაიქერს და საქმეებს როგორ წაიყვანს! შერჩება კი ანთიმოზს თავისი ტყბილი ლუკმა და აუმღვრეველი ცხოვრება? ვინ იცის... ის კი უკვე დღესავით აშკარა იყო, რომ ანთიმოზი ჯიბრაილს თითოხე ისე ვერ დაიხვევდა, როგორც ამას აბჯანდაძეს უშვებოდა. ანთიმოზი მიხვდა, რომ დიდი სიფრთხილე, წინდახედულება და მოქნილობა მართებდა.

ახალი უბნის უფროსი თავის საქმიანობას სამშაბათ დილას უნდა შედგომოდა. დილის შეიღს საათზე, მესამე ცვლის დამთავრებისა და პირველი ცვლის დაწყების დროს მომღიმარე სარდიონმა მესამე უბნის სამორიგეოში დარცხვენილი, ოდნავ აბნეული ჯიბრაილი შეიყვანა და მეშახტეებს წარუდგინა.

— იცნობდეთ, ეს თქვენი ახალი უფროსია.

— ვიცნობთ, — გაისმა აქეთ-იქედან.

— ძალიან კარგადაც ვიცნობთ.

— ჩვენი კაცია. რომ იტყვიან, ჩვენს ხელში დაიბადა და გაიზარდა.

— ძალიანაც კარგი, — სარდიონი მაგიდას მიუჭდა, — ლავროსი არ არის?

— დარეკა, ბატონო! — ანთიმოზ ჩახუნაშვილი მკვირცხლად წამოიჭრა და სარდიონს ალერსიანად შესვინა, — დილის ექვს საათზე სახლში დამირეკა, სიცხე მაქვს და ვერ მოვდივარ, ჯიბრაილს უბანი შენ ვააყანი და კიდევ გადააბარეო. აქტზე მერე მე ხელს მოვაწერო. მე ვუთხარი, ჯიბრაილს რა უბნის გაცნობა და გადააბარება უნდა, ყველა სანგრევსა და გვირაბში ყველა ბიგი მაგის ხელითაა დადგმული-მეთქი. კარგო მითხრა, შენ იციო. თუ რამეში მაინც დაგჭირდეთ, დამირეკეთ, მაინც ავდგები და მოვალო... ჰი-ჰი!... ალბათ ერცხვინება, სარდიონ ბატონო!

— რისი ერცხვინება?! — სარდიონმა წარბი შეიკრა.

— ვინ იცის. უბანი ამ დღეში ჩაადლო... სადაც კი შეხვალ...

— აბა, აბა! — სარდიონმა მაგიდას თითი მკაცრად დაუკაუნა, — ეს რა ლაპარაკია?!... გესმით, თუ არა ლავროსი აბეანდაძე პატიოსანი მშრომელი იყო... რა ვუყოთ, რომ მოხუცდა და დასნეულდა? ჩვენ რა — ცას გამოვეკერებთ? ყველას ვვახსოვს ლავროსი ამ უბანს როგორ უძღვებოდა, მთელი ქალაქის სალაპარაკო იყო. აღარ ვახსოვთ?

— როგორ არ ვვახსოვს, — მყისვე დაუდასტურეს მეშახტეებმა.

— თავის დროზე ლავროსისთანა კაცი მეორე არ დადიოდა ამ ქალაქში.

— ლავროსისგან ბევრი სიკეთე ვვახსოვს.

— ბევრი, ბევრი.

— არა, ხალხო... — ანთიმოზმა მარჯვენა ხელი გულზე მიიღო, — თქვენ ვერ გამოგვით... მე მაგ აზრით არ მითქვამს... მე...

— კარგი, — შეაწყვეტინა სარდიონმა, — ამაზე მოვრჩეთ და ახლავე გამომიცხადებთ: ლავროსის ჩვენ საზეიმო გაცემას მოვუწყობთ, იცოდეს ყველამ,

რომ პატიოსანი და ალაღმართალი ადამიანს ჩვენ არასოდეს გულზე ხელს არ ვკრავთ.

— იცოდებო, სარდიონ!

— ვაქცაქური სიტყვაა!

— ასე... ახლა კი, აი, თქვენი უბნის ახალი უფროსი. ჯიბრაილ ხელთუფლი-შვილს ჩემი დახასიათება არ ჭირდება. თქვენ ამას ჩემზე უკეთ იცნობთ. ოღონდ ახლა, აი, ამ სერიოზულ წუთებში, როცა ამ კაცმა ეს ამოდენა უბანი უნდა გადააბაროს, მე თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: კარგად აწონდაწონეთ და გაითვალისწინეთ თქვენი უბნის მდგომარეობა. ამაზე უარესი, მე მგონია, აღარაფერი შეიძლება იყოს. ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით, ჰოდა, აი, ამ კაცზე უკეთესი უფროსი მე თქვენ ვერ მოგინახეთ. სხვას მე ვერაფერს ვხედავ. ოღონდ ეს ერთი ვერაფერს ვახდებ, თუ თქვენ ყველანი მხარში არ ამოუდევით. და კიდევ ერთი. ეს აუცილებლად უნდა გითხრათ. სულ უბრალო დარღვევისათვის, სულ უნებლიე შეცდომისათვის — სერიოზულ ავარიებზე აღარც კი ვლაპარაკობ, — სულ უმნიშვნელო განაყარისთვის ამ კაცს, და მასთან ერთად მეც, ზემდგომი ორგანოები ორჯერ უფრო მეტად გვაგებინებენ პასუხს, ვიდრე სხვა ვინმეს. რატომ იქნება ის ასე, თქვენ თვითონ მოისაზრეთ. ასე რომ მხარში ამოდგომა, მხარდაჭერა, დახმარება, — აი, რა გვესაჭიროება ახლა ჩვენ. მეტს მე აღარაფერს ვეტყვი. თქვენ იცით, ხალხო, და თქვენმა ვაქცაქობამ...

სარდიონი წამოდგა და სამორიგეოდან გამოვიდა.

მეშახტეებმა იგი ხმაამოუღებლად, მაგრამ კეთილი მზერით გამოაცილეს. ანთიმოზ ჩახუნაშვილი მყისვე წამოდგა, უბნის უფროსის მაგიდასთან მივიდა, სკამი გაასწორა და ჯიბრაილს მიუბრუნდა.

— აბა, ამხანაგო უფროსო! მობრძანდი, დაბრძანდი და გვიწინამძღვრე! დანარჩენი მეშახტეები ჩახუნაშვილს აშკარა დაცინვით მისჩერებოდნენ.

ჭიბრაილი სახეზე ოდნავ შესამჩნევად წამოწითლდა, წარბები შეიკრა. ჩახუნანგვილს მხერა აარიდა. იფიქრებდით, ეს კაცო კიდევ ყოყმანობს, ეს უბნის უფროსობა ვიკისრო, თუ არ ვიკისროო. მაგრამ ეს ერთ წუთსაც არ გავრძელებულა. ჭიბრაილი უტბათ წამოდგა და უბნის უფროსის მაგიდასთან სწრაფი ნაბიჯით მივიდა. მეშახტეებმა ერთმანეთს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით გადახედეს. ამ ერთ წუთში მათს თვალწინ ჭიბრაილი თითქოს გამოიცვალა. აღარსად იყო მეშახტეების გუშინდელი ლალი, უზრუნველი, მუდამ მომღიმარე ახსნაჯი, რომელთან გასაუბრებაც შეიძლებოდა და გალაზღანდარებაც. უბნის უფროსის მაგიდას ოდნავ სახეაწითლებული, წარბშეკრული, მძიმედ მომხიზრალი ვაჟკაცი უჯდა; რომელსაც ვაგლახად ველარაფერს შეუბედავდი.

გერასიმეს თავის სიცოცხლეში ბევრი უფროსი ჰყავდა გამოცვლილი და კარგად იცოდა, რომ ვისაც პატივისცემის მოპოვება და ხალხის გაძლოლა უნდა, იმას თავის დროზე წარბების შეეკრაც და უკარება კაცის გამომეტყველებაც უნდა შეენოდეს. გერასიმეს ჭიბრაილის საქციელი მოეწონა. ცალთვალა მებიგემ ნამალევად, ეშმაკურად მიიხედ-მოიხედა და არქიფო ცალულოშვილს თავისი ერთადერთი თვალის მრავალმნიშვნელოვნად ჩაუბჟუნა.

წინა ღამეს ჭიბრაილმა თავისი ახალი სამფლობელო — მთელი მესამე უბანი დაიარა. შახტის ჩასასვლელთან დღის სინათლეს მოუსწრო, რძისფერი ნათურებით გაშუქებულ მთავარ ტრეკს გააყვა, დაახლოებით ორი კილომეტრი გაიარა, შერე მარცხნივ, ჩაბნელებულ საკონვეიერო შტრეკებს შეუხვია, ორმოცდაათი ნაბიჯი წელში მოხრილმა გაიარა და გრძელ — ასიოდე მეტრის სიგრძის ქვედა სანგრევში შევიდა. აქ, ქვეანახშირის პლატოდან დაახლოებით შტრენახვერის დაშორებით, სამაგრი ბოძები ჩამწკრივებულიყვნენ და უკუნეთ სიბნელეში იკარგებოდნენ.

განსაკუთრებით სავაგლახო და თავ-

საქმი უბანზე თითქოს არაფერი იყო. მუქი ნაცრისფერი, ოდნავ ნისტიანი ქერი ყველგან საიმედოდ იყო გამაგრებული. კომბაინებიც, საყელავი მანქანაც, ყოველგვარი ელექტრომოტორები და ჩამრთველები მოვლილად გამოიყურებოდნენ, კონვეიერიც მუშაობდა თითქოს, უბანს არა უშავდა რა, მაგრამ ჭიბრაილმა იცოდა, რომ ამ მოჩვენებითი წესრიგის უკან ბევრი დავიდაარაბა იმალებოდა; ღილაკს თუ ხელს დააქერდი, კონვეიერი მყისვე ამუშავდებოდა, მაგრამ საყმარისი იყო ჯაჭვი გაწყვეტილიყო, ან ამოვარდნილიყო, რომ მუშაობის რიტმი უიქედოდ ირღვეოდა. ელექტროკაბელის უმნიშვნელო დაზიანება მთელ უბანს ზოგჯერ მთელი დღელამით აჩერებდა ხოლმე. საკონვეიერო შტრეკიდან სანგრევში შემავალი გვირაბი ძალიან დაბალი, დაჭანებული და ვიწრო იყო და სანგრევის გასამაგრებელი ბოძების შეზიდვა გამოუთქმელად ჭირდა. ჭიბრაილმა იცოდა, რომ ხე-ტყის შხიდველები ამ საქმეზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ და უფრო უხიფათო, მშვიდობიანი და სარფიანი საქმის საძებნელად სხვაგან, სხვა უბნებზე და სხვა შახტებზეც კი გადადიოდნენ. საწყალმა ლავროსი აბჯანდამემ კი რამდენიმე თვის განმავლობაში იმასაც კი ვერ მოაბა თავი, რომ სანგრევში ხე-ტყის შესაზიდი გვირაბი გაეთფართოებინა და გაესწორებინა.

მაგრამ იმას, რასაც საკონვეიერო შტრეკის დათვლიერებისას წააწყდა, ჭიბრაილი თვითონაც არ მოელოდა. აქ მან თვალნათლივ დაინახა, თუ რა იმედგადაწურულები და ხელჩაქნიულნი იყვნენ უბნის მეშახტეები საერთო საქმეზე.

მთავარი სანგრევიდან გამომავალი ოდნავ დაჭანებულ შტრეკში გრძელი ჯაჭვიანი კონვეიერი იდგა. სანგრევში მოპოვებული ნახშირი მთავარ შტრეკზე ამ კონვეიერს გამოჰქონდა, აქ ვაგონებში იყრებოდა და ზევით იგზავნებოდა.

კონვეიერი თითქოს წესიერად იყო დადგმული, თვალის ერთი შევლებით

ვერაფერს შეამჩნევდით. მაგრამ მთელ საქმეს ერთი უბრალო მიზეზი აფუქვბდა: კონვეიერის თავი ძალიან დაბლა იყო ჩადგმული, ამიტომ კონვეიერს დაქანებაც ნაკლები ჰქონდა და, გარდა ამისა, ყოველ წუთს შლამითა და წყლით ივსებოდა. ჭაჭვის მოძრაობას შლამი აფერხებდა. ჭაჭვი ხშირად წყდებოდა კიდევ, ან ამოვარდებოდა ხოლმე და ქვანახშირის სანგრევიდან გამოიხდვებოდა. უბანზე კი ერთი საქმე მეორეზეა გადაბმული: თუ კონვეიერი გაჩერდა, სანგრევი გამოსაზიდი ქვანახშირით ივსება, სანამ ქვანახშირს არ გამოიხდევინ, სანგრევის გამაგრება არ შეიძლება; თუ სანგრევი დროზე არ გამაგრდა, შეიძლება, ჭერი ჩამოინგრეს და მეშახტეებს საშინელი ხიფათი ემუქრება და ასე — დაუსრულებლივ. ამ მოჭადოებულნი წრიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია: — უბანზე ყველა რგოლმა, ყოველმა მექანიზმმა და ყველა მეშახტემ დაუბრკოლებლივ უნდა იმუშაოს, ერთი რგოლი თუ გაწყდა, მთელი ჭაჭვი იშლება. და ეს შეფერხება მართო ამ უბნის საქმეებს კი არ აფუქვბებს, არამედ მთელი შახტისას: ქვევით, მთავარ შტრეკზე, ცარიელი ვაგონეტები დგანან და სანგრევიდან ქვანახშირს ამოვლ ელოდებიან. ქვანახშირი კი არსადაა — კონვეიერი არ მუშაობს, ვაგონეტების რიცხვი კი შახტში განსაზღვრულია, ისინი სხვა უბნებსაც კირდება და მათი უქმად გაჩერება ერთი წუთითაც კი არ შეიძლება. აქ პირდაპირ რკინის გრაფიკი მოქმედებს. თუ ცარიელი ვაგონეტები სხვა უბანზე გაგზავნე, მშინ კონვეიერის ამუშაებას აზრიც აღარა აქვს — ქვანახშირს პირდაპირ მთავარ შტრეკზე ხომ არ გადაყრი? ის კი არავინ იცის, თუ ზეინკლები კონვეიერის შეკეთებას რამდენ ხანს მოუწოდებინ და როდის ჩართავენ; ასე რომ, ცარიელი ვაგონეტები უნდა იდგნენ და ელოდებოდნენ. სხვა უბნების მეშახტეები კი ამ დროს სწორედ ვაგონეტებს თხოულობენ, ისინი იმათაც ასევე ჰკარებენ და მთელ შახტს, მიწისქვეშა ტრანსპორტის უფ-

როსებს და დისპეტჩერებს დედის გონებით იკლებენ.

და ეს ყველაფერი იმ უბრალო მიზეზით ხდებოდა, რომ ვერავინ მოიფიქრა, ან არავინ ინდომა, საკონვეიერო შტრეკში კონვეიერის თავი სულ ნახევარი მეტრით მაღლა აეწია. მაშინ კონვეიერზე შლამი და წყალი აღარ მოხვდებოდა, ჭაჭვი თავისუფლად ისრიალებდა, კონვეიერის დაქანება კი გაიზრდებოდა და ქვანახშირის ვეებერთელა ბელტები უფრო თავისუფლად წასრიალდებოდნენ მთავარი შტრეკისაკენ.

ნუთუ ეს ასე ძნელი მოსაფიქრებელი და გასაკეთებელი იყო?

ჭიბრაილმა — უბნის ახალმა უფროსმა თავისი საქმიანობა სწორედ იმით დაიწყო, რომ მეშახტეებს გადაჭრით გამოუცხადა, — გადავიფიქროთ, რომ ზოგი მეტივე ვართ; ზოგი კომპანიერი, ზოგი ელექტროზეინკალი საკონვეიერო შტრეკში ჩავიდეთ და კონვეიერის თავი ნახევარი მეტრით მაინც მაღლა აეწიოთო.

მეშახტეები ამის ვაგონებაზე გაწითლდნენ კიდევ. ბევრ მათგანს ალბათ, თვითონაც ხშირად უფიქრია, ეს საქმე გასაკეთებელიაო, მაგრამ არავის გაუცეთებია. ერთმანეთს გადახედეს და კრიტიკ არ დაუბრავთ, ისე — საკონვეიერო შტრეკში ჩაეშვნენ, ჭიბრაილიც მათთან ერთად ჩავიდა და სანამ საქმე არ მოათავა, ზევით ამობრუნება არც კი უფიქრია.

ამ საქმეს თითქმის მთელი ცვლა მოანდომეს. კონვეიერის თავი თითქმის მთელი მეტრით ასწიეს მაღლა, ძნელი სამუშაო იყო. დაბალ, საკონვეიერო შტრეკში წელში გამართვაც კი უჭირდათ. სამაგიეროდ კონვეიერი რომ ჩართეს, ზედ წინა ცვლისგან მორჩენილი ნახშირი დაახვავეს და დარწმუნდნენ, რომ ჭაჭვი დაუბრკოლებლივ სრიალებდა. შემოწმება მთელს საათს გაგრძელდა და ჭაჭვი ერთხელაც აღარ ამოვარდნილა.

ჭიბრაილის ეს ნაბიჯი განსაკუთრებით ზანდაზმულ მეშახტეებს მოეწონათ.

მათ დინახეს, რომ უბნის ახალ უფროსს თვალი კარგად უქრინდა, უბნის სუსტ ადგილებს სწრაფად პოულობდა და თავისი სიტყვის კაცოც იყო: თითქმის მთელი უბნის მემსახრეები, პროფესიის მიუხედავად, ამ გადაუდებელ საქმეზე ამუშავა, მაგრამ ხანდაზმულებს არც ის გამოპარვიათ, რომ რამდენიმე ახალგაზრდა მემსახრე — განსაკუთრებით ელექტრიკოსები, თავი დიდ სპეციალისტებად რომ წარმოუდგენიათ, — ჯიბრაილის საქციელით უკმაყოფილო დარჩნენ. უბნის ახალ უფროსს ყველა მემსახრის მობილიზება რაიმე მიზეზის გამო რომ კიდევ დასკირვებოდა, იმ ახალგაზრდებს, შეიძლებოდა, უარიც ეთქვათ. და კანონით მართლმადიდებელი იქნებოდნენ.

მაშინ გერასიმე ცნობილადემ და არქიმო ცალუღლიშვილმა ყველასაგან ნამალევად მოილაპარაკეს და ერთი საქმე მოიფიქრეს.

მეორე დღეს გერასიმე ქვედა სანგრევში მუშაობდა. სულ ექვსი ბიგი ჰქონდა დასადგმელი, ხუთი ბიგი თავისებურად ოსტატურად, უნაკლო დანდა. მეექვსე კი მიაფუჩეჩა: ბიგსა და სანგრევის ქერს შუა პატარა ადგილიც კი დატოვა. ქერიდან კენჭები ცვივოდა, ბიგი კი ირყეოდა კიდევ, თავისი ნახელავი ერთხელაც შეათვალეირა და არქიმოს ერთადერთი თვალი ჩაუპაქუნა. ორივენი ზევით ამოვიდნენ, გერასიმე საშხაპეში შევიდა, არქიმომ კი სამორიგეოს მიაშურა, სადაც ჯიბრაილი ეგულვებოდა.

უბნის ახალი უფროსი მართლაც იქ იყო. თან რაღაც ქალღლებს აესებდა და თან იორამ ნოსელიძეს დავალებას აძლევდა. არქიმომ ჩაფხუტი მოიხადა და სკამზე ჩამოჯდა. ჯიბრაილმა იორამს მხარზე ხელი დაკრა, გაისტუმრა და არქიმოს მიუბრუნდა.

- ამოხვედი?
- ამოვედი.
- გაათავე?
- გავათავე.
- აბა, რატომ სახლში არ მიდიხარ?

- ეჰ, — არქიმომ ხელი ჩაიქნია.
- რა იყო?
- არაფერი...
- მაინც?
- არაფერი-მეთქი, რა უნდა ყოფილიყო!
- ხელი რატომ ჩაიქნინე?
- ხელი... იმიტომ.
- მითხარი, აღამიანო!
- კარგი... — არქიმომ მიმოიხედა. დარწმუნდა, რომ ოთახში სხვა არავინ იყო და ჯიბრაილისკენ მიიწია, — ოღონდ, ჯიბრაილ, მამაშვილობას, ენატონიანობაში კი არ ჩამომართვა. მამბულა-რა ხალხი მე თვითონაც მეჭავრება, მაგრამ საქმის ღალატი, მე ვფიქრობ, არავის ეპატიება, ხანდაზმული იქნება, თუ ახალგაზრდა, ეს სულერთია.

- საქმის ღალატი?!
- კარგი, გეტყვი, ოღონდ, ხომ იცი...
- მითხარი, კაცო!
- რაღა თქმა უნდა, რა... ჩადი ქვედა სანგრევში და ნახე, გერასიმეს ბიგი როგორ მიუფუჩეჩებია.
- გერასიმეს?
- აბა!... ეგ რომ მაგას იზამს, სხვას რაღა უნდა მოთხოვო. საერთო საქმისათვის ჩვენ ყველა...

მაგრამ ჯიბრაილი არქიმოს ყურს აღარ უგდებდა. ჩაფხუტს ხელი დასტაცა და შახტში ჩაეშვა. ხუთი წუთის შემდეგ უკვე ქვედა სანგრევში იყო. „მიფუჩეჩებულ“ ბიგს ათვალეირებდა და ბრაზით კბილებს აკრაქუნებდა. და ამას — ვინ? ამას გერასიმე უშვება?... დამაცადოს!

იმ წუთშივე ზევით ამოიჭრა და გერასიმეს დაუყოვნებლივ გამოძახება ბრძანა.

- საშხაპეშია.
- ამ წუთში აქ მობრძანდეს!

გერასიმე მალე გამოცხადდა. შხაპის მიღება ვერც კი მოესწრო, სახე ისევ გამურული ჰქონდა, ჩაფხუტი მოიხადა და უბნის უფროსს მდამბლად თავი დაუკრა:

- გისმენ, ჯიბრაილ ბატონო! იმ „ბატონოს“ კი მეუბნები, მაგრამ...

— ბრახისაგან ვაფთრებული ჯიბრალი სიტყვებს ველარ პოულობდა, — შენ... ბიგების დადგმა გადაგვიწყდა?..

— რა მოხდა, ჯიბრალი ბატონო?!

— არაფერი... არაფერი არ მომხდარა... და არც მოხდება... არა, შენ კი ახლავე ქვედა სანგრევეში მიბრძანდი და ბოლო ბიგი... ახლავე გაამაგრე. მე შენ...

— ბატ...

— ლაპარაკი და იქიდან რომ ამოხვალ პირდაპირ ბრძანებების დაფასთან მიბრძანდი იქ ერთი ქალადი დაგხვდება.

— ბატონ...

— ლაპარაკი-მეთქი! — ჯიბრალიმა მაგიდას მუშტი დაახალა, „შეშინებულმა“ გერასიმემ მხრები აიჩინა და გავიდა.

ის ბიგი გერასიმემ ნახევარ საათში გადაამაგრა, ზევით ამოვიდა და მართლა ბრძანებების დაფას მიამურა, აქ უკვე სარდიონის ხელმოწერილი ბრძანება იყო გამოკრული — დაკისრებული მოვალეობისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის მეზიგვე გერასიმე ცნობილამეს მკაცრად მიეთითოს და გაფრთხილებულ იქნას, რომ ასეთი რამის განმეორებისთვის მკაცრად დაისჯება.

ბრძანება კისერგაშვერილმა არქიფომაც ჩაიკითხა. მან და გერასიმემ ერთმანეთს შეხედეს და აღტაცებისაგან ტაშით კი შემოჰკრეს. ესეც ასე, ვნახოთ, ამას იქით ჯიბრალს რომელი ახალგაზრდა აუხირდება.

მართლაც, ჯიბრალის სიტყვა უბანზე კანონად იქცა. ვინც სულ უბრალო უგულისყურობისათვის გერასიმე — სახელოვანი გერასიმე ცნობილამე არ დაინდო, ის სხვას მოერიდება? ის ხელჩაქნეული, რწმუნდაკარგული მეშახტეები, გუშინ სამუშაოზე გამოსვლაც რომ ეზარებოდათ და — ცოდვა გატეხილი სკობია, — თვალი უკვე სხვა უბნებისაკენ ეპირათ, ახლა შახტისაკენ სულმყუდრულად მორბოდნენ და, თუ საჭირო ყფო, მეორე და მესამე, ცვლამიც კი რჩებოდნენ ხოლმე. ყველა მიხვდა,

რომ ყოყლოჩინობისა და უჯიბრო ამპარტაენობის დრო წარსულს ჩაშორდა.

(ამის შემდეგ თითქმის ერთი წელიწადი გვიდა, სანამ გერასიმე და არქიფო თავის ნაეშმაკარს ჯიბრალს გაუმხელდნენ. ჯიბრალს გულწრფელად გაუყვირდა და ბევრიც იცინა).

სამუშაოს შერჩევასა და განაწილებაში ჯიბრალი არასოდეს ცდებოდა. მალე ესეც ყველამ საკუთარი თვლით დაინახა. ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებულიც: ჯიბრალისთვის არაფერი იყო, ზოგჯერ ისეთ სამუშაოს გადაადგილებებდა ხოლმე, რომელიც ყველას პირველ რიგში გასაკეთებელი ეგონათ. და პირიქით, იქ აჩქარდებოდა, სადაც საჩქაროს ვერავინ ვერაფერს ხელავდა და არასოდეს არაფერში შემეტარა.

და ამ კარგად გააზრებულმა, დაეინებულმა შრომამ ნაყოფიც მალე გამოიღო. ჯიბრალის უფროსად დანიშნვიდან ზუსტად მეთორმეტე დღეს უბანმა ოთხასი ტონა ნახშირი ამოიღო და — პირველად ორი უკანასკნელი წლის მანძილზე — სადღედაღამისო გეგმა შეასრულა. სადისპეტჩეროში მაშინვე იანგარიშეს და გამოვიდა, რომ მესამე უბნის ნახშირმა სადღეღამისო გეგმა მოულშახტს. შეასრულებინა. დისპეტჩერმა აბიბო შემარნიშვილმა სიხარულისაგან დავლური დაუარა და კედელზე შავად მოკაფე ჩამრთველს ეცა. შახტის ბუნკერის თავზე ვეებერთელა ვარსკვლავი აბრღევიალდა და არემარეს წითელაშუქი მოჰფინა. ახლომახლო გორაკებიდან და სახლების აივნებიდან სიხარულის ყიფინა და ტაშის ხმა მოისმა.

ზოგს ეს შემთხვევითი ამბავი ეგონა. ფიქრობდნენ, ჯიბრალი დეკლუს ბოლომდე ვერ გაიტანსო. მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კვირა: კვირას, თვე თვეს, ბუნკერის თავზე კი ყოველ საღამოს კიაფობდა ვეებერთელა წითელი ვარსკვლავი. მაშინ ქვანახშირის ქალაქში ჯიბრალი ხელთუფლიშვილის სახელმა მენივით დაიჭუნა.

— ჯიბრალის — უდიდლომ ჯიბრალი ხელთუფლიშვილის უბნის უფ-

როსად დანიშნის ამბავმა სამთო ზე-
დამხედველის დამიანე ჭყონიას ყურამ-
დევ მიიღწია და ერთ საღამოს სარდიონ
ჩაქველშვილის კაბინეტში ტელეფონ-
მა დაიწყო რილა.

— გისმენთ!
— რომელი ხარ?
— სარდიონი ვარ.
— გამარჯობა შენი, სარდიონ!
— გაგიმარჯობ!
— მე დამიანე ვარ, ჭყონია!
— ოჰ, გამარჯობათ, ბატონო დამიანე!
როგორ გიკითხოთ?
— გაძლივით. შენ? შენ თვითონ
როგორ ბრძანდები?
— არა მიშავს.
— სულ არაფერი გიშავს?
— არა მე მგონია, არა. რაზე მეკით-
ხები?
— ა?
— რაზე მეკითხები-მეთქი?
— ისე, სხვათა შორის.
— სხვათა შორის... არა მიშავს, ბა-
ტონო დამიანე!

— კარგია, რომ არა გიშავს. მაგას რა
სჯობია! მაგრამ ერთი უნდა გკითხო,
სარდიონ ჩემო.
— მიბრძანე.
— შენ გაზეთებს თუ კითხულობ?
— გაზეთებს კი, როგორ არა!
— მერე, გეცოდინება, ყოველწლიუ-
რად რამდენ ინჟინერს უშვებს ჩვენი
პოლიტექნიკური ინსტიტუტი. იცი შენ
ეს?

— საკმაოდ.
— რა — საკმაოდ? საკმაოდ იცი, თუ
საკმაოდ უშვებს?
— საკმაოდ უშვებს.

— მერე? კაცო, შენ და შენი ტრეს-
ტის უფროსებს აღარც ღმერთი გწამთ,
აღარც ხატი, აღარც ქაჯი, აღარც ეშ-
მაიკი?! სულ აღარაფერი?!... აგერ, ა,
წლიურ ანგარიშს ვამზადებ. ერთი მიბრ-
ძანე, შიგ რა ჩაეწერო? წელს ჩვენ რა
გავაკეთეთ — უდიპლომო და უმეცარი
ხელმძღვანელები მოვხსენით და მათ
მაგიერ ნასწავლი ინჟინერი დაავყენეთ,
თუ პირიქით, ნასწავლები მოვხსენით და

მათ მაგიერ უმეცრები დაავყენეთ-მე-
თქი?

— რა მოგახსენო, ბატონო დამიანე!
— რა უნდა მომახსენო, შე ქრისტეს
ფეხის მკენეტელო, უბანზე ერთი ვი-
ლაც კურსებდამთავრებული გიფოხია-
ლებდა, ისიც მოგიხსნია და მაგიერად
უსწავლელო, უწივანური და უმეცარი ჯიბ-
რაილ ხელთუფლიშვილი დაგიყენებია,
ამის მერე კიდევ რამე უნდა მიპასუ-
ხო?!... სახელმწიფო რისთვის უშვებს
ყოველწლიურად ამდენ ინჟინრებს? სა-
ხელმწიფო რას გვეუბნება: შახტი —
სახიფათო საქმეა და მეშახტეების ბედ-
ილბაღს უსწავლეულ და უმეცარ ხალხს
ნუ ანდობთო, არ გვეუბნება? მითხარი!
— გვეუბნება, ბატონო დამიანე, გვე-
უბნება!

— მერე.
— წელს ჩვენთან ერთი ინჟინერიც
არ ჩამოსულა.

— ეგ რა ჩემი საქმეა?!
— მესმის....
— ესმის... ახლა ეს მითხარი, მისკოვს
რა შევეუთვლო?

— მესმის, ბატონო დამიანე!
— ესმის... შენ ყველაფერი გესმის.
გეყურება? — მე თქვენთან ჭიჭინიცი
მომბეზრდა. ინჟინერი შარშან სამი ჩა-
მოვიდა, მაგრამ ერთი უკან გაიქცა, ორი
კი ტრესტში წამოასკუბეთ და ქალღ-
ღებს აჯღაბნინებთ. ვიცი. ახლა ასე:
ღმერთმა დაგიფაროს შენც და მაგ შენი
ხელთუფლიშვილიც, რომ მაგის უბანზე
ვინმეს ფრახილი მაინც წამოტკივდეს.
გესმის? ამისგან შენ და ეგეც მაღალმა
ღმერთმა დაგიფაროთ. ახლა კარგად იყა-
ვი!

და ყურმილი დაჰკიდა.
„კიდევ იოლად გადავრჩი — გაიფიქ-
რა სარდიონმა და შეოფლილი შუბლი
მოიწმინდა. ოჰ, ეს ბიუროკრატი! მეშახ-
ტეებზე ზრუნავს! აქ რომ გვემები წლო-
ბით არ სრულდებოდა, ეს ვითომ არც
გაუგია. იმ ინჟინრების ფასი შენ ჩემზე
უკეთ იცი, მაგრამ მოსკოვთან... თან
მოწონება გინდა... ქალაქის წარჩინებულ
ჯიბრაილი კი მართლაც საგანგებოდ უნ-

და გავაფრთხილო, თორემ ვინმეს მართლაც თუ ფრჩხილი მაინც წამოტყედა, დამიანე კუხოხია საქმეს საციხოდ გაგვიხდის“.

მაგრამ ჯიბრაილი იღბლიანი უფროსი გამოდგა. მომდევნო სამ წელიწადში უბანზე მართლაც რომ ფრჩხილიც არავის წამოტყენია და ამას თანდათან ისე მიეჩვივნენ, რომ ყველას და, პირველ რიგში, სარდიონსაც ძალიან გაუკვირდებოდა, უბანზე რაიმე მარცხი რომ მომხდარიყო; საერთოდ, შახტებში ერთი დაუწერელი კანონი მოქმედებს: რაც უფრო უკეთ მიდის შახტის საქმეები, რაც უფრო სრულდება გეგმები და უკეთესი გამომუშავება აქვთ მესახტეებს, მით უფრო ფხიზლად და ხალისიანად არიან ეს უკანასკნელი და ამიტომ მით უფრო ნაკლებია უბედური შემთხვევებიც. ამ დაუწერელმა კანონმა არც სარდიონი და ჯიბრაილი დააღალატა.

• • •

ეს სამი წელიწადი ბედნიერი ხანა იყო ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის ცხოვრებაში. ოცდაექვსი თუ ოცდარვა წლის ვაჟკაცი, შესახედავად — სანდომიანი, საქციელით — უბრალო და ხალისიანი, მდგომარეობით — პატივცემული და სახელიანი... მისი სიტყვა კანონი იყო ყველასათვის — უბრალო მუბიგიდან დაწყებული და შახტის უფროსით გათავებული: იგი სასურველი სტუმარი იყო ყველა ოჯახში და ყველა სუფრაზე. კრებაზე საქმიანი პრეზიდენტში იყო ასარჩევი და — პირველ რიგში ჯიბრაილს ასახელებდნენ. თბილისიდან კორესპონდენტი ჩამოვიდოდა. — ჯიბრაილს ახედრებდნენ და მასზე აწერიდნენ. ვინმე მესახტეს ბავშვი ვყოლებოდა მოსანათლი და აბა, ჯიბრაილ, არ გვიუკადრისო, რაიმე კარგი სახელი დაანათლე. შახტზე ვილაკებდი ერთმანეთს ავშლებოდნენ და — აბა, ჯიბრაილმა გავგვამიჭრდლოსო. ოღონდ ეს იყო, თამაშობას ვერ მიაჩვიეს, არც თვითონ უყვარდა და ვერც სხვის თამაშობას იტან-

და. სმით კი საკმაოდ ბევრს სვამდა და არასოდეს ფეხი არ ჯავებდა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ასეთი ვაჟკაცი უცოლოდ დიდხანს ვერ დარჩებოდა. არჩევანიც დიდი პქონადა. მაგრამ ეს საქმე ცოტა მოულოდნელად მოგვარდა.

ზაფხულობით ქუთაისიდან პრაქტიკის გასაველელად პოლიტექნიკურ, ინსტიტუტის სტუდენტები ჩამოდიოდნენ ზოლზე. ტრესტის ხელმძღვანელობა ამ სტუდენტებს საუკეთესო შახტებსა და უბნებზე ანაწილებდა. ერთ დღისა სამუშაოზე მოსულ ჯიბრაილს სამორიგეოს კარებთან მომცრო ტანის, მომდენილი, ირიბთვალეზიანი ქალიშვილი დახვდა. ასეთი მოგზაო, ირიბად გაქრილი თვალები ჯიბრაილს იშვითად თუ ენახა. ჯიბრაილის დანახვაზე ქალიშვილი რატომღაც გაწითლდა, რაღაც მოგზაო ქალადი ხელში გაუბედავად შეატრიალა და მერე, როგორც იქნა, ჯიბრაილს გაუწოდა.

— ეს რა არის? — ჯიბრაილმა ქალადი გამოართვა და ქალიშვილს თვალებში განებიერებული ვაჟკაცის აღერსიანი, თამამი ღიმილით ჩახედა.

— მომართვაა, — ქალიშვილის მაყვალვიით შავ, ირიბად გაქრილ თვალებში უეცრად მრისხანების ნაპერწკალმა იელვა. ალბათ, ქალაქელ სტუდენტს ის თამამი ღიმილი არ მოეწონა.

— მომართვა?! — ჯიბრაილმა ქალიშვილს კიდევ უფრო აღერსიანად და თამამად გაუღიმა.

— დიახ, — ქალიშვილის ირიბი თვალები უკვე მრისხანების ცეცხლს აფრქვევდნენ.

— ჰო... — ჯიბრაილი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, — სადმე სწავლობთ?

— დიახ:

— სამთო ფაკულტეტზე სწავლობთ?... — ჯიბრაილმა ქალადს თვალი ჩაავლო.

— დიახ.

— „ერიპაა! — ვაიფიქრა დაბნეულმა ჯიბრაილმა და, ცოტა არ იყოს, თვითონაც გაბრაზდა, — რა მკვანხედ მელაპა-

რაკება!... თვალებს კი ისე აბრიალებს, რომ, საცაა, ატირდება“.

მაგრამ პრაქტიკაზე ჩამოსულ სტუდენტებთან ზედმეტი ხუმრობა არ ეგებოდა. უბნის უფროსმა სამორიგეოს კარი შეაღო და ქალიშვილი, რაც შეეძლო, თავაზიანად მიიპატიჟა.

— მობრძანდით!...

ერთი წუთის შემდეგ ორივენი სამორიგეოში ისხდნენ — ჯიბრაილი მაგიდასთან, თავის მუდმივ ადგილზე, ქალიშვილი კი მის პირდაპირ, კედელთან, გრძელ სკამზე. წელანდელთან შედარებით ქალიშვილი თითქოს უფრო დამშვიდებული გამოიყურებოდა, მაგრამ რიბ თვალელებში ზოგჯერ მაინც გაუელვებდა ამაყი, უჯიათი გამოწვევა. თითქოს ჯიბრაილს ეუბნებოდა, აბა, ერთი გაბედე და წელანდელივით თამამად მომპართე, მაშინ ნახავ, რა დღეც დავადგებო.

— ესე იგი... — ჯიბრაილმა სხვა სათქმელი ჭერჭერობით ვერაფერი მონახა, — ესე იგი, პრაქტიკას ჩვენთან გაივლით, არა?

— დიახ.

— მეტად... სასიამოვნოა... ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ შევეცდებით, რომ... ესე იგი...

— გმადლობთ.

— დიახ... უსათუოდ... — „უნდა კიდევ რამე ვკითხო, — გაიფიქრა ჯიბრაილმა, უხერხულია“. ისა... როდის ჩამობრძანდით?

— ამ დილას.

— უკვე მოეწყვეთ?

— დიახ. სასტუმროში.

„ოჰო, — გაიფიქრა ჯიბრაილმა, — კარგი ჭკენი, რომ დამეწყვეთ. ნამდვილად ვილაღ დიდი კაცი მფარველობს. ისე სასტუმროში ვერ მოეწყობი. პრაქტიკანტები ჩვენთან საერთო საცხოვრებელშიც ძლივს ეწყობიან“.

— კარგად მოეწყვეთ?

— არა უშავს.

— ძალიან კარგი, ქალბატონო... — ჯიბრაილმა უკრა გამოსწია, ვითომ იმისათვის, რომ ის მოგზაო მომართვა

შიგ ჩაეგდო; ნამდვილად კი ქალბატონს სწრაფად ჩაავლო თვალი და ქალბატონს დასახელი და გვარი ამოიტოხა, ძალიან სასიამოვნოა, ქალბატონო ირინე. სასიხარულოა, რომ სწორედ ჩვენთან გამოგზავნეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ... ახლა... თავისუფალი ბრძანდებით, ცეცხლს უკვე დაწყებულია და, ასე ვთქვათ, თქვენთვის აზრი არა აქვს... დაისვენეთ, ჩვენი ქალაქი დაათვალიერეთ. ხვალ კი, რა დროსაც გენებოთ, მობრძანდით. უმჯობესია, რა თქმა უნდა, დილით.

— გმადლობთ, — ქალიშვილი წამოდგა და ჯიბრაილს თავი დაუკრა.

მეორე დღეს ირინე ქარცივაძე უთენია გამოცხადებულიყო და სამორიგეოს კარებთან იცდიდა. ქალიშვილის დანახვაზე ჯიბრაილს რატომღაც გული აუტკერდა, მაგრამ თავი შეიკავა, ირინეს თავაზიანად მიესალმა, სამორიგეოში შეუძღვა და მეშახტეებს წარუდგინა. ქალაქური იერის, მოხდენილად ჩაცმულ, სანდომიან ქალიშვილს მეშახტეები აშკარა გაკვირვებითა და უნდობლობით შეხედნენ.

— ხელობა მაინცდამაინც ვერ ავირჩევია, შვილო! — ცალთვალა გერასიმემ ირინეს თავის ქნევით გაუღიმა.

— ნამდვილად, — ღიმილითვე დაუდასტურა არქიმო (კალუღლიშვილმა და თან ქალიშვილს სკამი თავაზიანად მიუწია, დაბრძანდითო.

— ჩვენ აქედან გაქცევაზე გვიპირავს თვალი და თქვენ... — ალაპარაკდნენ სხვებიც.

— ასეთი ლამაზი ქალიშვილი!...

— ცოდვა-მადლი აღარ არის? მიწისქვეშაში შენ რა გინდა?

— შენ კინოში უნდა გიღებდნენ.

— ეჰ, ამ ლამაზ ქალიშვილს, ალბათ, მექანიზმების იმედი აქვს.

— ნამდვილად.

— ალბათ, ასე ფიქრობს, ღილაკს ხელს დავაქერ და ნახშირი დეღესავით წამოვავა.

— ქალაქში ყველანი ასე ფიქრობენ.

— ხა-ხა-ხა!...

— დაბრძანდი, ქალბატონო, ფეხზე რატომ დგებარ?

— არა უშავს, იყოს ერთი ხანობა ჩვენთან, — დართო ნება ვილაყამ.

— გამოცდილება შეიძინოს.

— მერე ან ასე იქნება, ან ისე.

— დაჯექი, გოგონი, დაჯექი!

ჭიბრაილმა მაგიდაზე თითი უხალისოდ დააკაუნა:

— კარგით ახლა... — და გერასიმეს მოუბრუნდა, — ამ ჩვენს... ძვირფას სტუმარს, ბიძია გერასიმე, პირადად შენ ვაბარებ. მე შგონაა, პრაქტიკის გავლა ნაწილ-ნაწილ სჯობია. პოდა, ასე თუ დამდეგ ორშაბათს ქალბატონ ირინეს ეცოდინება, თუ შენ, ეს პატივსაცემი კაცი, მიწისქვეშაში რას აეთებ, რა გევალება და ამ საქმეს როგორ უძლებები, თუ ეს ყველაფერი ეცოდინება, ჩაგითვლით, რომ კარგად გიმუშავია და ეს პატარა დავალებაც კარგად შეგისრულდება. ბატონი გერასიმე ნებოჯე ვახლავთ, ქალბატონო!.. — მიუბრუნდა: ჭიბრაილი ირინეს.

— შე ვიცი, მებიჯეს რაც ევალება,

— წაილაპარაკა ირინემ.

— ცოდნა ერთია, საკუთარი თვლით ნახვა კი — მეორე.

— ნამდვილად, — დაუდგინა მუშახტებმა. იმავე წუთში ირინეს გერასიმეს თანამშრომლები შემოეჩვივნენ, გარდერობში ჩაიყვანეს, სპეცტანსაცმელი შეურჩიეს და შახტში ჩასაყვანად გამზადეს.

ქალი მიწისქვეშაში — ეს არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა, ჩვენს შახტებზე. ჯერ ერთი, ტრესტის თანამშრომელი ინჟინერი ქალები საეკვმო, ფინანსური, სამთო უშიშროებისა თუ ტექნიკური განყოფილებებიდან ხშირად მოდიან შახტზე, სპეცტანსაცმელს ვადაიცემენ და ბრემსბერგებსა და შტრეკებზე ისე თამამად და დაუღლელად დაძვრებიან, თითქოს აქ დაბადებულან და აქვე გაზრდილანო. მუშახტებში მათ გულთბილად ეპყრობიან და არასოდეს არაფერს აკადრებენ. არიან ამონაღის დამტარებელი ქალები. ესენი გამუდმებით შახტში არი-

ან, და საყოველთაო პატივისცემით, სარგებლობენ. ხდება, რა თქმაუნდა გამო-ნაკლისიც. ერთხელ ჭიბრაილმა მუშახტებში ქვემოსოფელი ქალი, გოგონა ხომასურძე გაერია — მიწისქვეშეთში მისრედ და მატარებლების შემდგენლად დაიწყო მუშაობა. აი, ამას კი არ გაუმართლა. დამნაშავე კი თვითონ იყო. აქაო — და — ცხოვრებაში დავიანჯერო, სხვა ქალები ზევეთ, მზის გულზე კოხტაობენ, მე კი ბრუნეტის, სპეცტანსაცმელი მაცვიაო და მიწისქვეშეთში ვიღუბებო, და მოეშვა. ჯერ ბილწსიტყვაობს მიპყო ხელი. მერე სულაც ხელიდან წავიდა. ჯერ არაყისა და ღვინის სმას შეეჩვია. მერე რამდენჯერმე შახტის უშორეს და უბნელეს კუნძულებშიც შეისწრეს — ვილაც პირტრევა მეშახტებთან იმ საქმიო ერთობოდა, რომლისთვისაც შახტში ჩასვლა საჭირო სულაც არ არის... ძველი მეშახტეები აბუზღუნდნენ და სარდიონს დეღეგაცია მიუგზავნეს — ამ შეჩვენებულმა საქალეთი შეგვაძულა და ახლავე თავიდან მოგვაშორეთო. სარდიონმა გოგონა კაბინეტში გამოიძახა, მაგრად გაჯორა და დაემუქრა. თუ ასეთ უმსგავსეობასა და სიბილწეში კიდევ შემიმჩნევინებარ, შრომის წიგნაკისე გაგიფუჭებ, რომ ქურჭლის მრეცხავადაც არაფერს მიგიკაროსო. გოგონა ატირდა, გული ამოუჭდა და სარდიონს დაჰპირდა, ეს ერთი მაპატიე და ცუდს აღარაფერს ჩავიდნო. შახტში მისრედ და მატარებლების შემდგენლად მუშაობას კაცი არაფერს კადრულობდა და გოგონა ისევ მიწისქვეშეთში ჩავახუნეს. მუშახტეები თვალს არ ამორებდნენ. მართლაც, ღიდად საძრახისსა და თავის მოსაპრელს თითქოს აღარაფერს ჩაღიოდა; არა, ღვინოსა, თუ არაყის ნაზ მალევედ ისევ ეტანებოდა. თლონდ მიწისქვეშეთში სწორედ აღარაფერი გავუბედავს. არა; აღარავის აღარაფერად შეუმჩნევია. ეს კი იყო, რომ სოფლადან მის სანახავად ჩამოსული მოხუცებული მამა ოთახიდან ერთი წივილი კივილით გამოჰავდა, — არასოდეს არა-

ფერში გამოდგამიხარ, სიცოცხლე გამიმწარე, ამ ვაი-ვაგლახში ჩამავდე და ახლა აქაც მომადექიო. საწყალი ბერიკაცი, თურმე, აცრემლებული დაადგათავისი სოფლის გხას. ის კი ველარავინ გაიგო, ის უბედური მართლა რამეში დამსაშვეე იყო გოგოლას წინაშე, თუ ყველაფერი ამ ქალის უკუღმართობა პეტემ გამოიგონა.

რალა დასამალავია, გოგოლამ ველარ გაუძლო მიწისქვეშეთის ჩახუთულ ჰაერს, ხიფათის მუდმოვ ლოდინს და ცხოვრებაზე ხელი ჩაიჭინა.

თითქოს გოგოლაზე — სოფელელ ქალზე უფრო უნდა გასჭირვებოდა მიწისქვეშეთში ყოფნა ქალაქში ნებიერად გაზრდილ, ნატიფ და მოხდენილ ირინე ქარცივაძეს. მაგრამ ბუნებამ სხვა-ნაირად განსაჯა.

უბნის მეშახტეები და სხვებზე უფრო ცალთვალა გერასიმე მალე გააოცა ამ ქალიშვილის უტეხმა, შეუბოვარმა ხასიათმა, მისმა ენერგიამ და უშიშრობამ. ეს მოხდენილად ჩამოქნილი, ირიბთვალა, მუდამ გამომწვევად და შეუპოვრად მომლიმარე ქალიშვილი მართლაც რომ მეშახტედ იყო დაბადებული. ლამაზი აბრეშუმის კაბების ნაცვლად მოუხეშავი და ჭუჭყიანი ბრეზენტის სპეცტანსაცმელში, ჩაფხუტსა და რეზინის ჩექმეში გამოწყობა ხომ არაფრად უღორდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მიწისქვეშეთის ყველაზე მიყრუებულ, ბნელ, ნესტიან და ჩახუთულ კუნძულში ირინე ზოგჯერ რვა-ათ საათს ისე გაატარებდა, რომ ერთხელაც არ გაიბსენებდა, ზევით მზე ანათებს, სინათლე, სითბო და სისუფთავე მეფობსო.

რა იყო ამის მიზეზი? ახალგაზრდული თავმოყვარეობა? თუ ცნობისწიდილი? თუ, ცოტა არ იყოს, ბიჭური, გამომწვევი, უტეხი ხასიათი? ვინ იცის... ძნელი სათქმელია. მერე, ხანი რომ გამოხდა და ბევრი რაიმე მოხდა, ზოგიერთები ამბობდნენ, ირინეს ჯიბრაილი — ახალგაზრდა, მოხდენილი და სახელოვანი უბნის უფროსი პირველი დანახვისთანავე გულში ჩაუეარდა და მას

შემდეგ ყველაფერს ამ გრძნობის კარნახით აკეთებდაო. ვინ იცის... ესტე მუ... საძღვებელია, მაგრამ სიყვარული მხოლოდ იმას აკეთებინებს ადამიანს, რისკენაც თვით ამ ადამიანის ბუნება მიისწრაფვის, არა, ირინე ქარცივაძე მართლაც მეშახტედ, სამთო ინჟინრად იყო დაბადებული.

ცალთვალა გერასიმეს ეს ხალისიანი, უტეხი, ზოგჯერ ფიცხი, მაგრამ სიმათლის მოყვარული და პირდაპირი ქალიშვილი პირდაპირ საკუთარი შეილივით შეუყვარდა. გვერდიდან აღარ იშორებდა, და მორღვეული ჭერის გასამაგრებლად რომ აგზავნიდნენ, მაშინაც კი თან მიჰყვებოდა. მეშახტეები ამოიდ ეხუმრებოდნენ ბერიკაცს, — ეგ გოგო მებივეობის სასწავლად კი არ მოსულა, სხვა პროფესიებაც უნდა გაეცნოსო. გერასიმე ყურს არავის უგდებდა, ზუმრობითვე ამტკიცებდა, შახტში მთავარი კაცი სწორედ მებივე-გამამაგრებელიაო, და ირინე ისევ თან მიჰყავდა. და როცა ერთხელ, ქვედა სანგრავეში, ბივის ძირას შესასვენებლად ჩამომჯდარ გერასიმეს არქიტო მიუჩოჩდა და საიდუმლოდ გაუმხილა, წუხელ ირინე და ჯიბრაილი კინოში უნახავთო, ცალთვალა მებივეც ელდა ეცა.

— კინოში?

— სსუ... ირინე ეგერ ზის. არ ყვიროსო.

— ეგ და ჯიბრაილი?...

— სუ-მეთქი...

— ჰო, ეგ და ჯიბრაილი?...

— ჰო, ეგ და ჯიბრაილი...

— ჰმ... შეხედე შენ. შეხედე შენ მაგ ხეადაგს!

— რას ლაპარაკობ?

— რასაც კლაპარაკობ! არა, მაგ მართლა ხეადაგს არ ეყო, რაც ამ არემარეზე ფეხსუსტი ქალია, ყველას რომ გემო გაუსინჯა! ახლა ამ ბავშვს... არა, ეგ არ მოხდება. მე მაგას...

— რამ გადაგროია, გერასიმე!

— რამ გადამრია?

— აბა, ახალგაზრდა ქალ-ვაჟი კინოში ველარ წასულა... არადა...

— რა — არადა?

— უწლოვანი, ჩემო ძაო, აღარც ეგ შენი ირინეა. ალბათ, იცის, რასაც აკეთებს.

— რამე რომ იცოდეს, მაგას არც იზამდა!

— რატომ, ქრისტიანო, რატომ?

— ისე.

— კარგი ახლა, გერასიმე, მე შენ გუბნები, კარგი ახლა. კარგი-მეთქი!

— ეგ გოგო პრაქტიკას მოათავებს და თავის გზას გაუდგება.

— დიდი ამბავი. რა იცი, გაისად რომ ინსტიტუტს დაამთავრებს, სამუშაოდ ისევ აქ არ გამოგზავნიან. იქნება, სულაც დაოჯახდნენ. შენ რა იცი?

— დაოჯახდნენ კი არა... ინეინერი ქალი...

— ეპ, მაგას ჩვენს დროში ვინ-ღა უყურებს!..

— უყურებენ!

— რას უყურებენ?

— აი, მაგას, ცოდნას და განათლებას. სწორედაც უყურებენ, დიახ!

— ოპ, ოპ, ოპ! ჯიბრაილს სულ რვა კლასის ცოდნა თუ აქვს, უბანს იმიტომ ვერ უძღვება თურმე. საწყალი, უბედური, ბეჩავი!

— ეგ მე არ მეკითხება.

— აღამიანო, შენ რა გინდა?...

— რა და — მაგას ღმერთი არ გაუწყრეს!.. აი, რა მიინდა! შენკი, ჩემო არქიფო, ახლა რომ ვხედავ, დაუფიქრებელი კაცი ყოფილხარ.

— ვინ? მე დაუფიქრებელი? რატომ?

— იმიტომ ..

— რატომ-მეთქი? დაუფიქრებელს რატომ მეძახი? ერთი ეს ამიხსენი.

— აი, რატომ გეძახი: ყური დამიგლე და კარგად დაიმასხოვრე.

— გიგდებ. ოლონდ ხმადებლა ილაპარაკე, მაგ გოგომ არ გაიგონოს და მართლა არ გადაიჩიოს.

— ნუ გეშინია. ჩემს ნათქვამზე ეგ არ გადაიჩრევა. შენ კი დაუფიქრებელს აი, რატომ გეძახი: ჯიბრაილი ხომ იცი, ქალებში რა აფთარიცაა. სუ, არ დამიწყობ!.. აფთარია, აფთარი. დიახ! თავი

რომ ვერ შეიკავოს და... ეპ! არ გამაგონო. ამას როგორ ვერ ხელები? ეგ გოგო არ იყაბულდებს, ჯიბრაილს კი მაგას არაფერ ამატიებს, უბნის უფროსს ცალკე დავკარგავთ და მაგ გოგოსთანაც შევრცხვებით და ის იქნება. აი, დაუფიქრებელს რატომ გეძახი.

— იფ, რა კარგად ამოაგვირისტიე!

— უკეთესად შენ ამოაგვირისტიე...

— გერასიმე!

— რაო?

— იცი, რას გეტყვი? ირინე ქარცივანე შენთვის არაფერს ჩაუბარებია. ეს ერთი. თავისი საქმე მაგ გოგომ თითონვე იცის და მეორეც: როდის იყო, რომ ჯიბრაილი ვინმეს დაეძგერა? მაგის თქმას როგორ კადრულობ? მაგ უბედურს ქალები აქეთ ქაშენ, არ გაგიგია?

— ეგ მე არ მეკითხება.

— ეპ... შენთან ლაპარაკი, რომ ვუყურებ, მართლაც წყლის ნაყვავა, — არქიფომ ხელი ჩაიჭინა და სიბნელეში ჩაიკარგა.

ვინ იცის, იქნებ, გერასიმე მართლაც ჩარეულიყო ამ საქმეში და ირინესთვის რამდენიმე გამაფრთხილებელი სიტყვაც კი გადაეკრა, მაგრამ არქიფომ დაასწრო და ყველაფერი მეშახტეებს უამბო. მეშახტეებს გერასიმეს საქციელი და ნალაპარაკევი არ მოეწონათ. როცა ცვლა დამთავრდა, ყველანი ზევით ამოვიდნენ და საშხაპეში შეიყარნენ, ჯიბრაილის პირველი ძმაცაი, დამცველი და ჭომავი იორამ ნოსელიძე გერასიმეს მივარდა.

— შენ, გერასიმე, სხვის საქმეებში რატომ ერევი?

იორამმა საშინელი გაბრაზება იცოდა. წრეს რომ გადავიდოდა, აღარაფერი ახსოვდა, აღარც დიდს ზოგავდა და აღარც პატარას, ხელები აუცახცახდებოდა ხოლმე და თვალებს ფეთიანივით ამრიალებდა.

გერასიმემ მას ყურადღებაც არ მიუქცია, მაგრამ თავი რომ ასწია და მიმოიხედა, დაინახა, რომ ყველანი მას მიხეგრებოდნენ. სახეებზე ეტყობოდათ, რომ გერასიმეს ამტყუნებდნენ და თუ



დასკირდებოდათ, ერთი-ორ მაგარ სიტყვასაც კი ეტყოდნენ.

ბერიკაცს საქციელი წაუხდა. მართლაც და — რამ ათქმევინა ის სიტყვები? რა შეაშია და რა მოსატანია ან ირინეს ინეინრობა, ან ჯიბრაილის რვა კლასი? ჯიბრაილი რომელ ინეინერზე ნაკლებია? იქნებ, იმ ახალგაზრდებს მართლა შეუყვარდათ ერთმანეთი? ან იმ პატარა გოგომ ისე როგორ დააბრმავა ეს დროული კაცი, რომ ჯიბრაილიც კი გაამეტებინა, ჯიბრაილი, ეს უბანი უფსკრულიდან რომ ამოიყვანა და ამდენ მემშატეს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა?

— რა შესაქმელად მომჩერებინათ, ხალხო?!... — ძლივს ამოილულღულა გერასიმემ.

მემშატეებმა იგი ერთხანს პასუხის ღირსადაც არ გახადეს. იორამმა გააფთრებით გადააფურთხა და თავის კაბინაში შევიარდა. თვალეზრასისხლიანებულმა, ხარივით ღონიერმა, ჯანსულ ბოგვერაქემ კი ტანსაცმელი აუჩქარებლად გაისწორა და გერასიმეს შუბლქვეშოდან გამოხედა.

— გამოჩერჩეტდი, ბერიკაცო?!

— ბატონო... შეიღებო... ხმასაც არ ამოვიღებ.

— ჰოდა, ეგრე.

* * *

ჯიბრაილის ირინესთვის მართლაც არაფერი უკადრებია. ოღონდ ეს იყო რომ ერთ საღამოს, კინოდან გამოსვლის შემდეგ, მდინარის პირად გასეირნება შესთავაზა. დიდ ქვაზე ჩამოსხდნენ და მდინარის ჩხრიალს ყურს დაუგდეს. აკვისტო იდგა, მაგრამ ამ შეაღამისას მდინარის ნაპირზე საგრძნობლად ციოდა. ჯიბრაილმა ტანზე სიცივე იგრძნო: ირინეს აღმაცერად გახედა და დაინახა, რომ ქალიშვილს გულზელი დაეკრთა და შემცივებული სხეულის გათბობას ასე ცდილობდა. ჯიბრაილმა არც აცხელა, არც აცივა, ირინეს წელზე ხელი მოხვიდა და მკერდზე მიიკრა.

ირინე შეერთა, ჯიბრაილს გაკვირებ-

ბული მხერა შეავლო და ხელები მკერდზე მაგრად მიიბჯინა.

— რას შვრები?

ჯიბრაილი დაიბნა. ირინეს ხელი გაუშვა...

ირინე სწრაფად წამოდგა. მიიხედ-მოიხედა, მდინარის მიდამოებს უკუნეთი სიბნელე დაუფლებოდა, ძეხორციელი არსად ქაუნებდა.

— გამაცილე, — ბრძანების კილოთი ესროლა ირინემ ჯიბრაილს.

სასტუმროსკენ მიმავალ განათებულ ქუჩამდე ისე მივიდნენ, რომ არც ერთს ხმა არ ამოუღია. აქ ირინემ თავი ხმა-ამოუღებლად დაუქნია და ქუჩას სწრაფი ნაბიჯებით გაჰყვა.

ჯიბრაილი გუნებაარეული დაბრუნდა საერთო საცხოვრებელში. რამ გაატუტუცა? ამ ქალაქელ გოგოს რას დაეძგერა? თუ მთელი ქვეყნის ქალები მართლაც საკუთარი ჰგონია? ეს გოგო ახლა რომ ადგეს და სარდიონთან, ან სულაც ტრესტში რომ უჩივლოს? ხომ საქვეყნოდ მოეჭრა თავი? ამ არემარეზე ველარ გაჩერდება.

ჯიბრაილს გვიანობამდე აღარ დაეძინა. დღით თავის ტკივილი აჰყვა და მთელი დღე უგუნებოდ იყო სამორიგეოში. ტელეფონის ყოველ ზარკრილობაზე გული შეუხტებოდა ხოლმე — სარდიონი ხომ არ შეძახის, ან ტრესტში ხომ არ მიბარებენ, რომ ტყავი გამაძრონ და ალაიაში გამატარონო.

მაგრამ არავის დაუძახინა.

მესამე დღეს ირინე სამორიგეოში დახვდა. კედელთან, გრძელ სკამზე იჯდა და, მხიარულად მომღიმარი, არქიფო ცალუღლიშვილს რაღაცაზე დაბალო ხმით ელაპარაკებოდა. ამ მოხდენილა ქალიშვილის ყურებით გაბედნიერებული არქიფო ირინეს ყოველ სიტყვაზე დაუყოვნებლივ კვერს უკრავდა და მღელვარებისაგან შეოფლილ მელოტ თავს წამდაუწუმ ჰრელი ცხვირსახოცი იშმენდდა.

— დიახ, რა თქმა უნდა... — წამდაუწუმ იმეორებდა არქიფონი და თან აქეთ-იქით გამარჯვებული უღმილით

იყურებოდა, — რასაკვირველია... რა ლაპარაკი უნდა.. დიახ, ქეშმარიტი ბრძანება!

ჭიბრაილს ირინემ ცივი მზერა შეავლო და ისევ არქიფოს მიუბრუნდა.

ჭიბრაილი ხმაამოუღებლად მიუჭდა მაგიდას.

მეშახტეებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ ირინემ ჭიბრაილს რაღაც სხვანიირად, უქმებად და ზიზღით შეხედა და არც ის, რომ ჭიბრაილიც ცოტა დაბნეული იყო. სამუშაოები განაწილდა თუ არა, მეშახტეები წამოდგნენ და სამორიგეოდან გავიდნენ. ვილაცამ გერასიმე ცნობილამეს ზელი წელზე მოხვია და დერეფანში ისევ გაიყვანა. მოხუცი დაიბნა, ვერაფერს მიხედა და უკან მოხედვაც ვეღარ მოახერხა. სამორიგეოში ჭიბრაილა და ირინე პირისპირ შერჩნენ ერთმანეთს.

— მე სად წავიდე? — ირინემ ჭიბრაილს პირდაპირ თვალებში შეხედა. ქალიშვილის სახეზე წედანდელი მზიარულების ნატამალიც აღარსად იყო. ირიბი თვალები რისხვით უელავდნენ.

— თქვენ.. ისევ გერასიმე ცნობილამესთან წაბრძანდით.

— ცნობილამემ უკვე ყველაფერი მასწავლა... მეტი თვითონაც აღარაფერი იცის.

— მაშინ...

— რა მაშინ?

— თქვენი ნებაა... ვისთანაც გნებაუდეთ...

ირინე ზეწამოიჭრა, ფანჯრის რაფიდან თავისი ჩაფხუტი აიღო. ჭიბრაილს გამანადგურებელი მზერა შეავლო, ოთახიდან გავარდა და კარი გაიჭახუნა.

იმვე საღამოს, კარგა შებინდებულზე, ორივენი მდინარის პირად, მაღალ ბალახში იწვნენ. ფერმიხდილი, თვალუბზე ცრემლმოდენილი ირინე გაუნძრევლად შესჩერებოდა ვარსკალაგებით მოქედნილ ცას.

ჭიბრაილი წამოჭდა და ირინეს მუხლებზე ქაზმ-გაუსწორა.

ირინე „არ“ განძრეულა.

პატარა ქალაქებში არაფერი სმსკლუნება მეორე თუ მესამე საღამოს — კარგა გვიან, შუალამისას, — ვილაცამ გერასიმეს ფანჯარაზე დაუქაყუნა. მოხუცი მეშახტე დასაძინებლად ემზადებოდა და უდროო სტუმრებს მაინცა და მაინც გულთბილად არ გამოხმპურებია.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, იორამი.

— იორამი?

— ჰო, იორამი, არქიფო და იულო...

— რა ამბავია?!

— გამოდი ერთი წუთით.

რამდენიმე წუთის შემდეგ პერანგისამარა გერასიმე გარეთ გამოვიდა.

— რა ამბავია? სახლში არ შემოხვალთ?

— არ გვინდა, თქვენებს გავაღვიძებთ.

— რა მოხდა?

— ამას ჰკითხე. — არქიფომ და იულომ გერასიმეს მზერა ააჩიდეს და იორამზე მიუთითეს.

— რა იყო, ბიჭო? — გერასიმემ იორამი უნდილად, გულგრილად შეათვალიერა.

— რავე ყველაფერზე მე უნდა მალაპარაკოთ?! — შესჩივლა იორამმა არქიფოსა და იულოს.

— ეგ ამბავი შენ მოგვიტანე და... — არქიფო გაგულისდა და ხელები ფართოდ გაშალა, — უკვე ყველამ ვიცით და მარტო გერასიმეს დავუშლოთ?

— იიპ! — იორამი ზიზღით დაიქყანა, გულზელი დაიკრიფა და კედელს მიეყრდნო. ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს აქ აღარაფერი ესაქმებოდა.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?!... — გერასიმეს სიანჩხლე შეეპარა.

— ისე, კაცმა რომ თქვას... — არქიფომ თავი მოიფხანა, — რაც მოხდა, ის ჩვენი საქმე არც არის. ჩვენ ის არ გვეხება.

— აბა?

— მაინც... რა ვიცი... კაცნი ვართ... ა, იულო?

— ჰო, — დინჯად დაუდასტურა იუ-

ლომ, — პირდაპირ, რასაკვირველია, არ გვეხება და, ერთგვარად, უხერხულიც არის... მაგრამ მაინც... ერთდაგვარად...

— გამაგებინებთ, თუ არა?! — დასკვივლა მოთმინებადაკარგულმა ვერასიმემ.

— გეტყვით, ადამიანი, გეტყვით. რა გაყვებრებს!... ჯიბრაილი და ირინე...

— რა — ჯიბრაილი და ირინე?!

— ოჰ... ცოტას შენ თვითონაც მიხვდი, შეკაცო!...

— არ გადამრიოთ! — თავზარდაცემულ გერასიმეს ერთადერთი თვალი კინალამ ბუდიდან გადმოუხტა.

— აბა! — არქიფომ ეს ისეთი ამოხვინებითა და კილოთი დაადასტურა, თითქოს გერასიმეს ეინმე ახლობელის სიკვდილს ატყობინებდა.

— ნამდვილია?! — გერასიმეს კიდევ არა სჯეროდა.

— წყალი არ გაუვა,

— ო-ხო-ხო-ხო... — გერასიმემ პერანგის ზედა ღილი შეიბნია, — კიშკართან მიწაში ჩადგმულ სკამზე ჩამოჯდა და ხახე-ხელებში ჩამალა. ახლა რაღა ვქნათ?

არქიფომ ხმაამოუღებლად მხრები იჩინა: იულო ჩემად იყო.

— ზომ გუეზნებოდიო, ჰა, არ გუეზნებოდიო?

— კი-გუეზნებოდიო, მაგრამ...

— ვინ იცოდა, თუ ასე მალე მოხდებოდა, — იორამმა პაპიროსს მოუყიდა და გულჯაფრისადად გააბოლა.

— ახლა რაღა ვქნათ?

— ჩვენც მაგის საკითხავად მოვედით.

— ხო-ხო-ხო... პრაქტიკაზე ჩამოსული სტუდენტი ქალისათვის... ნამუსის ახლა... თუ იცით, ძალა იხმარა მაგ შეჩვენებულმა?

— რას ამბობ, ვაცო! — ერთად შესძახა სამივე მოსულმა.

— რის ძალია?! რა ნამუსის ახლა?

— აბა?!... — გერასიმეს ველარაფერი გაეგო.

— ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა.

— ქალის ნებასურვილით?

— ა, იორამი ასე ამბობს.

— ასე, იყო და!

— აბა, რილასი გვეშინია?! — გერასიმემ ერთადერთი თვალი გაკვირვებით დააქყიტა.

— რა ვიცი... — არქიფომ მხრები იჩინა... — მე მარტო ის ვიცი, რომ შენ რატომღაც სიკვდილივით არ გინდოდა ეს ამბავი. ჰოდა, რაკი მაინც მოხდა, ვიფიქრეთ, იმ ბეროკაცს რაღა სხვამ შეატყობინოს და გული გაუხეთქოს, ისევე ჩვენ მივიღეთ და წელა შეგვაპართოქვა. ჰოდა, აი, მოვედით.

— უფ!... თქვენ გადაგრიოთ გამჩენმა ღმერთმა! მართლა მაგიტომ მოსკვდილი?

— მაგიტომ, — დაუდასტურეს არქიფომ და იორამმა.

— არა, — იულო ვაციებელი იყო და ცოტა ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა. — მთლად მასეც არ არის... შენი არ იყოს, გერასიმე, ის ქალი ნასწავლია, დღეს თუ ხვალ ინჟინერი ვახდება, ეს ჩვენი ჯიბრაილი კი... ჰოდა, ვინ იცის, ეგ ამბავი როგორ ვათავდება. ჩვენ არც ირინეს გაბახება გაგვეხარდება, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ჯიბრაილი გაბიბრუვდეს. ზომ იცი...

— ვიცი... ვიცი და კიდევ გუეზნებოდიო, — გერასიმემ თაფი დარღინად გადააქნია და ამოიხვინა.

ოთხივენი კარგა ხნით ჩაფიქრდნენ.

• • •

ეს პატიოსანი ხალხი იმოდ შფოთავდა. ირინესა და ჯიბრაილს უერთმანეთოდ ცხოვრება უკვე აღარ შეეძლოთ, დამდეგ შემოდგომაზე ირინემ ქუთაისის ფილიალში მატრიკული დახურა, დიპლომი აიღო. ქვანახშირის ქალაქში სამუშაოდ გამოვიდა, და ტრესტის ტექნიკურ განყოფილებაში მოეწყო. იმავე კვირაში მან და ჯიბრაილმა ხელი მოაწერეს.

ის ამბავი, რომ ჯიბრაილს ინჟინერის დიპლომი კი არა, საშუალოს ატესტატიც კი არ ჰქონდა, ირინემ ბარე ერთი წლის შემდეგ გაიგო. ეს ერო საღამოს თვითონ ჯიბრაილმა შეაპარა, როცა საქმე

არაფერი ჰქონდათ, ახლა, უკვე მშვენიერად მოწყობილ ოროთახიან ბინაში ლალობდნენ და თმაგაწეწილ, აწითლებულ, სიყვარულისგან მთვრალ ირინეს ამ ქვეყნად აღარაფერი ახსოვდა.

განიერ ტახტზე გულაღმა გამოთილ ჯიბრაილს ირინე სწრაფად მიუწვა გვერდით, ხელები კისერზე მოხვია და თავი შეკრდზე, სწორედ გულთან დაადო.

— გიციე, — ეს ისეთი კილოთი წარმოთქვა, თითქოს დიდი რამე აღმოაჩინაო.

— მართლა?... — ჯიბრაილს გაეღიმა.

— მაგრად გიციე... ხა-ხა-ხა!... გეტყობა, რომ ახალგაზრდა ხარ, ხა, ხა-ხა!... ჯიბრაილ, ლონიერიც ხარ?

— არა მიშავს... — ჯიბრაილს ისევ გაეღიმა.

— ხა-ხა-ხა!... აბა, ამიტაცე. ჩქარა! — ირინე წამოხტა, ჯიბრაილს ხელზე ხელი ჩაავლო და მიიზიდა.

ჯიბრაილი ღიმილით წამოდგა და თავისი ტანმორჩილი ცოლი ბუმბულივით აიტაცა.

— ხა-ხა-ხა!... — ბედნიერებისგან მთვრალ ირინეს თვალები ბრილიანტებივით უბრწყინავდა, — კარგია... ახლა წამომაწვიინე... შენც წამოწევი... თავი ასე...

ირინე ჯიბრაილს ისევ გვერდით მიუწვა, თმებში ხელები ჩაავლო, თავი გვერდზე გადაუწია და თვალებში ჩააცქერდა.

— შენ ახლა რამდენი წლის ხარ? ოცდაცხრის, ხომ? ოცდათხუთმეტის რომ იქნები, ტრესტის მმართველად დაგნიშნავენ.

— ეგ საიდან იცი?

— ვიცი, აბა, სხვა ვინ უნდა დანიშნონ?

— ვინმე გამოჩნდება.

— არა... შენს მეტი არავინ გამოჩნდება. სუ, მაგაზე აღარ დამელაპარაკო. ეს მარტო მე და შენ უნდა ვიცოდეთ.

— ბატონი ბრძანდები.

— მერე თბილისშიც გადაგიყვანენ. ოპო! შენ თუ მოინდომე, მინისტრო-

ბასაც მიაღწევ? ა? მაგრამ მინისტრობა მე არ მინდა...

— რატომ?

— რა ვიცი... ხა-ხა-ხა! მაგაზე არ მიფიქრია. ისე, მინისტრის ცოლობა კარგი იქნება? ა, ჯიბრაილ? როგორ გგონია? ცუდი იქნება?

— არ ვიცი...

— ხა-ხა-ხა!... არა. თუ ახალგაზრდა, ხარ, ყველაფერი კარგია, ა? ჯიბრაილ.

— ის დრო წავიდა, ირინე...

— ა?

— ის დრო წავიდა, რევკლასიანებს მინისტრებად რომ ნიშნავდნენ.

— ვის?!

— რვა კლასადამთავრებულებს.

— მერე?!... შენ რვა კლასის ცოდნა გაქვს?!... — ირინემ თითქოს რალაც იაზრაო.

— არა.

— აბა?!... — ირინემ წამოიწია. იდაყვს დაეყრდნო და ქმარს სახეში ჩაანერდა.

— ერთი-ორი კვირა, მახსოვს, მეცხრე კლასშიც ვიარე.

— რაო?... მერე?

— მერე არაფერი.

ორინე წამოხტა, სკამზე დაჯდა და თმები გაისწორა: მისი ირიბი თვალები რისხევანარევი გაკვირვებით ეღვარებდნენ.

— რას ლაპარაკობ ჯიბრაილ?!

— სიმართლეს.

— ესე იგი...

— მაგაზე, ირინე, უფრო ადრე უნდა გველაპარაკა.

— მოიცა, კეთეს ნუ მასწავლი. შენ სულ რვა კლასის ცოდნა გაქვს?

— არც მეტი და არც ნაკლები.

— აბა, უბნის უფროსად როგორ დავაყენეს?

— დაკვირდათ და დამაყენეს.

— ტექნიკუმიც კი არ დაგიმთავრებია.

— არა.

— ჯიბრაილ... — ირინეს ანახლად თვალები ცრემლით აევსო, — ეგ რატომ აქამდე არ მითხარი?

— არ გიკითხავს.

— ღამცინი?

— არა, სიმართლეს გეუბნები, რომ მეთქვა, ცოლად აღარ გამოყვებოდი.

— ახლა... მართლაც... — ირინე სიტყვებს ველარ პოულობდა, — ღირსი არა ხარ, რომ ახლავე გავშორდე?

— აბა, აბა! — ჯიბრაილი უცბათ წამოხტა, ცოლს მისწვდა, ბავშვივით აიტაცა და გულზე მიიკრა, — შენ რაებს ლაპარაკობ?

— გამიშვი.

— არა, შენ რაებს ლაპარაკობ?

— გამიშვი.

— არა, — ჯიბრაილმა ირინე ტახტზე გადააწვინა და ისეთი გაშმაგებით დაუწყო კოცნა, თითქოს პირველად ეღირსათ: ირინე უხმოდ ტიროდა.

იმ ღამეს, — ჯიბრაილმა ის იყო, ჩათვლიმა, — ირინე თვითონ მიუწვა ქმარს, ორივე ხელი დაუქირა და ნიკაბი მხარზე დაადო.

— რატომ დროზე არ მითხარი? დარეჯან ბიკოლას და ქაიხოსრო ბიძიას რა ვუთხრა? იმათ შენ იჩიენერი ჰგონიხართ. ახლა მე რაღა ვქნა?

დარეჯან და ქაიხოსრო ქარცივაძეები ირინეს გამზრდელები იყვნენ. ირინეს მეტი არავინ ჰყავდათ, შვიც მასზე ამოდიოდათ და მთვარეც.

ჯიბრაილმა არ იცოდა, ირინესთვის რა ეპასუხა. მაგრამ თვითონ ირინემ პასუხი არც დააცალა.

— კარგი, ახლა მომისმინე: ატესტატსაც აიღებ და სამთო ტექნიკუმსაც დაამთავრებ. ეს ულაპარაკოდ! მერე, ვნახოთ... სამთო ფაქულტეტი მე დაემათავრე და შენ ვერ დაამთავრებ? დამპიროდი.

— გპირდები.

— პატიოსანი სიტყვა მომეცი.

— პატიოსან სიტყვას გაძლევ, — ჯიბრაილს თავისი ირინე, თავისი მოზღენილი, ირბთვალა, ცხელტუჩებიანი ცოლი ეხუტებოდა და ამ წუთში ყველაფერზე თანახმა იყო.

— ჰოდა, ასე... ახლა მომისმინე. იცოდე, ფეხმძიმედა ვარ, დიახ... სუ...

ქერ აღრეა. როცა დრო მოვა, გაიგებ და იცოდე პირობა-პირობა... მიშვი...

ირინე ქმრის მკლავებს გაუსხლტა და თავის საწოლზე გადავიდა. ჯიბრაილმა სიბნელეში გაიღიმა და ბალიში ჩაიხუტა.

* * *

ჯიბრაილი თავისი სიტყვის კაცი იყო. ირინეს დაჰპირდა, ატესტატს ავიღებო, და იღებდა კიდევ. მაგრამ ნათქვამია, კარგი ცხოვრება აღამიანის მტერიყო. უბანზე ბევრი საქმე ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა. განათხულებულ ირინეს გოგონა ეყოლა და ცოლ-ქმარს სიხარულიც მოემატა და საზრუნავიც. ისე, ოჯახი საეც ჰქონდათ, სახელი და პატივისცემა — უფრო მეტი. დღე არ გავიდოდა, რომ ჯიბრაილის სადილად მაგიდას ათამდე კაცი არ მიჯდომოდა. ჯიბრაილს სოფელში ასვლა და ატესტატისთვის საჭირო საბუთების მოგროვებაც დაეზარა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი ის იყო, რომ ჯიბრაილს — მოწიფულ, სახელმოწვევილ და პატივცემულ ვაჟაკს სიკვდილივით ეზარებოდა ვიღაც კანკებტიტველა გოგო-ბიჭებში ვარევა და ალგებრა-გეომეტრიის ჩაბარება. რამდენჯერმე წარმოიდგინა, თუ ის გოგო-ბიჭები როგორ აჯობებდნენ მას ამ საგნების ჩაბარებაში, — თვითონ მას ხომ იჩიო-ბინჩიცი აღარ ახსოვდა; იქნებ, ეს მოწიფული ვაჟაკი იმ გოგო-ბიჭებს საცინიდაც აეგდოთ. ამის წარმოდგენაზე ჯიბრაილს ტანში აყრეოლებდა. და ესეც კიდევ არაფერი: სკოლის დირექტორი, გამომცდელები, კომისიის წევრები — ხომ ყველანი მიხვედრილნი იქნებიან, — ამ ვეება ვაჟაკს ატესტატი აღმათ იმიტომ გაახსენდა, რომ რაღაც თანამდებობა უქირავს და ეშინია, არ დაეკარგო. აბა, თმა გაქალარაგებია და საშუალოს ატესტატი ახლა გაახსენდაო? ო, ჰო, ჰო... ეს როგორი ასატანი იქნება? რა ვაჟაკის საქმეა, თანამდებობის გულისათვის ბიჭ-ბუჭებზე ფარევა, გამოცდებზე დაჯილათი და გვირგვინილი სამიანგჭეს!

მათხოვრება? არა, ნურას უკაცრავად! ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი სხვა ცოლისაგან გახლავთ მოხვლილი. ჩამლილი უბანი ამოქაჩა, შახტაზე წითელი ვარსკვლავი ანათო და სამი წელიწადია, მთელი რაიონის უბნებში პირველობას იწარჩუნებს. მაინც მოხსნიან? რისთვის? რალაც ქალაქის გულისათვის? მოხსნიან; თუ მაგათ მეტი ჰქუა არა აქვთ, გზაც იქით ჰქონიათ! ჯიბრაილი კი უბრალო მებრძვლად კარგად იმუშავეს, შემოსავალი მეტი ექნება და პარტიის-ცემაც არანაკლები.

ირინესათვის მიცემული სიტყვა ჯიბრაილს ამ ფიქრებმა გაატეხინა.

თვითონ ირინეს ჩვილი ბავშვი, სამსახური და გაუთავებელი სტუმრიანობა უამრავ დროსა და ძალას ართმევდა. საღამოობით ისე იყო ზოლმე დაქანცული, რომ ერთი სული ჰქონდა, ჩემს ლოგინში როდის ჩაეწვები და ძვალ-რბილს მოვასვენებო. თან ირინე თვითონაც მშვენივრად გრძნობდა, რომ ჯიბრაილს სიკვდილი ერჩია გამოცდებზე ვიღაც უწლოვან ბავშვებთან ერთად გასვლას და „სამიანების ჩამომათხოვრებას“ — ირინე თავის თავსაც არ უტყდებოდა ამაში, მაგრამ გრძნობდა, რომ აქ ჯიბრაილი მართალი იყო, შახტაზე კი, თავის უბანზე, ირინეს მოხდენილ, ვაჟკაცურ და იღბლიან ქმარს საქმე მართლაც საათივით ჰქონდა აწყობილი. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს სახელი და პორტრეტები არ შორდებოდა საბატო დაფასა, თუ ადგილობრივი გაზეთების ფურცლებს. უკვე სამი წელიწადი გავიდა რაც უბანი რიტმულად, შეუფერხებლად მუშაობდა და არა მარტო შახტის, არამედ, მთელი ტრესტის საქმეს ასწორებდა. იმ წლებში ვინმესთვის რომ გეტქვით, ჯიბრაილს უბნის უფროსის თანამდებობიდან მოხსნიანო, ალბათ, ვიცი ეგონებოდით. არა, ირინეს ჯიბრაილთან დავა და კამათი ნამდვილად არ შეეძლო. და როგორღაც, თავისთავად ისე მოხდა, რომ ჯიბრაილის ატენტატის საქმე სამერმისოდ, გაურკვეველი დროისათვის გადაიდო.

ირინესული
ხელმოწერა

უბედურება კი მოულოდნელად მოხდა, სწორედ მაშინ, როცა მას არავინ ელოდა.

ჯიბრაილის უბანი წინ სწრაფად მიიწევდა და გახაფხულის დამლევს ახალისაკონვეიერო შტრეკის გაყვანა დაჭირდათ. საქმე საჩქარო იყო და ჯიბრაილმა, სარდიონისა, შახტის მთავარი ინჟინრისა და მარკშეიდერების თანხმობით, გვირაბის გაყვანა ორი მხრიდან გადაწყვიტა, ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე ინჟინრებმა წიფის გვირაბი გაიყვანეს: მუშების ერთი ნაწილი იმერთიდან ქართლისაკენ მოიწვედა, მეორე ნაწილი კი პირიქით — ქართლიდან იმერთისაკენ. ერთმანეთს შუაგზაზე უნდა შეხვედროდნენ და შეხედნენ კიდეც. ოღონდ წიფის გვირაბი მატარებლებისათვისაა ნავარაუდევო, ამიტომ განიერი და მაღალია; შახტის საკონვეიერო შტრეკი კი სულ ერთი კაცის, ან კაცნახევრის სიმაღლე თუ იქნება და აქ მუშაობა ბევრად უფრო ძნელია.

ჯიბრაილმა ერთი ბრიგადა ორად გააყო. თითო ჯგუფმა შვიდ-შვიდი, თუ რვა-რვა კაცი იყო. ერთი ჯგუფი ზედა სავენტილაციო შტრეკიდან ქვევით, მთავარი შტრეკისაკენ მიდიოდა, მეორე კი პირიქით — ქვევიდან, მთავარი შტრეკიდან ზევით, სავენტილაციოსაკენ. სამუშაო პირობები ორივე ჯგუფს ერთნაირი ჰქონდა და ერთმანეთს სწორედ შუა გზაზე უნდა შეხვედროდნენ.

დღელამეში ყოველი ჯგუფის მებრძოხევაარი ან ორი მებრძოს სიგრძის გვირაბი გაჰყავდათ. ქვანახშირის ფენას ამონალით აფეთქებდნენ, ჩამონგრეულ ნახშირს გამოზიდავდნენ და წინ წაწეულ გვირაბს ბიგებით ამაგრებდნენ. ერთმანეთთან ორივე ჯგუფი საშახტო ტელეფონებით იყო დაკავშირებული. ჯგუფების შეხვედრა და მთელი შტრეკის დამთავრება აგვისტოს შუა რიცხვებისათვის იყო ნავარაუდევო.

ქვევიდან, მთავარი შტრეკიდან ზევით მიმავალ ჯგუფს დიანოს გოლეთიანი

ხელმძღვანელობდა. ცოტა მოუქნელი, მაგრამ ძალიან ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო. მიწისქვეშეთში ბარე ოცდაათი წელი ისე იმუშავა, რომ ფრთხილი არ წამოსტკენია. მით უფრო გასაოცარი და მოულოდნელი იყო ის ამბავი, რომელიც მას დაემართა.

მანძილი ერთმანეთის შესახვედრად მიმავალ ჯგუფებს შორის დღითიდღე მცირდებოდა. ახლოვდებოდა დღე, როცა ჯგუფები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ და შტრეკის გაყვანაც დამთავრებულყო. და ახლა განსაკუთრებულად წინდახედულება და სიფრთხილე მართებდათ: შეიძლებოდა, ქვანახშირის უკანასკნელი ფენა ორივე მხრიდან ერთდროულად აეფეთქებინათ. ვინ იცის, ამას რა უბედურება მოჰყვებოდა. თორმეტ აგვისტოს ჯიბრაილი შახტის მარკშეიდერებთან შევიდა იმის გასაგებად, თუ რა მანძილი რჩებოდა ჯგუფებს შორის. მარკშეიდერებმა დაამშვიდეს, არანაკლებ ოთხი-ხუთი მეტრისაო. ჯიბრაილმა კი იცოდა, რომ ასეთ შემთხვევებში მარკშეიდერები ზოგჯერ ცდებოდნენ და სიფრთხილე ამკობინა. ორივე ჯგუფი შეჰყარა და გამოუცხადა, ხვალიდან საკონვეიერო შტრეკს მხოლოდ ერთი მხრიდან — მთავარი შტრეკის მხრიდან გაიყვანთო. მეშახტეებმა ჯიბრაილს წინდახედულება მოუწონეს და დათანხმდნენ. მეგრე ისევ იმ ორ ჯგუფად გაიყვნენ. — ეს უკანასკნელი დღე ზომ ისევ ორივე მხრიდან უნდა ემუშავათ, — და შახტში ჩაივლინენ.

რა ეშმაკმა აატრუა იმ დღეს დიანოს გოლეტიანი, ეს მართლაც უსაშველოდ ფრთხილი და წინდახედული კაცი, ეს ღმერთმა. იცის, ეს კი იყო, რომ იმას, რაც გოლეტიანმა იმ დღეს ჩაიდინა, გამოცდილი მეშახტე კი არა, უწლოვანი ბავშვიც კი არ იზამდა.

გვირახის ბოლოში — მეშახტეები ანას „სანგრევის უბეს“ ეტყვიან, — მისვლა ცოტა შეაგვიანდათ, ხეტყას მზიდავებმა საბიგე მორება დროზე ვერ ჩამოზიდეს. როცა უბესთან პივიდნენ, გვირახის მეორე მხარეს, ალბათ, უკვე

შუაგულ მუშაობაში იყვნენ. გოლეტიანი, მაშახტეებს ურჩია, მორებს გავიწეტიდან ჯერ ნუ გადმოტვირთავთო, თვითონ კი სანგრევის უბესთან გავიდა, დაიხარა და ნახშირის შავად მბრწყინავ ფენას ყური მიუვლო. ალბათ, იმის შემოწმება უნდოდა, მარკშეიდერები ხომ არ შეცდნენ და გვირახის მეორე მხრიდან მუშაობის ხმაური ხომ არ ისმისო.

— რას შერები კაცო?! — მიქახეს მეშახტეებმა, — არ აფეთქებდნენ! დარეკე მაინც არი!

— იპ... გოლეტიანმა ხელი ჩაიქნია, კიდევ უფრო მოიხარა და ნახშირის ფენას ყური თითქმის ზედ მიადო, — რაღა ახ...

იმის თქმა ძლივს მოასწრო და — ნახშირის პლასტმა უეცრად იქუხა და გადმოინგრა. მთელი გვირახი შეზანზარდა. მეშახტეები აფეთქების გრილმა დააყრუა. შტრეკი სქელი თეთრი ბოლით გაიფსო. როცა კვამლი ოდნავ შეთხელდა, მეშახტეებმა ქვანახშირისა და ფუქი ქანის ვეებერთელა ლოდებს ქვეშ მოქცეული, ქალღღივით გაფითრებული გოლეტიანის თავი-ღა დაიხახეს. გოლეტიანი ხმას ვეღარ იღებდა, ხანდახან ამოიკვნესებდა ხოლმე და შველას უგონო თვალებით ითხოვდა.

შახტის მარკშეიდერები შემცდარან, ერთმანეთისაკენ მიმავალ ჯგუფებს შორის ერთი მეტრიც კი აღარ იყო დარჩენილი. ზევიდან მომავალი ჯგუფი არავის გაუფრთხილებია და მათ ნახშირის პლასტი სწორედ მაშინ ააფეთქეს, როცა გოლეტიანმა მას ყური მიადო. რა უჭირდა ამ ოჯახაშენებულს, ტელეფონის ყურმილი აედო და იმ ჯგუფისთვის დაერეკა, აფეთქებას ხომ არ ამირებთო?

გვირახები შეერთდა და სანგრევი სუფთა, გრილი ჰაერის ქავლი შემოიჭრა. სასწრაფოდ გამოძახებულმა შახტის ექიმმა კი დაამოწმა, დიანოს გოლეტიანს მარჯვენა წვივის დახურული მოტეხილობა აქვსო. მეშახტეების საერთო აზრით, გოლეტიანი კიდევ აღვივლად გადაარჩა. შეიძლებოდა, აფეთქების ძალას

ისე დაეგლიჯა, რომ მისი სხეულის ნაფლეთებიც ვეღარ ეპოვნათ.

• • •

ეს შემთხვევა გახდა ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნის საბაბი.

აფეთქებიდან ერთი საათიც არ გასულა, რომ შახტის ეზოში სამთო ზედამხედველის დამიანე ჭყონიას „ვოლგა“ შემოიჭრა. ჩასუქებული, მაგრამ ფერნაკლული პირქვეში გამომეტყველების დამიანე მანქანიდან გადმოხტა და, არავის მისალმებია, პირდაპირ კიბეს მიაშურა. სარდიონის კაბინეტში ისე შევიდა, რომ არც კი დაუცკუნებია. სკამზე დაეშვა და სარდიონს თავი უბმოდ დაუქნია.

თანი მუხამი

ჯიბრაილის მოხსნა უბნის მეშახტეებს შორის ყველაზე მწვავედ იორამ ნოსელიძემ განიცადა. ან რა გასაკვირია? არა, გერასიმე ცნობილაძეც, იულოც, არქიფო ცალუღლიშვილიცა და სხვებიც, ძალიან დაზაფრულები იყვნენ, მაგრამ... იორამის საქმე სულ სხვანაირად იყო.

იმ მეშახტეების სიტყვები — სხვა უბნებზე არ მიგვიკარებენო — სათქმელიც კი არ იყო. რომელი უბანი არ მიიკარებს გერასიმე ცნობილაძეს? მეორე მაგისტანა მეზივე მთელს საქართველოში არ მოიძებნება. სანგრევის ჭერს ერთხელ კი შეაღებეს თავის ერთადერთ თვალს და — მორჩა! მეტრიც კი არ კირდება. მორებს ისეთ ადგილზე გადახერხავს. ჭერს ისე შეუყენებს და მოარგებს, რომ ერთ სანტიმეტრშიც კი არ შეცდებია. ჭერ ადამიანიშვილს არ ახსოვს, რომ გერასიმეს გამაგრებული სანგრევი ნიფათიანი გამომდგარიყოს. ახლა არქიფო? ახლა იულო? ასეთი გამოცდილი, სანგრევი დაუზარელი და პატიოსანი მეშახტეები ნანთლითაა სანებზარი: მაგათ რომელი უბანი ეტყვის უარს? ხელ-

— აბა?

— მარკშიდერები შეცდნენ, ბატონო დამიანე!

— ოჰ! — დამიანე ისე დაიქყანა, თითქოს მტკივან კბილს აძრობენო, — მე მაგას არ გეკითხები. გამაგებინე, მოხსნი, თუ არ მოხსნი?

— მოვხსნი, ბატონო... მოვხსნი...

— როდის?

— ახლავე.

— ახლავე მოხსენი!

სარდიონმა ზარს ხელი დააკირა და შემოსულ მარგალიტას ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნის ბრძანება უკარნახა.

ფასის ფონდი თუ არ ეყოთ, თავისიონებს გამოპყრიან და მაგათ მიიღებენ. ყოველ უბანსა და ყოველ ბრიგადაშია ისეთი ხალხი, რომლებსაც თავიდან ყოველთვის დიდი ხალხით მოიშორებენ, ამას ლაპარაკი არ უნდა.

იორამი კი სულ წელიწადნახევარია, რაც შახტში მუშაობს. ჭერ იყო და, სამოყიანი ნიჩაბი მისცეს ხელში და სანგრევი ქვანახშირის ნარჩენებს ახვეტინებდნენ — თუ მართლა მეშახტეობას აპირებ, ყველაფერი უნდა იცოდე და ყველაფერი გამოსცადო. კეთილი და პატიოსანი! იორამი ამაყი და თავმოყვარე კია, მაგრამ უგულო ამპარტავან სულაც არ არის. რაკი ასე უთბრეს, მორჩა! ალბათ, საჭირო ასე იყო. კრიტიცი არ დაუბრავს, ის ნიჩაბი ისე აიღო ხელში. სანგრევს ისე მოასუფთავებდა ხოლმე, რომ ქვანახშირის ერთ ნამცეცსაც ვერსად იპოვნიდით. ყოველგვარი საქმე კარგია, თუკი ხალხსათვის სარგებლობა მოაქვს. ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, იორამმა იმ რამდენიმე თვეში სატელეფონოს რამდენიმე ათეული ტონა ქვანახშირი ჩააბარა. კორტა? არა;

ცოტა სულაც არ არის. და ვისაც გულს ფრჩხის, ის ნიჩაბი ახლაც იქაა, მიღგეს და იმან იორამზე მეტი ჩააბაროს. იორამს ეს არ ეწყინება.

მერე უფრო ძნელ საქმეზე — ხეტყის მზიდავად გადაიყვანეს. ო, ეს კი უკვე მძიმე და სახიფათო საქმეცაა. ხეტყის მზიდავი უკვე ნამდვილი მეშახტეა. ის კაცის სიმსხო, ნედლი და ტყვიასავით მძიმე მორები ზოგჯერ ისეთ ჭურღმულეებში უნდა ათრიო, რომ იქ წელში გაიმართები კი არა, ორად მოკაულოც ვერ ეტყვი. იორამზე დაბალი კაცი რაღა იქნება, მაგრამ, სიტყვაზე, ზოგიერთ ხერელში იორამი ორად მოხრბლიც ვერ ეტეოდა. ზურგზე კი იმისმძიმე ტვირთი კვიდია. იორამმა ბევრი ოფლი ღვარა და ბევრი წვალეზაც ნახა. მაგრამ ამ საქმეშიც პირნათლად გამოვიდა. შემთხვევა არ ყოფილა, რომ იორამის მიზეზით მებვიგებს ხეტყე შემოკლებოდეთ. ბიჭები დამკვრელურ ვახტზე რომ დადგებოდნენ, ორჯერ და სამჯერ მეტი ხეტყე ჰირდებოდათ, ვიდრე ისე დღეებში და — კი, ბატონო! იორამი მუდამ მზად იყო. არც ერთხელ არავინ დაულაღატებია. საპატიო დაფაზე მერე სხვებს აკრავდნენ — ბევრი ნახშირი მონაგრიაო, ხეტყის საწყალი მზიდავი კი აღარავის ახსენდებოდა. მაგრამ ესც არაფერი. იორამი ჯერ ახალგაზრდაა. საპატიო დაფასაც მოესწრება და ყველაფერსაც. სამავიეროდ სხვაფერიც იყო კარგად. პრემიებს პირდაპირ, სათვალავი აღარ ჰქონდათ. ყოველი თვის ბოლოს — ასი, ასორმოცა, ზოგჯერ ასოთხმოცი მანეთი — მობრძანდი, იორამ და მიირთვი. ეს — მარტო პრემიები. ხელფასი კიდევ სხვა იყო. რასაც მიწისქვეშეთში წვლობდა, იმას ერთი ათად ზევით ინახლათურებდა. დედას საყაბე უყიდა, უმცროსი დამამც შემოსა, არც თავის თავს ივიწყებდა. ჩაიცვა, გამოეწყო. უბნის ბიჭები ერთიორჯერ რესტორანში შეიყვანა, ერთი სიტყვით. უკვე კაცად ითვლებოდა. ერთხელ ადგილკომში დაიბარეს, ტერნტი ჩავუნდავ კების სიგელს. დაპირდა

და თუ გინდა, „მოსკვიჩის“ რიგშიც ჩავაყენებო. ავტომანქანაზე იორამმა მშინ უარი უთხრა, არ მეჩქარებო! სხლაკი...

ახლა რაღა იქნება?

იორამს თვითონაც გამოუცდია და უფროსებისგანაც გაუგონია, თუ რაც ცეცხლზე იწვიან მეშახტეები, როცა უბანს უფროსი არ უფარვა. ლავროსი აბეანდაძე უპატიოსნესი და უფულითადესი კაცი იყო, მაგრამ მის გახსენებაზე მეშახტეები ახლაც ამრეზით ხელს იქნევდნ. უბნის უფროსობას პატიოსნება როდი ჰყოფნის. ჯიბრაილი — აი. ვინ იყო ნამდვილი უბნის უფროსი. მამას პატიოსნებაც ჰყოფნის, გულითადობაც და ბევრი სხვა რამეც, რაც უბნის უფროსს ჰირდება. ჰყოფნის კი არა. შეტყია აქვს. მაგრამ ჯიბრაილი მოხსნეს. ბრძანება იორამმა საკუთარი თვლით წაიკითხა. ამას აღარაფერი ეშველება და ჯიბრაილს უყანვე აღარავინ დააბრუნებს, მაგრამ საქმე ახლა ეს არის — ჯიბრაილის მაგიერ ახლა ვინ იქნება? უბანს ვინ გაუძღვება? ანთიმოზ ჩახუნაშვილი? ჰა, ღმერთმა ნუ ჰქნას! და ამას არც თვითონ ანთიმოზი იზამს. ჯერ არ გაგივებულა. იცის, რომ ვერ გაუძღვება. კარგი, აბა, ვინ? ზაფხულის დამლევს თბილისიდან ახალგაზრდა ინჟინრები ჩამოდინ ხოლმე, მაგრამ ახალგაზრდა ინჟინერს პირდაპირ უბნის უფროსად არავინ დააყენებს. იმან ჯერ პრაქტიკა უნდა გაიაროს. შახტები და უბნები კარგად გაიცნოს: მამ ვინ? ვის ხელში იქნება ზვალიდან იორამის ბედობლი?

ეჰ, ყველაფერს ბედი უნდა. იორამის დედა პირდაპირ თავს იკლავს, იამზე შეირთე და შეირთეო. კი, ბატონო, იორამს ის მუდამ მოცინარი, ანცი და დიდგრომელი იამზე თვითონაც მოსწონს, მაგრამ... თუ უბნის საქმეები უკულმა წავიდა? მაშინ, რა ჰქნას? იამზე ხელფასზე იცხოვრონ? იამზე სააკუმულიტოროში მუშაობს, იქ არც პრემიებია და არც არაფერი. ან გინდაც იყო, რა

იორამი იმას იკადრებს, რომ თავისი თავი, და-ძმა თუ სნეული დედა ცოლს შეანახეინოს? უკაცრავად... უკაცრავად! კარგი, მაგრამ... მაშ, რა ჰქნას იორამ-მა? ცოლის თხოვა გადასდოს? სანამდე? იორამი და იამზე თითქმის საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ხელს სახალწლოდ

მოაწერენ. კარგი, ჯანდაბას, ამის გადადებაც შეიძლება. იამზე კოლონელს გვე-გებს, სხვამ კი ეს ამბავი არავინ იცის. მაგრამ სანამდე? როგორ იქნება სვალ-დან უბნის საქმეები? სადაა ამის ჰასუ-ხი? არსად. ეჰ, აღამიანი ღმერთს სა-ტანჯველად გაუჩენია და ეგ არის.

თავი მეოთხე

თეიმურაზ არაქვეანიძე თბილისის სადგურზე მარტო დედამ გამოაცილა. მეტი არც ვინმე ჰყავდა. მამა საავ-ტომობილო კატასტროფაში დაღუპო-და და აღარც ახსოვდა. და კი, მშვეი-ნარი, შვიდი წლის წინათ გათხოვდა და თჯახს მალე ჩამოშორდა. მისი ქმარი, ორმოცს გადაცილებული ალექსანდრე ბაქელიძე თბილისის ერთი კარგა მოზ-რდილი რაიონის პროკურორად მუშა-ობდა და ახალგაზრდა ცოლს კატეგო-რიულად აუქრძალა „ნათესაობიას და სხვა ამისთანაობიას თამაში“.

ეს ამბავი გულამოსკენით მტირალმა მშვეინარმა მერე ჩემად უამბო დედას. „მე კანონს ვემსახურები, — ბრძანა თურმე, იუსტიციის მეორე კლასის მრჩეველმა და აღუბლის მურაბიანი ჩაი ხმაურით მოხერხა ლამბაქიდან. — ხო-ლო იმისათვის, რომ კანონს პატიოსნად ვემსახურო, არა? დიახ, — ...ამისათ-ვის უკეთესი იქნება, თუ ნაკნობ-ნათე-სავეების ტვირთს თავიდან მოვიშორებთ. მეც და თქვენც დღეის ამას იქით ერთი ინტერესები გვაგამოძრავებს და ამ ინტე-რესებს შორის მთავარია — რა? აქ ნთავარია კანონის ერთგულება და სამ-სახური. დიახ, ნაკნობობა და ნათესაობა კი ჩვენ ხეირს არ დაგვყარავს. მე არა-ფერი ცუდის თქმა არ მინდა თქვენს ოჯახზე, მაგრამ რა ვიცი, ხვალ რა მოხ-დება? იგივე თქვენი ძმა — სტუდენტი, არაა? დიახ. ხომ შეიძლება, რასაკვირ-ველია... არა. მე ცუდს არაფერს ვამ-ბობ, მაგრამ სიტუაციის თავი არ არ-

კევია. იარეთ ერთმანეთთან, ჩემო ბა-ტონო, დღესასწაულებზე, ამას მე ვერ დავიშლით და არც დავიშლით. მიულო-ცეთ, თუ ვნებავთ ერთმანეთს პირველი მისი, შვიდი ნოემბერი, ახალი წელიწა-ლი. დიახ! მაგრამ ნათესავეებში გათქვე-ფა, ერთგვარი ფამილიარობა და ამისთა-ნები — არა, მსგავსი მოვლენები, და რამ ჩვენ საერთო ჭალ-ლონით უნდა დავვმოთ“.

და დაავლობინა კიდევ პირველ ხანებ-ში მშვეინარი ქმრის რიღით ერიდებო-და დედასთან და ძმასთან სიარულს, თუ მოვიდოდა, ერთთავად ტიროდა და თა-ვისი გაჩენის დღეს წყევლიდა. ასეაი ქმარი რატომ შემხვდაო, მერე ბავშვი გაუჩნდა. პირველ ბავშვს მეორე მოჰყვა. მშვეინარს ჩამოსაქდომდაც აღარ ეცა-ლა. მერე, ბავშვები რომ ოდნავ წამოი-ზარდნენ, პროკურორმა ისინი საბავშვო ბაღში მიიბარა და მშვეინარს სასამარ-თლოს რეგისტრატურაში სამსახურა დააწყებინა, — მე მინდა, რომ საერთო აღმშენებლობის საქმეში თავისი წვლი-ლი ჩემმა ცოლმაც შეიტანოსო. და ასე დაიკარგა მშვეინარი თავისიანებისთვის. მელანო გულისტიკვილით ეტყუოდა ხოლმე თეიმურაზს, — მაგ გაგვიძული პროკურორის მაგიერ სიძედ. შენისთანა შარვაღამოხეული სტუდენტი შემხვე-დროდა, ნამდილად მერჩიავო, — და თვალზე მომდგარ ცრემლს მოიწ-მენდლა.

სადგურზე მელანო სევდიანად იყო. „ხმა ვის-ლა გავცე ამას იქითო“, — უთ-

— მანამდე სად ცხოვრობდი?
 — ავლაბარში, ბრძენის სკოლასთან.
 — აუჰ!
 — კი... შორსაა... არც ბინა გვიყარ-
 გოდა.

— ?!...

— ზამთარში ციოდა. ზაფხულში ჩა-
 სუთული იყო. აივანზე მეზობლის ბავ-
 შუებისგან ყურთასმენა აღარ იყო. ჩვენს
 აივანზე თოთხმეტი ბავშვი იყო — ორი-
 დან შვიდ წლამდე.

— აუჰ, — ნათიამ მხიარულად გაი-
 ცინა.

თეიმურაზი თავისი ენაწეულიანობით
 კმაყოფილი იყო. რამდენიმე ხანს ხმა-
 მყოლებლად იარეს. მერე ნათიამ ალ-
 მაცერად გამოჰხედა:

— სად მივდივართ?

ამ დროს რუსთაველის თეატრის პირ-
 დაპირ იყვნენ.

— რა ვიცი... სადაც შენ... სადაც
 თქვენ გნებავთ...

— მე ფუნციულიორზე მნებავს, —
 ნათიამ ჩანთა ისევ ხელიდან ხელში გა-
 დაიჭინა და თეიმურაზს დამცინავი მზე-
 რა შეავლო.

— ავიდეთ ფუნციულიორზე.

— საბაგირო გზით?

— თუ გინდათ, საბაგიროთი ავიდეთ.

— ავიდეთ.

ფუნციულიორზე იმ დღეს უამრავი
 ხალხი ადიოდა, საბაგირო გზის ქვედა
 სადგურთან ერთმანეთში ირეოდა ქარ-
 თული და რუსული, აზერბაიჯანული და
 სომხური, ფრანგული და ინგლისური.
 ნათია და თეიმურაზი მეოთხე ვაგონში
 ძლივს ჩასხდნენ. ვაგონმა რბილი რწე-
 ვით გადაუქროლა მთაწმინდის ქვედა
 კალთებზე ჩახერგილ აგურის, შუშაბან-
 დებიან და აივნებიან სახლებს და თეთრ
 გუმბათებიან რუსულ ეკლესიას. ფუნი-
 კულიორზე რომ გადმოვიდნენ, ნათიამ
 თეიმურაზს მკლავზე ხელი მოჰკიდა
 და მოაჭირთან მიიყვანა, საიდანაც ხე-
 ლისგულივით მოჩანდა მახათას. მთა და
 აქსენაღვ, მარჯვნივ კი ორთაჭალა, ავ-
 ლამბარს, ნავთლული და აეროპორტის
 მიღამრებბი.

— აი, შენი ავლაბარი, იცანი?

— რა დიდი ცნობაა...

— აბა, შენი სახლი დამანახვე...

— აქედან არ მოჩანს. სხვა სახლები
 ეფარება.

— მაინც?

თეიმურაზი კარგა ხანს აკვირდებოდა
 ოცდაექვსი კომისრის მოედანს და იქი-
 დან აეროპორტისკენ მიმავალ შაუმი-
 ნის ქუჩას. ბოლოს, ქუჩის მარცხენა
 მხარეს, დიდ სახლებს შორის ჩაკარგუ-
 ლი წითელი აგურის სახლი დაინახა.

— აი, წითელი, ძალიან წითელი აგუ-
 რის სახლი. ხედავთ?

— აბა, სად?

— აი, აი!

— ჰო, ვხედავ.

— ეგ უსინათლოთა. სკოლაა. აქედან
 პატარა მოჩანს, მაგრამ დიდი შენობაა.
 მაგის წინ, პატარა სახლების რიგი რომ
 ზევით და მარცხნივ, პეტრე-პავლეს სა-
 საფლაოსკენ მიდის, ის ფოსტის ქუჩაა,
 აა, მაგ ქუჩაზე ვცხოვრობდი.

აგურის ფხვნილით მოფენილ გზას
 ადგნენ და ზევით, ოქროყანის მიმარ-
 თლებით წავიდნენ. თითქოს ნელი ნა-
 ბიჯით, აუჩქარებლად მიდიოდნენ და
 ხშირ-ხშირად ისვენებდნენ, მაგრამ მა-
 ლე მაინც უკან დარჩა ხალხით გახუნძ-
 ლული ცისფერი ბაღის სკამები, აყრი-
 მულეზული ბავშვებით სავსე კარუსე-
 ლი, პლანეტარიუმი... ნათია წინ მიდი-
 ოდა, თეიმურაზი — ოღნავ უკან. ოქ-
 როყანისკენ მიმავალ საავტომობილო
 გზა გადასქრეს და მყუდრო, დაქანებულ
 ფერდობს მიადგნენ. აქ დაბალი ჩირგვ-
 ნარი ხარობდა. ირგვლივ ხასხასი ვაუდი-
 ოდა მწვანე ბალახს.

— აქ დაჯდომა შეიძლება? — ნათიამ
 მოშვილდული წარბები აწკიბა.

— რატომ არ უნდა შეიძლებოდეს?

— რა ვიცი... მილიციელი არ წამოგ-
 ვადგეს.

— მილიციელი აქ არ მოვა. ეს უკვე
 ოქროყანაა.

— ოქროყანა?

— ჰო, აი, აგარაკები.

— აქაურობას ასე კარგად იცნობ?

- არც ისე.
- აბა, აგარაკებიაო?
- ვყოფილვარ.
- რამდენჯერ?
- ერთი-ორჯერ.
- მარტო?
- ხან მარტო, ხან...
- გასაგებია. ფუჰ! — ნათიას ტანში გააერთოლა და თეიმურაზს ზიზლით შეხედა. — სად დავსხდეთ?
- სადაც გინდათ... აი, აგერ შეიძლება.

— მივიდეთ.
სანამ შეგულებულ მოლთან მივიდოდნენ, თბრილზე გადასვლამ მოუწიათ. ნათიამ ისევ მკლავზე წაავლო ხელი და მერე, სანამ ფართოდ ტოტებგაშლილ ტირიფთან მივიდოდნენ, აღარ გაუშვია. აქ გაჩერდნენ. ნათიამ ხელი ჩამოუშვა.

- აქ დავსხდეთ?
- რა უშაქს?
- კაბა დამესვრება.
- ბალახი სუფთაა.
- კაბა გამიმწვანდება.
- არ გაგიმწვანდება.

ნათია ბოლოს მიინც დაჯდა. თეიმურაზი მის გვერდით მოეწყო. იყუჩეს. ნათიამ ჩანთა მუხლებზე დაიდო, მოიხარა, ჩანთას ლოყა დაადო და თეიმურაზს აღმაცერად ამოჰხედა:

- აქ რატომ ამოვედით?
- თეიმურაზმა ამ კითხვის პასუხი ვერ იპოვნა. ის-ღა მოახერხა, რომ ხმაამოუღებლად მხრები აიჩეჩა.
- არც მე ვიცი. ვიფიქრე, მოდი, ვე-ტყვი, ფუნიკულიორზე ავიდეთ-მეთქი, და გითხარი. ბესარიონ მაგრაქველიძეს იცნობ?

- არა.
- არის ერთი.. ჩამციებია, ცოლად წამომყვევიო. წავყვი?
- თეიმურაზმა ვერც ამ კითხვის პასუხი იპოვნა და ისევ მხრები აიჩეჩა.

- მე ბევრი დამღევს, — ნათია თეიმურაზს ამკარად აღიზიანებდა. — ბრაზილიის მწვრთნელივით ვარ.
- ბრაზილიის მწვრთნელივით?
- ჰო, ბრაზილიაში იმდენი კარგი

ფეხბურთელია, რომ მწვრთნელმა აღარ იცის, ნაკრებში რომელი მწვრთნელის პოლა, მეც ისე ვარ. იმდენი კარგი მიჭი მემძლევა, რომ აღარც კი ვიცი, რომელი შევიყვარო.

თეიმურაზს გაეცინა. ისევ იყუჩეს. წელში მშვილდივით მოზრილი, ჩანთაზე ლოყადაყრდნობილი ნათია თეიმურაზს ისე გაუნძრევლად, დაეინებინთ ნისჩერებოდა, რომ ჰბაბუქმა თავგზა დაქარგა. სალაპარაკოც ველარაფერი ეპოვნა. ის-ღა მოახერხა, რომ რაღაც წაგრძელებული ბალახი მოწყვიტა და თავი წააცალა.

უეცრად ნათია წელში გაიმართა და წამოდგა.

- წავიდეთ.
- წამოდგა თეიმურაზიც.
- „სირცხელი ხომ არაა, უკონცელად რომ ეუშვებ? — გაუღევა მას, — კვიმატი ენა აქვს.. თუმცა, ჯანდაბას!“

— ხელი მომეცი!
თბრილზე ისევ ხელიხელჩაკიდებულეებმა გადმოაბიჯეს. მოასფალტებულ გზაზეც ასე ავიდნენ. აქ ნათია გაჩერდა და თეიმურაზს ხელი გაუშვა.

- წავიდეთ.
- საბაგირო გზის ზედა სადგურამდე ხმაამოუღებლად იარეს, ვაგონშიც უბრად იდგნენ. რუსთაველის მოედანზე რომ ჩამოვიდნენ, უკვე შებინდებული იყო.

- ტაქსი დამიჭირე.
- გაგაცილებ.
- არა. ეგ — მერე. როდესმე. გნახათ.

თეიმურაზი საქციელწამხდარი იდგა ქვის მოაჯირთან და ელბაქიძის დაღმარზე მიმჭროლავი ტაქსის წითლად მოცემციმე ნათურებს გასცქეროდა. ნათიას „როდესმე“ მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დადგა. ამჯერად კინო „სპარტაკში“ შევიდნენ და რაღაც უკემერი სურათი ნახეს, შუა სურათისას უკანა რიგიდან ვიღაც მაღალი, ბრვე, ნასვამი ახალგაზრდა წამოდგა, ჩაფიასთან ნიბარბაცდა, დაახარა, ტუჩები ზედ

ყურთან მიუტანა და რალაც ჩასჩურჩულა. თეიმურაზს ცივმა ოფლმა დაასხა. მთვრალი ახალგაზრდა მასზე ამკარად ღონიერი ჩანდა და, გარდა ამისა, შეიძლებოდა, ამფოსონებიც ზღებოდა. შეურაცხყოფის ვადაყლაპვაც არ ეგებოდა. მაგრამ სანამ თეიმურაზი რამეს მოიფიქრებდა, ნათიამ მთვრალს აღერსიანად მოუცაცუნა ხელი ლოყაზე, საკმაოდ ხმამაღლა უთხრა, — კარგი, მერვო, — და თავიდან მოიშორა. კმაყოფილი მთვრალი ბარბაცით დაუბრუნდა თავის ადგილს უკანა რიგში.

„ძალდადაც არ მაგდებს“, — გულმოკლულად გაიფიქრა თეიმურაზმა. იგი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული ელოდა სურათის დამთავრებას. არ იცოდა, იმ მობარბაცე ახალგაზრდასთან ურთიერთობა როგორ გაგრძელდებოდა. მაგრამ როცა დარბაზში სინათლე ანთო, ის მთვრალი ახალგაზრდა აღარსად ჩანდა. თეიმურაზმა ნათიას კითხვით შეხედა.

— ეგ შენი საქმე არ არის, — მოკლედ უთხრა ნათიამ და გასასვლელისკენ გატრიალდა.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შენვდნენ. თეიმურაზი სულ უფრო და უფრო სწორად იჭერდა ნათიას ხანგრძლივ, დაკვირვებულ, რალაცის მომლოდინე შემოხედვას. მაგრამ კოცნის უფლება ნათიამ მხოლოდ მაშინ მისცა, როცა ოქროყანის მიდამოებში მეორედ ავიდნენ და ისევ იმ ტოტებგამილი ტირიფის ქვეშ ჩამოსხდნენ.

ლურჯად და გრილად ბინდებოდა. გარშემო ჩამოწოლილ უსასრულო სიჩუმეს ხანდახან ქვევით, შარავზაზე მიმჭროლავი ავტომობილის საბურავთა შრიალი არღვევდა. ცაზე უძრავად ეკიდა უფერული მთვარე. სოფლიდან, თუ გადაღმა ტყიდან ნაჯახის შორეული კაკუნი იამოდა. თეიმურაზი გაუნძრევლად იჯდა და ფიქრობდა, იქნებ, დროც იყოს, ამ კუქუმალულობას ბოლო მოეუღო და ჩემს საქმეებს მივხედოო. უეცრად შიშველ მკლავზე თითების რბილი, ნაზი შეხება იგრძნო. ტანში გააეროლა. მოტ-

რილდა და ნათიას დიდრონ, უძრავ თვლებს წააწყდა. ის შავი თვალით ბინდებულში კიდევ უფრო ჩაშავებულიყვნენ და თეიმურაზს თითქოს შიგ სული სიღრმეში ჩასჩერებოდნენ. ნათიამ თეიმურაზს მკლავზე თითები მოუჭირა, თვლები ნელა დახუჭა და თავი ოდნავ გვერდზე და უკან გადასწია.

გამაბრუებელი ნეტარება სულ ერთ წამს თუ გაგრძელდა. ნათიამ რბილად მოიშორა თეიმურაზის მკლავები და ღრმად ამოისუთქა. თეიმურაზს მზერა აარიდა (არა, ასეთი სიმორცხვეს ნათიასაგან თეიმურაზი სულ არ მოელოდა). მერე წამოდგა, თმები გაისწორა, ჩანთა აიღო და თეიმურაზს რალაც ჩავარდნილი უღიმღამო ხმით უთხრა.

— წავიდეო.

მთავარ გზაზე რომ ამოვიდნენ, თეიმურაზმა საბავირო გზის ზედა ხაღვეურისკენ გადახვევა დააპირა, მაგრამ ნათიამ თავი ჯოუტად გადააქნია და საპირისპირო მხარეს, ოდნავ შეღმართულ ბილიკს დაადგა.

ფუნიკულორის მიდამოებში ბარე ერთი საათი იხეტიალეს. ნათია სულაც არ ჩქარობდა. ბუჩქნარში ზოგჯერ გაჩერდებოდა ხოლმე და ისე გაიტვრინებოდა, თითქოს კოჯრიდან მომავალ ნიავს ყურს უგდებსო. თეიმურაზს რამდენჯერმე ცივი მზერა შეავლო. მერე სიბნელეში, შორეული ნათურის შუქზე, ხეებს შორის ჩადგმული სკამა დაინახა. მივიდა და ჩამოჯდა... თეიმურაზი გვერდით მიუჯდა.

— მაშინ, კინოში, შეგეშინდა? — გულგრილად ჰკითხა ნათიამ და თან თმების სწორებას შეუდგა.

— არა.

— ბესარიონ მაგრაქველიძე ეგ არის.

— მერე?

— რომ იცოდე, საშიში კაცია.

— რას მიზამს!

— მოკლავს.

— ოჰო!

— სერიოზულად.

— ვნახოთ... ისე, შენი დიდი ხატრი ჰქონია შენ თუ თხოვ, აღარ მოქლავს.

- მაგას არავისი ხათრი არა აქვს.
- მაშინ ძალიან კი დაგიჯერა და . . .
- მაშინ... ისეთ ხასიათზე იყო.
- საერთოდ, რას გთხოვს?
- ეგ ერთხელ უკვე გითხარი!
- მერე?
- მერე და მერე.
- ჰმ!...
- ასეა.
- მერე აღარ გინახავს?

— ოო, ეს უკვე შენ აღარ გვებება, — ნათიამ თეიმურაზს ორი თითი ცხვირზე წაავლო და კარგა მაგრად მოუქირა, — აბა, წავიდეთ!

რუსთაველის მოედანზე ნათიამ თეიმურაზს ისევ ტაქსი გააჩერებინა, ჩაჯდა, თავის უხმოდ დაქნევით დაემშვიდობა და წავიდა.

„ყველაფერზე უკეთესი იქნება, თუ მე და ნათია სამუდამოდ დავშორდებით ერთმანეთს, — გაიფიქრა თეიმურაზმა, რომელიც ახლა მეორეჯერ მიატოვეს ქვის მოაჯირთან, და რომელიც ახლაც მაშინდელივით მისჩერებოდა ელბაქიძის დაღმართზე დაქანებულ ტაქსს, — ვიღაც ბესარიონ მაგრაქველიძე, კიდეც სხვა ვიღაცეები... სანამდე? არა, ჩემო ნათია. შენ ყოველ წამს იმის დამტყიცებას ცდილობ, რომ უჩემოდ გაძღევა შეგძლია. ვნახოთ, იქნებ მეც შევიძლო უშენობა“.

როცა ეს უცნაური რომანი გახმაურდა, თეიმურაზმა თავი დამნაშავედ იგრძნო. ამაყ, ზოგჯერ ცივსა და უკარება ნათიას ავისმსურველები არ აკლდა და არ დაინდობდნენ. არც დაინდეს და ჩურჩულ-ნიბიბითი მორთეს. ერთი-ორჯერ ლექციების შემდეგ თეიმურაზმა ინსტიტუტის შესასვლელთან გაჯგომული ბესარიონი და მისი ამფსონები დაინახა: ინსტიტუტიდან გამოსულ თეიმურაზს ავი თვალი გამოაყოლეს და ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს. ასე სანამდე უნდა გაგრძელებულიყო? არა, თეიმურაზს ბესარიონისა და მისი ავან-ჩავანების ოღნავადაც არ შეშინებია. მაგრამ აღამიანმა ხომ უნდა იცოდეს, საომრად რისი გულისთვის მიდიხარ? რა ჰქვია, ბო-

ლოსდაბოლოს, თეიმურაზისა და ნათიას ურთიერთობას?

თეიმურაზი

დრო კი მიდიოდა. თეიმურაზს სულ სუთიანებით დახურა მატრიკული და სახელმწიფო გამოცდებიც ბრწყინვალედ ჩააბარა. კათედრის საბჭომ ასპირანტურაში შესასვლელი რეკომენდაცია მისცა. მაგრამ იმ რეკომენდაციას სულ ერთი წლის ვადა ჰქონდა, ასპირანტის ერთეული კი იმ წელიწადს კათედრას არ მისცეს. თეიმურაზი სტუდენტი აღარ იყო და ველარც სტიპენდიას იღებდა. თბილისში სამსახურის შოვნა უიმედო საქმე გამოდგა. მელანომ ერთხელ კი წამოილაპარაკა სიმე-ბატონისთვის მიგვეკითხა, მაგრამ ჯერ ერთი ბაჭელიძე თავს არაფრის გულისათვის არ შეიწყულებდა მერეც, ძალიანაც რომ მოენდომებინა, სამთო ინჟინრისთვის პროკურორს რა სამსახური უნდა ეშოვნა? სამთო ინსტიტუტებსა, ტრესტებსა და სამმართველოებში — არსად ერთი თავისუფალი ადგილიც კი არ იყო. მელანოს პენსია კი რას გასწვდებოდა... თეიმურაზმა სწული ღედის ნამალევე ცრემლებსა და ოხერას ველარ გაუძლო და გადაწყვიტა, ჭეანახშირის ქალაქის გზას დადგომოდა. სამმართველოში ჯერ არც კი დაიჯერეს, რომ ფრიადოსანი, წითელდილომიანი, საასპირანტო სტუდენტი თავისი ნებით რაიონულ ქალაქში გადადიოდა. მერე კი, როცა თეიმურაზმა დაარწმუნა, ეს ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და ძალიანაც რომ მოვიინდომო, ველარ შეეცვლიო, გაიხარეს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს.

თეიმურაზმა საღამოს ნათიას დღურეკა. ყურმილში გაკვირვებული ხმა მოესმა:

- მართლა თეიმურაზი ხარ?
- მე ვარ.
- ბიჭოს! მე არც მეგონა, შენ თუ ჩემი ტელეფონი იცოდი.
- გავიგე.
- ყოჩაღ, როგორა ხარ?
- არა მიშავს.

ნათია

— მაგრამველიძეს ჯერ არ დაუბევი-
ხარ?

— ჯერ არა.

— იცოდე, ვიპირებს.

— ცოტა იჩქაროს.

— იჩქაროს?

— ჰო, თორემ ხვალიდან ვეღარ მნა-
ხავს.

— რატომ?

— თბილისიდან მივდივარ.

— თბილისიდან მიდიხარ? სად?

— ქვანახშირის შახტებში.

— მართლა?

— ნამდვილად.

— ჰოო...

ნათია კარგა ხნით დადუმდა.

— ნათია!

— გისმენ! — ნათიას თითქოს უკვე
უცხო ხმა ჰქონდა.

— ისა... მატარებელი...

— რა — მატარებელი?

— მატარებელი რვის ნახევარზე გა-
დის.

— მერე?

— მერე... ისა... რა ჰქვია...

— ჰო, მესმის. არა, თეიმურაზ, მე
ვერ გავაცილებ. უამრავი საქმე გამო-
მინდა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ...

— მესმის... აბა, ბედნიერად იყავი.

— ნახვამდის, ჩემო კარგო. ნახვამ-
დის!

თეიმურაზმა ავტომატის ყურმილი
გამეტებით მიაგდო კალსზე. სხის შასზე,
ყველაფერი ახია! რაღაცეები წარმოიღ-
ვინა... ნათიაც ისეთივე წერილმანი და
ანგარიშიანი გოგოა, როგორც სხვა ათა-
სი. აბა, თეიმურაზი ასპირანტურაში
შესულიყო! ის „ათასი საქმე“ ნათია
ავალიშვილს ნამდვილად არ გამოუჩნ-
დებოდა. ახლა კი... მაგას მეცნიერი, წიგ-
ნებში ჩაფლული ქმარი, და თანაც თბი-
ლისში, მაგრამველიძეებში ნავარდი უნ-
და. არ გამოუვიდა... თეიმურაზზე კი
ყველაფერი ახია! მაგრამ ახლა მორჩა.
ხვალიდან თეიმურაზი ახალ ცხოვრებას
იწყებს და ნათიას სახელსაც კი აღარ
გაიხსენებს.

მაგრამ ნათიასთან გატარებული სა-
ღამოების გულიდან ამოგლეჯა თეიმუ-
რაზმა ვერ მოახერხა და ახლა, თბილი-
სის ვაგზლის პერონზე, მატარებლის
ვასწვრივ, დედასთან ხელმკლავით სე-
ირნობისას თვალი ერთთავად ქალაქი-
დან შემოსასვლელისკენ გაურბოდა.
მოვა? თუ არ მოვა? ნუთუ მართლა არ
მოვა?

არ მოვიდა. თეიმურაზი აცრემლებულ
ნელანოს მაშინდა მიუბრუნდა, როცა
მატარებელი დაიძრა (თეიმურაზმა მერე
ეს დიდხანს ვერ აპატია თავის თავს).
საჩქაროდ აყოცა ცრემლებით სველ,
დაღარულ სახეზე და ვაგონის კიბეს
შეახტა.

თავი მესამე

იმ დღე! როცა ჯიბრაილ ხელთუფ-
ლიშვილი თანამდებობიდან მოხსნა, სარ-
დიონ რაჰველიშვილი თავის კაბინეტი-
დან დაღამებამდე აღარ გამოსულა.
ბრძანებას ხელი მოაწერა და მარგალი-
ტას მიუგდო, გააფორმეო. მერე სკამზე
დაჯდა, გულხელი დაიკრიფა და გაირი-
ნდა. ისეთ ხასიათზე იყო, რომ დანა კრი-
ჭას არ უხსნიდა. ყველაფერს ერჩივნა,
სახლში წასულიყო, ცხელი შხაპი მიე-
ლო, გემრიელად ესადილა და მერე ძი-
ლად მივარდნილიყო. — ისე ღრმად
დაეძინა, რომ აღარც შახტზე ფიქრს შე-

ეწუხებინა, აღარც ჯიბრაილზე და საერ-
თოდ აღარაფერზე, რაც ქვანახშირს,
გეგმებს, გვირაბებს, სანგრევეებს და
სხვა ასეთ დავიდარაბას გაახსენებდა,
მაგრამ სარდიონს ახლა სახლში წასე-
ლა არ შეეძლო. მალე ტრესტის სადის-
პეტერო საათი უნდა დაწყებულყო
და სარდიონს ხელმძღვანელობისთვის
განვლილი დღელამის შედეგები უნდა
მოეხსენებინა. ასე იყო ყოველდღე, სა-
ღამოს ექვს საათზე. სარდიონმა ახლა
ისიც იცოდა, რომ ტრესტის მმართველი
ჯიბრაილის ამბავს ისე შეიცხადებდა,



თითქოს დღემდე არ იცოდა, რომ ხელთ-
უფლიშვილი უდიპლომო იყო. ყველა-
ფერი სარდიონს დაბრალებოდა და
საწყალ შახტის უფროსს ყველაფერი
მოთმინებით უნდა გადაეტანა.

მაგრამ ეს კიდევ არააფერი. სარდიონი
ამისთანებს მიჩვეულია, მთავარი საქმე
მერვა გასაყეთებელი: სარდიონმა მესამე
უბანს ჯიბრაილის მაგიერ სხვა უფროსი
უნდა გამოუძებნოს. აი, ეს კი — მართ-
ლაც ისეთი თავსატეხია, რომ სარდი-
ონმა არც კი იცის, რომელი მხრიდან მოუ-
აროს. სარდიონმა მარტო ერთი იცის:
შახტი დღელამეში რვაას ტონა ქვანახ-
შირს იძლევა და აქედან დღემდე ჯიბ-
რაილის უბანზე ოთხასი ტონა მოდიო-
და. ეს ასე იყო! მაგრამ ვინ გასწევს
დღეის ამას იქით ჯიბრაილის მაგიერო-
ბას, ეს სარდიონმა არ იცის, და ნახე-
ვარ სიკოცხლეს დაუფიქრებლად გაი-
მეტებს იმისათვის, ვინც ამას ასწავლის.

კარი მარგალიტამ — ულაზათო სახია-
ნმა, მაგრამ ტანად მოხდენილმა ქალი-
შვილმა შემოაღო.

— ხაზზე ტრესტის მმართველია.
სარდიონმა ყურმილი აიღო:
— გისმენ, ბატონო აკაკი!
— სარდიონი ხარ? აბა, მომახსენე!
— ყველაფერი წესრიგშია. დღიური
გეგმა, მოგეხსენებათ, რვაასია. ამოვი-
ღეთ რვაას თორმეტი, გავგზავნეთ ექვ-
სასი.

— კეთილი. კიდევ?
— ისეთი არაფერი.
— კაცი დაუშავდათო?
— კი, დაგვიშავდა.
— მოუარეთ?
— სააუადმყოფოშია.
— რა ჰირს?
— წვივის მოტეხილობა აქვს.
— ო, ძნელია, ძნელი. მაგრამ რას
იხამ. უარესიც გვინახავს. ეგ რომელია?
— გოლეთიანი.
— ოჰ, დიანოსი?
— დიანოსი.
— რა ღმერთი გაუწყრა?!

— რა ვიცი... მოგეხსენება, ხიფათი

და უბედურება ყოველთვის გამოცდი-
ლებს ემართებათ.

— ეგ სწორია. გათამამდებიან ხოლ-
მე. მე თვითონ ათი წლის სტაჟი მქონ-
და, ხელი რომ დავიშავე. ასეა, სხვა?

— ისეთი არაფერი. უბნის უფროსი
მოვხსენით.

— უბნის უფროსი? რატომ?
— ამ საქმისთვის.

— იქნებ, უბნის უფროსი უდანაშაუ-
ლოა, შე კაცო!

— მთლად უდანაშაულო არ არის.
— ოო, თუ ასეა, მაშინ... ეგ რომელია?

— ჯიბრაილი. ხელთუფლიშვილი.
— ოჰ, კარგი ბიჭი იყო. საწყენია. მე-

რე, შემცველი გყავს?
— ჯერ არაფერ.

— აბა, რას ფიქრობ?
— ვეძებ.

— ესე იგი, ახლა უბანი უუფროსოდ
არის?

— აგრე გამოდის.
— ერიპაა... სარდიონ, უკაპიტრო გემი

გაგონილა? მითხარი ერთი.
— ვეძებ, ბატონო აკაკი!

— არა, არა, ჩემო ძვირფასო, არა!
ეს რა ამბავია. მე შენ გიბრძანებ, ახლა-

ვე. დაუყოვნებლივ... ეს სად გაგონილა!
მე შენ გიბრძანებ, დაუყოვნებლივ... რა-

ქვია... და მაგ საქმეში ჩვენი იმედი ნუ
გეჭნება. მე არაფერა მყავს, შესაფერი კა-

ცი მანდვე გამოჩნებთ და... გესმის? და-

უყოვნებლივ! უბანი — უუფროსოდ,
იფ, რა, ეგ შახტია, თუ მაკარონის ფაბ-

რიკა? ახლავე...
— მესმის, ბატონო აკაკი, მესმის... გე-

ძებ. მიჭირს. თუ ჰყონიასთან დამეხმა-
რები...

— ჰყონიასთან რა გინდა?
— სანამ კაცს გამოვძებნი, ხელთუფ-

ლიშვილი დამიტოვოს.
— ვერ გამიგია.

— ხელთუფლიშვილი უდიპლომოა.
პრაქტიკოსია.

— აჰ, ეგ რა მითხარი, უდიპლომოაო?
აჰა-ჰა-ჰა-ჰა. დამიანე ჰყონიას ეგ რო-

გორ ვთხოვო, ხომ მაშინვე რაიკომის
ბიუროზე გამათრევს. და უდიპლომო

თუ იყო, ან აქამდე რას აჩერებდი. კანონი არ იცი? არა. შენ გენაცვალე, არა. ახლავ. ულაპარაკოდ, კაცი გამოძებნე. და გეყურება? ჩვენი იმედი მაგ საქმეში ნუ გექცება გაიგე, თუ არა?

— გავიგე.

— აბა შენ, იცი!

— ბატონო აკაი!

— ა?

— მაღლობელი ვარ მაგ მეტად დროული და საქმიანი მითითებებისათვის ვეცდები, ცხოვრებაში... ყოველნაირად...

— აბა, აბა, აბა... სახუმროდ ახლა მე არ მცალია... უყურე ამას... იმანო... სარდიონ!

— გისმენ!

— თეოლინემ კარგი თევზის საცივი იცოდა ერთ დროს.

— ახლა თევზის შოვნა გაკირდა....

— თუ ტრესტის მმართველს უნდა?

— ო, მაშინ... შევეცდები. რამეს მოვახერხებთ.

— აბა, თქვენ იცით. მე ყოველ წუთს მზადა ვარ.

ტრესტის მმართველმა ტელეფონი გამოართო, სარდიონმა ყურმილი მიაგდო, ამოიხენჭა და გულხელი დაიკრიფა.

სარდიონ რაქველიშვილმა თავისი სიციხის უკანასკნელი ათი წელიწადი ამ შახტს შესწირა, აქ თვითონ ტრესტის მმართველმა გამოგზავნა, — იღბლიანი უფროსი ხარ, რომელ შახტსაც ხელი მოჰკიდე, ფეხზე დააყენე, ახლა მაგ გაუბედურებულსაც მიმიხედე და სამაგიერო პარტიისციმა ჩემზე იყოსო. სარდიონმა ბევრი იწვალა, ბევრი ოფლი ღვარა, ბევრი უძილო ღამე ათენა და ბოლოს თავისას მაინც მიიღწია. შახტი მოწინავე და თითოთ საჩვენებელი გახდა მთელს ქალაქში.

ამას სარდიონი ვერასოდეს ვერ მიიღწევდა, მაშინ რომ არ გაერისკა და უბნის უფროსად ჩიბრაილი არ დაეყენებინა, ეს დღესავით ნათელია და სარდიონზე არანაკლებად თვითონ ბატონმა აკაიმ იცის; ახლა, ორი წუთის წინ თავი რომ ისე დაიჭირა, თითქოს ჩიბრაი-

ლის სახელი პირველად გაეგონა... არა, აკაის სარდიონი არიფერი არაფერი არაფერი. ტრესტის მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები აქვს... აი, თუნდაც ჩიბრაილის საქმე. აკაიმ მშვენივრად იცის, რომ ჩიბრაილის მოხსნა მთელს შახტისათვის ყელის გამოჭრას უდრის: მაშინაც, როცა სარდიონმა ჩიბრაილი უბნის უფროსად დაწინაა, აკაიმ მაშინაც მშვენივრად იცოდა, რომ ეს კახონის უბეში დარღვევა იყო და სარდიონს აღრე თუ გვიან. ამისთვის პასუხს აგებინებდნენ. კაცმა რომ თქვას, დამიანე მყონია მაშინაც და ახლაც აღამიანურად მოიქცა, შახტის, მთელი კოლექტივის ინტერესებს ანგარიში გაუწია და საქმეს ძალიან არ ჩაუკრიკიტდა, თორემ... თორემ სარდიონს შავი დღე დაიდგებოდა... ჰო! ჰოდა, აკაის ან მაშინ რა უნდა ექნა, ან ახლა რა შეუძლია? არაფერი. მაშინ თვალი დახუჭა და ახლა ხელი დაიბანა. კაცმა რომ თქვას, რა ტრესტის მმართველის საქმეა, შენ უბნის უფროსად ვინ გეყოლება? შენ გეგმა შეასრულე, სახელმწიფოს თავისი არ დააკლო და შემახტეები კარგად აცხოვრე, უბნის უფროსი კი დიპლომატია თუ უდიპლომო, ეგ შენ, შახტის უფროსმა იცოდე და რაიონის სამთო ზედამხედველმა. მაგაზე თქვენ მორიგდით. სამთო ზედამხედველი არც ტრესტს ემორჩილება და არც სამინისტროს. იმას თავისი უფროსი ჰყავს და თავის კანონებს იცავს.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, სარდიონმა ერთი საათის წინ ჩიბრაილის მოხსნის ბრძანებას ხელი მოაწერა და, რომ იტყვიან, ყელი საკუთარი ხელით გამოიჭრა. ახლა სარდიონმა რა ჰქნას? განცხადება დაწეროს, სხვა შახტზე გადაიყვანეთო. ვერ მოგართვის! ამას სიმძლეებისთვის თავის არიდება ჰქვია. სარდიონი — პარტიულია, თვითონ რომ იკადროს, რაიკომის ბიუროზე გამოუძახებენ და ისეთ დღეს დააპირიან, რომ ორი ორს ეკითხებოდეს. არა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. მაგრამ, მაშ, რა ჰქნას?

ეპ, ყველაფერს იღბალი უნდა! ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ვინმე გამოცდილ, შეკადარებულ, მრავლის მსახველი, სახელდარულ ინჟინერს მობეზრდება თბილისში ქაღალდების ქექვა, აქ ჩამოვა და მოვთხოვს, ნამდვილი საქმე მომეცითო. ოპ, იცოცხლე, ამისთანა კაცს ახლა სარდიონი ხელგაშლით მიეგებებოდა, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება. სარდიონს აღარც კი ახსოვს, უკანასკნელად ეს როდის იყო. უფრო შწირად კი... ჰე, ჰე, ჰე!.. მოვადგება ვიღაც, უწყვერული და თმაგაუპარსავი. პირზე ჯერ რძეც კი არ შესრობია. სამთო ფაქულტეტი იმიტომ დაამთავრა, რომ საფაგან ვერსად მოეწყო. თბილისის სადგურზე დედიკომ, მამიკომ, ბენიებმა და ბაბუებმა გამოაცილეს. — აბა, შეილო, არ გაცივდე, აბა, შეილო, არ მოგშვიდეს, აბა შეილო, არ გადაიღალ! თან ჯიბეში წერილებს უტენიან, — ეს ტრესტის მმართველს მიუტანე, ჰიკო ბიძიას ძველი მეგობარი ყოფილა და რაიმე უხიფათო, სუფთა თანამდებობაზე დაგაყენებსო. ტრესტის მმართველს, იმავე ბატონ აკაკის კი სუფთა და უხიფათო თანამდებობები დიდი ხანია, გამოელია. ჩამოსულ დღამს სიტყვით მიეფერება, თავზე ხელს გადაუსვამს, ეტყვის, ჰიკო ბიძიას წერილს რომ გაუგზავნი, ჩემგან დიდი მოკითხვა შეუთვალეო, — და იმავე წუთში ბრძანებით შახტზე უკრავს თავს, თან ტელეფონით შახტის უფროს ურეკავს, — დიპლომიანი უმაწვილია, თეორიული ცოდნა კარგი აქვს. კანონით თანამდებობა ეკუთვნის, პრაქტიკული მუშაობა ასწავლეთ და გამოიყენეთ — ასწავლეთ და გამოიყენეთ... ადვილი სათქმელია! ამ დიპლომიან თეორეტიკოსს შახტში სიბნელის ეშინია და უბრალო აფეთქების ხმაზე ფერი ეკარგება. მიდი შენ, ამისთანას ასწავლე და გამოიყენე! სანამ ეგ რამეს ისწავლის და გამოადგება, ბრე ორი ტურა იკივლებს! მანამდე სარდიონს გეგმა ცხრაჯერ ჩაუვარდება და იგივე ტრესტის მმართველი, იგივე აკაკი, ახლა

რომ თევზის საცივი შემთვევითა, ცხრაპირ ტყავს გააძრობს, სახელმწიფოს ნახშირს რატომ აკლებო. მოდი ახლა შენ და ამ მოჩადოებელი, ამ მართლაც უკუღმართი წრიდან რაიმე გამოსავალი მონახე!

ახლა აგვისტოა. ახალგაზრდა სპეციალისტები სწორედ ახლა მობრძანდებიან თბილისიდან. ერთი ან ორი, ალბათ, სარდიონთანაც მოვა. მერე? ჯიბრაილის უბანი სარდიონმა რომელიმე მათგანს გადააბაროს? უკაცრავად. ეს არ მოხდება. მაგათანა უბნის უფროსებს სულ უუფროსობა სჯობია.

მაშ, რა ჰქნას სარდიონმა? ვინმემ რამე ურჩიეთ, გზას დააყენეთ... აი, ზის შახტის უფროსი მარტომარტოდ თავის კაბინეტში, ზის გულხელდაკრეფილი, ფიქრობს და ვერაფერი მოუფიქრებია. რა ჰქნას? არავინა ხართ ქრისტიანი? ურჩიეთ, — სარდიონ რავეელიშვილს თვითონ ვერაფერი მოუფიქრებია და — რამე ურჩიეთ!

სარდიონმა შუბლზე ხელი მოისვა. ეს რა ემართება? ამხელა კაბინეტში ჩაკეტილა და თავს თავს ელაპარაკება არა, ასე არ ივარგებს. მარტო კაცო ჰამაშიაც ბრალიო. ახლა ყველაფერს აფობებს, თუ სარდიონი სახლში წავა და ცოტას დაისვენებს. დღეს მაინც აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლება.

• • •

— ტრესტის მმართველმა თევზის საცივი შემოგვიყვითა, — თთხრა სარდიონმა თეოლინეს და ხელპირის დასაბანად აბაზანაში შევიდა.

— თევზის საცივს ახალი თევზი უნდა. — თეოლინე სამხარეულოში შევიდა და ნაგვიანევი სადილის თადარიგს შეუდგა. შახტის უფროსის ცოლი მიჩვეული იყო, რომ ქმარი ხან გვიან საღამოს სადილობდა, ხან შეადლისას, ხან კი სულაც მეორე ან მესამე დღეს.

— ნეც ეგ ვუთხარი — სარდიონმა ხელპირი შეიმშრალა, ლოჯიაში გავიდა და მაგიდას მიუჭდა როცა სხვა კრავინ ჰყავდათ, ცოლ-ქმარი აქ სადილობდა.

— მერე?
 — იშოვნეთო.
 — როცა ვიშოვნო, მაშინ მობრძანდეს. — თეოლინემ აწიშინებული კატეტები გადააბრუნა, — ჯიბრაილის რა ჰქენით?

- რაც მიბრძანეს.
- მომილოცნია.
- გმადლობო.
- მაგიერი ვინ იქნება?
- ჯერ არ ვიცი.
- ბორში გინდა?
- დამისბო.

თეოლინემ სარდიონს ცხელი ბორში ჩით საესე საინი დაუდგა და შავი პური მიუწია. სარდიონს დონბასში პრაქტიკაზე არაერთი წელი ჰქონდა გატარებული და უკრაინულ საქმელებსაც იქ მიეჩვია.

- შენ?
- მე კატეტს შევკამ.

თეოლინე ერთ ხანს ხმაამოუღებლად მისჩერებოდა, თუ როგორ მადიანად ილტყებოდა სარდიონი, მერე ამოიოხრა, წამოდგა და სამზარეულოში შევიდა.

- რას ოხრავ, თეოლინე!
- დაცვენება როდის უნდა გელირსოს, შე საწყალო?
- იმ ქვეყნად.
- მაინც... მაინც...
- ხომ არავის დაურეკავს?
- ბატონმა მინავომ, პარტკომის მდივანმა მოგვიკითხა.

— რაო?
 — არაფერი. შახტზე მოვიკითხე და წამოსულაო.

— ისე, რომ მობრძანდებოდეს და რამეს ტყუილა მაინც მიჩვენდეს, ღმერთი არ გაუწყრება. პარტკომის მდივანობა მაგას კრებებზე ლაქლაქე ჰგონია, — სარდიონმა პურის ნაჭერი ბრაზიანად გადატეხა.

— მინავო ჩარკვიანს შენთვის არაფერი დაუშავებია.

— ის დამიშავა, რომ აი, მარტო ვარ. ხმის გამცემი არავინ მყავს, მობრძანდეს და რამე ტყუილა მაინც მიჩინოს.

- მოვა.

— როდის?

— სადაცაა. მითხრავ, ^{ეკლესიის} კლდეები ^{სახლში} წამოვიდა და მოვალაო.

— მაშინ... მოგვეცადა... — სარდიონმა ბორშიდან საინს დაბნეულად დაჰხედა.

— ის ნასადილევი იქნება.

მინავო ჩარკვიანი მართლაც ნასადილევი იყო. ან რა დიდი სადილი იმას ჰქირდებოდა? მესამე წელწადი დაიწყო, რაც ღვიძლის საშინელი ტკივილები აწამებდა და თითქმის არაფერს კამდა. ექიმები გადაწყვეტით ვერაფერს ეუბნებოდნენ, თვითონ კი სულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, ანბო მკვეს და ალბათ, მალე გამათავებს კიდეცო. ავადმყოფური შესახედაობის, სახე შეშუპებული, უპეებჩალურჯებული კაცი იყო. სახეზე უმწიფარი ღიმილის ფერი გადაჰკრავდა. წყნარი, აუჩქარებელი ლაპარაკი იცოდა. ხუმრობა უყვარდა და კიდეც ესმოდა. ძალზე წინდახედული, სამართლიანი ადამიანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და მეშახტეები დიდ პატივს სცემდნენ. ეს ორი დღე ძალიან შეუძლოდ იყო, ცოტა სიცხემაც აუწია და ლოგინში იწვა. ხელთფელიშვილის ამბავზე კი გულმა აღარ მოუსვენა, წამოდგა და სარდიონთან წამოვიდა.

მინავომ თეოლინეს საქმელზე უარი უთხრა, მაგიდას კი მიუჯდა — სწორედ სარდიონის პირდაპირ, — და ჭიქაში ბორჯომი დაისხა.

— ძალიან ადვილი შესანახი კაცი ვარ, — ღიმილით უთხრა მან თეოლინეს, — დღეში ერთი ჭიქა ბორჯომი და ერთი საინი ბრინჯის ფაფა მყოფნის.

— მალე ბორჯომის ფულიც საქებარი გაგვიხდება, — წაილაპარაკა თეოლინემ.

— ვითომ?

— ნამდვილად.

— მაგ საქმეს სარდიონი მიგვიხედავს, — ჩარკვიანმა ახლა სარდიონს გაუღიმა.

— კი, როგორ არა. სარდიონი ჩადოქარია, — სარდიონმა დაეკარიელებული

საინი გერდზე მისწია, — თეონე, კატლეტი მომიტანე.

მინავო დასერიოზულდა, ერთხანს ლოჯის კუთხეში რაღაც წერტილს მისჩერებოდა და თავს აქეთ-იქით ხმაამოულვებლად აქნევდა, მერე სარდიონს პირდაპირ თვალებში შეხედა.

— სარდიონ!

— ბრძანე!

— ერთი რამე მაინც ვერ გამიგია.

— მაინც?

— ჩვენ სამთო ინსპექციას, იმავე დამიანე ჰუციანის უშუალოდ ვემორჩილებით?

— უშუალოდ — არა.

— მერე? მაგის მითითება რომ არ შევასრულოთ? სიტყვაზე, ჯიბრალი თავის ადგილზევე რომ დავტოვოთ?

— იაპ!

— აგვიხსენი, ადამიანო! — თეონე სკამზე ჩამოჯდა და ქმარს მიაჩერდა.

— მაშინ უარესი დაგვემართება.

— რანაირად?

— უბრალოდ. მოვა იგივე დამიანე, უბანს ერთი გემოზე შეგვიმოწმებს და, იქნება, სულაც ვაგვაციმბიროს.

— ვაგვაციმბიროს?!

— ეეჰ, მინავო, შენც ის ზომ არა ხარ. შენი სიციცხლე შახტში ვაგიტარებია... ა, კაცო, უბრალო მაგალითი: ყოველ სანგრევს ორი გამოსასვლელი უნდა ჰქონდეს: ერთი მთავარი, ყოველდღიურა, და ერთიც სათადარიგო, ზომ? კანონი ასე კარნახობს. და სწორიცაა. ვიცი მე, ხვალ იმ სანგრევში რა ხდება? არ ვიცი... ახლა მოდი და შეამოწმე, იმავე ჯიბრაილს ქვედა სანგრევში როგორი სათადარიგო გამოსასვლელი გაუკეთებია. ნახე? შიგ კურდღელი ვერ გაეცევა!

— ჰმ...

— აბა!

— მაგისათვის დავსაჯოთ. პასუხი ვაგებინოთ.

— კარგი ერთი... დავსაჯოთ... შენ მეუბნები, დავსაჯოთო, დამიანე კი მეუბნება, მოხსენიო... რომელს დავიჭეოთ? ევ კი რისკზე მიდის. დარწმუნე-

ბულია, სანგრევში არაფერი მოხდება, ცეცხლი არ გაჩნდება და მათხანგრავოს გამოსასვლელი არ დაჭერილდება. ვთქვათ, ამაში მართალია. დღემდე სულ უმართლებდა. არაფერი დამართნია, კი. მაგრამ კანონი? კანონი?

— გასაგებია, — მინავომ სიგარეტი ფიქრიანად გააბოლა.

თეონემ ამოიხვნეშა.

— აბა! — სარდიონმა კატლეტის საინიკ გასწია, — და ჩვენ კიდევ ბედი გვქონია. მე შენ გეუბნები. აბა, დაუფიქრდი: ზომ შეიძლებოდა, დიანოს გოლეტიანს ის ლოდი ფეხში კი არა, თავში მოხვედროდა. მაშინ? მაშინ — შახტში დაღუპული კაცი, დაქვრივებული ცოლი, დაიბლებული ბავშვები, გასვენება, ეს ჯან-ღონით საესე კაცი — კუბოში, წივილ-კივილი, მიტქმა-მოთქმა... სად მოხდა ეს ამბავი? ზულთუფლიშვილის უბანზე. ვინ არის ზულთუფლიშვილი? ევ სარდიონ რაქველიშვილს ჰკითხეთ. პარტკომი რას უყურებდა? პარტკომი რაქველიშვილს ბრმად ენდობოდა. აბა!

— კარგი, კარგი, კარგი! — შეუტია თეონემ ქმარს, — ქვეყანა ნუ დააქციე.

სარდიონმა ხელი ჩაიჭნია. ცოლს აღარ შეეკამათა.

ჩარკვიანი ხმაამოულვებლად იჭდა.

— ამას აღარაფერი ეშველება, — სარდიონმა თავი გადააქნია, — ჯიბრაილს, ჩემო მინავო, აღარაფერი ეშველება. და ჩვენში რომ ვთქვათ, სირცხვილიც კია, მაგხელა ვაქცაცს საშუალო ცოდნაც კი არ ჰქონდეს. სირცხვილია! ამის ფასი რა გაუქირდა? მაგრამ ეს — მერე. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. შენ ეს მითხარი, ახლა რა ვქნათ? შახტზე რაც ინჟინერ-ტექნიკოსები და დიპლომირებული ხალხი გვყავს, ყველას თავისი საქმე აბარია. შენც იცი, უსაქმურად არავინაა. ტრესტშიც ასევეა. და ტრესტის ინჟინრები, თუ სიმართლე გინდა, მე არც მჭირდება. ეგენი შახტებს ადამ და ევას დროს ჩამოშორდნენ. მერე ვიცი, უბანს რა დღეში ჩამიგდებენ. აბა,

არც წამოვა რომელიმე და არც მე მინდა, მაგათთან ბარი-ბარში ვარ. სხვა? სხვა ვინ-ღა დარჩა? აბა, მითხარი.

— ჰმე...

— ასეა.

მინავო ჩარკვიანი სარდიონთან იმ დღეს შუალამემდე იჯდა. ბოლოსდაბოლოს გადაწვევით, უბნის უფროსის თანამდებობაზე დროებით ანთიმოზ ჩახუნაშვილი დაენიშნათ. ამას სამთო ოსტატის კურსები ჰქონდა ოდესღაც დამთავრებული და დამიანე ჭყონია არაფერს იტყოდა. არა, სარდიონმაც და მინავომაც მშვენივრად იცოდნენ, რომ ჩახუნაშვილი უბნის უფროსად არ ივარგებდა და ნამდვილად შესაფერისი, სანდო კაცი ისევე საძებარი ჰყავდათ. მაგრამ ჯერჯერობით სხვა გზა არ იყო.

— ისევე ძველი ვაიუშველუშვილი დამწყება, — ამოიხრა თეოლინემ, — ქმარსა და ჩარკვიანს ის ერთი წუთითაც არ მოშორებია. ამათ დილაძეც რომ ელაპარაკათ, ესეც დამეს გაათენებდა, — ღამე ერთი იყო და შახტიდან ცხრაჯერ გააღვიძებდნენ.

— რას იზამ!... — სარდიონმა ხელი ჩაიქნია, — ახლად დანიშნულ კაცს უნდა დაეხმარო, აბა, როგორ გინდა? მამ, ასე, ჩემო მინავო: ანთიმოზა ხვალ გამოვიძახოთ და...

— გამოვიძახოთ, — ჩარკვიანმა მხრები აიჩეჩა და წახასულელად შეეშინა.

თახი მთავარი

ანთიმოზ და მარიამ ჩახუნაშვილებს უცნაური ცოლქმრობა ჰქონდათ. მარიამი ოციოდე წლის წინათ ჩამოვიდა კარგა შორეული მთის სოფლიდან და შახტში ამონალის დამტარებლად მოეწყო. სამუშაო ძნელი არ იყო, ხელუფალი საკმარისი ჰქონდა, საერთო საცხოვრებელში კარგი კუთხე შეხვდა და უბირი ქალიშვილი თავისი ბედით კმაყოფილი იყო.

სამი თუ ოთხი წელიწადი ასე გავიდა, ერთ დღეს საერთო საცხოვრებელში ოთახის მოხიარე ქალებმა მარიამს გაუხმხილეს, მგონი, ანთიმოზ ჩახუნაშვილს გულში უნდა ჰყავდეს ჩავარდნილი. ანთიმოზი მაშინ შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო, მიწისქვეშეთში ხე-ტყის მზიდავეების ბრიგადირად მუშაობდა, თან, ამბობდნენ, — რაღაც კურსებზე სწავლობს; ასე რომ საქმროდ, მარიამისგან მაინც, ნამდვილად არ დაიწყებოდა.

— საიდან იცით?! — მიამიტად იკითხა მარიამმა.

ქალებმა მხიარულად გადაიქისკისეს. მერე ჩასუქებული, მოკლებლებიანი უფროსინე წინ წამოვდა.

— რაკი ვლაპარაკობთ, აღბათ, ვიცით, — ჰოდა აბა, შენ იცი!... შენ

ახლა რამდენი წლისა ხარ?

— ოცდამეცხრეში გადავდექი, — გამოტყდა მარიამი.

— ჰოდა, იმ კაცს სწორედ სულზე მოუსწრია...

ქალების ნალაპარაკევი მართალი გამოდგა. იმავე საღამოს საერთო საცხოვრებელში საგარეოდ, შავ კოსტუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი ანთიმოზი მოვიდა და მარიამი კინოში დაჰპატიჟა.

„მაინც, ასე დარწმუნებული რატომა, რომ უარს არ ვეტყვი და წაყვები? — უსიამოვნო გრძობით გაიფიქრა მარიამმა, — ჯერ ხეირიანად არც კი დამლაპარაკებია და.. თუმცა, ჯანდაბას! აღბათ, ჩემი ბედი ეს ყოფილა“. უთხრა, გარეთ დამელოდეთ. ჩაიცვა და გაჰყვა.

ანთიმოზს საქმის გადადება არ ჰყვარებია. კინოდან რომ მოაცილა, შესთავაზა რამდენიმე წუთით შეჩერდეთო. სწორედ საერთო საცხოვრებლის შესასვლელთან იდგნენ. ერთი-ორი წუთი რაღაც უმნიშვნელო საგნებზე ილაპარაკეს. მერე ანთიმოზი უეცრად ეცა, მარჯვენა ხელი წელზე შემოხვია, მარცხენათი თავი გადაუწია და ნიკაზე აკოცა. ეს აღარ იქმარა და ტუჩებზეც მიე-

ტანა, მაგრამ მარიამმა ხელი ჰკრა, გაუს-
ხლტა და ჩახტელებულ დერეფანში შე-
ვარდა, თან კანას ისწორებდა და რა-
ღაცას გულმოსული ბურტყუნებდა.

ანთიმოზი რამდენიმე დღე აღარ გა-
მოჩენილა.

მესამე თუ მეოთხე დღეს ეფროსინემ
მარიამს მსუქანი თითი დაუქნია, აქ მო-
დიო.

— რა გინდა? — ამრეხით ჰკითხა
მარიამმა.

— მე არაფერი.

— აბა ვის?

— ისევ იმას. ჩახუნაშვილს.

— უთხარი, თავი დამანებოს.

— მე რატომ უნდა ვუთხრა. ე, ვაი-
ხედვ: ხის ქვეშ დგას. გადი და შეს თავი-
თონ უთხარი.

იმავე შავ კოსტუმსა და თეთრ პერან-
გში გამოწყობილი ანთიმოზი მართლაც
ხის ქვეშ იდგა და პაპიროსს გამალუ-
ბით ქაჩავდა.

„ჩემი ბედი ეს ყოფილა“.

მარიამმა ხელი ჩაიქნია, თვითონაც
იგივე საგარეო კაბა ჩაიცვა, ამასწინათ
რომ ეცვა, და ეზოში გავიდა.

ხელი დამდეგ კვირას მოაწერეს.

მარიამი უშვილო გამოდგა. ამაში
საბოლოოდ რომ დარწმუნდა, გულში
შიში შეეპარა — ანთიმოზი აღარ მის-
ლომებს და თავიდან მომიშორებდა.
მაგრამ ჩახუნაშვილი საკუთარი გვარის
გავრცელებას ისევე ფიქრობდა, რო-
გორც შარშანდელ თოვლზე. რატომ იყო
ასე, მარიამმა ვერასგზით ვერ გაიგო.
უშვილობას ხომ ყველა ადამიანი ძა-
ლიან მტკივნეულად განიცდის. ანთიმო-
ზმა კი ამ ამბის გავებაზე ხელი ჩაიქნია
და მარიამს უთხრა, მაგ საქმეების მე
არაფერი ვამეგება, შენ შენი ეცადე,
იქნებ, რაიმე მაინც მოახერხო, თუ არა
და რას იზამ, ჩემი ბედი ეგ ყოფილაო.

მარიამს პირველი თბილი გრძნობა
ქპრისადმი იმ წუთში გაუჩნდა.

ანთიმოზი სამაგიეროდ თავისი საქ-
მეების მოწყობაზე ზრუნავდა. ჯერ
იყო და მარიამი მიწისქვეშეთიდან ამო-
იყვანა. ჯერ გარდერობში მოაწყო; მერე

საკაქუმელიატოროში, ბოლოს კი საერ-
თო საცხოვრებელში გადაიყვანა და მამა-
დენი იჩალიჩა, რომ ბოლოს ბუნებრივად
ლოს, კომენდანტად დაანიშნინა. თვი-
თონ კი სამთო ოსტატების კურსე-
ბი დაამთავრა და უცუთესი თანამ-
დებობის ძებნას შეუდგა. როცა საქმე
მის პირად ინტერესებს ეხებოდა, ანთი-
მოზი ბუზივით დაურიდებელი და აბე-
ზარი იყო. ჯერ მებეგების ბრივადი-
რად მოეწყო. მაგრამ ეს საქმე ემძიმა.
ადგა და მიწისქვეშა ტრანსპორტი ჩაიგ-
დო ხელში. მაგრამ ამ თანამდებობასაც
უამრავი ძალა მიჰქონდა და ძალიან სა-
პასუხისმგებლოც იყო. ბოლოს იმდენი
ქნა, რომ უზნის უფროსის მოადგილეო-
ბას მიაღწია და აი, მაშინ კი საბოლოოდ
დამშვიდდა. დამშვიდდა კი არა, გაბედ-
ნიერდა და თავი განცხრომით ცხოვრე-
ბას მისცა.

თუ რატომ ერჩივნა ანთიმოზს ყო-
ველგვარ თანამდებობას უზნის უფრო-
სის მოადგილეობა, ეს მარიამმა ისევე
ვერ გაიგო, როგორც ის, თუ რატომ
აპატია ქმარმა უშვილობა. მაგრამ, კაც-
მა რომ თქვას, რატომ უნდა ეტეხა მა-
რიამს ამაზე თავი? ანთიმოზი მას არ
უყვარდა, მაგრამ ეს კაცი ურიგო ქმარი
არ იყო. ხელუფასი უკანასკნელ კაპიკა-
მდე შინ მოჰქონდა, სხვა ქალებისაკენ
თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გა-
უხედავს, ჩხუბი და აყალმაყალი არ ჩვე-
ოდა და ცოლისგან მხოლოდ იმას მოი-
თხოვდა, რომ ყოველდღე მდიდრული
და გემრიელი სადილი და სუფთა თეთ-
რეული ჰქონოდა. ასეთი სისუფთავის
მოყვარული კაცი მარიამს მეორე არც
უნახავს. ჰოდა, კაცმა რომ თქვას, რა-
ტომ უნდა ყოფილიყო ეს უბრალო სო-
ფლელი ქალი თავის ბედით უკმაყოფი-
ლო?

მშვიდ, აუმღვრეველ ცხოვრებაში
არაერთი წელი გავიდა. ამ წლების გან-
მავლობაში მარიამს არც დიდი სიხარუ-
ლი განუცდია და არც დიდი სატანჯ-
ველი შეხვედრია. ალბათ, ასევე იყო
ანთიმოზიც.

ახლა ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის

მოსხმამ ერთიც ააფორიაქა და მეორეც. ერთმანეთთან ამაზე არ ულაპარაკიათ, მაგრამ ორივე მიხვდა, რომ ჯიბრაილის თანამდებობა, დროებით მაინც, შეიძლებოდა ანთიმოზისთვის შეეთავაზებინათ. და ამ მოსალოდნელ ამბავს ორივემ საკუთარი თვალით შეხედა.

მარიამს შახტში რამდენიმე წელიწადი ტყუილად არ უმუშავია, ის უთქმელი და მორიდებული, მაგრამ დაკვირვებული ქალი იყო. რა უნდა გაუქირდეს იმას, ვინც ახლა ჯიბრაილის უბანს ჩაიბარებს? არაფერი. სრულიად არაფერი. თვითონ ის კაცი ვარკოდეს თორემ... რა იქნება, ერთხელ მარიამს გაუღიმოს ბედმა? არა, თავის ბედს იგი მინცდამაინც არც ახლა ემდურის, მაგრამ... რა იქნება, ერთხელ მარიამზეც თქვან, ეს იმ სახელოვანი კაცის, უბნის უფროსის, იმ დიდი ვაჟკაცის — ანთიმოზ ჩახუნაშვილის ცოლიაო? რა დამავდება, რომ ერთხელ გაზეთში ანთიმოზიც გამოხატონ, ერთხელ კორესპონდენტი მათაც ეწვიოს, მათთან ისაუბლოს და მთელი მათი ცხოვრება ჩაიწეროს? იპ, მარიამი რა სადილს გააკეთებდა!... რატომ უნდა იყოს ამ ქალის ცხოვრება ასეთი უფერული და მოწყენილი. მარიამს ხომ არც შრომა და გარჯა ეხარება, არც სხვისი სიყვით და გარჯად ყოფნა შურს, რა იქნება, ხალხმა მადლობის თვალით ერთხელ ამ ქალისაკენაც მოიხედოს?

ყველაფერს ბედი უნდა! მარიამს ღმერთი არ გაუწყრება და ანთიმოზს არაფერს ურჩევს. კაცმა თავისი საქმე თვითონ იცის. მაგრამ, ღმერთია მოწამე მოხუცობაში გადამდგარ მარიამს სულაც არ აწყენდა ნაცნობ-მეგობრების მადლიერება და სიყვარული...

შენ, ანთიმოზ? შენ რაღას ფიქრობ? ხომ ხედავ, ბედი კარზე მოგდგომა. რამდენი კარგი, ნამდვილი მეშახტე ნატრობს ამისთანა ბედნიერებას. წინ გაიხედე: შენ მოგელის ის საათითაი აწყობილი უბანი... მიგელიან მიწისქვეშეთში გლარით ვაკიმული, რძისფერი ნათურებით გაშუქებული, სქელი თამ-

ბაქოსფერი მორებით საიმედოდ გამაგრებული, სუფთა და გრილი ჰაერით სავსე შტრეკები, ბრენსინგები და კვერშლაგები. შენ ეს უცხოური სახელებიც მშვენიერად იცი. ამ სიტყვებს შენ ამაყად, დიდგულადაც კი ისვრე ხოლმე, როცა საკუთარ სახლში გაშლილ დიდებულ სადილს უზიხარ და შენი ცოლი, შენი ერთგული მარიამი თავისებურად უხმოდ და დაუზარებლად გემსახურება, ახლა მარიამი შენს გვერდით. მეორე საწოლზე წევს; შენი არ იყოს, არც მას ძინავს და ღია, უძრავ გაშტრებული თვალებით ჩაბნელებულ პერს მისჩერებია. იქნებ, დაფიქრებულიყავი, რაზე ოცნებობს ახლა შენი მუდამ მოწყენილი, უთქმელი და გაუხარელი ცოლი?

სდუმხარ, ანთიმოზ?

აბა, ერთი გაახსენე, რა მშვენიერი სანახავია და, თუ გნებავს, რა დიდებული მოსასმენია შენი უბანი შუაგულ ცვლაში. სანგრევიდან კომბაინის გრიალი და გუგუნე ისმის; თანაზომიერად მორაკაკე კონვეიერზე შეუჩერებლივ მოედინება ქვანახშირის ვეებერთელა ბელტების ნიაღვარი; საკონვეიერო შტრეკის ბოლოს მთავარ შტრეკზე რკინის ვაგონეტებია ჩამწყრივებული. ის ქვანახშირის ნიაღვარი ამ ვაგონეტებში ეშვება. ნელ-ნელა. ერთი მეორის მიყოლებით მიიწევენ წინ ავსებული ვაგონეტები. ლითონის ქლანალს, ელექტრომორტორების გუგუნს, ქვანახშირის ნიაღვრის ჩქამს, რუზრუსა და ხრიალს გამურული, ოფლიანი, დაღლილი, მაგრამ მხნედ და შეუპოვრად მომიღმარე მეშახტეების ხალისიანი შეძახილები ერთვის. წუთიც და — ყველა ვაგონეტი ავსებულა. პირველ ვაგონეტს პაწია საშახტო ელმავალი შიადგა, ვაგონეტები — ნამდვილი მატარებლის ვაგონებივით — ერთმანეთს შეეჯახნენ, ცოტა უკან დაიწიეს და მერე მთელი სისწრაფით გაქანდნენ მთავარი შტრეკის გაყოლებით. საკონვეიერო შტრეკიდან წუთით შეწყვეტილ ქვანახშირის ნიაღვარს ვაგონეტების ახალი პარტია

შეუყენეს, ისევ ჩაირთო კონვეიერი, ისევ აქუხდა და არუზრუხდა ქვანახშირის გაუთავებელი მდინარე.

შენ, უბნის უფროსი, იქვე, ვაგონებთან დგახარ და გუნებაში ქვანახშირის ტონებს ითვლი. შენ იცი, რომ შენა ხარ ამ დიდებული ხმების, ამ ძლევამოსილი გუგუნის, ამ მხნე და ხალისიანი შეძახილების ერთი მთავარი შემოქმედთაგანი. მერე და — ამ გრძნობას განა რამე შეედრება? აგერ, გვერდით ჩაგირბინა გამურულმა მემახტემ. ჩამავებულ სახეზე წამით გაიელვეს სადაფით თეთრმა კბილებმა. მემახტე რალაც სასწრაფო საქმეზე მიეშურება, მაგრამ ერთი წამით შენთვის მიინც მოიკალა და მადლიერი, ამხანაგური ღიმილი გაჩუქა. გული არ ავიძვრდა? დაუფიქრდი, ანთიმოზ, რა ახლოსა ხარ ყველაფერ ამასთან.

რაო? კიდევ ყოყმანობ? ყოყმანობ კი არა. არაფრის ვაგონება არ გინდა? მერე და რატომ?

რაო? ჭიბრაილს არც ისე კარგად ჰქონდა საქმე აწყობილი, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ? თუ დასკირდებოდა, ზოგჯერ კანონსაც კი დაარღვევდა ხოლმე? ესეც ახალი ამბავი! ჭიბრაილისგან ამას არ მოველოდით. კარგი, მაგრამ შენც იქვე არ იყავი? რატომ მაშინ არ ეუბნებოდით? რატომ განჯაში არ ატეხე? ან, ვთქვათ, მართლაც ეგრე იყო და ჭიბრაილი ზოგჯერ ზედმეტ სითამამეს იჩენდა, ახლა რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია?! ჭიბრაილი მოხსნეს, აღარ არის, რაც იმას არ უფარგოდა, შენ გაასწორე. მაგაში ხელს ვინ შეგიშლის? პირიქით, ყველა დაგეხმარება. ნახშირის რამდენიმე ზედმეტ ტონას ნუ გამოეკიდები, პატიოსნად და კანონიერად იმუშავე და — ამხანაგებიც კმაყოფილნი დაგრჩებიან, უფროსებიც და სახელმწიფოც. ვაბედე, ანთიმოზ!

რაო? ასაკიო? კარგი ერთი და! ორმოცდათი წლის კაცი რომელ ასაკზე ლაპარაკობ? ეგ რაღა მიზეზია? შენი ხნის ვაქცაეები ოჯახს ეკიდებიან, შეი-

ლებს აჩენენ და მერე შვილიშვილებშიც ხარობენ. ასაკი აქ რა მოსატანია!

მაინც არ გინდა? თავი დაგანებო? დიდება შენდა, ღმერთო! ძალით მართლაც რა იქნება, მაგრამ... რაც დედამიწის ზურგზე მოადგილეები არიან, გულში ყველა უფროსობას ნატრობს და შენ რაღა დაგეხმარა? შენ მოადგილეობა გირჩენია? რატომ? ასეთი ხასიათი გაქვს? თუ ვითომ შახტებშია ასე — უფროსობას მოადგილეობა სჯობია? არა მგონია... არა, ნამდვილად არ მგონია.

მაშ, კარგი, ერთსაც გეტყვი, ჩახუნა-შვილო, და თუ ამანაც არ გასკრა, მაშინ მართლაც თავს დაგანებებ. კარგი, ვთქვათ, შენ არ გინდა და არა. მაგრამ ერთი შენს ცოლსაც, შენს ერთგულ მარიამსაც მიხედე. ნეტავ გაცოდინა, როგორ უნდა მას ხალხში გარევა, როგორ ენატრება ნამდვილი პატივისცემა და სიყვარული. შეუსრულე ეგ ნატვრა, ასე უფერულად ნუ გაატარებინებ წუთისთფელს. მაგანაც იგრძნოს ნამდვილი სიხარული. თუნდაც ერთი წელიწადი მაგანაც იტოვროს ნამდვილი, სისხლსავსე ცხოვრებით... მაგასაც მოხებზრდა შენი გაუთავებელი დიპლომატობა, ეშმაკობა, წინუკანობია... მაგან მშვენიერად იცის, რომ შახტზე ამხანაგებს არ უყვარხარ და არაფრად გაგაღებენ. დაუმტკიცე. დაანახე მაგასაც და იმათაც, რომ შენც ვაქცაი ხარ და ძარღვებში ცხელი სისხლი გიჩქეფს. ადექი, უბანი ჩაიბარე და ამხანაგებს წინ წაუძეხი. მარიამსაც გაახარებ...

— მარიამ, ქალო, მარიამ!... — ანთიმოზმა ძლივს ჩაძინებული მარიამი უთენია ვააღვიძა.

— რა იყო?! — მარიამი დაფეთებულ წამოვარდა.

— ისეთი არაფერი, მაგრამ... გულში ბაზარში ჩვენებურები შემხედნენ. ეკვირინე ბიცოლა უკანასკნელ დღეშეყვდილა.

— ვინ ეკვირინე ბიცოლა?

— ეკვირინე ბიცოლა აღარ გახსოვს.

შე ქალო?!... ჩემი გამზრდელი, ამავდარი. იმას რომ ცოცხალს ვეღარ მივეუსწრო, წავწყდები და ის იქნება. აბა ჩქარა!

— სამსახური?...

— არა უშავს!... ორ დღეს უჩვენოდ გაძლებენ.

მარიამს ამ წუთამდე არ გაეგონა, თუ ქვეყნად ვიღაც ეკვირინე ბიკოლა ბოგინობდა. მაგრამ ერთგული და მორჩილი ცოლი, ქმარს ხომ არ შეეკამათებოდა? რაკი ანთიმოზი ამბობს, ალბათ, ასეა საჭირო.

ცოლ-ქმარმა სწრაფად ჩაიკცა, გარეთ გამოვიდნენ, ტაქსი დაიჭირეს და მთის სოფელს მიამშურეს, საიდანაც ანთიმოზი ჩახუნაშვილი ბარე ოცდაათი წლის წინათ წამოვიდა და მერე უკან ერთხელაც აღარ მიუხედავს.

ორი წლის წინათ ჯიბრაილი შვებულუბაში წავიდა, ანთიმოზი მაშინაც მოადგილე იყო და უბანი მას ჩააბარეს. ანთიმოზს ეს მაშინაც სიკვდილივით არ უნდოდა, მაგრამ უარის უფლებაც არ ჰქონდა. უფროსს არყოფნისას მოადგილე ცვლის, თან რაღაც ჭია შეუჯდა და იფიქრა, ბოლოსდაბოლოს რა მოხდა, თუ უბანს ეს უსწავლელი ჯიბრაილი წლობით უძღვება, მე რაღაც ექვსი კვირა რა ღმერთი გამიწყრებაო. მიღებაჩაბარების აქტს ხელი მოაწერა და საქმეს შეუდგა. სამი თუ ოთხი დღე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მეოთხე დღეს იმაზე ოცი თუ ოცდახუთი ტონით მეტი ქვანახშირი ამოიღეს, ვიდრე ჯიბრაილის ხელში იღებდნენ. მეექვსე დღეს კი... თ-პო-პო! იმ ჯოჯოხეთური ღამის გახსენებაზე ანთიმოზს ახლაც აერიალებს. კიდევ კარგი, ჯიბრაილი ჯერ ქალაქიდან არ იყო გასული (თითქოს, ზღვაზე აპირებდა). დაურეკეს თუ არა, მაშინვე მოვარდა. ქვედა სანგრევში ჰერი პირდაპირ გამომხმარი ფიცრებივით ქრიალვებდა. რატომ და რისთვის, დღესაც არავინ იცის. მიწისქვეშეთს ვინ რას გაუგებს? იმას თავისი კანონები აქვს.

ქვედა სანგრევს სასწრაფოდ ჩაივარდნის ბრიგადა, უამრავი ხე-ტყე და ათასი დავიღარაბა მიაშველეს, თორემ შეიძლებოდა, იმ ღამეს ბარე შვიდი მეშახტე სამუდამოდ იქვე დამარხულიყო. კაცის სიმსხო მორები სამ თუ ოთხ ადგილას ჩალის გამომხმარი ღეროებივით დაილეწნენ, ჰერიდან ვეებერთელა ლოდები ჩამოწვა. იპ, რა ოფლის ღერა, რა შიში და რა თავგანწირვა იყო. არადა, არავითარი კანონი იმ ღამეს ანთიმოზს არ დაურღვევია. კომბაინით ქვანახშირის ფენის მესამე შრე უნდა აეღოთ და, როგორც წესია, სანგრევი მერე უნდა გაემაგრებინათ. უბნის ტექნოლოგიაში ასეა ჩაწერილი, მაგრამ მიწისქვეშეთს შენი ქალაღზე დაწერილი ტექნოლოგია არც თუ ისე აინტერესებს.

მაშინ სარდიონმა და ჯიბრაილმა უბანზე სამი თუ ოთხი დამე გაათენეს — აღამიანის ფერი აღარც ერთს აღარ ელო, ისე გაუჭირდათ, რომ მაშველი რაზმიც კი გამოიძახეს და, მეხუთე დამეს, როგორც იქნა, თავისუფლად ამოისუნთქეს, მგონი, კარვად გაემაგრეთ და ახლა აღარაფერი უშავსო. შიში კი მაინც დიდი იყო. კომბაინი იმ მესამე შრის გამოსაღებად რომ ჩართეს, კომბაინერს, იტლო სოფრომაძეს, ხელები უკაცკალებდა და შუბლიდან ოფლი ნიაღვარივით მოსდიოდა. სარდიონი და ჯიბრაილი განზე გადადნენ და რაღაც იურჩულეს. მერე სარდიონმა მარჯალიტას შახტიდანვე დაურეკა და უთხრა, უბანი ავარიულ მდგომარეობაშია და ჯიბრაილის შვებულუბა გააუქმეო.

ჯიბრაილი მას აქეთ შვებულუბაში აღარც კი ყოფილა.

მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. სახიფათო ზონას რომ ვასცდნენ, ჯიბრაილი ისევ თავისებურად დატრიალდა და იმ რამდენიმე დღის დანაკლისი ქვანახშირი ორ-სამ ცვლაში ამოიღეს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მორღვეული ჰერის გადამაგრება ვეღარ მოესწროთ და დიდნი ავარია მომხდარიყო. არა, ბატონო! ჩახუნაშვილს უბ-

ნის უფროსობა სწორედ იმიტომ არ უნდა, რომ მიწისქვეშეთის საქმეები ძალო-

ან კარგად იცის. ახლა, ჩამოვხსნივით, თუ არა?!...

თავი მეხვინდი

— ვითომ, არ ვცდებით, სარდიონ? — მინავო ჩარკვიანიმა მარჯვენა წარბი ნერვიულად მოიქექა.

— ა? — მაგიდასთან მჯდარი სარდიონი რაღაც ქაღალდებს ჩასცქეროდა და თავიც არ აუწევია.

— ხომ არ ვცდებით-მეთქი?

— რაში?

— აი, ამხელა უბანს ანთიმოზას რომ ვაბარებთ.

— არა.

— არა?!... მაგას დანამდვილებით ამბობ?

— შეეცდომა, ჩემო კარგო, იმას ჰქვია, კაცმა როცა არ იცის, რას აკეთებს. მე და შენ კი ამთავითვე ყველაფერი ვიცით.

— ესე იგი?

— უბანი სახელად ანთიმოზასი იქნება. სახრავად კი ჩემი. ეს ვუშინწინ აკი თეოლინემაც ვითხრა.

— ჰო... არა, ეგ კი ეგრეა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— რომ აღარ გამოჩნდა?

— გამოჩნდება. ის ახლა სადღაცაა გადამაღული, უბნის უფროსად არ დამაყენონო. მერე შეეშინდება. ვაცდენისთვის მომხსნიანო და... გამოჩნდება.

— ხა-ხა-ხა-ხა!... ძალიან უბნის უფროსი არ გვიმოვნია!

— ა?

— უკეთესი ნულარ გინდა. ოლონდ...

— 'შენ დამშვიდდი, მინავო. ნუ ღელავ. უბანი წესრიგშია და ასეც იქნება.

— არა, მე არ ვღელავ.

სარდიონ რაკველიშვილი და მინავო ჩარკვიანი შახტის უფროსის ვეებერთელა, მუხით მოპირკეთებულ კაბინეტში ისხდნენ. უკვე მესამე დღე იყო, ანთიმოზა ჩახუნაშვილი აღარსად ჩანდა. სარდიონის ვაგზავნილები ამოდ უბრაბუ-

ნებდნენ ხელს ჩახუნაშვილების ჩაკეტილ კარებს. ანთიმოზის ბინაში ტელეფონის მილსაც არავინ იღებდა.

არავინ იცოდა, ცოლ-ქმარი სად გაქრა. ცოლი კიდევ ვანდაბას, ის საერთო საცხოვრებლის კომუნდნატად მუშაობდა და უმიხოდ თუნდაც მთელ თვეს გაძლებდნენ — საერთო საცხოვრებელში ყველა კუნჭული დაკავებული იყო, ახალ მდგომარეობებს ვერც კი მიიღებდნენ, ძველთგან კი წასვლას არავინ აპირებდა. ანთიმოზი კი ნამდვილად ჭირდებოდათ განაწყენებული ჭიბრაილი შახტზე აღარ ჩნდებოდა და სარდიონს განცხადებაც კი გამოუგზავნა, სამი წელიწადია, შვეებულებით არ მისარგებლია და გთხოვთ გამიფორმოთო, ჰოდა, უბანზე არავინ იყო, რომ მეშახტეები სამუშაოებზე ვიგნაწილებინა და განრიგზე ხელი მოეწერა. ეს დღეები სარდიონი და შახტის მთავარი ინჟინერი, კახაბერ გურასაშვილი ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ, შახტზე სამივე ცვლის დასაწყისში გამოდიოდნენ და დაღლილობისაგან ფეხზე ვერც ერთი ველარ იღგა. არადა, განრიგზე ხელის მოწერის უფლება არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს. განრიგზე ხელს მუდამ უბნის უფროსი უნდა აწერდეს. სარდიონმა ჰამის მადაც კი დაჰკარგა და თვალები ჩაცვენაზე ჰქონდა.

სარდიონი წამოდგა და კაბინეტში გაიარა-გამოიარა.

— საცაა, გამოჩნდება. ვიცი, მაგას მოხარულს ვიცნობ. და შენ არ იფიქრო, მინავო, თითქოს მაგ არაწმინდას მუშაობა არ შეეძლოს. ბოლოსდაბოლოს, ოცდაათი წელიწადია, მიწისქვეშეთშია. შეუძლია, არაფერი გამოუგზავნება. თბილისიდან რომ პარტიტველა ბავშვები ჩამოვვლიან, იმათ კიდევ ემ პირჩვენია. მაგრამ კაცად არ ვარგა.

მოიცა.. — სარდიონმა ფანჯარაში გაიხედა, — ეპე! მოდის, მე რა ვითხარი? პო-პო, რა საქმიანი გამომეტყველება აქვს! გეგონება, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირიდან ჩამოფრინდაო. აბა, მინავო, მოიხედე: რაც შეიძლება, ტკბილად და დაყვავებით. ძალდატანებითა და ბრძანებით ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით გესმის? ტკბილად, დამაჯერებლად და დაყვავებით.

კაბინეტში შემოსულ ჩახუნაშვილს სარდიონი ხელგაშლითა და აღერსიანი ღიმილით შეეგება:

— ანთიმოზ, სადა ხარ, კაცო, სად დაგვეკარგე?!...

— ეეპ, ნულარ მკითხავ, ჩემო სარდიონ, ნულარ მკითხავ.

ერთი წუთის შემდეგ სამივენი კაბინეტის კუთხეში, დაბალ საყურნალო მაგიდასთან ისხდნენ, ანთიმოზმა შეოფლილ სახეზე კრელი ცხვირსახოცი ჩამოსვა და სკამზე უფრო მოხერხებულად მოეწყო:

— რაღა სადა ვარ, ჩემო ბატონო, ჩემო პარტიკულარო სარდიონ... ჩვენი ხალხისა და ადამ-ჩვევების ამბავი შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება. ვზივართ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ წინებებზე მე და მარიამი სახლში. ახალი ნასადილვეი ვართ და ვისევენებთ. უცბათ — ვილაცამ ზარი დარეკა. კარი გაუღეთ და ვხედეთ: ღვას, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვილაც უცნობი ახალგაზრდა, ხელში რაღაც ცარიელი კალათები უჭირავს. მობრძანდი! „არა, მოსაბრძანებლად არა მცალია“. აბა, რაშია საქმე? „ასე და ასე, თქვენი მშობლიური სოფლიდან, ქანიეთიდან გახლავართ. თქვენიანებმა სიტყვა დამაბარეს“. თქვენიანებმა?! ვინ ჩემიანებმა?!... ქანიეთიდან, ჩემო სარდიონ, ოცდაათი წლის წამოსული ვარ, რაც მქონდა, კოლმეურნეობას დავუტოვე და, თვითონ, მოგეხსენებათ... პო!... მის აქეთ ჩემი სოფლისაკენ ერთხელად არ გამოხედავს. სოფლური პაერი და ხილი თუ მომენტატებოდა, ჩემი ცოლი, მარიამი, აგერ ქვედურეთიდან არის, პაერიც, ხილიცა და სტუმრის პა-

ტივისცემაც — იქ რომ ციციან, უსყეთი უნდა, პოდა, ის ჩემი ქანიეთი აღარც კი მახსოვდა და იქ თუ ვინმეს ვახსოვდი, აღარც ის მეგონა, მაგრამ თურმე ვხსომებოვარ, იქ მე ერთი გარეთა ნათესავი ქალი მყავდა... ეკვირინე... ბავშვობაში ვყვარებივარ, ვუნებვივრებივარ... მოგეხსენებათ, ზოგჯერ ბავშვზე გული რომ შეგვივარდება.. მერე ხომ წამოვედი, აღარ ვუნახივარ, ბევრმა წყალმა ჩაიარა.. ახლა ძალიან ხანში შესულა, ავად გამხდარა და იქაურ ექიმს ერთი რაღაც იშვიათი წამალი გამოუწერია, — თუ უშველის, ეს უშველის და დატრიალდითო. საწყალი, ძალიან ტკბილი ქალია და ღრმა მოხუცობაში კია შესული, მაგრამ შინაურებს სასიკვდილოთ მაინც არ ემეტებათ. რასაკვირველია, დაფაცურებულან. აბა, ამ წამალს ვინ იშოვნის? აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ — არაფერი. არ არის და არ არის. მაშინ თვითონ ეკვირინეს ამოუღია ხმა: ჩემი ანთიმოზი თქვენ ვახსოვთ? ზოგს კიდევ ვახსოვდი თურმე, ზოგს აღარ ვახსოვდი. აბა, მაგ წამალს თუ ვინმე მიშოვნის, ისევ ჩემი ანთიმოზი მიშოვნისო, — უთქვამს ეკვირინეს. ჩადით, მიაკითხეთ და ესეც უთხარით, ეკვირინე ყოველ ცისმარე დღე ღმერთს ევედრება, თუ შენს წინაშე რაიმე დიდი ცოდვა არ მიმძღვის, ანთიმოზის უნახავს ნუ მომკლავო. პო, და რაღაც იღბლად, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს იქაური აქეთ წამოსულა სავაქროთ. ეკვირინეს პირისუფლები სცემიან და ჩემთან ეს ამბავი დაუბარებიათ. წამლის რეცეპტიც იმ ბიჭმა მომიტანა, აღარც კი მახსოვს, იმ ოხერს რა ერქვა.

— ვინ ოხერს? — ღიმილით ჰკითხა ანთიმოზს სარდიონმა, — იმ ბიჭს, თუ წამალს?

— ბიჭს რას დავეძებ, წამალს... მე და მარიამმა იმის ძებნაში მთელი ქალაქი დაგატყავეთ. ასეა, შენ ხარ ჩემი ბატონი...

— უშოვნე?

— ვუშოვნე ვუშოვნე და ავუტანე.

— ყოჩაღ! — მოუწონა ანთიმოზს მი-

ნაგომ, — ნამდვილად გულისამაჩუყებელი ამბავია.

— ნამდვილად, ნამდვილად!... — დაუდასტურა სარდიონმა და მინაგოს მარტო თვალებით გაუღიმა, — მერე, ანთიმოზ, მერე?

— შენ ხარ ჩემი ბატონი.. — ანთიმოზმა პრელი ცხვარსახოცი ახლა თავზე გადაისვა, — ეს ბიჭი გავისტუმრე, ეჩქარებოდა. მე და მარიამი კი დავტრიალდით, მალე ჩვენც იქით გავსწიეთ. იქ, ცოტა ცუდად შევიქენი... მაგრამ ბიულეტენის, იმ ოხრის წამოღება, ჭეღამევიწყდა... ამ საღამოს ავირბენ და ჩამოვიტან. ან, შეიძლება, სულაც მარიამი გავაგზავნო. მეცოდება კი, ეს დღეები ეგ ჩემზე უარესად იტანჯებოდა.

— ოჰ, ანთიმოზ, არ გრცხვენია? რომელ ბიულეტენზე ლაპარაკობ? მადლობა ღმერთს, რომ ასე გადარჩენილხარ, — სარდიონმა ანთიმოზს მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ევერინე ბიცოლა რაღას შეება? — მინაგომ სიგარეტი გააბოლა და სარდიონს თვალი ჩაუკრა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, კარგადაა! — გამოცოცხლდა ანთიმოზი. — აბა! მართლა იმ წამალმა თუ უშველა. ამ დილას ლოგინში ველარ აკავებდნენ, ანთიმოზი უნდა გავაცილოო. ძლივს დაამშვიდეს, დაეპირდი, კიდევ ამოვალ-მეთქი.

— ო, კაცურად მოქცეულხარ! — მოუწონა სარდიონმა.

— ნამდვილად, ნამდვილად, — მყისვე დაუდასტურა მინაგომ.

— აბა, ასე იყო! — ანთიმოზმა გულხელი დაიკრიფა და სკამის ზურგს მიაწვა. მერე უცებ მოიღუშა. და სარდიონს თვალეში შეხედა, — კაცო, რაც აქ ამბები დამახედრეს, მართალია?

— მართალია, ჩემო ანთიმოზ!
— ჯიბრაილი მოხსენით?
— მოვხსენით. დამიანემ მოგვახსენევინა.

— იიპ! — ანთიმოზი გულწრფელად დაიკყანა და ხელი ჩაიჭინა, — დამიანე, მე პატარა კაცი ვარ, მაგრამ მაგ დამიანეს პირში ვეძყვი, საქმე და მახტე-

ბი მაგას ფეხებზე ჰკიდია. ასეა... ეს ვინმემ მაგას პირში უსათუოდ უნდა უთხრას.

სარდიონსა და მინაგოს არ გააკვირვებიათ, რომ ჯიბრაილის მოხსნას ანთიმოზი გულწრფელად განიცდიდა. ან რა იყო ამში გასაკვირალი?

— რა? ცუდად მუშაობდა? საქმის ერთგული არ იყო? — ამ სიტყვებში ანთიმოზი ჯიბრაილს გულისხმობდა, — სხვა უკეთ იმუშავენს?

— ეგ ყველაფერი მართალია, ჩემო ანთიმოზ, მაგრამ, დიბლომიო, დიბლომი და ცოდნაო. სახელმწიფო ასე მოითხოვსო!

— არა, ეგ რასაკვირველია, — მყისვე დაეთანხმა ანთიმოზი, — ცოდნა აუცილებელია, მაგრამ...

— მერე, აუცილებელი რომაა, ჯიბრაილმა რა გააკეთა? ამდენ წელიწადში საშუალოს ატესტატიც ველარ მოახერხა?

— ჰო, ეგ კი მართალია. მოსაკლავია, ეგ მამამალღიშვილი!...

— ჩვენ კი ასეთ დღეში ჩავყვარა. თავს კი არ გაცოდებ, მაგრამ აი, მინაგოს ჰკითხე: მეოთხე დღეა, ტანზე არ გამიხდია....

— მესმის, მესმის... არ ეპატიება. საშუალოს ატესტატი მაინც რომ ჰქონდეს, რაღაცას მოუხერხებდით, რამე კურსებზე მოაწყობდით, ახლა?

— აბა! წინდაუხედავი გამოდგა.
— ნამდვილად, ნამდვილად.

— ეგ კი არა, აჯერ, შენს მოსვლამდე მე და მინაგო ვლაპარაკობდით, ჰოდა, იცი, რა ვთქვით? ეგ, ალბათ, უბანსაც ვერ გაუძღვებოდა, გვერდზე ასეთი საიმედო ხალხი რომ არ ჰყოლოდით.

— აჰ... — ანთიმოზმა ყურები ცქციტა.

— ნამდვილად ასე ვთქვით. ა, მინაგო?

— ჯი, კი ანე იყო.

— შენ თვითონ დაუკვირდი, ჩემო ანთიმოზ: მარტო ერთი კაცი ამხელა უბანზე რას გახდებოდა? უბნის უფროსი დავალებას მოგკეშს და სახლში წავა.

საქმე მერე ამ დავალების შესრულებაა. პოლა, აი აქ, ამ მთავარ საქმეში, მაგას თქვენ ყველანი მხარში ედქვით. უთქვენოდ ეგ კაპიტის საღირასლაც ვერაფერს გააყეობდა. მართალს არ ვამბობ მინავო?

— როგორც ორჯერ ორი—ოთხია, — მყისვე დაუდასტურა ჩარკვიანმა.

— მე შენ პირდაპირ ვეტყვი, ანთიმოზ: თქვენი, ჭიბრაილის თანამშემწეებისა და თანამშრომლების დამსახურება უბნის დაწინაურების საქმეში ჩვენ, შახტის ზელმძღვანელობას, ჯეროვნად ჯერაც არ დაგვიფასებია. ამას თვითკრიტიკის წესით ვამბობ. მაგრამ ამ შეცდომას ჩვენ მალე გამოვასწორებთ.

ანთიმოზმა თვალები ააყვია.

— ნამდვილად მალე გამოვასწორებთ, ა, მინავო?

— ნამდვილად. მაგას აღარ გადავდებთ, — დაუდასტურა ჩარკვიანმა.

— მაგაზე აი, რას მოვახსენებ, ბატონო სარდიონ, — ანთიმოზმა ჭიბრიდან ისევ ამოათრია ჭრელი ცხვირსახოცი, აუჩქარებლად ჩამოისვა თავბირზე, აუჩქარებლადვე დაეცა და ჭიბეში შეინახა, თან მოპირდაპირე კედელზე ერთ წერტილს მისჩერებოდა. — მაგაზე უნდა მოვახსენოთ, რომ... რა თქმა უნდა თანამშემწეების, თანამშრომლების, ყველა შემხატის დამსახურება ამ სასახელო საქმეში, რა თქმა უნდა, მეტად დიდია. მაგრამ ნამდვილი, მე ვიტყვოდი... დიან, ნამდვილი მეთაურისა და წინამძღოლის გარეშე უბანი, რასაკვირველია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაწინაურდებოდა და... ერთი სიტყვით, მეთაურის და წინამძღოლის გარეშე უბანი იმ მაჩვენებლებს ვერ მიაღწევდა. კი არა და, უკარგმეთაუროდ, შეიძლება, საწინააღმდეგო ამბებიც კი დატრიალებულიყო.

— ვითომ?!

— ნამდვილად! ნამდვილად!

— არა, რა თქმა უნდა, მეთაური და წინამძღოლი ბევრს ნიშნავს, არა მინავო?

— რა სალაპარაკოა!

— პოლა, ანთიმოზ, უბნის, პოლა სწორედ ზელმძღვანელი არა ჰყავს.

— ო, ეს ძნელია, ეს მეტად ძნელია, — ანთიმოზმა ეს სიტყვები სარდიონს ძალიან სერიოზულად უთხრა.

— ძნელი კი არა, აკრძალულიც კია, — სარდიონი წამოდგა, ხელები უკან დაიწყო, კაბინეტში გაიარ-გამოიარა, გაჩერდა და ანთიმოზს პირდაპირ თვალებში შეხედა, — კანონით უბნის უზელმძღვანელოდ დატოვება ერთი წუთითაც კი არ შეიძლება. აი, მე შახტის უფროსი ვარ, მაგრამ არა მაქვს იმისი უფლება, რომ უშუალოდ უბნის საქმეებში ჩავერიო, არც მინავოს, არც გურასაშვილს, არავის! კანონში ეს პირდაპირ წერია. უბნის საქმიანობაზე პასუხს აგებს მხოლოდ უბნის უფროსი. გასაგებია? გასაგებია, საკმაოდ აქ არაფერი არ არის. პოლა, აი, შენ, უბნის და შახტის ძველ, მკოდნე და გამოცდილ თანამშრომელს, მე შენ გუუბნები მოგვეცი ეს კაცი. გვითხარი, ვინ დავაყენოთ უბნის უფროსად. როგორც შენ, ანთიმოზ ჩახუნაშვილი იტყვი, ჩვენ ისე მოვიქცევით.

— შენი ნათქვამიდან ერთ ნაბიჯსაც არ გადავუხვევთ, — დაუდასტურა ანთიმოზს მინავომაც.

ანთიმოზმა ჩაახველა, ხელზე ხელს დიდხანს ისგამდა და ერთ წერტილს მიმჩერებულ, თავის საფიქრალს ფიქრობდა. მერე სარდიონს აღმაცერად გახედდა — რა მოვახსენო, სარდიონ ბატონო... ძნელი გადასაწყვეტია... ვითომ, თადეოზ ბოჭორიშვილი... ა?...

— რას ამბობ, თადეოზს რა დიპლომი აქვს?! ჩვენ დიპლომიანი კაცი გვინდა. ასე რომ არ იყოს, ჭიბრაილსაც ხომ არ მოვხსნიდით.

— ჰო!... დიპლომიანი... სწორია... თქვენ დიპლომიანი კაცი გინდათ. ინჟინერი, ტექნიკოსი... ა?

— ინჟინერი და ტექნიკოსი ნუ იქნება, სამთო ოსტატის კურსები ჰქონდეს დამთავრებული. აი, შენსაკეთ.

— აჰ, სამთო ოსტატს უბნის უფროსად დამიანე არ იყაბულებს, — ანთიმოზმა თავი გადააქნია, — ეგ რა თქვი სარდიონ?!

— ეგ მე ვიცოდე და დამიანემ. მაგაზე შენ ნუ შეწყუბდები.

— არა, არა, სარდიონ, შენი ჭირიმე, არა, დამიანეს ნუ გადაიცილებ... იმის ხელში ჩემი მტერი ჩავარდა. შახტის უფროსს თუ გადაეციდა, მთელ შახტს ამოიჭულებს. არ ვინდა... ვინ იცის, საღ და როდის ვაგვიხსენოს.

— არა, არ ვამიხსენებს. და არც ამომიძულებს. მაგ საქმეზე დამიანეს უკვე ველაპარაკე. ა, მინაგო?

— კი, — მუისვე დაუდასტურა მინაგომაც, — გუშინ არ ველაპარაკეთ?

— უკვე ელაპარაკეთ?... — ანთიმოზს შებლი შეეცვარა, ამოიხენეშა და ჭრელი ცხვირსაზოცი ისევ ამოათრია ვიბიდან, — ჰო... თუ ელაპარაკეთ, მაშინ... ინეინერ-ტეჭნიკოსები ჭირს, თორემ... სამთო ოსტატები კი მოიძებნება.

— მოიძებნება?

— კი.. რატომ არა...

— აბა, ჩემო ანთიმოზ, ახლა ერთი ქართული ანდაზა უნდა ვაგახსენო.

— ა?

— არის ასეთი ქართული ანდაზა: ურემმა შეშა რომ არ მოიტანოს, თვითონ შეშა არ არისო?

— რაო?

— ურემმაო! შეშაო! რომ არ მოიტანოსო! ვერ გაიგე!

— რა — ურემმა შეშაო?!

— ვერ გაიგე?

— არა, რატომ... ახლა... ჩვენს ხალხს ბევრი კარგი ანდაზა აქვს... ოლონდ...

— ოლონდ ეს ანდაზა შენ ვერ გაიგე, ხომ? გესმის, მინაგო, ვერ გაიგო. რას ერჩი? ეჰ, ანთიმოზ, ანთიმოზ? პატიოსანი კაცი ხარ და ეშმაკობა არ გეხერხება. არ გამოგდის, მთელი შენი ფიქრები, მთელი გულისნადები აგერ, შებლზე გაწერია. მე კი ვდგჯერ და ვკითხულობ. ა? რას მომჩერებიხარ? აჰ საქმეს რაღა ბევრი იწილო-ბიწილო უნდა? უბ-

ნის უფროსად კაცი გვჭირდება, სამთო ოსტატზე ყაბული ვართ. სამთო ოსტატებიც აგერა ხარ. უბანს იცნობ, ხალხს იცნობ, გამოცდილება არ გაკლია... ერთი სიტყვით, უბანი ჩაიბარე და გაუძეხი.

— ვინ, კაცო?... მე?...

— შენ! — სარდიონმა თავი დაუქნია.

— შენ, ანთიმოზ! — დაუდასტურა მინაგომაც.

ანთიმოზს ღერმა გადაჰკრა სახეზე, შებლზე, ყელზე ოფლის წვრილი წვეთები დაასხა. არა, იცოდა ანთიმოზმა, იცოდა, რომ შეიძლებოდა მისთვის უბნის უფროსობა შეეთავაზებინათ, მაგრამ სარდიონი თუ ასე გადაჭრით გაიმეტებდა, ეს ანთიმოზს არასგზით არ ეგონა.

ანთიმოზ ჩახუნაშვილი ისეთი გულმოკლული გამომეტყველებით იჭდა, თვალები ისე უაზროდ მიეშტრებინა კედლისათვის, რომ იფიქრებდით, საპატიო თანამდებობას კი არ თავაზობენ, არამედ რაღაც მძიმე დანაშაულის ჩადენას აბრალებენო.

— რა დაგიშავე მე შენ, სარდიონ რატველიშვილო? — ანთიმოზმა გულხელი დაიკრიფა და სარდიონს პირდაპირ თვალბში მიაჩერდა.

სარდიონი, ცოტა არ იყოს, დაიბნა. მან და მინაგომ ერთმანეთს თვალი შეავლეს.

— არაფერი, ანთიმოზ... არაფერი დაგიშავებია.

— აბა, ასე უღმერთოდ რატომ მიმეტებ?... — ანთიმოზს სული ესუთებოდა.

სარდიონმა და მინაგომ ერთმანეთს ისევ თვალი შეავლეს.

— ეს რა გამეტებაა, აღამიანო?!

— გამეტება არ არის?

— არა.

— ეს გამეტება არ არის?!

— არა-მეთქი!

— არა?! — ანთიმოზი სარდიონს ისევ თვალბში მიაჩერდა, კარგი, ბატონო, დამნიშნეთ... ძალა თქვენს ხელშია და... დამნიშნეთ.

— ძალა ჩვენ არ გვიხმარია, — სარ-

დიონმა მხრები აიჩეხა. ისე უკვე ნანობდა, რომ ეს საქმე წამოიწყო.

— მართლაც და... მინაგომ სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო, — ძალის ხმარებას შენ რას უძახი, ანტიმოზ?

— არაფერს, ბატონო... დამნიშნეთ... მე არაფერს არ ვამბობ დამნიშნეთ.

სარდიონმა ხელი მოწყვეტით ჩაიქნია. წავიდა, თავის მაგიდას მიუჯდა და რაღაც ქალაღღები გაშალა.

მინაგო ჩარკვიანმა ახალი სიგარეტი გააბოლა.

მძიმე სიჩუმეში ათი-თხუთმეტი წუთი გავიდა. ჩაბუნაშვილმა მოისაზრა, რომ უბნის უფროსობას მას აღარავინ თავა-

ზობდა. ჰოდა, მადლობა ღმერთს! ისე, ანტიმოზს შეშაობა ემართება, დღეში თუნდაც ათჯერ ჩაიცივამს ბრენტის სპეცტანსაცმელს და მიწისქვეშეთის უღრმეს და უშორეს ჯურღმულებს მოივლის, შახტიდან სულაც არ ამოვა, ოღონდ... ოღონდ იმ მძიმე უღელში ნუ შებამთ ამ სიბერისას, ლუქმას ნუ წაუმწარებთ.

— მე გეახლოთ, ბატონო სარდიონ?

— ანტიმოზი ნელ-ნელა წამოდგა და სარდიონს ალერსიანად შესცინა.

— კარგად ბრძანდებოდე! ანტიმოზმა კარი გაიხურა.

□ ბაბრძელები იმედა □

კაი ყმის პარკვენი

დიახ, ეს დილა სხვა არის,
 ეს წუთი სულ სხვა წუთია.
 ამ რძემოწოლილ ზეივნებს
 დღეს უფრო მეტი მუქი აქვთ.
 რა უცნაურად იწვიან
 მაინც ეს მორცხვი ალგები,
 დღეს უფრო მხარგამლილები
 და შარშანდელზე მაღლები.
 შენ არ გეშლება, სიკეთევე,
 იცი, ღირსება გამრჯელის,
 სვეტიცხოველის თაღებთან
 ამოკვეთილი მარჯვენის;
 იცა, რამ დასძრა მცხეთასთან
 მტკვარი სინათლის ტალღებად,
 იცი, ენგურის ქედები
 ხვალ როგორ გაჩახჩახდება;
 იცი და ზედავ კიდევაც,
 სად მიდის ეს გზა გაჭრილი,
 სიცოცხლის აფრებს ვით გაშლის
 მალე არღუნთან შატილი.
 ვუპუერ დ. ვფიქრობ ამ ყანებს,
 ბაღებს ზღაპრებად გადაშლილთ,
 გულის ბაჯაღლო მტყევნები.
 ვინ დააწურა გვალვაში;
 ვინ აახდინა რაც ჰქონდათ
 იებს სიზმარში ნანახი,
 იქ, მზე ვინ დააბინადრა
 რომ არ ხარობდა ბალახიც?
 ამ კლდეებს ვინ გადაეგლო
 და ზედ დაჰკიდა მდინარე,
 ამ ხნულებს ვინ დააწვილა
 6. „მნათობი“, № 6.

ტალღა რომ მოსწყდა მყინვარებს
 ვინ იყო? ვინ და შენ იცი,
 მიწავ და ცაო ნათელს!
 მაღლი კაი ყმის მარჯვენის
 უძლოდეს კვლავ საქართველოს!


კაი ყმის გზას ვერ მინამქრავს
 ვერც ქარი და ვერც მუქარა,
 არაგვის ზვირთში ახლაც ჰქუეს
 ჯორჯიაშვილის ყუმბარა.
 ამ ვენახების შრიალში
 ის დროშა ღელავს წარმტაცი,
 ქანთარიამ რომ აღმართა
 შორს რაიხსტაგის ლაქვარდში.
 ვინც ცხრამთას იქით დაეცა
 კაი ყმის სინდის-ნამუსით,
 სანამ საშობლოს მზე ბრწყინავს,
 ისიც აქა წვეს მამულში.

ვინაც კლდედ იდგა დიდგორთან
 და მტერს გულს ტყვიად ახლიდა,
 ცხოვრების გზა გაგვიანათოს
 აიმ კაი ყმას მახვილმა.
 წინ ვფხვნივს ტყავი რომ ეგო
 და ზედ მშესავით იწყოდა,
 კვლავ ბრძოლის ფინით აგვანათოს
 აიმ კაი ყმის სტრიქონმა.
 ვინც იდგა ბარკადებზე
 და ჰგავდა ციხერის გაჩენას,
 ხუთწლეუდის გზა გაგვიმუქოს
 აიმ კაი ყმის მარჯვენამ.

არა ომების ქარბუქში,
 სისხლში ყელამდის ჩამდგარი,
 მხოლოდ ყანაში გვენახოს
 კაი ყმა ხელში ნამგალით.
 ამ ზერებს სიუხვე ამშვენებს,
 ხნულებს ჯუჯილად აკინძვა...
 ეს არის მისი მარაბდა,
 მიხი გრემი და ასპინძა.
 ვიცი, კვალს ისე გაიტანს
 და ისე გავა გუთანი,
 როგორც ხმალს სააკაძისას
 მკერდი გაქონდა დუმანის.

სანამ ღიაწმინდა მთაწმინდობს,
 მკერდში ცეცხლი და რვალი ძეგს,

კაი ყმავე, შენ ხარ მამულის მამული
 წარსულიც. აწმყოც, ხვალის დღეც.
 სანამ არაგვი არაგვობს
 და მოსძახიან ქედები,
 არა. არ ამოთავდება
 კაი ყმის სადიდებელი.
 შენ, გაგიმარჯოს სამშობლოც,
 მზეც შენ და ცისკრის თენებაც,
 სანამ შენ ბრწყინავ რა მოშლის
 შენი კაი ყმის ხსენებას.
 ღმერთო, ამრავლე მამულში,
 კაი ყმა კარგის მთებსველი,
 კაი ყმის კვალზე მავალი,
 კაი ყმის დამფასებელი!



შაბურაძე არსებულნი

პ ბ ბ ა ე ი

მთვარე დამწვარა, გაფანტულა ურიცხვ
პეპელად
და გაფოთლილა პეპელათი
ჩვენი პლანეტა.....
დალამდა. ტყეზე ჩაიარა მატარებელმა —
ტყე შრიალებდა.

მე ერთი წუთით დამაგვიანდა
და აღარც ველი ტკივილს უარესს.
და გული ჰგავდა დაღლილ ლიანდაგს,
ელმავლებმა რომ გადაუარეს!

...მთვარე დამწვარა, გაფანტულა
ურიცხვ პეპელად,
აღარ ამოვა ცაზე მთვარე...

ზ ა მ თ ა რ ი

თეთრი ლექსები; ციდა ლექსები —
ცვივა და ცვივა ცით ფანტელები.
ღამის ბილიკებს რომ გვინათებდნენ,
ხად ჩაქრნენ თოვლში ციფნათელები?

თოვს... ამინდია მეოცნებეთა,
ლექსის წერის და ფიქრის ამინდი.
თოვს, ზეიძლება იგრძნო ფრთები და
იმავ წამს იგრძნო ჭერი კრამიტის.

თოვს, წელს რა ადრე დგება ზამთარი,
ათასი სარკმლით და ჭუჭრუტანით —
თოვს, სულს შანდალში ლევს
კლაპტარი —
სინათლის წვეთი, ძლივს ძლივს მზეუტავი.

ისმის ზვავების ზარი მთებიდან,
ნეტავ სად მიდის შორს რომ გზა მიდის?
თოვს. ამინდია მეოცნებეთა,
ლექსის წერის და ფიქრის ამინდი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ახლა ისეთ უბანში ვცხოვრობ,
 ვწუხვარ, რომ არ ვარ ვარსკვლავთ
 მრიცხველი.
 ყოველ საღამოს სახლის სარკმლიდან
 ჩემი ქალაქის ელნათურებს დავთვლიდი
 მაშინ...

და მაინც მჯერა, რომ ყოველ ღამე
 თითო ნათურა ემატება ჩვენს ღამაზე
 თბილისს,
 თითო ნათურა, როგორც თითო წვეთი
 სინათლის!

უ ბ რ ა ლ მ ე

კიდევ ჩაივლი სტეფანწმინდას
 ფეხად გაეჩერდები დარიალს —
 იქ, სადაც თოვლიანი მთებია
 და მთებში თოვლივით დალია!

აღრე წასულ ნაცნობს გაეიხსენებ,
 ხმელ პურზე ჭიქას პირს წავეუცევე...
 და მერე მგზავრობით დაღლილი
 ლექსს დავწერ ნისლზე და ძაუგზე...

დღეს მისთანები ცოტანი დადიან.
 კაი კი იყო ყველანი ვგავდეთ.
 ხშირად ვიგონებ ცოტნე დადიანს
 „დედა-ენაში“ გაცნობილ ქართველს.

როგორც ბრძოლაში სჭირდება ძმა-ძმას,
 ისე — თიბვაში, წვაში, წვიმაში.

ეს რომ ასეა, და რომ თქვას კაცმა
 ნიჭი კი უნდა გვეონდეს მიბაძვის.

დღეს გემართებს ათას რაღაცის ცოდნა
 და არა ოდენ ხმლის ქნევა გემართებს.
 გაეიხსენოთ და ებაძავეთ ცოტნეს
 „დედა-ენაში“ გაცნობილ ქართველს.

დიდი და პატარა ეკატერინე

რომანი

წიგნი მორე

თავი პირველი

დილით ზარის ხმამ გამოაღვიძა.
საათს დაწვდა. რვა საათი იყო. ეცნა-
ურა.

როცა რეზო ჩაფიჩაძე ხემაღალის
სკოლაში სწავლობდა, სკოლას დარაჯი
ჰყავდა — ნადიაყენარი გუგა ჩაფიჩაძე
და გუგა ოსტატურად რეკდა სკოლის
ზარს.

დილის რვა საათისათვის გაბმულად
ჩამორეკდა: „ადექით!“ „ადექით!“
„ადექით!“ ბუბუნებდა სკოლის ზარი
და მისი ხმა ხემაღალის ყველა უბანში
ისმოდა.

რეზო ლოგინიდან ავირდებოდა, წიგ-
ნებს და რეჟულებს ჩანთაში ჩაწყობი-
და, ხელბირს დაიბანდა და სამზადში
შეიჭრებოდა.

სამზადში მოფუსფუსე დედა მელი-
კი დახვდებოდა და ტაბაკზე გაწყობი-
ლი საუზმე: გაფიცებული ქაღი, ყვე-
ლი და რძე.

და როცა გუგა ჩაფიჩაძის ზარი
ცხრისნახევრისთვის ჩამორეკდა —
გამოეშურეთ, არ დაგაგვიანდეთო, რე-
ზო ჩაფიჩაძე უკვე სკოლაში იყო, ეში-
ნოდა დაგვიანებისა. ყველა მოწაფეს

ეშინოდა სკოლაში დაგვიანებისა; მაგ-
რამ სოფლის განაპირა უბნებში მცხოვ-
რებ ბავშვებს ზანდაზან მაინც აგვიან-
დებოდათ.

უცნაური დარაჯი იყო გუგა ჩაფიჩა-
ძე: ზუსტად ცხრა საათისათვის სკო-
ლის კიშკართან ჯარისკაცისგან გაიჭი-
მებოდა, კიშკარი ღია იყო, მაგრამ დაგ-
ვიანებული მოწაფეები ეზოში შესვლას
ვერ ბედავდნენ. დიდი ეკატერინე, ვი-
თომ შემთხვევით გამოვიდოდა სკოლის
აივანზე, გრძელ აივანს ნელი ნაბიჯით
ბოლომდე გაივლიდა, მერე ვითომ შემ-
თხვევით გამოიხედავდა კიშკრისკენ და
გუგა ჩაფიჩაძეს დაუყვავებდა.

— ამ ერთხელ გამოატარეთ, გუგა
ბატონო!

გუგა მოიღრუბლებოდა, მწყარალად
გამოხედავდა ეკატერინეს და გულმო-
სულად ჩაიბურღლუნებდა.

— „ამ ერთხელ“ არ გამოგელევით,
ქალბატონო, და ფუქლებიან ეს ოხრე-
ბი!

მერე გუგა ჩაფიჩაძე დაგვიანებულ
მოწაფეებს ზურგს შეაქცევდა და მზე-

რას ზეცაში აღაპყრობდა — შემოეხეტნებით, ვითომ ვერ გხედავთო.

და როგორც ოცდაათი წლის წინათ, დღესაც ზარის ხმამ სკოლისკენ მოუხმო ჩაფიჩაძეს. ისე სახელდახელოდ, სწრაფად ჩაიღვია, როგორც მოწაფეობისას, ხელპირი დაიბანა და სამზადში შევიდა. სამზადში ალექსანდრე ფუსფუსებდა და ტაბაკზე საუბრე იყო გაწყობილი: ხაჭაპური, შემწვარი წიწილი, გაფიცებული ქალი, ჰყინტი ყველი, პრასის წილი, დოქით ღვინო.

— როდის მოასწარი, მამი — გაიკვირვა რევაზმა.

— მეე? ჰოო... არა... — დაიბნა ალექსანდრე.

პაუზა.

— პატარა ეკამ მოიტანა.

— პატარა ეკამ? რატომო? — რატომღაც გულმოსულად თქვა რევაზმა.

— დედამ მოგიკითხათო, კალათი აივანზე დადო და გაიქცა.

სკოლის ზარმა მეორედ ჩამორეკა.

— სანდრო? — იკითხა რევაზმა და სამზადი მოათვალღერა.

— აღრე წავიდა.

პაუზა.

— შენ ისაუბრე, მამი, მე სკოლაში წავალ, საქმე მაქვს, — თქვა რევაზმა და სამზადიდან გავიდა.

ეზო ხელი ნაბიჯით გაიარა, ოლაგეს მსუბუქად გადააბტა, მერე, სკოლაში არ დამაგვიანდესო, ნაბიჯს აუჩქარა.

...მესამე ზაფხულია, რუსუდანი და თათია ცალკე არიან, სანდრო და მე — ცალკე. მესამე ზაფხული რატომ? მთელი მესამე წელიწადი! შარშანწინ მხოლოდ ერთი კვირა იყვნენ სოფელში, შარშან კოჯორში მოიაგარაკეს, წელს კი გავრას მიაშურეს... თუმცა შეთანხმებული ვიყავით, როგორც კი სამხატვრო ტექნიკუმის მოსწავლეებს დაითხოვდნენ, რუსუდანი და თათია ხემაღალში ჩამოვიდოდნენ, ხოლო აგვისტოში ყველანი ერთად წავიდოდით გავრასში. მერე საქმეები მოიძინებოდა რუ-

სუდანმა, ჩემი თბილსში დაჩქარდა აუცილებელიაო, მე მარტო ვერ გავძლებო და თათიაც ჩემთან დარჩებო.

თათია წელს არ შედის უცხო ენათა ინსტიტუტში. საერთოდ უარი თქვა ინსტიტუტში სწავლაზე, კონსერვატორიაში შესვლა მოუსურვებია და დედამისსაც მხარი აუბამს: დალი გარდაფხაძეზე უკეთესი სმენა აქვს ჩემს ქალიშვილს, დაკვრითაც უკეთ უკრავსო და ღმერთო კი მომკალი, დალი გარდაფხაძე თუ მოეწყო კონსერვატორიაში, თათია ჩაფიჩაძე რატომ არ უნდა მოეწყოსო, — უბრაძენებია რუსუდანს და კიდევაც გაიტანს თავისას. ამიტომაც წელს მოამზადებს თათიას და გაისად ჩააბარებინებს გამოცდას კონსერვატორიაში.

ჰო, გავრას მიაშურეს. რუსუდანმა მომწერა, შენ თუ ვერ ჩამოხვალ, სანდრო მაინც გამოგზავნეო. მე წასვლა არ შემეძლო, სანდროს კი შეეთავაზე წასვლა, მაგრამ იუარა, შავ ზღვას სატყველა მირჩენვიაო, მითხრა და არც მე დავაძალე.

გავრიდან გამომგზავრების დღე არ შემატყობინა რუსუდანმა, იფიქრა, რევაზმა კარგად იცის, როდის და რომელი მატარებლით წავალთ მე და თათია თბილისში და თუ სურვილი აქვს, ხერგას სადგურზე დაგვხვდებო.

ჩემზე გულმოსულია, მაგრამ სანდრო? სანდრო არ ენატრება? მე ყოველთვის თუ არა, ორ თვეში ერთხელ მაინც თბილისში ვარ, სანდრო კი შარშან საშვილდოემბროდ მხოლოდ ორი დღით მყავდა თბილისში... მიკვირს, ძალიან მიკვირს, ქალბატონო რუსუდან, თქვენი საქციელი!

...რუსუდანი ფიქრობს, კიდევ ერთი წელი და ხემაღალში რევაზ ჩაფიჩაძის საქმე მოთავდებო: სოფელი თითქმის ამოსახლდა, თუთის ხეები დაიზარდნენ და ლაბორატორია მუშაობს, ვაზი წელს პირველ ნაყოფს გამოისხამს... სკოლის ახალი შენობის აგება ჰქონდა ამოჩემებული და ესეც აშენდა! კიდევ რას გააკეთებს ხემაღალში რევაზ ჩაფიჩა-



დე? ჰო, რა უნდა გააკეთოს? მეურნეობის დირექტორობას ვერ შევლევა? არა, ასეთი არ გახლავთ რევან ჩაფიჩაძე! მე შენ გეტყვი, ვინმე იუარებს გამართული მეურნეობის დირექტორობას! ლაბორატორიის ხელმძღვანელიც გამოიძებნება, რევან ჩაფიჩაძეს მეუღლე და ქალიშვილი თბილისში ჰყავს, სახლი აქვს და კარი, ინსტიტუტი ელოდება, ჰოდა, აღგება და წაშლა თბილისში, — დიახაც ეყო რევან ჩაფიჩაძეს ოჯახისგან განდგომა! მიხვდა, კიდევ კარგი, რომ მიხვდა, მადლობელიც გახლავთ, რუსუდანმა თავისი რომ გაიტანა...

დიდი-დიდი ერთი წელიწადი და რევან და სანდრო თბილისში გადმობარგდებიან. თბილისში ჩვენი ჩასვლის დღეც კი იცის რუსუდანმა. ჰო, დილით, გამთენიისას დაირეკება ჩვენი კიშკრის ზარი, თათია ძილფინიზელია, პირველად ის გაიგონებს ზარის ხმას და კიშკრის გასაღებად გამოიქცევა, ფართოდ გააღებს კიშკარს და მამას მკერდზე შეაფრინდება. სანდრო კიბეს სულმოუთქმელად აირბენს, დედის ოთახში შეიჭრება და ლოგინში შეუფორდება... სახელდახელოდ მოირთვება რუსუდანი და მეუღლეს გამოეგებება, ვითომ მწყრალად გამოხედავს, მაგრამ გულში უხარია, გულის სიხარულს კი ვერ დამალავს რუსუდანი, ხელს ჩამოართმევს მეუღლეს და გაუღიმებს... რევან და რცხვენილია, თვალს ვერ უსწორებს მეუღლეს, თავს დაბლა დახრის და ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა იტყვის:

— მამატიე, რუსუდანი! ამა, ჩამოვედით...

ასე ფიქრობს რუსუდანი, ფიქრობს კი არა, დანამდვილებით სჯერა.

...ვიცოდი, ოცდაათ აგვისტოს წამოვიდოდნენ გაგრიდან და უმკველში სოჭის მატარებლით, ვაგონი № 7. კარგად მახსოვს, სანატორიუმ „თბილისის“ დამსვენებელთათვის სოჭის მატარებელზე მხოლოდ მეშვიდე ვაგონშია ბაღეტიბი დაჯავშნული.

სალამოს ხერგაში წავალ-მეთქი ვუთხარი სანდროს და ნასადილევს დავაძინე, რვა საათი გახდა და გამოღვიძებას არ აპირებდა, შემებრალა, მაგრამ მაინც გავაღვიძე, მინდოდა ხერგაში დაღამებამდე ჩავსულიყავი. რატომღაც ღამით მანქანის ტარებისა მეშინია; როცა მარტო ვარ, იმდენად არა, მაგრამ თუ ვინმე მიზის მანქანაში, ნამდვილად მეშინია.

ხერგას რომ მივეუახლოვდით, მხოლოდ მაშინ მკითხა სანდრომ, რატომ მოვდივართ ხერგაშიო. დედაშენი და თათია თბილისში მიდიან და სადგურზე უნდა დავხვდეთ-მეთქი.

— წერილი მოიწერეს? პაუზა.

— შემოგვითვალეს, — ვიცრუე მე და სანდროს თვალი ავარიდე.

— ვაგონი? — ჩამკითხა სანდრომ.

— მეშვიდე... — დარწმუნებით ვთქვი მე და მანქანა სასტუმრო „უღელტეხილთან“ გავაჩერე.

— ჩვენი სახლი! — თქვა სანდრომ.

საათს დავხედე. მატარებლის ჩამოდგომას ბარე ორი საათი უკლდა. სანდროს ეშინება, ცოტას წავახემსებ-მეთქი და „უღელტეხილის“ დიდ დარბაზში შევიყვანე.

დარბაზი სავსე იყო ხალხით და მთელი დარბაზი ერთი სუფრა იყო, ეს სუფრა ჭერ წრედ უვლიდა დარბაზს, მერე ორ ადგილას ხიდივით კედლიდან კედლამდე იყო გადაჭიმული. დარბაზის შუაგულში მრგვალი მაგიდა იდგა, ხუთიოდე კაცი უსხდა და სუფრა ყვავილებით იყო სავსე.

სანდროს ხელი ჩავავლე და კარისკენ გავაბიჯე და თითქოს იატაკიდან ამოიჭრაო, ჩვენს წინ დიომიდე არჩავდე აღიმართა.

— ბატონო რევან, ვთხოვთ, — დიმილით თქვა დიომიდე არჩავემ, ჩემი პასუხისათვის არ დაუცდია, მარჯვენა მე ჩამავლო, მარცხენა სანდროს და მრგვალ მაგიდასთან მიგვიყვანა.

დარბაზს თვალი მიმოვაველე. სუფრაზე ბევრი ჩემი ნაცნობი იყო.

— ბატონებო, — დაიბუხუნა პატივემულმა დიომიდემ, — ბედნიერ ქორწილს ძვირფასი სტუმარი შემოვსწრო — და მექორწილეთ ჩემი თავი წერილად წარუდგინა: ჩვენი საყვარელი და დიდად პატივსაცემი პროფესორი დიდად რომ სხვანაირი პროფესორი გახლავთ, ღრმად განსწავლულ რევებ ჩაფიქვს ზოგიერთივით ცისკენ კი არა აქვს თავი აღერებულო, ხალხში ტრიალებს და დედულეთ-მამულეთის დიდი მოსიყვარულეაო და ასეო და ისეო... არც მეტრნეობა დაივიწყა პატივემულმა დიომიდემ, არც თეთის პლანეტაციები, არც აბრეშუმის ქია და კატეგორიულად განაცხადა — ახალი პიესა დავწერეო „აბრეშუმის ქიის ძალა“, პიესაში მთავარი მოქმედი პირები სწორედ რევებ ჩაფიქაფე, ეკატერინე ხიდაშელი, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიქაფეები არიანო და ამ პიესას მალე წარმოვადგენ თქვენს დიდად საყვარელ ხერგას სახალხო თეატრშიო, პირველად კი, როგორც სიურპრიზი, ეს პიესა ხემაღალის მეურნეობის მოედანზე დაიდგმებაო... მერე რუსუდანი, თათია და სანდრო შეაქო. რუსუდანიო, ბრძანა ბატონმა თამადამ, ჩვენი რესპუბლიკის ერთი უნივერსიტი მხატვარიო (დანამდვილებით ვიცი, რუსუდანის არცერთი სურათისათვის თვალი არ შეუვლია პატივემულ დიომიდეს), მაგრამ მისგან მომავალში კიდევ უფრო მეტს მოველოთ და დარწმუნებული ვართ, ქალბატონი რუსუდანი, მისი ნიჭის თაყვანისმცემლების იმედს გაამართლებსო... ისეთი ლამაზი და ეშხიანი ქალიშვილი ჰყავს ქალბატონ რუსუდანსო, დედა ხომ ლამაზია და ლამაზი, მაგრამ-ნუ მიწყენს და ქალიშვილის ჩრდილი გახლავთო; სანდრო კი, აგერ მხარს რომ უშვენიებს საყვარელ მამას, თვითონვე ხედავთ, როგორა შედარებულა ყმა-ვილია, ნიჭიერებას კი ნუ აკითხავთო, ყველა მასწავლებელი პირდაპირ გაგიტყუებდა. მისი ნიჭიერებითო, მამაჩემს როგორ დაივიწყებდა — ალექსანდრე ჩაფიქაფე შებერებულა, მაგრამ კბაუ-

კივით მოუსვენარია, მართლაც ჩანს კი არა, მეურნეობაშიც თავკაციო... აბა ექსტრა, ყველასთან ალავერდი ვარო, ყანწი გამოსცალა, ჩაახველა, ხმა კიდევ უფრო დაიბოხა და ხმამალა შესძახა, — „ჩვენს რევებ ჩაფიქაფეს გა-უ-მარ-ჯოს!“ და მთელმა დარბაზმა, დიომიდეს მეთაურობით, სამჯერ დაიგუგუნა — „ჩვენს რევებ ჩაფიქაფეს გა-უ-მარ-ჯოს!“

მერე მე ყანწი შემეცხო დიომიდემ, სანდროს პატარა კიჭა და დაუყვავა, შენ ამით დამილე, ბიძიკო, სამადლობელიო, შეგვასვა და ნეფე-დედოფალი წარმოგვიდგინა:

პატარძალი: ჩვენი პატარძალი, ბრძანა თამადამ, ბიჭკია საკანდელიძის ქალიშვილი გახლავთო. ისტორიკოსი ბრძანდებო, მართალია, ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ დასწრებულის კურსდამთავრებულზე მეტი ცოდნა აქვსო, ხოლო თვითონ ბიჭკია საკანდელიძე ფურცარივით მშრომელი და დიდად საყვარელი კაცი რომ გახლავთ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ და ამიტომაც ბიჭკიაზე არაფერს ვიტყვიო...

ეს მართალი ბრძანა პატივემულმა დიომიდემ, მე კარგად ვიცნობ ბიჭკია საკანდელიძეს: ხერგადან ხემაღალში გზა რომ გაგვეყავდა, მშენებლობის მომპარაგებელი იყო ბიჭკია, კეთილშობილ კაცად მივიჩნიე, მისი მუშაობითაც კმაყოფილი ვიყავი და ვენდობოდი. ერთ მშენიერ დღეს წერილი მივიღე, — ეს ჭორდი და ლეთისგარეგანი ბიჭკია სულში რომ ჩაიძვრინე, რა-შია საქმეო. მართალია, მოუცლელი ბრძანდებით, მაგრამ როგორმე ერთხელ გორჯიამვილის ქუჩაზე გაიარეთ და № 12 სახლი და მისი ეზო-კარი შეათვალიერეთო: ამ თქვენს საყვარელ ბიჭკიას მოტიტელებულ ეზოში ერთ-ერთახიანი ფიცრული ედგა და ერთ წელაწაღში იხველა ხვითო როგორ აპოვინინეთო, ორსართულიანი სახლი რომ წამოკიშაო. ხუთასი ძირი ვაზი ჩაჰყარა და ასამდე მსხალი, ვაშლი და კომში

დარგო, ეზო მათეულის ბადით შემო-
ლობა, კიშკარი რკინისა დაიკიდაო. თუ
მოისურვებთ და ბიჭაქიას სახლში შებ-
რძანდებით, ბევრ სხვა რამესაც ნახავს
თქვენ თვალიო და ჩვენ, გზის მშენებ-
ლები, წინადადებას გაძლევთ, ეს ქურ-
დი და ღვთისგარეგანი მოგვაშორეთო.
წერილი ბარე ააი კაცი აწერდა ხელს.

ზერელე შემოწმებითაც ყველაფერი
დადასტურდა. ბიჭაქია საკანდელიძე
სამუშაოდან მოხსნა და გზისმშენე-
ბელთა განცხადება და შემოწმების მა-
სალები პროკურატურას გადაეგზავნა.
საქმეს რომ გაეცენენ, გვაცნობეს. სა-
კანდელიძე სასამართლოს წინაშე წარს-
დგებაო, მაგრამ სასამართლოს არ გა-
ნუხილავს ბიჭაქიას საქმე... ამბობენ,
რაილმასკომი მიეშველაო და სამსახუ-
რიდან მოხსნა აკმარაო.

საკანდელიძე კარგახანს არ გამოჩე-
ნილა ხალხში. მერე ზერგას ლენის
ქარხანაში მოეწყო და ახლა აგერ რეს-
ტორანში იხდის ქალიშვილის ქორ-
წილს.

თამადა რომ მადღეგრძელებდა, მა-
შინ შემომხედა ბიჭაქიამ, ფეხზე ადგა,
გამიღიმა და გაწითლდა. მე უხერხუ-
ლობა ვიგრძენი, დაბრძანდით-მეთქი,
ვთხოვე ბიჭაქიას, ისიც უშალ დაესვენა
სკამზე, თავი ხელებში ჩარგო და გა-
იჩინდა.

ს ი ძ ე: ახლა სიძე ბატონზე მოვახ-
სენებთ, ბრძანა პატივცემულმა თამა-
დამ და ხმა უფრო დაიბოხა, — ჩემი
ახლო ნათესავია სიძე ბატონიო, კოკინია
ამაშუქელის შვილიშვილი გახლავთ და
ჩემი მეუღლე ამაშუქელი რომ ბრძან-
დება, უპქველში გეცოდინებათო, მაგ-
რამ უმთავრესი ისაა, რომ ჩემი ნათ-
ლულია სიძე ბატონიო. ჰოდა, დედით
ამაშუქელია ბიჭაქია საკანდელიძის სი-
ძე, მამით კი სიმონია და სულში ჩასაძ-
ვრენი ყმაწვილიაო. მართალია, ვერც
ქუთაისის და ვერც თბილისის ინსტი-
ტუტებში ვერ მოეწყო და თქვენ ჩემზე
უკეთ იცით, რატომაც ვერ მოეწყობო-
დაო, — გადმოქრა დიომიდე არჩეა-
ქემ, — მაგრამ, არ იფიქროთ, ჩემი ნა-

თესავე რომ არის, იმიტომ ვაქებდეთო.
ლმერთმა ინსტიტუტდამთერებულემ
მისცეს მაგისი განათლება და შრომის-
მოყვარეობაო, აგერ, ბარე ხუთი წე-
ლია რაიუნევერმალის სექციის გამგეა
და ერთი საყვედურიც არ მიუღიაო...
ჰოდა, ჩვენ ვართ შემსწრენი შესანიშ-
ნავი დაწვეილებისა, კიდევ ერთმა ახა-
ლმა კერამ დაისაძირცვაო საქართვე-
ლოს ცისქვეშ და ეს ახალი კერა დამი-
ლოცეთ, რვეაზ ბატონოო...

ყანწი დიომიდე არჩეაქემ გადმოცა,
სიძე ბატონმა შემეცასო, დავლოცე ნე-
ფე-დედოფალი, მერე ბატონ თამადას
მოვუბოდიშე და გამოვვთხოვე.

კარებში შადიმან შარანგია იღვა.
მოგვესალმა. სანდროს მხრებზე მო-
უთათუნა ხელი და სახეში ჩააცქერდა.
— რამხელა გაზრდილხარი მიცანი,
ბიძიკო?

სანდრომ დაიმორცხვა და თავი დაბ-
ლა დახარა, მერე ხმადაბლა, ძალიან
ხმადაბლა თქვა:

— გელას მამა!

— ჰო, გელას მამა ვარ! — გაუხარ-
და შადიმანს, — შენ მეცხრეში ხარ,
ხომ? გელაც მეცხრე კლასშია. დღეს
წავიდა თბილისში. შენც თბილისში
მიდიხარ?

— არა! — გათამამდა სანდრო, — მე
ხემაღალის სკოლაში ვსწავლობ.

— ოჰო! — ვითომ გაიკვირვა შადი-
მანმა, — მამ ხემაღალის სკოლაში
სწავლობ? ყოჩაღ შენი გელა კი თბი-
ლისში სწავლობს. ახლა საით თქვენს
მგზავრობა?

— სადგურზე, — ეთქვი მე და შადი-
მანს სიგარეტი მივაწოდე.

— ერთი თვეა, არ გაგვარებივარ, —
ხელი გულზე დაიდო შადიმანმა, —
ამან დამიძახა, რვეაზ ბატონო. სად-
გურზე? — გაიკვირვა, თბილისში მა-
დიხართ?

— რუსუდანი და თათია გამოივლიან
სოქის მატარებლით.

— ააა, მივხვდი! რომ მცოდნობდა,

ჩემიანებსაც ამ მატარებლით გავამგზავრებდი.

ქუჩაში გამოვედი. ხევისწყლიდან ნიაგი ჰქრის და გრილა.

— მამ ხემაღალაში სწავლობ? დედის და დიკოს აცილებ თბილისში? კარგია! — თქვა შადიმანმა და სანდროს ისევე მხრებზე მოუთათუნა ხელი.

ჩვენი ოჯახის ამბავი წერილად იცის შადიმან შარანგამ: რუსუდანი და თათია მთელი ზაფხული გაგრაში იყვნენ და დღეს თბილისში მიდიან. მე და სანდრო ხემაღალაში ვცხოვრობთ. დარეჯანის გაგვიტხოვდა და სახლში ახლა სამი მამაკაცი ვართ — ალექსანდრე, სანდრო და მე. ლილიმ ზვიადი მიატოვა, ნიკო ბატონი და ქალბატონი თეკლე ცდილობენ რძალი შინ მოაბრუნონ, მაგრამ ჭერჭერობით ვერაფერი მოახერხეს... პო, ჩვენი აწეწილი ამბავი წერილად იცის შადიმანმა, ის კი ისეთ რამეებს კითხულობს, ვითომ არაფერი იცოდეს.

სანდრო მანჭანაში ჩავსვი, შეგიძლია ერთი საათი დაიძინო-მეთქი. მე და შადიმანი ქუჩის მეორე მხარეს გადავედით და ხევისწყლისპირას ძელსკამზე დაესხედით.

აქ გავაკებულა ხევისწყალი, კალაპოტიც ფართო აქვს და უხმაუროდ მიედინება. ხანდახან მსუბუქად გაიშრიალებს ტალღა, მაგრამ ეს შრიალიც უმალვე შეერწყმის სიმათვს და არავითარი ჩამიჩუმის.

ძელსკამზე ვზივართ, სახეში გვანათებს რესტორნის ფანჯრებიდან გამოჭრილი შუქი, მე სიგარეტს ვეწევი, შადიმანს თავი ჩაუქინდრავს, ვაკვირდები და მუდამ შემართული, შეღერებული და ხალისიანი შადიმანი, მოთენთილი, სევდიანი და დაღლილი მეჩვენება.

— ქორწილებს ხშირად იხდიან რესტორანში? — სხვათაშორის ვკითხე შადიმანს.

— არც ისე, — უხალისოდ თქვა შადიმანმა და ჩიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— ავი არ ვეწევიო?

— ხანდახან, ვითომ დარღს ვერცუბი.

— ბიკაქია ხავანდელიც, ორსართულიანი ოდა უდგას, დღემდე არც ვაძის ნათლული ჩაუხმებინა, რატომ სახლში არ იხდის ქორწილს?

პაუზა.

— ერიდება სტუმრების სახლში მიყვანას, — ირონიულად თქვა შადიმანმა.

— ნაქურდალის გამოჩენას! მაგრამ რესტორანი უფრო არ ყვირის?

— ქორწილს სიძე იხდის, — თქვა შადიმანმა და მოუწეველი სიგარეტი ხევისწყალში ისროლა.

— ეტყობა, სიძეც ღონიერია!

— თუ დაეჭვიდა, სიმამრს წააქცევს, — ღმილით თქვა შადიმანმა, — მაგრამ სიძეს რას ვერჩით, შრომისმოყვარეა, შეძლებული ოჯახის შვილია, ახალგაზრდა დედამა ჰყავს... ქონების შექმნა ცუდი როდია, ბატონო რევაზ, ოღონდ უკუღმართად შექმნილი ქონება უარს და ჰაერს წამლავს.

შადიმანი ადგა. საათს დახედა.

— ჩემი ბარათი არ მიგიღიათ? — მკითხა შადიმანმა და თვალი გამისწორა.

— არა.

— თქვენი საბარგო მანჭანის შოფერს გამოვატანე გულში.

— არ მიმიღია.

— ხვალ მიიღებთ. პასუხს ნუ მომწერთ. პასუხისათვის მე თვითონ ამოვალ ხემაღალაში.

პაუზა.

რესტორნიდან სიმღერის ხმა გამოიჭრა.

შადიმანმა ისევე დახედა მაჯის საათს.

— სადგურზე გამოგყვებოდით, მაგრამ ეტყობა, ქორწილი ეშხში შევიდა და ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია.

ბოდიშით გამოემშვიდობა და რესტორნისკენ გააბიჯა.

სანდრო არ გამოვალეობო-მეთქი და მანჭანის კარი ფრთხილად გავაღე.

— მამი, არ ვიგვიანებთ? — მკითხა სანდრომ და ხმაზე შევატყვე, დღეაღდა.

— ახლავე წავალთ. — ვთქვი და მოტორი ჩაერთე.

„წასვლით კი წავალთ, მალე სოკი-
დან თბილისში მიძავალი მატარებელიც
ჩამოდგება ხერგას სადგურზე, მაგრამ
ხომ შეიძლება იმ მატარებელში რუ-
სუდანი და თათია არ აღმოჩნდნენ?
სამხატვრო ტექნიკუმში ხომ პირველ
ოქტობერს იწყება სწავლა, თათიასაც
არაფერი ესაქმება თბილისში და რუ-
სუდანი და თათია...“

— მამი, მეშვიდე ვაგონია, ხომ? —
მკითხა სანდრომ.

— აქი გითხარი, დაგვიწყდა? — ცო-
ტა არ იყოს მწყრალად ვთქვი მე და
მანქანა დავძარი.

„ჰო, ხომ შეიძლება, თათიას და რუ-
სუდანს ჯერ არც უფიქრიათ გაგრიდან
გამომგზავრება. თბილისში ცხელა და
გაგრაში დარჩენა გადაუწყვეტიათ, —
მე კი სანდრო ხემალილიდან ჩამოვიყ-
ვანე, ხერგას სადგურზე ვდგევართ და
სოკის მატარებელს ველოდებით... კარ-
გი საქმეა!“

ჰა, და ჰა, მატარებელი ჩამოდგება. მე
ვღელავ, სანდროც ერთ ადგილზე ვერ
ჩერდება და რამდენჯერმე მკითხა, —
სადაც ჩვენ ვდგევართ, აქ ჩამოდგება
მეშვიდე ვაგონი?

ელმავალმა მიაკვილა და სადგურის
ბაქანი აფუსფუსდა.

შემოდის მატარებელი. ეტყობა, ვა-
გონებში ძალზე ცხელა, ფანჯრები ბო-
ლომდეა ჩაწეული.

მეშვიდე ვაგონი სწორედ იქ ჩამოდ-
ვა, სადაც სანდრო და მე ვდგევართ.

— დედა! — შესძახა სანდრომ.

რუსუდანი ფანჯარასთან იდგა, სან-
დრო და მე რომ დაგვინახა, ჯერ ვითომ
გაიოცა, მერე ხელი დაგვიქინა და გაგ-
ვილიძა.

— გამარჯობა, რუსიკო, — ხმამალა
ვთქვი მე, ვაგონთან ახლოს მივედი და
მარჯვენა გავუწოდე.

რუსუდანიც ცივად ჩამომართვა ხე-
ლი.

სანდრო ვაგონში ავირდა, დედას მი-
ვჭრა, სახე დაუკონა.

კუბედან თათია გამოვიდა. ახლა თა-
თიამ დაისაკუთრა სანდრო, რუსუდანი

მათ შესცქერის და დავინახე, რომ მეს
თვალეები აუცრემლდა.

თათია ისე გაშავებულა, არაფერი გე-
გონებათ. თვალის გულები თეთრი, ძა-
ლიან თეთრი, კბილებიც ძალიან თეთ-
რი. ნამდვილი არაბია თათია. რუსუ-
დანსაც კარბად მოჰკიდებია მზე, ადრე
კი მზეს არ იკარებდა რუსუდანი, ეტ-
ყობა, ქალიშვილმა აიყოლია.

თათია ფანჯარას ვადმოეყრდნო, — მე
ცერებზე შევდექი, ერთმანეთს მივწე-
დი. და ვაკოცეთ. რუსუდანსაც შეეძ-
ლო ასე მოქცეულიყო, მაგრამ არ მო-
ისურვა. მე უნდა ავსულიყავი ვაგონში,
თავდაპირველად ეს ვერ მოვიახრე და
ახლა უკვე გვიანაა.

— მამი, რატომ არ ჩამოხვედით გაგ-
რაში? — მეკითხება თათია.

ჰაუხა.

— როგორა ხარ, რუსიკო! — ხმამალ-
ლა ვთქვი მე და რუსუდანს თვალეებში
შევაკცურდი.

— კარგად! ძალიან კარგად! — თქვა
რუსუდანმა და გამიღიმა.

გულში: ვითომ არ იციხს, როგორა
ვარს განგებ მეკითხები იცი, ძალიან
კარგად იცი, მოუსვენარი და აწეწილი
ვარ, იმ იმედით წავედი გაგრაში, რომ
შენ და სანდრო ჩამოხვიდოდით. ჰო,
შენ მოცლა არ გაქვს, მაგრამ სანდრო?
სანდრო რატომ არ გამოუსვი გაგრა-
ში? ჯიბრში მიდგეხარ? და მეკითხები,
როგორა ხარო, გრცხვენოდეს.

— შენ, თათი? დღემდე წყალში იყა-
ვი, არა?

თათია ხელით მანიშნებს, გაჩუმდით.

— რუსიკო, მე საშვიდნოემბროდ ჩა-
მოვალ.

— კარგი იქნება, — ცივად თქვა რუ-
სუდანიც.

— სანდროსაც ჩამოვიყვან.

რუსუდანმა გამიღიმა.

გულში: ნოემბრამდე თუ ვერ მო-
ახერხებს რევაზ ჩაფიჩაძე თბილისში
ჩამოსვლას, საშვიდნოემბროდ აუცი-
ლებლად ჩამოვა, სანდროსაც ჩამოიყ-
ვანს და ორად-ორი... დღე დაჩრებიან
თბილისში... შეიძლება მანქანითაც, ჰა-

მოვიდნენ და თათიას და რუსუდანს ქალაქგარეთაც კი გაასყირონებენ... დიდი იმედია! ნოემბრამდე ორი თვეა, სამოცი დღეღამე!

— ბაბუა ალექსანდრე როგორაა, მამი! — შეკითხვა თათია.

— ბაბუა ალექსანდრე გულმოსულია შენზე, — ჩემს მაგივრად უპასუხა სანდრომ.

თათია თვალეში ჩააცქერდა სანდროს.

— რატომ?

— რატომ და, კოჯორსა და ვაგრამი რომ დადიხარ და ბაბუასთან რომ არ ჩამოდი...

— მართალს ამბობს, მამი?

— კი, მართალს ამბობს, — დავემოწმე სანდროს.

რუსუდანი მიხვდა, სანდრომ დედას ვერ შეჰხვდა და თათიას უსაუვედურა. კარგადაც მიხვდა რუსუდანი, არ ესიამოვნა სანდროს ასეთი სითამამე, უხერხულობა იგრძნო, და მომეჩვენა, თითქოს დამკინავად გამოიღმა და მაგრძობინა — მივიხვდი, შენი სათქმელი სანდროს ათქმევინეო.

მე გულში: რუსუდანმა კი არ მოიკითხა მამამთილი. რუსუდანი გულმოსულია მამაჩემზე, — ალექსანდრე რომ არა, მე არ წამოვიდოდი სოფელში, აი, ამაში ღრმადაა დარწმუნებული რუსუდანი. წამოსულყო ეს კინკლა ბერიკაცი თბილისში, ეცხოვრა შვილთან და შვილიშვილებთან! გაჯიქდა — დედამის კერას ვერ გავაცივებო ხემაღლაში... თავის ვაჟიშვილს კი უცივებს კერას თბილისში, აუწეწ-დაუწეწა ოჯახი. არის ახლა არხეინად, არც კი ახსოვს რძალი და მიტომაც არ მოიკითხა ალექსანდრე ჩაფიჩაძე რძალმა...

— დარეჯანი როგორაა, მამი! — ისე, სხვათაშორის იკითხა თათიამ.

— დარეჯანი გაგვიტხოვდა. — ვთქვი მე და რუსუდანს ვაგულობე.

— უი! — შეჰკივლა თათიამ.

— ამიტომაც დარჩა სოფელში. — დარწმუნებით თქვა რუსუდანმა, — მე-

რე სანდროს თავზე გადაუსვა ხელი და ხმამაღლა უთხრა:

— შენ თბილისში წავიყვან, სანდრო, მამაშენი ვერ მოგივლის შენი!

— ვნახოთ. — ვთქვი მე და საათს დავხედე.

კიდევ სამი წუთი უკლია მატარებლის წასვლას. სულ სამი წუთია, რაც ჩამოდგა და ჩვენ სათქმელი მოვთავეთ. უცნაური კია, დიდიხნის უნახავები შევხვდით, ერთმანეთს ორიოდ სიტყვით გავუპასუხეთ და სათქმელი გავვითავდა.

ძალიან მინდა გავესაუბრო რუსუდანს, თათიას ჰქუა დაეარიგო და ვერ ვახერხებ. რუსუდანიც არაფერს ამბობს და ცივი გამოხედვით მტუქსავს: თუ არაფერი გქონდა სათქმელი, რა საჭირო იყო ეს შეხვედრაო. არ გელოდითო, ვერ იტყვის რუსუდანი, ვაგონში ყველას ეძინა, მხოლოდ რუსუდანი და თათია იყვნენ ფხიზლად, რუსუდანი ღია ფანჯარასთან იდგა, თავი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი და უთოოდ შორიდანვე დაგვინახა სანდრო და მე. კი, დარწმუნებული იყო რუსუდანი, სანდრო და მე ხერგას სადგურზე დახვდებოდით სოვიდან თბილისში მიმავალ მატარებელს. ჰოდა, დავხვდით, რუსუდანმა ვითომ გაიკვირვა, მაგრამ გაუხარდა, ძალიანაც გაუხარდა, სანდროს და მე გავვიღიმა და ხელი დაგვიქინია. შევხვდით. დგას ახლა რუსუდანი ვაგონის ღია ფანჯარასთან, ცივი თვალეზით დამცქერის ზევიდან და გულში მტუქსავს. ვითომ რუსუდანს შემოეღია სათქმელი? დიახაც ბევრი აქვს რუსუდანს სათქმელი, მაგრამ არ ამბობს, დარწმუნებულია, უთქმელადაც მივხვდები მე, მე კი ვერაფერს მივმხვდარვარ და გამიქვავებია ენა.

დიდი, ძალიან დიდი დრო ყოფილა ექვსი წუთი და, როგორც იქნა, მიიღია. სანდროს ავძახე, ჩამოდი-მეთქი, რუსუდანმა და თათიამ კიდევ ჩაჰკოცნეს სანდრო. სანდრო ვაგონიდან ჩამოვიდა, ორივე ხელი მაგრად ჩამავლო მარჯვენაში და მომეკრა. ცახცახებდა ბიჭი.

მატარებელი დაიძრა, რუსუდანი და თათია ხელებს გვიქნევდნენ. სანდრომ და მეც დაუქნიეთ ხელები. თათიამ ცხვირსახოცი დაგვიქნია, სანდრომაც დაუქნია ცხვირსახოცი...

ნელა, ძალიან ნელა დაიძრა მატარებელი, მერე უცებ ელმავალმა გაბმულად მოაკივლა და ხალხით გაქედილი ვაგონები თბილისისკენ გააქანა. წავიდა, გაქანდა ჩვენი მეშვიდე ვაგონიც და წაიყვანა ჩვენი რუსუდანი და თათია.

მატარებელი უკვე შორსაა ჩვენგან, რუსუდანი და თათია მანც ფანჯარასთან დგანან, კისრებს იგრძელებენ, სადგურისკენ იხედებიან და ხელებს გვიქნევენ. სანდრო და მე იქ ვდგევართ, სადაც მეშვიდე ვაგონი ჩამოდგა და ჩვენც ხელებს ვუქნევთ თბილისისკენ მიმავალ მატარებელს, თუმცა მატარებლის მხოლოდ ხმაური-ლა გვესმის. მატარებელი გამალებით მიჰქრის თბილისისკენ და უფრო გვაშორებს ერთმანეთს.

მჯერა, რუსუდანმა და თათიამ მოიწყინეს, ისევ ღია ფანჯარასთან დგანან და ნაღვლიანად გასცქერიან სიბნელეს.

სანდრო და მე ვტოვებთ სადგურს, ვსხდებით მანქანაში და ხემაღლისკენ მოვეშურებით.

...მანქანა ჩქარა წამოვიყვანე. მოტეხილს გამოვცდით, გზა სატეველას ხეობაში შემოიჭრა, მდინარის ხმაური შემოგვესმა და სანდრო გახალისდა.

— რატომ არ თევზაობ, მამი?

— დრო არ მაქვს.

— ბადეს მათხოვებ?

პაუზა.

— შეგიძლია ბადის სროლა?

— კოკინიას ბადით მე ვიჭერ, — კოკინიას ბადე ჩვენს ბადეზე დიდია! — დარწმუნებით, თან ოდნავ ტრაბახით თქვა სანდრომ.

— თუ ასეა, შენი იყოს ჩემი ბადე.

სანდროს გაუხარდა და საჯდომზე შესწორდა, მხრებში გაიმართა.

— აბა, ხვალ დილით წავალ სათევეზაოდ.

— მარტო არ წამოხვიდე სატეველზე.

— ბაბუა ალექსანდრე არ გამოიშვებს მარტო...

„ხვალ დილა უთენია სანდრო ჩემს ბადეს მოიგდებს მხარზე და სათევეზაოდ წამოვა. სანდრომ კარგად იცის, თევზები დილაუთენია ტოვებენ ჯილეებს და საუზმეს ეძებენ. ბაბუა ალექსანდრე მარტო არ გამოუშვებს სანდროს და ორივენი დილაუთენია მოაშურებენ სატეველას. სატეველას მურწას დაიქერენ და საღამოს, როცა მე შინ მოვალ, კეცზე შემწვარ მურწას დამახვედრებენ. ბაბუა ალექსანდრე იტყვის — სანდრო ძალიან ყოჩალი მეზადური ყოფილაო, სანდრო დაიმორცხვებს, მაგრამ გულში კი გაიამაყებს. მე გემოს გაუტყვის თევზს, მომეწონება და ვიტყვი — ასეთი გემრიელი მურწა ჯერ არ მიკამია-მეთქი, და სანდრო უფრო დაიმორცხვებს, ქვეშად გამომხედავს, მართალი თქვა თუ არა მამაჩემმაო და როცა დარწმუნდება, თევზი მართლა მომეწონა, თავს ნამდვილ მეზადურად წარმოიდგენს.

მოსახვევი დაიწყო და მანქანის სიჩქარე შევანელე.

— ცუდად ხომ არა ხარ, მამი! — შეშინებული ხმით მკითხა სანდრომ.

— არა, ცოტა დავიღალე.

— აწი მალე ჩავალთ. — თქვა სანდრომ და დამშვიდდა.

— კი, მალე ჩავალთ. შენ გეძინება?

— არა, არ მეძინება, — თქვა სანდრომ და მხრები შეათამაშა.

— ჰო, მალე ჩავალთ, დავევებით და დავიძინებთ.

„სანდრო დაწვება და დაიძინებს. ბალიშზე დადებს თუ არა თავს სანდრო, უმალვე ჩაეძინება... მე კი ამაღამ არ დამეძინება. ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ ვიცი, მანც ვერ დავიძინებ... რუსუდანი და თათია მატარებელში სხედან და თბილისში მიდიან, სანდრო და მე მანქანაში ვზივართ და ხემაღალაში მოვემგზავრებით... ეს ამბავი ოდნავადაც არ აღარდებს სანდროს. უკვე თხუთმეტისა შესრულდა სანდრო და ასე გულცივია დედისა და დის მიმართ

მივერს, ძალიან მივერს! ეგებ დარდს გულში იხევეს და მე არ მაგრძნობინებს? მე ვებრალები?"

„ზედოზედ დაამთქნარა სანდრომ. ძილი მოეკიდა, ცდილობს გამოფხიზლდეს და ვერ ახერხებს, ამბობს კი, არ მეძინებაო, ვითომ ვაეცაკობს? ერთი ამას დამიხედეთ! გეძინება სანდრიველა შენ, მე ხომ ვხედავ, რომ გეძინება... აჰა, აღმართიც ამოვათავეთ! აგერ ჩვენი სახლიც. ჰო, უკვე მოვედით. დაწვები და დაიძინებ...“

ოდნაში შუქი ენთო. აივანზე მამაჩემი იჯდა.

მე არაფერი მითქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მამაჩემმა იცის ყველაფერი. თვითონაც წამოვიდოდა ხერგაში, სადგურზე დახვდებოდა რძალსა და შვილიშვილს, მოესიყვარულებოდა, შეეხვეწებოდა და ეგებ სოფელში ამოეყვანა.

ჰო, მე არ ვაფუხილე, სანდრო და მე ხერგაში რუსუდანთან და თათიასთან შესახვედრად რომ მივიდიოდით, თვითონ კი მიგვიხვდა, მაგრამ არ გვაგრძნობინა. მე არც ახლა მკითხავს არაფერს, მაგრამ სანდროს რომ დაიმართობებებს, მაშინ კი, მოგვცათ ლხენა, წერილად გამოჰკითხავს ყველაფერს: — ხომ კარგადაა, ბაბული, დედაშენი? თათია გაიზარდა? ძალიან გაიზარდა? შენზე მალალია თათია? უნდა იყოს! ჯერ კი იქნება თათია შენზე მალალი, მაგრამ შენ მალე გაასწრებ სიმალლეში თათიას, — შენ ბიჭი ხარ და ბიჭები... რაო, არ აპირებენ ჩვენთან ჩამოსვლას? არაო? ვითომ რატომაო, ჰა? მაშ, არ ჩამოვალთო? არ ჩამოვლენ და იყვნენ თბილისში, — გულმოსულად. მაგრამ დანანებით იტყვის მამაჩემი, — რაო, არ ჩამოვალთო? — კიდევ ჰკითხავს სანდროს, სანდრო ვერაფერს უპასუხებს, და მაშინ კი იფეთქებს მამაჩემი, — ვითომ შენ თათიაზე ნაკლები ხარ, თუ? ღმერთო კი მომკალიო? იყოს ის თათია თბილისში, ენახოთ, რამდენ ბანს გამძღვებს უჩვენოდ, აბა ერთი ენახოთ!... — რძლის საყვედურს კი არ

იტყვის მამაჩემი, რძალი მაინც სხვაა, ჰო, სხვისი შვილია რძალი, სხვისი შვილს ვერ გაუჯავრდება ალექსანდრე. ამიტომაც თათია მოივლო ხელში და თათია დატუქსა. ისე კი კარგად იცის მამაჩემმა, თათიას რომ არაინ ჰკითხავს სოფელში წამოსვლას. რუსუდანი მთავარი, თუ რუსუდანმა მოისურვა, ყველაფერი მორჩება და გათავდება...

მეოთხე საათი იყო დაწყებული, ალექსანდრე და სანდრო რომ დაწვენი. მე გავიშლიდი და სამუშაო მაგიდას მივუჯექი. მაგიდაზე წერილი დევს, მივხვდი, შადიმან შარანგიას წერილია. წაეკითხე. ისედაც ცუდ ხასიათზე ვარ და შადიმანის წერილმა გული მატყინა. ძალიან შემებრალა შადიმანი, შევეცდები ზელი ვაფუხართო.

შუქი გამოვრთე და აივანზე გამოვედი.

სივრილეა და სიჩუმე. ისეთი სიჩუმე, ოქართეში ძროხა რომ იცობნება, ისიც კი მესმის.

...ახლა მატარებელი წიფის გვირაბიდან გამოსულია და ხაშურს უახლოვდება. თათიას კუბეში სძინავს, რუსუდანი კი ისევ ვაგონის ღია ფანჯარასთან დგას, გასცქერის სიბნელეს და გულმოსულია ჩემზე.

„ასე არ შეიძლება, რევაზ! — გულში ამბობს რუსუდანი, — ალბათ, სულ მალე საბოლოოდ დავშორდებით ერთმანეთს... კარგი ოჯახი კი გვქონდა“... რუსუდანი მაგარი ხასიათის ქალია, მაგრამ გული მაინც შეუტოვდება და თვალბში ცრემლი მოადგება.

მატარებელი რომ ჩამოდგა და ფანჯარაში რუსუდანს მოეკარი თვალი, სანდროსთან ერთად მეც უნდა ავჭრილიყვი ვაგონში. გადავკოცნიდი რუსუდანს და თათიას და ვიტყოდი — მოიტათ თქვენი ჩემოდნები, აბა, ვიჩქართო! რუსუდანი ვითომ გაიკვირებდა და მეკითხავდა, ჩვენი ჩემოდნები რად გინდაო. როგორ თუ რად მინდა, ვაგონში დავტოვოთ ჩემოდნები? ჩქარა, თორემ მატარებელი დაიძვრის. რუსუდანის პასუხს, არ დავუცდიდი,

შეკლებდი კლებს და დარწმუნებული ვარ, რუსუდანის და თათიას არც ისე პატარა ჩემოდნები საწოლზე იქნებოდა დაწყოილი. ხედავთ, თვითონვე შემზადებულან! აბა, თათი, რუსიკო, წავიდეთ! რუსუდანი ვითომ მაინც ვერ მიმიხედებოდა — სად მივდივართ, რევან? სად და შინ, პო, შინ მივდივართ, დედა, ბაბუა ალექსანდრე გველოდება, — შემომშვევლებოდა სანდრო. ავიღებდი ჩემოდნებს, რუსუდანი და თათიაც უსიტყვოდ გამომყვებოდნენ, ჩაუსხდებოდი მანქანაში და ჰაიდა!

პო, ასე, ნამდვილად ასე უნდა მოვექცულიყავი!

შეკი, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეუღლეს და ქალიშვილს კი არა, შორეულ ნაცნობებს შეეხვდი ხერგას სადგურზე. თითქოს კი არა, ნამდვილად შორეულ ნაცნობს შეეხვდი, ერთმანეთი მოვივითხებთ, საოცრად გაიწელა ექვსი წუთი, მერე, როგორც იქნა, მატარებელი ზღაზვნით დაიძრა და ერთმანეთს ხელების ქნევით დავეშვიდობებთ.

შემებრალო რუსუდანი, თათიაც შემებრალო და გულის სიღრმეში ყრუ ტკივილი ეიგრძენი.

სანდრო დიდხანს უქნევდა ცხვირსახოცს სიბნელეში დაკარგულ მატარებელს და სანდროც შემებრალო...

...რუსუდანი და თათია თბილისს უახლოვდებიან, რუსუდანი ისევ ვაგონის და ფანჯარასთან დგას და ეშინია, თბილისს რომ უახლოვდება.

„ერთხელაც არ წამოცდა რევანს, ხოფელში ავიდეთო. პო, ერთხელაც არ წამოცდა! როგორ ვიფიქრებდი ამას! რა საჭირო იყო ხერგაში დახვედრა? პო, რისთვის დამხვდა შულამისას ხერგას სადგურში? რომ ეკითხა, როგორა ვარ? რა საჭირო იყო? აგრე მცოდნოდა, არ წამოვიდოდი გავრიდან. კიდევ მთელი ერთი თვე შემემლო დავრჩენილიყავი. ახლა? ხატვას გულს ვერ ვუღებ, და უთუოდ უსაქმურობა, სინიუმე და სეცდა გამაგვიებს...“

თათიას კი სძინავს: კლებში, არხე-

ნად სძინავს. გულში თათიას ჩიტები უფროსხილებს და მამის თვალს გავრბინს თათიას გული...

ეგებ რუსუდანიც წევს, თვალებიც დახუჭული აქვს, მაგრამ ძილი შორს გაქცევია და ფხიზლობს. — ცოდო რუსუდანი, ღმერთმანი ცოდო!

ვდგევარ ოდის აივანზე და სადაცაა გათენდება. ჯერ კი ხემალას სძინავს; თბილისსაც სძინავს ახლა, სოჭიდან თბილისში მიმავალი მატარებლის მგზავრებსაც სძინავთ, მარტოღმარტო რუსუდანიც ფხიზლად, ვაგონის ღია ფანჯარასთან დგას და განთიადსაა დადარაჯებული.

ეგებ განთიადმა გადაუყაროს ჯაჭრი გულისა.

ღმერთმა ქნას!

„ასე არ შეიძლება, რუსუდანი! თუ ასე გავრძელდა... მაგრამ არა!“

ვდგევარ აივანზე, შუბლზე ხელს ვიწრდილებ, შორს გავცქერი და ვხედავ თბილისისკენ მიმავალ სოჭის მატარებელს, მეშვიდე ვაგონს ვხედავ, ღია ფანჯარასთან რუსუდანი დგას, თბილისს გასცქერის და ეშინია თბილისში ჩასვლისა...

ვხედავ?

ვერაფერსაც ვერ ვხედავ!

თავს ვიტყუებ...

ეგონა ჩჭარა მოდიოდა და სკოლაში მაინც დააგვიანდა.

რევან ჩაფიჩაძის სახლიდან სკოლაში კილომეტრიც არ იქნება, აღმართი კია, მაგრამ არა დაკიდებული აღმართი. ცხრაწყაროს აღმართებზე სიარული არ ეძნელება რევანს, ხემალას აღმართები კი ხუმრობასავითაა ცხრაწყაროს აღმართებთან, მაინც ერთი საათი მოანდომა ერთი კილომეტრის გავლას და, უკვე დაღლილიცაა.

სკოლის ტიშკართან ძელსკამზე დაჯდა.

დღეს მეათე დღეა, რაც შადიმან შარანგიას წვრილი მიიღო, წერილისიშა კითხვისთანავე გადაწყვიტა, მხურვალედ დღესვე ენახა დიდი გვატერინი, მისთვის

ვისაც წაეკითხა შარანგიას წერილი და დახმარება ეთხოვა. იმ მეორე დღემ დღემდე მოატანა, შარანგია კი პასუხს ვლის. მართალია, შადიმანი იწერება, პასუხისათვის მე თვითონ ამოვალო, განა მართლა ამოვა? როგორ გვეადრეხათ! შადიმანი მოკრძალებული კაცია, ავტო ათი დღეა პასუხს ელის, რევანს კი ჯიბით დააქვს შადიმანის წერილი.

ეს ათი დღე უგუნებოდაა რევანს ჩაფიჩაძე და საქმეზე გული არ მიუღის.

ალექსანდრემ უმაღლესე შეატყო, ცუდ ხასიათზე რომ ამოვიდა ხერგადან რევანსი. იმ დღიდან მოყოლებული გვიან დგება და სამუშაოზე გვიან მიდის, ადრე კი ბრუნდება, ცოტას წახებებს და ოთახში შეიკეტება, მასთან არავინ მოდის და თვითონაც არავისთან დაიარება. სამსახურშიც შეატყვეს უგუნებობა, ლაბორატორიის თანამშრომლებმა ვერაფერი შეხედეს, გულასპირ ჩაფიჩაძემ კი პირდაპირ დააჩახა.

„რაო, არ ჩამობრძანდა ქალბატონი რუსუდანი? ძნელია ასე ცხოვრება!

— ვიცი, — ყრუდ უპასუხა რევანსმა.

— ცოდნა არ ემარა! ამხელა საქმე დაატრიალე და მეუღლისა და ქალიშვილისთვის კერ მოგივლია, დაგიჭერებს ვინმე ამას?

მაგრად, ძალიან მაგრად შეეგაგულიანე და ახლა კი იფეთქებს რევანსი. იფიქრა გულასპირმა.

რევანსმა არაფერი უბასუხა. თვალი გაუყარა გულასპირს და ისეთაირად გაულიმა, ავრძობინა, ცოტა კიდევ დამაცადეთ, ბატონო გულასპირ, და მეუღლესაც მოუვლი და ქალიშვილისაცო...

ხალათის ჯიბიდან შარანგიას ბარათი ამოიღო, გადაწყვიტა, ვიდრე ევატერინეს წააკითხებდა, ერთხელ კიდევ გადაეკითხა.

„...ქვეყანა სცენაა, ცხოვრება მასთან მისასვლელი: მიღი, ნახე, წადი!“ უთქვამს ბრძენს და არც მე შოკოლადი დიდხანს — ვნახე და წავალ, მაგრამ სულში ხინჯი მაქვს და ხინჯიანი სულით არ მინდა ამ ქვეყნიდან წასვლა. სულში

დიდი ხინჯი მაქვს, ბატონო რევანს! რა ჩავიდინე ასეთი? თქვენს კარგად იცი: ჩემმა პირადმა ცხოვრებამ მოძთხოვა, სკოლას განვევრიდე და რესტორანში დავიწყე მუშაობა. ომი ახალი დამთავრებული იყო და სამი შვილის მამა შევეშინდი. რატომ უნდა ვაეციოთ ეს? ვიქტორდე? ღმერთმანი არა! განა ვაქრობის ყველა მუშაკი ხელმრუდღეა? მაგრამ როგორც დაერწმუნდი, ხალხი ასე როდი ფიქრობს და რამდენიც არ უნდა ვამტყიცო ახლა მე, ეს ასე არ არის-მეთქი, არავინ დამიჯერებს. და ხინჯი გამიჩნდა სულში, ამ ხინჯმა ხედვა გამიმრუდა, ნაბიჯი ამიშალა, შფოთიანი სიხზრები დამახვია და ლამისაა გული ამომართვას... დამერწმუნეთ, უწინდებურად ვერ ვესიყვარულები ოჯახს, ვერიდები დედასთან შეხვედრას, მას მხოლოდ ბარათებს და მოსაკითხს ვუგზავნი ითხვისში, ყოველ ბარათში ვპირდებათ მალე გინახულებ-მეთქი და ჩასვლით კი ვერ ჩავსულვარ.

პირველად განათლების განყოფილების გამგესთან საუბარმა შემძრა. იგი მე კარგად მიცნობს და ვთხოვე, რომელიმე სკოლაში ისტორიის, ან ქართული ლიტერატურის მასწავლებლად დამინიშნე-მეთქი. შეტოვდა და გაციებით ამხედ-დამხედა, ძალიან გაიკვირვა, მერე დამცინავად გამიღიმა და პირდაპირ მომახალა — ხატოვანდ რომ ვთქვაო, რესტორნის ვირთხას სკოლის კედლებში ვერ შევეშვებო...

გავშრი. უცებ გამახსენდა, რომ ისიც ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და ფილოსოფია მოვიშველიე:

„ის, რაც უარესს არ ჰყოფს კაცს. არ შეიძლება ვნებდეს მისი არსების შინაგან, თუ გარეგან მხარეს.“

ისევ შეტოვდა. დამცინავად ამხედ-დამხედა, ახარხარდა.

— აუუ. რამხელა სიბრძნე დამახეთქეო (ბოდიში ამ სიტყვისათვის). — მითხრა და ისევ უაზროდ ვაცივია, მერე საათს დახედა და ყმაწვილივით შეხტა, — ექვს საათზე ფეხბურთის ბატონის

რეპორტაჟი იწყება ტელევიზიით, ახლა კი ექვსს ათი წუთი უკლიაო, არც კი დამემშვიდობა და კიბებზე დაქანდა.

მე პირდაპირ პარტრაიკომში წავედი და კონსტანტანე კაკუბერს ვეახელ ეტყობა, ძალზე ველავიდი, კაკუბერმა მკითხა, რა მოგივიდაო, ისეთი არაფერი-მეთქი და შევეცადე თავი დამემშვიდებმა, მაგრამ ვერ შევიძელი და ძალიან ხმაშაღლა ვთქვი, — თქვენი განათლების განყოფილების გამგე თუ ხელა, რა უფლება აქვს სასადილოს ვერტხა მიწოდოს-მეთქი?

კონსტანტინე კაკუბერმა გაიღიმა და მე უფრო აკენთე. — ყუეჩია და ცინიკოსი, ასეთია და ისეთია-მეთქი.

კაკუბერმა ისევე გაიღიმა, ისეთნაირად გაიღიმა, ვერ მიხვდი, დამცინოდა თუ მამშვიდებდა. დაწყნარდიო, მითხრა კაკუბერმა, სიგარეტი მომაწოდა, დაბრძანდიო, — თქვა და სავარძელში ჩაუჭექი. კაკუბერმა გაიარ-გამოიარა, ჩაახველა და მშვიდად მკითხა, რაზე წაიჩხუბეთო, ვუთხარი. თვალებში ჩამაცქერდა და ისევე მკითხა, რაზე წაიჩხუბეთ? ვუთხარი, სკოლაში მასწავლებლად? ისტორიის მასწავლებლად? კი-მეთქი. განათლების განყოფილების გამგე, რომ ახარხარდა, ისეთნაირად ახარხარდა კაკუბერი, მერე მომიახლოვდა, მხარზე მაგრად დამკრა მარჯვენა და საათს დახედა.

— სადაცაა სტუმარი ჩამომივა თბილისიდან და შენთან უნდა ვავახშმოო, ახლა წადი და რესტორანს მიხედე, მამაკემ ხვალ გავარჩიოთ, — მითხრა კაკუბერმა და კაბინეტის კარებამდე მომაცილა.

მეორე დღეს დილითვე რევიზორები დამახვიეს. ყველაფერი წესრიგში მქონდა და რევიზორებმაც შარი ვერაფერი მომდეს. გული მოსვლია კაკუბერს, ცუდი რევიზორები გაგიგზავნიათ შარანგისთანო და სხვა რევიზორები დამესხნენ, მათაც ვერაფერი აღმოაჩინეს და რაიკომში დამიბარა კაკუბერმა. შენ მართლა გამაგიყებო. არაფერი დაგიშა-

ვებია და რესტორანს გინდა თავი დაანებო, მეორეჯერ არ გამოგონო სხვა სისულელეო, — დიმილით მითხრა და დამითხოვა.

...თქვენ გამიგებთ, პატივცემულო რევაზი ეგებ თქვენი სოფლის სკოლაში გამოიძებნოს ჩემთვის მასწავლებლის ადგილი, მიშუამდგომლეთ ეკატერინე ხიდაშელთან...“

სიგარეტს მოუკიდა და საათს დახედა.

ათი წუთი და ზარი დაირეკება. მივაქალბატონ ეკატერინესთან, წაუკითხავს შადიმანის წერილს, თვითონაც შეეხვეწება, როგორმე უნდა უსაშველოს შადიმანს.

— ალექსანდროვიჩის სალაში დილინა! — თავზე წაადგა გულასპირი.

რევაზი ადგა, ხელი ჩამოართვა გულასპირს და სიგარეტი მიაწოდა.

— თქვენც სკოლაში? — მკითხა რევაზმა.

— დიდ ეკატერინესთან, — რატომღაც ნაღვლიანად თქვა გულასპირმა და სიგარეტს მოუკიდა.

— ზარი მალე დაირეკება და ერთად ენახოთ.

— დიდი ეკა ავადია, რევაზ, სახლში წევს.

— გუშინ რომ სკოლაში იყო? — გაიკვირვა რევაზმა.

— სალამოხანზე გახდა ცუდად. გულმა შემოუტია. გატყდა დიდი ეკა, ვიდრე გვიჭირდა, მაგრად იყო, საწადელს შიადწია და გატყდა. დაკხედაც, ხომ არაფერი ჭირდება და კანტორაში მერე მოვალ. — თქვა გულასპირმა და წასვლა დააპირა.

„დიდი ეკატერინე ავად ყოფილა და ჩვენ როგორღა მოგიკითხა? რაღაცას ეშმაკობს პატარა ეკა“.

რევაზმა მკლავი გამოსდო გულასპირს და ეკატერინე ხიდაშელის სახლისკენ წაიყვანა.

„ახლა კი წავიდეთ!“
ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, საბარგო ავტომანქანის კაბინის კარი უხმაუროდ მიიხურა და საპებს მიუჭდა.

ხერგადან შეღამებულზე გამოვიდა.

მანქანის ძარახე თივაა დაფენილი და თივაზე ქვევრებია დასვენებული — სამი ათკოკიანი ქვევრი. ამ ქვევრების გამო წამოვიდა ხერგადან შეღამებულზე, იფიქრა, ეს ცარიელი ქვევრები დღისით რომ ავბარძანო ხემაღალში, ისააცილოდ ამიდგებენო.

ღიხხაც აიგდებდნენ სასაცილოდ: ცარიელ-ტარიელი, უვენახო ეზო და ქვევრები!

მაგრამ გაბრიელ კიკნაველიძეს თავისი ანგარიში აქვს, ჯერ ქვევრებს აბარძანებს ხემაღალში, ეზოს ყურეში დაახინავეებს და მერე...

როგორც კი მოტენილს გამოსცდა და სატეველასკენ შეუხვია, მანქანა გააჩერა: შუქი ჩააქრო, კაბინიდან გამოვიდა, მდინარისპირას ლოდზე ჩაიმუხლა, ხელები წყალში ჩაჰყო და ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა:

„გამარჯობა, სატეველა!“

ცივი წყალი ეამა, ხალათის სახელოები აიკაიწა და მკლავები ნიდაყვამდე ჩაჰყო მდინარეში, თავი დახარა და მდინარეს დააყურადა.

აქ ვაკეა და უხმაუროდ, სულ ოღნავი შრიალით მოედინება სატეველა, ჰოდა, ნამდილად გაიგონა გაბრიელის ხმა სატეველამ, მაგრამ არ გამოუბასუსხა.

„რაო, ჩემზე გულმოსული ხარ, სატეველა?“

სატეველამ ამოიფშვინა, ვითომ რაღაც კი წარმოთქვა, მაგრამ გავიმარჯოსო, არ უთქვამს გაბრიელ კიკნაველიძისთვის...

— შოო, მივხვდი, რატომაც არ მითხარი გავიმარჯოსო, — შევბით ამოთ-

ქვა გაბრიელმა, — ჰოო, შენ აქ ჩემი არა ხარ, აქ სხვისი ხარ შენ! აქ არ მიბანაეია მე, ანკესები არ ჩამიყრია აქ... ეგ ძეწნები არ მიცნობენ მე, არც ეს ლოდი მიცნობს... შენ აქ სხვისი ხარ, სატეველა! ეს ძეწნებიც და ეს ლოდიც სხვისია, — ნიგვზიანელებისაა! აქ ნიგვზიანელები ხელოზდნენ, ნიგვზიანელები ბანაობდნენ... აპაავი, როგორ შევცდი! რატომ გავიკვირე, შენად რომ არ მიმიღე? მე ხემაღალის სატეველა მიცნობს, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილთან რომ მიედინება, ისაა ჩემი სატეველა, ის მიცნობს მე... შენთვის კი ბოდიში მომიხვდია... აპა, ბოდიში მოგიხადე, მჯერა მაპატიებ და გულდამშვიდებული წავალ ახლა მე, — ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, ხელები ხალათზე შემშრალა და აღდა.

შევცდი.

ხმა არ ამოუღია გაბრიელს, გულში მოუბოდიშა ნიგვზიანელთა სატეველას, დააყურა და ხელები დაუქნია, აპა, წავედიო, ანიშნა, უხმაუროდ მიიხურა კაბინის კარი და მანქანა ნელა, ძალიან ნელა დაიძრა და სატეველას ზემოწელს შეუხვია.

„ნიგვზიანელთა სატეველამ ვერ მიცნო და გავიკვირე. კიდევ კარგი, მჯერა არ შემომიკურთხა! ვინა გდიხარ და საიდან მოთრეულხარო, რომ ეთქვა, მართალი იქნებოდა. რას ვუპასუხებდი? შენთან ამიელ-ჩამიელია-მეთქი? რამდენ მავანსა და მავანს აუელ-ჩაუელია აქაო, მიპასუხებდა ნიგვზიანელთა სატეველა. ჩემს ეზოკართან ვისაც კი ჩაუვლია, დამიმახსოვრებია მე? ვერა, ვერ დამიმახსოვრებია. ჰოდა, მდინარე როგორ დამიმახსოვრებდა? მე კი, გული ჩამწყდა, ვიფიქრე, დედამ შვილი ვერ იცნო-მეთქი.“

მანქანა შეაჩერა, კაბინიდან გამოვიდა და გარშემო მიმოიხედა.

„ახლა სოფელს სძინავს. ჩაფიჩაძეთა უბანსაც სძინავს და ახალ უბანში ამოსახლებულუბასაც; სოფელში ადრე იძინებენ და დილითაც ადრე დგებიან. ხემაღალში რომ ვცხოვრობდი, მეც ადრე ვიძინებდი და ადრეც ვდგებოდი. ჰოდა, ახლა კარგახნის დაღამებულა, მოვდივარ ვაბრიელ კიკნაველიძე, მოვდივარ და ქვევრები მომაქვს... კიდევ კარგი, გულასპირ ჩაფიჩაძეს სძინავს და ვერ დამინახავს, თორემ სიცილს დამაყრიდა... მამა გიცხონდება, გულასპირ ჩაფიჩაძე, თებერვალში რომ ორწლიან ნერგებს ჩაყერი და გაისად რთველში რომ მოგიწევე, მაშინ? მაშინაც დამაყრი სიცილს? ვერ მოგართვი! გავაჯბროთ ჩაფიჩაძის „ცოლიკოური“ და კიკნაველიძის „ციცქა!“ ჰო, შენი „ცოლიკოური“ და ჩემი „ციცქა!“ ადრეც გიმტკიცებდი, ხემაღალის დობერაზე „ციცქა“ უფრო მწიფდება, უფრო შაქრიანდება-მეთქი. მიჯერებდი? არა. ჭინორიძის ჯორზე იჯექი და იხტიბარს არ იტებდი: წელს ცუდი ამინდი იყო „ცოლიკოურისათვის“, გაისად ნახვე, გადაღება დავაგვიანე და ცოტათი იმიტომაც მოიძმარებსო, გაისად დროულად გადავიღებო და ყოველთვის ამართლებდი შენს „ცოლიკოურს“. ისე კი, ჩემს „ციცქას“ უფრო ხალისით მიირთმევიდი, ვიდრე შენს „ცოლიკოურსა“, შეგარგოს დმერთმა“.

— ახლა კი წავედი ჩემს სატეველასთან, — ხმაძალდა თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, კახინის კარი ჭახანით მიიხურა და მანქანა რიხით დაძრა.

„ერთი მოსახვევიც და აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი გამოჩნდება. ახლა არ მოტყუვდება გაბრიელი, მანქანას ხედ წისქვილთან მიაგდებს, მე შენ გეტყვი და იქნება ვინმე წისქვილში! თუ იქნება და იყოს, შენ ხარ ჩემი ბატონი, კიდევ უკეთესი! უცხო ხომ არ იქნება და ნახოს ჩემიანმა ჩემი ქვევრები... ასი წლისა გახლავან ეს ქვევრები და ხერგას მიწაში ვერ ჩავტოვებდი, დიახაც, რომ პაინჩემისეულია, შროშელევი გახლავან და ვისაც

შროშის ქვევრების ქება არა სმენია, იქირქილოს რამდენიც მოესურვება, რა ფასი ექნება იმის ქირქილსა?“

— აბა, მოვედით! — დარწმუნებით თქვა გაბრიელმა და მანქანა წისქვილის კართან გააჩერა.

— დიახაც, მოვედით, ჩემო ქვევრებო! როგორა მყავს თქვენი თავი, გზაში ხომ არაფერი გეტყინათ? გიხარიათ ნაფუქვარში დაბრუნება, ხომ? ვიცი, რომ გიხარიათ და ამიტომაც ღიღინებდით... არ მითხრათ, არ გვიმღერიათ, მე სიმღერა მესმოდა და თქვენს მეტი ხომ არავინ მეჭდა მანქანაში? გიხარიათ შინმობრუნება და მიტომაც მღერით, აი, ახლაც მესმის თქვენი სიმღერა!

მანქანის ძარაზე მსუბუქად ავიდა გაბრიელი, ბრეზენტი გადააძრო ქვევრებს და სამივე ქვევრს სათითაოდ ჩააძახა.

— ამოვედით და ეგ არი! „ამოვედით და ეგ ააარი!“ — გაიმეორეს ქვევრებმა.

— ამალამე დაგაბინაგებთ, — ხმაძალდა თქვა გაბრიელმა, ქვევრებს ბრეზენტი გადააფარა და მანქანიდან ჩამოხტა.

„ჰოდა, ვითომც არ ყოფილხართ ხერგაში! მე ხომ ვიცი, ისე ამოგასვენეთ ხემაღალის საბრძანებლიდან და ისე პაერპაერ ჩავაბრძანეთ ხერგაში, თვალი არავის მოუქრავს. აბა, გაიხსენეთ, როგორ გამომლანძლა გულასპირ ჩაფიჩაძემ! ამ ოხერმაო, მამისეული ვენახი მოახმო და პაპისეული ქვევრები უპატრონოდ დატოვაო, გახსოვთ, ხომ? ჰოდა, ეგრე იყოს; აქ, ხემაღალში, მყავდით დატოვებულა, ხემაღალის მიწაში განისვენებდით, მელოდით და, ჰა, მეც მოვედი! მართლა მოვედი! შემოვდივარ მარანში და პირველად შენ, აი, კართან ხელმარჯენივ რომ ხარ ჩამარტული, მოგხდი, ავიღებ ორშიმოს, ამოვიღებ ღვინოს, მოვსეამ და ნამდვილად ჩემი „ციცქა“, დელას გეფიცებით, ჩემი „ციცქა“, ვისაც არ სჯერა, დამილიოს! ჰო, დამილიოს! თავათ გულასპირჩაფიჩაძემ დამილიოს.

რაო, დიდად პატივცემულო გულასპირ, ჩემი „ციცქა“ პირველ ხმაზე მღერის?

მე ვარ და ჩემი ნაბადი,

გამთენებელი ღამისა-ა-ა-ა...

ნამღვილად პირველ ხმაზე მღერის, ხომ? შენი „ცოლიყოური“ ეტყვის მეორეს? ვერ ეტყვის? ვერც მიუბანებს? ვერა, ვერ მიუბანებს, ამბობ შენ და ავაშენა ღმერთმა, სიმართლე რომ თქვი. მაგრამაო, — თავს იმართლებ შენ, — „ცოლიყოური“ რა შუაშია, გვიან გადავიღეო და იმიტომაც მოიძმარებსო ცოტათი... შარშანაც ცუდი ამინდი იყო „ცოლიყოურისათვის“? შარშანწინაც? იმის წინათაც? არაფერიც! ჰოდა, ავიღოთ, ბატონო გულასპირ, თქვენი გადაბერებული „ცოლიყოურა“ და ამოეყაროთ! მე შეგეშედეგი, მე გაგეგზავნებო არგვეთაში და „ციცქას“ ნერგებს ჩამოვგიტან, — მოვეშვათ „ცოლიყოურს“ — კანი სქელი აქვს და ოთხჯერ უნდა შეიწამლოს. ოთხჯერ შეწამლვა კი ძნელია. ახერხებ? ვერა. დრო არ გაქვს და იმიტომ, ხომ? ეგებ ჟანიც... გამოტყული! სეიფში რომ გისვენია მურწუნობის განაშენიანების გეგმა, გამოიღე, გაშალე და ჩახედე, რა წერია შიგ? „ციცქა“, „მგალობლიშვილი“, „იზაბელა“, „ალიგატე“... „ცოლიყოური“ წერილია? არ წერია! ჰოდა, რატომ ზიხარ ჭინორიძის ჯორზე? არ ზიხარ? ავაშენოს ღმერთმა! აბა, კიქა აიღე, ჩემი „ციცქათი“ შეგვისებ. მღერის? პირველ ხმაზე მღერის? ჰოდა, მიღლეგრძელე ჩემი „ციცქა“! მიღლეგრძელე? გაამოს! მადლობა მომიხსენებია... მე კი, შენ ახალ ვენახს ვაღლეგრძელე. ესეც ასე. ახლა თითო კიქა კიდევ შევსვათ და ეგებ ავმღერდეთ, რატომაც არ უნდა ვიმღეროთ? მე პირველი ხმა, შენ — მეორე ხმა, ბანი? მეზანებეიც აჯერ გახლავით: მე ავალ მანქანაზე, გადაეხსნი ბრუნენტს მანქანის ძარას, ჩავესუცქდები და ვიწყებ:

მე ვარ და ჩემი ნაბადი-ი-ი-ი...

შენ ცოტათი უფრო ხმამაღლა

გამთენებელი ღამისა-ა-ა-ა...

და სიმღერას ბანი აიტყვებს... მაგარი, შენი მოწონებული მაგარი... მანქანა ჰოდა, ეს ჩემი ქვევრები, ბანს იტყვიან, მანქანა! ჩემი ქვევრები მღერიან! თანდათან უფრო დაიბოხებენ ხმას, ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა ამღერდებიან ჩემი ქვევრები და შენ ჯერ გაოცდები, მერე გაიცინებ, მერე ხარხარი ავტაცებს. რა არის აქ სასაცილო? გეკითხები მე, შენ კი ისევ ხარხარებ და ხარხარებ. მე გული მომივია და მანქანიდან გადმოგძახებ, ამობრძანდით, ბატონო გულასპირ, მანქანაზე, ნახეთ — ქვევრებია, ბაბუსავთელი ქვევრები! უპატრონოდ არ დამიტოვებია ხერგაში, ერთი ვე შინდის ჯოხი მაგრად დაჰკარი ქვევრებს, ნუ გეშინია, არ გატყდება, შრომელები გახლავან და შრომა მოგეხსენებათ! შენ ვითომ გულმოსული ამოხვალ მანქანაზე, შენ შინდის ჯოხს მოუღერებ ქვევრებს და უცებ ჰაერში გააშეშებ, გეშინია, არ გატყდეს ქვევრი. მე გამოგტაცებ ჯოხს, ქვევრზე შევდგები და შენს რკინაღქეულ შინდის ჯოხს მაგრა-მაგრა დავეხებ და დავეხებ ქვევრს და ჩემი ქვევრი ეკლესიის ზარივით დარეკავს... მეტი არ დაჰკარო, მეტყვი შენ, ეს ხმა სოფელში აიჭრება და ხალხს ეახლეძებსო, ეს სიმართლეა, მეტს აღარ დავკრავ, მაგრამ ქვევრი მაინც ბუბუნებს, ფენა-ფენა გამოსცემს ბანს, მერე თანდათან დაეწმინდება ხმა, ღამისაო, ღამისაო, ჩაათავებს სიმღერას ქვევრი და ჩაჩუმდება. შენ ხელს გადაუსვამ მუცელზე ქვევრს. მოელერსები და დაილოცები. კიდევ შევსვათ თითო კიქა! აბა, ჩემი „ციცქათი“ შევაფეხ წელში გამოყვანილი ღვინის კიჭები, კიჭებს შევაჯახუნებთ და ახლა მე ვილოცები:

კეთილად მეყოლოს გულასპირ ჩაფიჩაძე.

კეთილად ეგდოს გაბრიელ კიქაველიძე!

შევსვათ.

ავაშენოს ღმერთმა, ამ ბნელში რომ მოშაკითხე. კაბინაში ჩაგისვამ, ჩემს

ახალ სახლში მიგიყვან, შენ იქნები ჩემი მეგობარი.

აგერ აბესალომ კიკნაველიძის წისქვილიც ესეც გაბრიელ კიკნაველიძის სატყველა... ეს ბებერი წიფელიც აქა დგას, ძეწწებს მდინარისათვის გადაუწვდენიათ ტოტები, ახლა ძეწწებსაც სძინავთ და სატყველასაც.

მდინარესთან მივიდა გაბრიელი, ჩაიმუხლა, ხელები წყალში ჩაჰყო და ხმა დაძლია, ძალიან ხმადაბლა თქვა:

— გამარჯობა, სატყველა!

ემა ცივი წყალი, ხალათის სახელოები აიკაპიწა და მკლავები ნიდაყვამდე ჩაჰყო მდინარეში, დააყურადა, როგორც ნივთხიანთან, აქაც უხმაუროდ, ოდნავი, სულ ოდნავი შრიალით მიედინება სატყველა ბნელში, უთუოდ გაიგონა გაბრიელის ხმა, მაგრამ არ გამოეპასუხა.

— რაო, გულმოსული ხარ ჩემზე, სატყველა? არ მოველოდი! — ხმამაღლა თქვა გაბრიელმა, ჩაახველა, ადგა და მდინარეს ზურგი შეაქცია.

— ვითომ მიტოვებული მყავდი? — ჩაკითხა მდინარეს გაბრიელმა.

სატყველამ ამოიფშვინა და რაღაც წარმოთქვა, რაღაც კი არა, პოო, თქვა მდინარემ, ძალიან ხმადაბლა თქვა, მაგრამ გაბრიელმა მანაც გაიგონა და იფეთქა.

— არა ხარ მართალი! დიახაც არა ხარ მართალი! დროს ვიხელთებდი და მოვდიოდი შენთან, სათევზაოდ არა, შენთან სასაუბროდ და საალერსოდ მოვდიოდი. დილაადრიან მოგამურებდი და შელამებამდე შენთან ვრჩებოდი, არ გაგონდება? გადამივიწყვე?

მდინარისკენ შემოტრიალდა, ჩაიმუხლა, ხელები წყალში ჩაჰყო, თავი დაბლა დახარა და მდინარეს დააყურადა.

უხმაუროდ მიედინება ბნელში სატყველა, სძინავს ბებერ წიფელს, ძეწწებსაც სძინავთ, ბაიბერი არ ისმის გარეშემო, ხელები წყალში ჩაუყრია გაბრიელს და სატყველას ერთრჩულება.

— გულმოსული ხარ ჩემზე? აბა,

იმათ რაღას ეტყვი? ხვალ და ზეგ მოგცვივლებიან, ბაღეებით და ანაკერებით მოგცვივლებიან, ლალუმებსაც გაკადრებენ, რაც თევზი გაბადია, ამოკრეფენ და ამოკლეტენ და ცარიელ-ტარიელს დატოვებენ... ჰოდა, იმათ რაღას ეტყვი?

აბესალომის წისქვილი ხმაგაქმედითაა, ეს ბებერი წიფელიც არაფერს ამბობს, ძეწწებს ტოტები მდინარისთვის გადაუწვდენიათ და არ შრიალებენ. ვერც წისქვილმა იცნო გაბრიელი, ვერც ბებერმა წიფელმა და ძეწწებმაც ვერ იცნეს. აცი, ზე და წყალი სიბნელეში იხედებო! სიცრუე ყოფილა, თორემ კიკნაველიძეთა და ჩაფიჩაძეთა სატყველა, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი და ეს ბებერი წიფელი როგორ ვერ იცნობდნენ აბესალომ კიკნაველიძეს? ღმერთო კი მომკალი! სიცრუე ყოფილა — ხე და წყალი სიბნელეშიც იხედებო, დიდი სიცრუეა!

— სიბნელეში ვერაფერს ხედავ, სატყველა? მე გხედავ და შენ ვერა მხედავ? აცი გულასპირ ჩაფიჩაძე მიმოტიცებდა, ღამით, უკუნეთ ღამითაც რომ მივიღ სატყველასთან, უმაღლე მიცნობს, მომიკითხავს და მომიალერსებს სო, მატყუებდა? მართლაც ვერ ხედავ და მიტომაც ვერ მიცანი? მე კი, გხედავ, ყველაფერს ვხედავ მე: ეს ჩემი ნაპირია, ჩემი ქვები, ჩემი თეთრი კენკები, ეს ზავსიანი ლოდოც ჩემია, ეს ბილიცი! რატომ გაიკვირე? ეს ბილიცი ჩემია, თუმცა გულასპირ და ალექსანდრე ჩაფიჩაძეები თავისად იჩემებენ, მაგრამ ნამდვილად ჩემია ეს ბილიცი, კიკნაველიძეთა უზნიდან წისქვილამდე მე დავბილიციე! სიბნელეში ვერ ხედავ და მიტომაც ვერ მიცანი, ეს ჩემი ბილიციე ვერ იხედება სიბნელეში, თორემ როგორ არ მიცნობდა? განა მართლა ვერ მიცანი? განა მართლა ვერა მხედავთ? ვარჯად ვიცი, რომ სიბნელეშიც იხედებით, დამინახეთ და მიცანიო. — დარწმუნებით თქვა გაბრიელმა. — ოღონდ ხმას არა მტყვობ და გულში მსაყვედურობთ — კერძა არ

უნდა დაგეტოვებინაო, ასე ამბობთ, ხომ?

და თითქოს მდინარემ ხმა ამოიღოო, რაღაც შრილოვით შეძოესმა. გაბრიელ კეცაველიძეს, ზედ ხაბოთან, ხავსიან ლოდთან მსუბუქად, ძალიან მსუბუქად შეჯახა ტალღას ტალღა სატეველამ, ტალღები ერთმანეთს გადაეხვივნენ, რაღაც წაიხტრჩულეს და გაბრიელმა გარკვევით გაიგოთა — არაო... არაო... არაო...

— არ უნდა წაესულიყავი? შენ ამბობ ამას? აბა, რა მექნა? — შეუტია სატეველას გაბრიელმა, მაგრამ რა შეუტია და საბუთები გადმოულაგა:

— ვიდრე კოლმეურნეობა იყო და ვიდრე მანქანა იყო, მეც აქ ვიყავი და კარგად იცი, როგორ ვმუშაობდი! პირველად კოლმეურნეობა დაიშალა, მერე გზა მოიშალა, მერე მანქანა წაიყვანეს და რა მექნა მე? ავდექი და წავედი არ უნდა წასულიყავიო, ამბობ შენ. მაგრამ მე გეკითხები — აბა რა მექნა? ბერიკაცებს ამოვდგომოდი მხარში? მერე და, არ ამოვუდექი? გულასპირ ჩაფიჩაძეს, აბესალომ კეცაველიძეს, ალექსანდრე ჩაფიჩაძეს ამოვუდექი მხარში, მაგრამ რა ამოვუდექი: სანისლუდან შესა მე მომქონდა მათთვის, მათ ყანას მე ვტეხდი, მე ვიდექი გულასპირის საწნახელში, ახალ წელსაც მე ვიყავი მათი მეკვლე... მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი ხერგას ბაზარში წაწალი, ოცი წლისა ვიყავი და დიახაც მესირცხვილებოდა ხერგას ბაზარში დგომა და ყვირილი — აბა, ხემაღლის ყველი! აბა, ხემაღლის კაკალი! აქეთ ხემაღლის პრასის წნილი! შენ რომ ოცი წლისა იყო, დღისით, მზისით, დადგებოდი ხემაღლის ბაზარში და იყვირებდი — აქეთ ხემაღლის პრასის წნილიო? იკადრებდი? არ იკადრებდი, ხომ? რატომ არაფერს ამბობ? არ წაესულიყავი? აბა, რა მექნა? ავდექი და წავედი, მაგრამ სულ არ მიმიტოვებინაო, ოღრო-ჩლოროებზე ამომყავდა მანქანა და მოვდიოდი შენთან... ხომ გახსოვს? ჰოდა, რატომ არ მეუბნები გაგიმარჯო-

სო? ვუღმოსული ხარ? მიჯავრდები?

უხმაუროდ მიეკვლინა და სიტყველა. ხმაგაკმედილობა უმტყნებოდა წისქვილი, ოდნავ არხევენ ტოტებს ძეწნები, ისე ოდნავ, სატეველასაც არ ესპის მათი შრიალი.

— იყოს დღეს ასე! — დაღონებით თქვა გაბრიელმა, — მაგრამ ზეგ კი, — და უცებ ხმას აუწია, — შემირიგდები, მომიკითხავ და მომიალერსებ! ჰო, ხეღვერა და ზეგ გაახლებ ჩემს ოჯახს და შემირიგდები, ვიცი, რომ შემირიგდები... ჩემს მეუღლეს ვერ იცნობ შენ, არგვეთელი გახლავით და ვერ იცნობ, მერე კი შეიყვარებ ციციას, ისეთი ყოჩალი ქალია, თვითონ შეგაყვარებს თავს. ჩემს შვილებსაც ვერ იცნობ — ასმათს, ტარიელს, მაიას, სანდალას. — ჰოდა, ზეგ, ჰზე რომ შემალღდება, ყველას გაახლებ, ნახონ, როგორი ხარ დღისით — დაწმენდილი, ჩხრიალა. ალერსიანი... აქ, აქ, სწორედ ამ ლოდთან მოვიყვან და უფროს-უმცროსობით გავამწერივებ: ციცია... არა, ჯერ მე დავდგები, მერე ციცია, ასმათი, ტარიელი, მაია და სანდალა.

— აბა, გავიხადოთ და მოვინათლოთ სატეველაში, — ხმამალა, ზეიმურად ვიტყვი მე, პირველი მე შემოვალ მდინარეში, მუხლამდე შემოვალ და ლოდზე შექურთულ ჩემს ოჯახს ამყად გავზედავ. ისინი შემომცქერიან, უნდათ გაიგონ, ცივი ხარ თუ თბილი.

— თბილი მდინარე სად გინახავსო, — გაკვირებული შემეკითხები შენ და მე გიპასუხებ:

— მინახავს, ბატონო, თბილი მდინარე, არგვეთაში მინახავს! უცნაური სახელი კი აქვს იმ მდინარეს — ოჯაჟურა პატარა, ძალიან პატარა მდინარეა ოჯაჟურა, დღესსავითაა და თბილია. ოჯაჟურაში ბანაობდა ციცია, ასმათსაც და ტარიელსაც უბანავით ოჯაჟურაში და ნატრობენ, ნეტავ შენც ოჯაჟურასავით თბილი იყვე... შენ კი ცივი ხარ, შემცივდებ, მაგრამ არ შევიმჩნევ, უფრო ღრმად, წელამდე შემოვალ წყალში და ხმამალა დავიძახებ — ცხო-

ნებაა, ცხონებაა და შეუღლებს შევე-
ტვე:

— რას უცდი, ქალო, ჩამოდი წყალ-
ში!

ციცია გარშემო მიმოიხედავს, როცა
დაოწმუნდება, ჩვენს მეტი არაინაა ახ-
ლომახლოს, კაბას გაიხდის და წყალში
შემოვა. ციციასაც ჩემსავეთ შესცივდე-
ბა, მაგრამ იბტიბარს არ გაიტებს, აქი
გითხარი, ისეთი ხასიათი აქვს, თავს
შეგაყვარებს-მეთქი. გათამამლებიან ბა-
ვშეებიც, ჯერ ასმათი და ტარიელი —
ისინი უკვე დიდებია, ასმათი თქვენს-
ტისაა, ტარიელი კი — თოთხმეტის, —
ჩამოხტებიან წყალში, ასმათსა და ტა-
რიელს მათა და სანდალაც ხტუნვა-
ხტუნვით ჩამოაყვებიან, შესცივდებათ
ბავშვებს, შეიცივლებენ, ფაცხა-ფუცხით
ამოცივდებიან წყლიდან და ლოდზე
გაწევიან. ასეა, მათ ჯერ ტუფილი არ
ეხერხებათ... ციციასაც სცია, მაგრამ
ჩემს გვერდით მაინც ყოჩაღად დგას.
შევიბრალებ ციციას, მკლავში წავაე-
ლებ ხელს, გაღმა გავიყვან და ეგერ
დიდი ლოდი რომ ასვენია, ციცია და
მე იმ ლოდზე გაქვებიით და მშეს მი-
ვეფიცებით. მზე კარგად გვაცხუნებს,
გვსიამოვნებს და ვლუმვართ. მე რულა
მომეკიდება, ჩავთვლემ და სანდალას
ხმა გამომაფხიზლებს. გავახელ თვალს
და ვხედავ — ასმათს სანდალა აუტაცე-
ბია და მდინარეში შემოაყავს, — ჩამ-
სვი წყალში, ჩამსვი! — იძახის სანდა-
ლა და კისკისებს. ასმათი მუხლამდე
ჩასვამს სანდალას წყალში, სანდალა
თამამდება და ეხეწება დას, ხელი გა-
მიშვიო, ასმათს ეშინია და სანდალას
მკლავებში უფრო მაგრად ჰკიდებს ხე-
ლებს. — მამი, გამიყვანე გაღმა! მიძა-
ხის სანდალა. მე ავდგები, შევალ მდი-
ნარეში, სანდალას მხრებზე შევისვამ
და გაღმა გავიყვან. სანდალა, ციცია და
მე ლოდზე ვწევართ და მშეს ვეფიცე-
ბით. ეს შენი მარცხენა ნაპირია. შენს
მარჯვენა ნაპირზე, ეგერ იმ ზავსიან
ლოდზე, ჩემი სამი შვილი ეფიცება
მშეს — ასმათი, ტარიელი, მათა. ჩვენს
შუა მიედინები შენ და გვეალერსები.

შერიგებულები ვართ, ხომ? ნამდვილად
შერიგებულები ვართ და მე ლოდიდან
ავდგები, წყალში ჩამოვაცურებ ხე-
ლებს, დავიბრები და ხმაღლა და თა-
მაღად ვიტყვი:

— გამარჯობა, სატეველა!

— გაბრიელს გაუმარჯოს, იტყვი შენ
და გაჩილიმებ.

— როგორ ხარ, სატეველა?

— ახლა კარგად! — გაბზარული
ხმით იტყვი შენ და ცოტათი მოიღრუ-
ბლება, რაღაცას გაიხსენებ და ცოტათი
მოიღრუბლები, მე მიგიხვდები, დია-
ხაც, რომ მიგიხვდები და სიტყვას ბან-
ზე ავიგდებ.

— ახლა გულასპირი მოვა და ცოტა
მურწას დავიკვროთ, გეწყინება?

— არა! — იტყვი შენ და იქედნურად
გამილიმებ, მიმიხვდები, სიტყვა რომ
ბანზე ავიგდე, მაგრამ მამატიებ.

— ჰოდა, შერიგებაც ეგ არის —
იტყვი მე და პეშვით წყალს შეგასხამ.
უხმათროდ მიედინება ბნელში სატე-
ველა, ხმაგაკმედილია აბესალომის წის-
კვილი, სძინავს ბებერ წიფელს, ძეწ-
ნები ოღნავ არხევენ ტოტებს, ისე ოღ-
ნავ, სატეველასაც არ ესმის მათი შრი-
ალი.

— ახლა კი წავიდეთ! — თქვა გაბრი-
ელმა და პეშვით წყალი შესვა, მერე
სატეველას ხელები დაუქნია, აბესალო-
მის წისკვილს მდაბლად დაუკრა თავი
და ხმაღალა უთხრა, მიპატიებია, რომ
ვერ მცანიო, ზეგ დილით კი შენც მიც-
ნობ და შემირიგდებიო.

მანქანაში შუქი ჩართო და ჯიბიდან
სათი ამოიღო.

— თერთმეტი შესრულებულა, ახლა
გულასპირსაც კი ეძინება, — დარწმუნ-
ებით თქვა გაბრიელმა და მანქანა ხე-
მალას აღმართს შეუყენა.

სოფელს მართლა ეძინა, მხოლოდ
მთავარ ქუჩაზე აქა-იქ ენთო ელექტრო-
ნათურა, ოდა-სახლებს კი ღრმა ძილით
ეძინათ.

— აქი ვთქვი, სოფელი ადრე იძი-
ნებს-მეთქი! ჰოდა, ეგ არი, სძინავს. —
გახალისდა გაბრიელი, მანქანა ჰმეორ-

თან გააჩერა და როცა სახლის აივნიდან შეტქმა შემოანათა, გაიკვირვა, აივანი აათვალიერ-ჩაათვალიერა და აივანზე არაფერი იყო.

— გუშინწინ რომ ვიყავი, შეტქი გამოურთველი დამჩენია, — ჩურჩულვით, თავისთვის თქვა გაბრიელმა, — თავი დაიმშვიდა და ჭიშკრის ორივე კარი ბოლომდე გააღო.

— ძალიან კი დაიგვიანე. გაბრიელ! გულასპირის ხმა იყო და გაბრიელს შეერთა. შეერთა კი არა, გაშუშდა და ხმა ვერ ამოიღო.

გულასპირი კიბის საფეხურზე იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

— რაო, ვერ მიცანი, გაბრიელა? — ვითომ დაყვავებით თქვა გულასპირმა, დაცინვასავით კი იყო, მიუხედავად გაბრიელი და სული ყელში მოეხვინა, ერთს შეუვუერთებო, გაიფიქრა გულში, მაგრამ რატომღაც ენა გაუქვავდა.

— რაო, მართლა ვერ მიცანი? — ჩაპკითხა გულასპირმა.

— შეტქი რომ ენთო აივანზე, ალბათ, შინ დამიგულეთ, — დამნაშავესავით თქვა გაბრიელმა და კიბისკენ წაღვანბიჯი.

— შეტქი მე ავანთე! მაგარი სიგარეტი გეჩენება შენ და მისახსოვრე, — ცივად თქვა გულასპირმა. ყალიონი ხელისგულზე დაიბერტყა, ჩაახველა და აღგა.

— ჩემი სახლის დარაჯობა ვინ გაკადრათ, ბატონო გულასპირ! — თამამად და სიცილით თქვა გაბრიელმა და გულასპირს სიგარეტი მიაწოდა.

— დარაჯიო! — იფეთქა გულასპირმა. — დარაჯიო თქვი შენ? ბოდიში მოიხადე, გაბრიელა! დარაჯები კიანველიძეებში მოიკითხე! გულასპირ ჩაფიჩაძე კომენდანტი გახლავთ, დიახ, მე კომენდანტი ვარ! ჩემი სახლიო, თქვი შენ და უკაცრავად ბრძანდებით, ჯერ-ჯერობით მეურნეობისაა ეს სახლი და მეურნეობა ჯერ-ჯერობით მე ვარ!

— რაო, ჩემი არ არის ეს სახლი? მომეცით და უკანვე მივაქვით? რევან ჩაფიჩაძემ წამართვა? — ვითომ გულმო-

სულად, ხმამაღლა, ყვერილით თქვა გაბრიელმა.

— პროვოკაციას ნუ ეწევი, გაბრიელ! მე ვთქვი, დღესდღეობით ჩენია-მეთქი ეს სახლი და სიმართლე მოგახსენე. — ამოაბრძანებ ხელ შენს ქალბატონს, ამოიყვან შენს შვილებს, ამოზიდდე ბარგი-ბარხანას და შეადგენს გულასპირ ჩაფიჩაძე აქტს ორ ცალად, ჯერ რევანში მოაწერს ხელს იმ აქტებზე, მერე გაბრიელი მერე გულასპირი ბეჭედს დრუხავს იმ აქტებზე. ერთს შეინახავს სეიფში, ერთს გიბოძებს შენ და გახდება ეს სახლი გაბრიელ კიანველიძისა რა არის აქ გასარკვევ-გამოსარკვევი? შემოიყვანე მანქანა ეზოში, რალაცა გიყრია ზედ.

— არაფერიც არ მიყრია! ბრეზენტი აგლია ძარაზე. — ცივად თქვა გაბრიელმა.

— ჰოდა, ვიღაცეები გახეულან შენს ბრეზენტში. აბა, შეხედე!

— გეჩვენება, წავალ ხერგაში, ჩემი მაინც არ ყოფილა ეს სახლი და... ვითომ გულდაწყვეტით თქვა გაბრიელმა და მანქანისკენ გააბიჯა.

— ხართ ღირსე ამ სახლებისა? მართო გაბრიელ კიანველიძეს არ ვეკითხები მე. ყველას ვეკითხებით. გამოიხდები? პასუხს ვერ მეუბნები? ასეა, ხომ? ჰოდა, თქვენს მაგიერ მე ვიტყვი:

— არამც და არამც არა ხართ და არა ხართ ღირსი ამ სახლებისა. იმიტომ წავედითო, ამბობთ ახლა თქვენ... ჰო, იმიტომ წავედითო, რომაო... რაო, რატომაო? რატომ წავედითო?

— ჰო, გამახსენდა... — ეს ბავშვებით, ეს სკოლაო, ეს უგზოობაო... აშაღვთ ფუტი და მოუსვით! ისე გარბოდით, წერეთლის მწვერალიც ვერ დაგეწოდათ! ჰა და ჰა, ვინ ვის გაუსწრებსო და გარბოდით... მერე? მერე კაი ხანი გავიდა. მერე ამინდი მოუტრიალდა ხე-მალალს, გზა გამოვიყვანეთ, ახალი ოდა-სახლები აგისენეთ, ეზოები შემოგილობეთ და ისიც მავთულის ბადით. ეს წყალსადენიო, ჰო, ეზოებში შემოგიყვანეთ სატყველა... ეს ელექტრო-

განათებაო... ეს სკოლის ახალი შენობაო, გაქვთ ხერგაში სკოლის ასეთი შენობა? არ გაქვთ! და ზოზინ-ზოზინით გვიბრუნდებით ახლა. მობრძანდით ბატონებო!

რინით, გულმოსულად ლაპარაკობდა გულასპირი, მერე უცებ დაუდებლა ხმას და დაყვავებით ჰკითხა გაბრიელს.

— რატომ აგვიანებთ ხერგელები ამოსვლას, ჰა?

— ხვალ და ზეგ მოვითავებთ საქმეებს და ერთად ამოვალთ. — ტრბახით თქვა გაბრიელმა.

— ერთად ამოხვალთ თუ არა, მე შენ გეტყვი და დიდი კულტარია ამოილაშქრებთ! — ვითომ ხუმრობასავით თქვა გულასპირმა და გაბრიელს გაუღიმა, მაგრამ გაბრიელი მიუხედა და წარბები შეჰყარა.

— რაო, არა საჭირო ხალხი ვართ, თუ?

— ეგ არ მოიტყვამს მე! — წამოიძახა გულასპირმა. — მონკავშირი, პურტრესტი, წყალკანალტრესტი, კოპერატივები, რესტორნები და სასადილოები, სადალაქოები... და ხართ თქვენ მზარეულები, ნოქრები, შოფრები, მცხობელები, დარაჯები და ლაქიები... აბა, ხერგას სახალხო თეატრში ხომ არ თამაშობდით? არ თამაშობდით! საზოგადოება „ცოდნას“ ხაზით საგანმანათლებლო ლექციებს კითხულობდით? არ კითხულობდით! და როდის თქვა გულასპირი ჩაფიჩაქემ, შოფრები არ გვკვირდებო? ოცდათორმეტი ავტომანქანა და თექვსმეტი ტრაქტორი ჰყავს მეურნეობას! სასადილო ხომ გვაქვს და როდის ვთქვი მე, მზარეულები და ლაქიები არ გვკვირდება-მეთქი, ჰა, როდის ვთქვი? — თანდათან, ვითომ უფრო და უფრო გაცხარდა გულასპირი. — ფურნეც გვაქვს, კოპერატივიც, ფოსტაც, სადალაქოც და სამუშაოს გაუფინენტ პურის მცხობელსაც, ნოქარსაც, დალაქსაც, დარაქსაც და შიკრიკაც... განა ვთქვი მე, არა საჭირო ხალხი ხართო?

— პროვოკაციას ნუ ეწვევ, გაბრიელ, შემოიყვანე მანქანა ეზოში და უფრომ ყურეში მიაყენე, მერე, აქეთ გამოშხედე, კიშკართან ფიცრები რომ აწყვიო, ისიც მიიტანე ეზოს ყურეში და დავაბინაოთ შენი ქვევრები! — ბრძანებასავით თქვა გულასპირმა და შინდის ჯოხი კიბის საფეხურს დაჰკრა.

— ქვევრები? რომელი ქვევრები? — ძალიან გაიოცა გაბრიელმა.

— ქვევრები, აბა ბიბლიოთეკას ამომიტანდი შენ ხერგადან! ვიცი შენი ხასიათი, დიახაც, რომ ქვევრები გისვენია მანქანაზე, სამი ათკოიანი ქვევრი! შემოაგორე მანქანა! მე, აგერ, აღმასხანს გადავძახებ და შეგეშველება — თქვა გულასპირმა, გაბრიელს მხარზე მსუბუქად დაჰკრა შინდის ჯოხი და ეზოდან გავიდა.

...გაბრიელმა მანქანა ეზოს ყურეში მიაყენა, მერე ფიცრებიც მიზიდა მანქანასთან, ბრუნენტი გადახადა ქვევრებს და გულასპირი და აღმასხანიც თავზე წაადგინა.

გულასპირმა შინდის ჯოხი შემოჰკრა ქვევრებს და ქვევრებმა ზარივით დარევეს.

— ყოჩაღ, გაბრიელ, არ გაგიყილია ბაბუასეული ქვევრები! — აბა, გადაეხვიეთ ერთმანეთს კარისმეზობლები და დავაბინაოთ ქვევრები, — ცოტა მეჩქარება მე.

მანქანის ძარას ფიცრები შეუყენეს და ქვევრები სვენებ-სვენებით ჩამოაცურეს.

— ახლა ეს სახლი და მარანი დამილოცეთ, ამხელა ქვევრებს ერთ დოქტინოს როგორ არ ამოატანდა გაბრიელი, — თქვა გულასპირმა და ოდასახლის კიბეზე აბიჯა.

გაბრიელი გაშრა. აღმასხანი მიუხედა გასაპირს და ყურეში უჩურჩულა — გადავალ სახლში და რამეს მოვიტანო.

კიშკართან მისულ აღმასხანს თვალი ჰკიდა გულასპირმა და დაუძახა:

— გამობრუნდი, აღმასხან, შენმა შეუღლემ ადრე გაგვიწყო სუფრამ! — ახლა აღმასხანი გაშრა. ჩემი შეუღლე

პაუზა.

გუშინ წავიდა ხერგაში და მხოლოდ ზევ თუ ამოვაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი უბასუხა და ადგილზე გაქვევდა.

— ამოდით, პო, ნუ მაგვიანებთ! — ბრძანა გულასპირმა, ზალის კარი გაიღო, სინათლე აანთო და ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა შესძახა.

— აქა მშვიდობა!

მერე აივანზე გამოვიდა და გაბრიელს და აღმასხანს შეუძახა:

— ღიმილიანი შემოდით სახლში!

აივნის კართან შეეგება, ჯერ გაბრიელს ჩამოართვა ხელი და გადაეკცა, მერე აღმასხანი შემოიწვია, ორივეს მკლავეებში გაუყარა ხელები, ზალაში შეიყვანა და ისევ ბოხად თქვა:

— აქა მშვიდობა!

ზალაში პატარა, სამფეხა დაბალი მაგიდა, სამი ჭოკო, მაგიდაზე თავსახურიანი თეთრი კალათი.

კალათი იცნეს გაბრიელმა და აღმასხანმა: გულასპირის კალათია, ხემაღალაში მარტო გულასპირი წნავს ასეთ კალათებს, თხილის წყნელის თეთრ კალათებს, სახელურები კი შინდისა აქვს კალათს, შინდის წყნელი თხილის წყნელზე მაგარია და ამიტომაც შინდის სახელურებს უკეთებს კალათს გულასპირი, სახურავი კი თხილის თხელი, ძალიან თხელი, წყნელისაგანაა მოწნული, კალათზე უფრო თეთრია სახურავი და მსუბუქია, პაერივითაა.

— ვიყვეთ ახლა ასე მუნჯებით? — გაბზარული ხმით თქვა გულასპირმა და კალათს სახურავი ახადა.

სამი თეფში. სამი წელში გამოყვანილი ღვინის ქიქა. ქუინტი ყველი. ერთი კეცი მქადი და ერთი თონის პური. ქოთნით ლობიო. შემწვარი წიწილი. პრასის წნილი. ცოტა დარჩეული ნიგოზი. სამი ტაოო მოზარდული სიმიანი. ერთი დოქი, კვი მოზარდული დოქი ღვინო. ექვსლიტრიანი მაინც იქნება ეს დოქი.

— ცხოვრებულ ღვინოს და გულთმისანი გვიყვარს. გაბრიელ და ცდებოდა შენც გულთმისანი ხომ არ გგონივარ? ვილაკამ მითხრა და ვიცოდი, დღეს რომ

ამოხვიდოდი და ვითომცა შეხვედრასაკნით მოგიწყვეთ კესარიამ და შექმნე კერ შეძლო კესარიამ და ვაბატოთ, დაასხი ქიქებში ღვინო.

სუფრას შემოუსხდნენ და გაბრიელმა ქიქები შეავსო.

პაუზა.

და გაბრიელ კიკნაველიძეს ამ სუფრამ როგორღაც ხერგას ბაზარი გაახსენა.

„ღვინო. ყველი. პრასის წნილი. დარჩეული ნიგოზი. და იძახის გულასპირი — აბა აქეთ, ხემაღალის „ცოლიკოური“, ხემაღალის პრასის წნილი, ყველი და ნიგოზი... მყიდველები ევაჭრებიან გულასპირს, გულასპირი ფასს უკლებს და იყიდება ხემაღალის „ცოლიკოური“, ხემაღალის პრასის წნილი, ყველი და დარჩეული ნიგოზი... მერე მყიდველები შემოაკლდათ და გულასპირმა მხარზე დაჰკრა ხელი გაბრიელს — აბა ერთი ყოჩაღად შეუძახეო და გაბრიელმა დაიძახა, — ხემაღალის „ცოლიკოური“, ხემაღალის ყველი! — პრასის წნილი და ნიგოზი დაგაიყვანაო, თქვა გულასპირმა და გასათამაშებლად ისევ დაჰკრა ხელი მკერდზე გაბრიელს და გაბრიელმა დაიძახა — ხემაღალის პრასის წნილი, ხემაღალის დარჩეული ნიგოზი! და მოვიდნენ მყიდველები, გულასპირმა ფასს დაუკლო და გაყიდა ღვინო, ყველი, პრასის წნილი და დარჩეული ნიგოზი. მერე დარჩეული ტკჭორები კალათებში ჩააფინეს და ბაზრის ყურეში მიდგნენ.“

გულასპირმა ფული დათვალა და შუაზე გაჰყო. მერე საეჭვოები შემოიარეს, შეკონ-მოკონი იყიდეს და ხემაღალის გზას დაადგნენ. ძალიან ნელო, სვენებსსვენებით იარეს და მხოლოდ შელაშებულზე ამოაღწიეს ხემაღალს.“

— გაბრიელ კიკნაველიძის ახალ ოჯახს ჩანმრთელობა და გამრავლება, — თქვა გულასპირმა, პირველი გარდაისახა და შესვა.

— ვიცი, ურწმუნოები ხართ, მაგრამ მე მაბატეოთ, მე ასე ვარ მიჩვეული.

პაუზა.

...დედაჩემი კიშკართან შემომეგება, კალათი გამომართვა, მაკოცა და ყურში მიჩურჩულა — ძია გულასპირს სახლამდე აუტანე კალათით. გულასპირმა იუარა, მაგრამ მე ჩემი გავიტანე... მაშინ ყოჩაღად იყო დედაჩემი, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა მეუღლის შინ მობრუნებისა და ყოჩაღად იყო. ცნობა კი მოგვივიდა — უფროსი ლეიტენანტი აფრასიონ კიკნაველიძე ქერჩისათვის ბრძოლაში უგზოუტკვლოდ დაიკარგაო, მაგრამ დედაჩემმა იმედი არ გადაიწყვიტა, შავები არ ჩაიცვა და პენსიის დანიშვნაზე უარი თქვა. ბარე სამი წელი იცოცხლა იმედით, მერე მამაჩემივით უგზოუტკვლოდ დაკარგული კონტრატე კიკნაველიძის უმცროსი ვაჟიშვილი ჩამოვიდა და დედას გამოუტყდა — აფრასიონი ჩემი ხელებით დაემარბე ქერჩის მიწაში და დედაჩემისთვის ყველაფერი გათავდა...

— სევდას დაბალი, ძალიან დაბალი ჭერი აქვს, ადამიანს მხრებზე დააწვეება, გასდრეკს და ძირს დაანარცხებსო, ამიტომ სევდა ახლოს არ უნდა მიიკარო, იტყოდა დედაჩემი და ჩემს თვალწინ სევდამ გაათავა დედაჩემი. მაგრად დააწვა მხრებზე, შოლტივით იყო და მხრებში მოხარა, სახეზე ფერი კი არ შეუცვალა, თვითონ სახე შეუცვალა — თვალები გაუფართოვა, სახე დაუბატარავა, ცხვირი დაუგრძელა, ოცდათვრამეტი წლისა იყო დედაჩემი და სევდამ კისერზე ნაოკები დააყარა, ხელები დაუწვრილა, მერე უძილობა შეჰყარა და ღამეებს თეთრად ათენებდა, შემლიღივით იყო... და გატყდა, დაიღია, გათავდა დედაჩემი“.

— ვისხდეთ ახლა ასე მუწუბივით? შენც კაი წმინდა სულივით მიზიხარ აქ! — აღმასხან კიკნაველიძეს შეუტია გულასპირმა. — სული მიგდის და თავს იკავებ? აიღე და დალიე!

აღმასხანი ფეხზე წამოდგა.

— სიტყვა არაა საჭირო, თქვი, ამ ოჯახს მრავალყამიერიო და დალიე. — ბრძანებასავით თქვა გულასპირმა და ახლა გაბრიელს შეუწყრა.

— თუ გწყინს ჩვენი აქ მოღობვა, გაბრიელსა და წაველთ, რას ჩამოგტვირის სახე? სატყველა შემოგაწყრა?

აღმასხანმა „ამ სახლს მრავალყამიერიო“ — თქვა, შესვა და დაჯდა.

— ძალიან ამაღლევა შენმა ასეთმა შეხვედრამ, ძია გულასპირ, დავიბენი, მადლობაც არ მითქვამს და ახლა მომიხსენებია მადლობა... და გაბრიელმა ოდნავ მოსვა.

— ეს რატომაო? — იკეჭა გულასპირმა, — მადლობა იქით იყოს და ღვიწხო შემიხვი.

— ამაღმევე უნდა ვაებრუნდე ხერგაში. — მორჩილად, დამნაშავესავით თქვა გაბრიელმა.

— ამაღამ გაბრიელის სახლში ვათვით ღამეს ჩვენი ხვალ კვირაა, დილაუთენია რომ არ ჩაახრიგინო შენი მანქანა ხერგაში, არაფერი დამავდება. შესვი და გვიმასპინძლე! ჰო, შესვი და გვიმასპინძლე! — და გულასპირმა მხარზე დაკრა ხელი გაბრიელს.

გაბრიელმა შესვა და კიქები შეავსო.

— თქვას შენმა „ციცქამ“ პირველი! აღმასხანი მეორეს გვეტყვის და ჩემი „ცოლოკოურის“ ბანიც აქ გახლავთ. აბა, წამოუძახე!

დაბალ, ძალიან დაბალ ხმაზე დაიწყო გაბრიელმა. ძლივს გაიგონეს „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“, თითქოს ზოდის ისდისო, მამატივით, რომ ემღერით, აღმასხანმაც დაბალი მეორე თქვა, მაგრამ გულასპირმა მაღალი ბანი შემოსძახა და ხელებით ანიშნა გაბრიელს და აღმასხანს, ხმა ამაღლეთო და სიმღერა აეწყო. უფრო ხმამაღლო, — ეშხში შევიდა გულასპირი, — ამ სახლში არავის სძინავს, არც მეზობელ სახლებში სძინავთ, არავისი გვერიდება და ახალ სახლს რომ შეჰფერის, ისე ვიმღეროთ და ისევ გამოიხმო „ციცქას“ პირველი, აღმასხანის მეორე, თვითონ დაუბანა და დაუბანა, მერე ღვინის ჭიქა აიღო ოა ჭურჭს შეასხა ღვინო — დამილოკინიხარ ახლო სახლო, მოხმღერაში ჩაურთო. გამხიარულდა; ძალიან გამხიარულდა გულასპირ ჩაფინამდე, გული

აუმღერდა, მკლავებში ძალა იგრძნო, თვალში სინათლე მოემატა... ჰო, ძალიან მოილხინა გულასპირმა, შვილები და შვილიშვილები დაუბრუნდნენ გულასპირს, ხვალ და ზეგ რძლები და შვილთაშვილები დაეხვევიან, დაეხვევიან და არ მოასვენებენ — აბა, ზღაპარი მოგვიყვითო, შეეხვეწებთან შვილიშვილები და დაიწყებს ზღაპრის მოყოლას გულასპირი, შეაჩერებენ შვილიშვილები, ეს ზღაპარი არა, წიქარამ რომ პატარა ბიჭი გადაარჩინა, ის ზღაპარი მოგვიყვითო. გაბრაზდება გულასპირი და ერთს მაგრა დაუცაცხანებს, რასაც გიყვებით, ის მოისმინეთ, მერე შეიბრალებს შვილიშვილებს, დაყაბულდება და მოუყვება წიქარას ზღაპრს...

...ზურგზე შეისვა პატარა ბიჭი წიქარამ და შურდულივით გაფრინდა, ცხრა ტყე გაჩეხა, ცხრა მინდორი, ცხრა მთა და ცხრა კლდე გადაიბრინა, ცხრა მდინარე, ცხრა ტბა და ცხრა ზღვა გასცურა, გადაარჩინა პატარა ბიჭი და ბოროტი დედინაცვალი შშრალებზე დასტოვა.

და უხარიათ ბავშვებს პატარა ბიჭის გადარჩენა და ისევ სთხოვენ გულასპირს — კიდევ მოგვიყვი ზღაპარიო, ახლა კი მაგრა დაუცაცხანებს გულასპირი — გეყოფათ, ახლა უბელო ცხენებზე შეჩქებით და აღმა-დაღმა იჯირითეთო. შეაფრინდებიან ეს კინკა ბიჭები და კუდიანი გოგოები უბელო ცხენებს და საჯარისოს მინდორს აიკლებენ ჭირით-ჭირითით. ხედავ? გესმით? როგორ ახშიანდა დაუქმებული და დაყრუებული სოფელი და გულასპირის ბებერმა გულმა არ გაიხაროს? ჰოდა, უხარია კიდევ.

...სიმღერა ჩაათავეს და გულასპირმა ჭიჭები შეავსო.

— რაო, ბანს ვერ გაძლევს ჩემი „ცოლიკოური“? — გამომწვევად ჰკითხა გაბრიელს და თვალი გაუხსნორა.

ბაუზა...
...მხოვეართ გულასპირის ბებერი „ცოლიკოური“, — ასე შეუთანხმდა

სატეველს? დაარწმუნე მარს გიგანსუხა
სატეველამ?

— სატეველაზე არ ვყოფილვარ! — თქვა გაბრიელმა.

გულში: გულასპირი მართლაც გულთმისანია, ან აბესალომის წისქვილს იყო ამოფარებული. მე რომ სატეველასთან ესაუბრობდი.

— იყავი! — დარწმუნებით თქვა გულასპირმა, — შენ შეღამებულზე გამოსხვედი ხერგადან.

— არ იყო შეღამებული!

— ნამდვილად შეღამებულზე გამოსხვედი, თან ნელა იარე, სოფელში გვიან ავალ და ვერაფერს დამინახავსო, ასე იყო ეს!

პაუზა.

— აბესალომ კიკნაველიძის წისქვილს რომ გაუსწორდი, შეუხვიე, მანქანა წისქვილთან დააყენე, შუქი გამოართე, არავინ დამინახოსო, მერე მდინარესთან მიდი, ხელები წყალში ჩაჰყავი, ცივი წყალი გეამა და სახეზე შეისხი და ხმადაბლა ეუბნები სატეველას:

— გამარჯობა სატეველა შენი! — ასე იყო, ხომ?

პაუზა.

— აგრე წვრილად საიდან იცი? — დამნაშავესავით თქვა გაბრიელმა.

გულში: მართალი ყოფილა დედაჩემი, გულასპირი მართლაც გულთმისანია.

— რაო, რა გითხრა სატეველამ? არ გამოგებასუხა? შენი ხმა ვერ გაიგონა სატეველამ და იმიტომაც არ გამოგებასუხა? შენ ვითომ ხმადაბლა გაესაუბრე სატეველას? ცდები.

— წისქვილს იყავი ამოფარებული? — გაუბედავად შეეკითხა გაბრიელი.

გულში: ნამდვილად წისქვილს იყო ამოფარებული, მოკლე გზით გადმოჭრა და სახლშიაც ამომასწრო, ეშმაკი კაცია გულასპირი.

— შენი სახლის აივანზე ვიჭექი, აქედან გხედავდი და ისე ხმამაღლა ელაპარაკებოდი მდინარეს, ყოველი სიტყვა...

— ვარაუდობ და გიმართლებ! — შეაწყვეტინა გაბრიელმა.

გულში: მაგრად კი ჩამქიდა ხელი! გულასპირი დაოქმუნდა, გამოვიქირეთო და უფროდაუფრო შეუღია.

— ამოვყაროთ გულასპირის ბებერი ცოლიკოლიო, — ასე შეუთანხმდი საბეკელას? დაარწმუნე? დაითანხმე?

— ჯერ კიდევ არ ამოვიყარა? — ვითომ გაიკვირვა გაბრიელმა.

— არც ამოვიყარი! დიახაც რომ არც ამოვიყარი!

გაცხარდა გულასპირი.

— სამ-სამი შეესვათ! — რიხით თქვა გულასპირმა და კიქები ერთმანეთს მიუღდა. — ჯერ შენ დალიე, აღმასხან, მოწმესავით რომ დაუყნებულხარ აქ და ხმას არ იღებ, — არც შენ ხარ წმინდა სული! ადრევე შემოგიტვალეთ, ღურგლები ძალიან გეკირდება და როგორმე მალე ამოგვეშველეთო, შენ კი... ჰო, შენ მოთაებბაზე რომ იყო საქმე, მაშინ ინებე ამობრძანება, — შენი კაცაკობა, აგერ, ხელისგულზე მიწერილი, წაგიკითხო?

აღმასხანი ადგა.

დაბრძანდი, ბატონო, და ისე შემისვი. სადღეგრძელო არ გახლავთ ეს! — ჯარიმსავით შეესვათ.

აღმასხანი დაჯდა და სამივე კიქა გამოცალა. გულასპირმა შეავსო კიქები და გაბრიელს ანიშნა, დალიეო. გაბრიელმაც უსიტყვოდ გამოცალა სამივე კიქა. მერე გულასპირმა ისევ შეავსო კიქები, თვითონაც უსიტყვოდ შესვა და ისევ გაბრიელს მიუბრუნდა.

— გულასპირ ჩაფიჩაძის „ცოლიკოურს“ მე ვკრეფდი და მე ვწურავდიო, რომ ჩაუკაკლე სატვეელას, რავა, მე არ დამიკრეფია შენი „ციცქა“? მე არ ვმღვარავარ, შენს საწნახელშიც და არ დამიწურია შენი ყურძენი? შენი ქვევრები არ გამირეცხია? აბესალომ კიკნაველიძის, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეების ყანებს ვთესავდი, ვამოროლებდი და ვტვხდიო, მათთვის სანისლედან შეშას ვეზიდებოდიო... ის რატომ არ უთხარი სატვეელას, შოფრების კურსებზე მე რომ გაგავზავნე, კოლმეურნეობის ავტომანქანაზე მე რომ დაგ-

სვი, მერე ხერგაში „ხალტურაზე“ რომ დაგიკირეს, კოლმეურნეობის თეზისი მაოქმ რომ მოგხსხა და თავდენად მე დაგიდექი? ვითომ კაი წმინდა სულები იყვეთ, თავი მოგიკატუნებიათ და ენა გაგიქვავებიათ. — და გულასპირმა ჯერ გაბრიელს დაჰკრა ხელი მხარზე, მერე აღმასხანს, კიქები დააცალაკეა, შეავსო და დაიბუხუნა:

— მეყოფა ამდენი ქაქანი, ახლა თქვენ თქვით სადღეგრძელო, ბიჭებო! პაუზა.

გაოგნებული სხედან გაბრიელი და აღმასხანი, თავები ჩაუქინდრავთ, სახეები გასწითლებიათ, თვალი ვერ გაუღსწორებიათ გულასპირისათვის.

— გაწყენინეთ, განა? — დანანებით თქვა გულასპირმა.

გულში: ნამეტანი მომივიდა. ჰო, გადავაქარებ. ნაფუძვარს დაუბრუნდნენ, გულში ჩიტი უფრთხილებთ, ვარხივარალო უნდა შემომეძახა, ქუდი კერში მესროლა, მე კი მივდექი და მივდექი — ასეთები და ისეთები ხართ, ვითომ წმინდა სულები იყვეთ, თავები მოგიკატუნებიათ, ენა გაგიქვავებიათ-მეთქი... ნამეტანი მომივიდა!

— მამატიეთ, ყმაწვილებო! ჩემი სისხლი და ზორცი ხართ, ჩემი შეილები ხართ თქვენ, ძალიან გამიხარდა თქვენი დაბრუნება, ავღელდი და გაგითამამდით! ამატიეთ თქვენს გულასპირს და ერთი სადღეგრძელო დააღევიეთ. — მუდარასავით თქვა გულასპირმა და ხელი თვალეზე აიდარა.

და გაბრიელი ადგა, მალლა ააღირა თავი, კერს ახედა, ელექტრონათურასთან კერს კიდევ აჩნდა ღვინის წვეთები და ყურში ჩაესმა გულასპირის ხმა — „დამილოცინხარ აბალო სახლო“ და გაბრიელს სითბო ჩაედვარა გულში... უთუოდ დილიდანვე დაასაქმა კესარია, თვითონაც შეელოდა, მერე ეს საესე კალათი და დოქი აქ ჩამოიტანა, დაჯდა ჩემი სახლის აივანზე, გზას გასცქეროდა და მელოდა. მელოდა და ლოდინში დაიღალა, დაიღალა და მანც მელოდა. დაღამდა, იმედი არ გადაწყვიტა

და მელოდია... მასპინძელივით დამხვდა ჩემს სახლში, არა, მასპინძელივით კი არა, მშობელივით დამხვდა: იჭდა მამაოღის აივანზე და ქალაქიდან ვაქიშვილის მობრუნებას ელოდებოდა, დაგვიანებით მოვიდა ვაქიშვილი და მამამ უსაყვედურა — „ძალიან დაიგვიანე, გაბრიელ!“ სიყვარულიანი საყვედური იყო ეს, მამის სიყვარულიანი საყვედური... მე კი გავიოცე! ჰო, არ მოველოდი და მიტომაც შემაკრთო გულასპირის ხმამ! „ჩემი სახლის დარაჯობა ვინ გაკლრათ-მეთქი“. — ვითომ გავესუმრე და გულასპირმა იფეთქა. ეგ ოხერი ქვევრები, თორემ ამას როგორ ვიტყვოდი! ჰოო, ქვევრებმა, ქვევრებმა მათქმევენეს... უნდა მიგჭრილიყავი გულასპირთან, გადავხვეოდი, გადამეყოცნა. — „ავაშენოს ღმერთმა, მამასავით რომ

დამხვდი, განათებული სახლი რომ დამხვდერე, მადლობელს დაიღი და მადლობელი“... და გახრჩველი გულასპირის მხრებს შეეხო ხელებით, ძალიან სათუთად შეეხო, მერე გათამამდა და ხელები თანდათან ზურგზე ჩაუცურა და იგრძნო გაბრიელმა, მხრები აუცახცახდა გულასპირს, არა, მარტო მხრები არა, მთელი სხეული აუცახცახდა გულასპირს, ახლა დაიხრება გაბრიელი, მოეფერება და დაამშვიდებს, გულასპირი მიუხვდა, წამოიწია, წამოიმართა და ხელები იღლებში შეუცურა გაბრიელს, მერე წელზე შემოაკდო და თავისკენ მიიზიდა.

მკერდებით ეკვრიან ერთმანეთს, — დგანან, ცახცახებენ, უხარიათ! არ უყოცნიათ ერთმანეთისათვის, არც სიტყვა დასცდენიათ...

თანი მასაჰ

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით გაიარა აივანიდან კიშკრამდე და მაინც დაილა.

„ჯერ კიდევ ავად ვარ, მაგრამ ლოგინში წოლა არ შემიძლია“.

შეღვა, წელში გაიმართა და ოღისკენ მოიხედა.

აივანზე ეკა იდგა, ეკამ გაუღიმა, ხელი დაუქნია და ზალაში შევიდა.

„სკოლამდე სვენებსვენებით ვივლი“

კუტკარი გააღო და თვალში ეცა კიშკართან დაღმული გრძელი სკამი.

საღლაც უნახავს დიდ ეკატერინეს ეს სკამი, კი, ნამდვილად უნახავს! უნახავს რომელია, ამ სკამზე მკდარა დიდი ეკატერინე. ალექსანდრე ჩაფიჩაძის კიშკართან იდგა ეს სკამი, დიხავს რომ ეს ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამია, აუღიანათ და დიდი ეკატერინეს კიშკართან დაუდგამთ, ვითომ რატომო, ჰა?

„ავად რომ ვიყავი... ჰო, ეჭიმი ბრძანებდა — სრული სიძმვიდე და სიწყნარე, არავითარი მნახველებიო. ჰოდა,

მნახველები მაინც მოდიოდნენ, ეკა მათ სახლში კი არა, ეზოშიაც არ უშვებდა. აუღიანათ ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამი და ჩემს კიშკართან დაუდგამთ. მოდიოდნენ მნახველები და გვიან დამემდეგ ისხდნენ ამ სკამზე. მერე ეკა მოვიდოდა კიშკართან და ჩურჩულით ეტყოდა მათ:

— ჩაეძინა, ჰო, ჩაეძინა და მშვიდად სძინავს, ახლა თქვენც წაბრძანდით სახლებში და დაიძინეთ, დიდი მადლობა მომიხსენებიაო.

ზოგნი წავიდოდნენ. აბესალომ კიკნაველიძე, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები ჩურჩულით ეტყოდნენ ეკას, ცოტახანს კიდევ დაერჩებითო და დარჩებოდნენ და ეგებ გათენებამდეც კი იხდნენ ამ სკამზე“.

შინ შებრუნება დააბიარა.

„ეკას ეცოდინება, ვინ დადგა ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამი ჩვენს კიშკართან. მე ახლა კარგად ვარ, მნახველები არ მოდიან და ეს სკამიც სეპირი არაა.

არც ისე მძიმეა ეს სკამი, დუღუხანა და კოკონია შეეშველებიან ეკას. აიღონ და ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში წაიღონ ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამი“...

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო! გულასპირ ჩაფიჩაძის ხმა შეიქცნო. ეკატერინე შეკრთა და სკამზე დაჯდა. არაფრად ეკაშნიკა გულასპირის შემოფეთება.

ეკატერინეს ხალათის ჯიბეში სკოლის ახალი შენობის გასაღები უდევს. დარაჯი დაანამუსა და გასაღები გამოართვა. პო, გულმა ვერ მოუთმინა დიდ ეკატერინეს და სკოლის ახალ შენობას დაათვალიერებს. შენობის აგება ერთი თვის წინ მოათავეს, იმ დღეს პატარა მიტინგითაც კი ჩატარდა სკოლის ეზოში, რევანზ ჩაფიჩაძემ მშენებლებს მადლობა გადაუხადა, მერე ცეკვა-თამაში გააჩაღეს, საღამოს კი ვახშამი გაუმართა მშენებლებსა და მასწავლებლებს რევანზ ჩაფიჩაძემ.

— დილა მშვიდობისა, გულასპირ! ამ დილით საით გაგიწევია? — როგორღაც უხალისოდ და ცივად თქვა ეკატერინემ და გულასპირს გულში ვაკკრა.

— სამსახურში! — თქვა გულასპირმა და სკამზე ეკას გვერდით დაჯდა.

— სამსახურში? დღეს ხომ კვირაა? — გაიკვირვა ეკატერინემ.

— კვირაობით მუშაობა ცოდვად არ ითვლება, ქალბატონო!

— სახარებაში სწერია? — ვითომ დაცინვით თქვა ეკატერინემ.

— დიახაც სწერია! — დაბეჯითებით თქვა გულასპირმა. გულში: გულასპირი თქვენს სანახავად მოეშურებოდა, ქალბატონო ეკატერინე, — ერთს დავხედავ, ხომ არაფერი ჰქირდებამეთქო და პა, მოვიდა გულასპირი, ჰქმარათან ეკატერინე შემოხვდა და იფიქრა გულასპირმა — გაუხარდება ეკას გულასპირის ნახვა, მოუალერესებს, შინ შეიწვევს, პატარა სუფრას გაუშლის და ლედვის არყით ეკატერინეს გამოაჩნერთელების სადღეგრძელოს შესამევს. მოადგა ეკატერინეს ჰქმარის გულასპირი და ეკატერინე ეკითხება — ამ დი-

ლით საით გაგიწევიაო, კი სკამზე! გულასპირი თქვენსკენ მოესწრაფებოდა ქალბატონო ეკატერინე, დასაწყისში არ გესიამოვნებოდა მისი მოსვლა და შინ არ შეიწვევით, მეურნეობის კანტორაში წაეა, თქვენ უსაქმო ხომ არ გგონიათ გულასპირ ჩაფიჩაძე? ღმერთო კი მომკალი!

— განზე მოსულხარ, ეკა! — ღიმილით თქვა გულასპირმა, სიგარეტს მოუყიდა და ადგა.

— მართლა კანტორაში მიდიხარ, გულო? ცოტა ხნით შეესულიყავით სახლში! — ვითომ მოესიყვარულა ეკატერინე გულასპირს, გულში: რაღა მაინცდამაინც ახლა გამომეცხადე! გიკვირს, რა ცივად შემხვდა ეკაო და მართალი ხარ, რომ იცოდე, სად მივდივარ, მამატივბდი ასეთ შეხვედრას. მაგრამ სად მივდივარ, ვერ გეტყვი.

— სახლში? არა, გენაცვალე, ძალიან მეჩქარება! — შორს დაიჭირა გულასპირმა თავი. დიდი მადლობა მომიხსენებია. გულში: ზრდილობისათვის თქვი, ცოტა ხნით სახლში შეესულიყავითო და გგონია ვერ მიგიხვდი? ვერ საუსტად ხარ და არ გაქვს ჩემთან ჰქირჭილის თავი. ალბათ, პატარა ეკაცო შინ არ არის, შენ კი საუზმეს ვერ გააწყობ...

— წაველი მე, — თქვა გულასპირმა, ეკას ხელი ჩამოართვა და ჩქარი ნაბიჯით წაიქცა.

— წავიდა. გულმოსული აღამიანის ნაბიჯებით მიდის, — თავისთვის, ჩურჩულით თქვა ეკატერინემ და თვალები დახუჭა. გულში: მამატივ, გულასპირ, ჩემს გულს არასოდეს მოვოკრუყუბივარ — ლოიის თავი დავაღწე, წამოვლიქი. კი, მაგრამ... პოდა, ერთხელ კიდევ მიწადა მოვინახულო ახალი სკოლა. ვიცი, ავევი ვერ არ ამოუტანიათ, მაგრამ ცარიელი დარბაზების ნახვაც შეაშინებ... პოდა, მამატივ, ჩემო გულასპირ, შეუძლევ შენს ეკას ასეთი გულცივი შეხვედრა.

სკამიდან ადგა, ირგვლივ მიმოიხედა და რაკი დარწმუნდა, ახლომწიფო, არა-

ვინ იყო, ნელი ნაბიჯით დაუყვა დაღმართს.

„სვენებსვენებით ვივლი და მივალწევ სკოლამდე“.

...კიდევ ოცი დღე და დაირეკება სკოლის ზარი და ხემაღალელი მოსწავლენი სკოლის ახალი შენობის კარებს შეაღებენ... დიდი ეკატერინე პირველსავე დღეს მოაწყობს ზემის, მოწაფეებსაც და მათ შრობლებსაც დაიტევს სკოლის კლუბი, თავისუფლად დაიტევს. პოდა, ეკატერინე მოსწავლეთა და მასწავლებელთა სახელით მადლობას ეტყვის სკოლის ამშენებელთ, ღირსი კიარევას ჩაფიჩაძე ცალკე მოიხსენიოს, მაგრამ რევას ჩაფიჩაძეს შექება არ უყვარს, პირიქით, სწყინს, ძალიანაც სწყინს... თბილისი რომ დატოვა, განაქვეყნას გააგებინა? გადაწყვიტა, ადგა და წამოვიდა, ჩუმად, უხმაუროდ წამოვიდა. ახლა ნანობს? არა! კმაყოფილია, საქმით კმაყოფილია, გული კი სტყევა, მაგრამ თავის გულისტკივილს არავის უშხელს. მოტყუვდა. რუსუდანი და თათია ფიქრადაც არ ფიქრობენ თბილისის დატოვებას, რევასი კი დარწმუნებული იყო, წელს თუ არა, გაისად მაინც წამოვლენო და მოტყუვდა. აგერ მესამე წელია, პო, უკვე სამი შესრულდა, სანდრო მეექვსეში იყო, როცა ჩამოვიდნენ და ახლა მეცხრე კლასშია. ებრალება, ძალიანაც ებრალება ეკატერინეს რევას ჩაფიჩაძე და გამამხნევებელი სიტყვა ვერ შეუბედავს, პატარა ეკას კი ეშმაკურად უთამაშებს თვალი, მაგრამ დიდი ეკატერინე თვალს ამოუგდებს პატარა ეკას, დიახაც ამოუგდებს თვალს და დააბრმავებს... პო, ასე მოიქცევა.

ასიოდნ ნაბიჯი გაიარა და დაიღალა, გული მაინც სკოლისკენ მოუწევს და მილის სვენებსვენებით.

...ძალიან ცუდად რომ იგრძნო თავი. პატარა ეკა დაითხოვა და ანდერძი დაწერა დაღმა ეკატერინემ.

„სკოლის ახალ შენობაში ვერ შევაბიჯებ მე. გულით კი მიწოდდა, ორიოდ თვე მაინც შემუშავა ახალ სკოლა-

ში. თუ უხერხულად არ მიიჩნევთ, ახალი სკოლის ეზოში, კრემატორიუმის საფლავით. ჩემი სამარე ~~შალხაშა~~ დაფაროს და მოწაფეები ყოველ დღით გადაივილიან ჩემს სამარეზე, მე გამიხარდება, გაცოცხლდება სული ჩემი, სამარიდან ამოვიკრები, სკოლაში შევიბარები, უჩინრად ჩამოვვდები მერხზე და თუ მოწაფე მასწავლებლის კითხვას ვერ უპასუხებს, პასუხს მე ჩაეჭურჩულებ ყურში, თან დავანამუსებ, ბეჯითად ისწავლოს... ასე ვიცოცხლებ მე, ვიდრე მოწაფეები ივლიან ხემაღალის სკოლაში“...

როცა გამოშვობინდა და ანდერძი გადაიკითხა, გიყის ნაბოღვარად მიიჩნია და ანდერძი ნაკუწებად აქცია.

საათს დახედა. ჭერ ათი საათიც არაა და მზე შემალღებულა, სატყველას ხეობაში ჩუწნათებია მზეს და სატყველას შხუილი შემოესმა ეკატერინეს. მდინარის ნაპირს გზატკეცილი მოჰყვება, მარცხნივ სატყველას ტალღები ეთამაშება გზატკეცილს, მარჯვნივ თუთის ხეები აჩრდილებენ, დობელას სარტყელივით შემორტყმია გზა, თანდათან მალღდება, ზვეით-ზევით მიიწევს და ხემაღალში სიმღერასავით შემოდის.

შუის სატყველა, შრიალებენ თუთის ხეები და მზეში ელავს გზატკეცილი.

„ღღეს კვირაა, სოფელი ისვენებს, გულასპირი ჩაფიჩაძე კი მეურნეობის კანტორაში ზის და საანგარიშოს აჩხაყუნებს. უცნაური კაცია გულასპირი, მაინცდამაინც ამ დღით შემომეფეთა, ვერ მივუალერსე და ეწყინა, არაფერიც არ ესაქმება მეურნეობის კანტორაში, მაგრამ მაინც იქით გასწია, იჯდეს კანტორაში და აჩხაყუნოს საანგარიშო, გულს მოიოხებს და შემირიგდება ჩემი გულასპირი... ეგებ რევას ჩაფიჩაძეც კანტორაშია, პა? — და ეკატერინეს ფაქრი, ისევ რევას ჩაფიჩაძეს დაუტრიალდა: მეღრწეობის კანტორაზე უფრო სკოლის შენობა დაწინაურა — როგორც კი კანტორის პარკელი სართული მოსადგეს და ლაბორატორია გამართეს, მშენებელთა მთელი ბრიგადა სკო-

ლის მშენებლობას დაახვია, კანტორი-სათვის ამოხიდული სამენი ძასალის ნაწილიც სკოლას მოახმარა რევან ჩაფიჩაძემ, არც სამინისტროს შეუშინდა და არც მშენებლობის ტრესტს... ჰო, ჯერ სკოლა ააგეო, მერე კი, მეურნეობის კანტორა. ჰოდა, თანასოფლელებმა არ უნდა იცოდნენ ეს? ზემი რომ გაიმართება სკოლაში, აედგები და ვიტყვი, ყველფერს გავამხელ, ხალხი ტამს დაუტრავს და დაე, გაწითლდეს რევან ჩაფიჩაძე, არაფერი დაშავდება ამით. ვიცი, ალექსანდრეს გაუხარდება და მადლობას მეტყვიან... ვიცი, აფორიაქებული ხარ, რევან, შენს გულისტკივილს ვერავის უმხელ, მებრალები, ჰოო, ძალიან მებრალები, მაგრამ შეველა რომ არ შემოძლია!.. შარშანწინ რუსუდანი ორიოდ დღით ჩამოვიდა, შარშან არ გამოჩენილა, წლევანდელი ზაფხულიც მიიწურა და მისგან ბაიბური არ ისმის. ჯერობს მამაშენი და შენთვის ვერაფერი უთქვამს... სანდროს საქციელი კი არ მოშწონს, არხეინადაა და თითქოს არც კი ახსოვს დედა! გავგონილა ასე? ჩემს ეკას, მგონი, უხარია ეს! ეგებ თვითონ ჩემი ეკა ამის მიზეზი? შავ დღეს დავაყენებ ეკას. ა, სკოლიდან მოვბრუნდები და შავ დღეს დავაყენებ: ავტორმაღავ სანდროსთან ხეტილს, მეურნეობის კანტორაში სიარულსაც ავტორმაღავ, შინ დავამწყვდექ! გამოფხიზლდი, გონს მოეგე, შე უბედურო, ეკა!"

წელში გაიმართა და ნაბიჯს აუჩქარა.

სკოლის ეზო საგულდაგულოდ შეათვალიერა, არავინ იყო და სადარბაზოსთან მაინც შედგა.

...წინა კვირას ალექსანდრე ჩაფიჩაძემ უსაყვედურა ეკატერინეს, შენ თვითონ ავად ხარ და მოსაკითხებს რატომ გვიგზავნიო, მართალია. მამაკაცები ვართ სახლში, მაგრამ შენ ხომ იცი, ბარე ოცი წელიწადია, ვდიასახლისობ და ძალიან გთხოვ, ნუ შეწუხდებიო. მოსაკითხიო? გაიკვირვა ეკატერინემ.

ალექსანდრეს კი ღიმილით მიუგო, ჩვენ შორის ეგ რა სათქმელად უნდა იყოს და მიხვდა ეკატერინე: ეგაა კლუბის სანდრეს, ვითომ სანდროს, ნამდვილად კი რევანს უგზავნის მოსაკითხს ეკა და ისიც ეკატერინეს სახელით.

„წარამარა აცხოვდა ზაქაპურებს, ყველიან კვერებს ხარშავდა... მეგონა, ჩემს მნახველებს უმასპინძლდებოდა, ეს კიდევ ზაქაპურს, წიწილს, მოხარშულ ყველიან კვერებს, ლელვის არაყს ჩემი სახელით უგზავნიდა რევან ჩაფიჩაძეს, ერთი ამას დამიხედეთ!“

ჰოდა, ახლა ცოტახანს შეიცდის სკოლაში ეკატერინე, მერე შინ მიბრუნდება და ვაი პატარა ეკას, წახავთ, რა დღესაც დააყრის...

სადარბაზო კარი ფრთხილად მიიხურა და იქვე, დარაჯის სკამზე, დაესვენა.

დაიქანცა ეკატერინე და ცოტას შეისვენებს. სკოლამდე ხომ მოაღწია? ჰოდა, არსად ეჩქარება, დაისვენებს და დარბაზებს მერე შემოვიღის. დარბაზები ცარიელია? იყოს ცარიელი ეკატერინეს თვალს ცარიელი დარბაზების ნახვაც ეხალისება. ამ კვირია მარელი-სიდან ავეცხს ამოიტანენ, ეს დარბაზები მორთვება და გალამაზდება, მაშინ სკოლას ოფიციალურად ჩაიბარებს დიდი ეკატერინე, დღეს კი ისე, შემთხვევით გამოიარა, მიმოიხედავს და წაეა.

პირველი სართულის დერეფანი შეათვალიერა. ვრცელი, ძალიან ვრცელი დერეფანია. პირველ სართულზე სწორედ ასეთი ვრცელი დერეფანია საქირო. კლუბი და ფიზკულტურის დარბაზი ხომ პირველ სართულზეა?

კლუბში შევიდა. მარტო სკოლას არა, მთელ სოფელს მოემსახურება ეს კლუბი. პირველ წარმოდგენას ამ კლუბში სკოლის დრამატული წრე გამართავს. როდის? სექტემბრის ბოლოს. დრამატული წრე „მამის მკვლელს“ ამზადებდა, მაგრამ ეკატერინემ „მამის მკვლელი“ „ტარიელ გოლუთაი“ შეაცვლიერინა ზურაბ ბარბაქაძეს ეწყინებოდა „მამის მკვლელი“ რომ დაედგათ, სამაჩხუშოცა

რძობდა, სული აუწრილდებოდა... დრამწრის წვერებმა ცოტა კი იფარეს, „მამის მკვლელის“ როლები შესწავლილი გვაქვსო, მაგრამ ზურაბ ბარბაქაძეს ვერ გაანაწყენებდა ეკატერინე და დრამწრის წვერები დაიყაბულა.

მეორე სართულზე ავიდა და მუხლი მოეკვთა.

ჰოდა, ჯერ დირექტორის კაბინეტში შევა ეკატერინე, იქ ერთი სკამი ეგულება, ცოტას დაისვენებს და მეორე და მესამე სართულებს მერე შემოივლის.

კაბინეტის კარი შეაღო... ამ კვირია აფეჯს ამოიტანენ და სამუშაო მაგიდას იმ კუთხეში, ფანჯარასთან ახლოს დაადგმევინებს. „იმ კუთხისკენ“ გაიხედა და შეტოკდა, თვალი მიმოავლო ოთახს, თვალებს არ დაუჭერა და თვალები დახუჭა და როცა გაახილა — იგივე სურათი — დირექტორის კაბინეტი გაწყობილია და მორთული: ფანჯრებზე აბრეშუმის თეთრი ფარდებია ჩამოკიდებული. დირექტორის მაგიდა სწორედ ფანჯარასთან დგას, იქვე სავარძელი. დირექტორის მაგიდას გრძელი, ძალიან გრძელი მაგიდა აქვს მიდგმული, გრძელი მაგიდას გარშემო რბილდასაჯდომიანი, ხოლო კაბინეტის ორი კედლის გასწვრივ, მარჯლისის ხის სკამებია გამწყობი. დირექტორის მაგიდასთან ახლოს კედელთან, შინდისფერი წიგნის კარადა.

ნელა, სვენებსვენებით მივიდა დირექტორის მაგიდასთან და სავარძელში ჩაჯდა.

— ესეც ასე! დირექტორის კაბინეტი მორთულია, ქალბატონო ეკატერინე, დაბრძანდით!

კაბინეტის კარი გაიღო. ეკატერინემ ქუშად ვახედა, კარებში ეკა იდგა და იფეთქა.

— როგორ მომაგენი?

პაუზა.

„ვითომ დარაჯმა უთხრა? აკი დავანამუსე!“

... რეჟისორის მოსულხარ, ეკა!
... უნდასუხზე მოგიტანე, დედი — მორჩილად თქვა ეკამ, და პატარა თეთრი

კალათი, მარცხენა ხელში რომ ეჭირა, ოდნავ გააქან-გამოაქანე.

— შინ ვისაუხმებ, ზახლავა? — ცივად და ხმამალა თქვა ეკატერინემ და სავარძლიდან ადგა.

ეკა დაფეთებული გაიძურწა.

კაბინეტს იკვნიულად მიმოავლო თვალი ეკატერინემ, მერე ყველაფერი წვრილად აწონ-დაწონა, ვერაფერი ვერ მოიჭარბა და ვერც ვერაფერი მოინაკლისა. ოდნავ დაუმშვიდდა გული, მაგრამ კართან გაშვებული ეკა ისევ წარმოესახა და ისევ იფეთქა.

— მორთული კაბინეტის ნახვა არ გაიკვირე, ეკა? რატომ გაიკვირებდი? შენ ყოველივე იცი, რასაც რევაზ ჩაფიჩაძე მოიმოქმედებს... რევაზი გეგულებოდა აქ და ჩემი საუხზე მოიმიზნებ. მე რომ შემომეფეთე, შეტოკდი და კარებშივე გაშვდი... როდის იყო, საუხზე მოგჭონდა ჩემთვის სკოლაში? ცრუობ, ეკა! ნამდვილად ცრუობ და ვაი საბრალოვ, მალე აგიტრდება გული, ვერავინ გაგამზნევებს, მე ცოცხალი აღარ გეყოლები, ეკა!

ისევ სავარძელში ჩაესვენა, ნიდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ხელები სახეზე შემოიფარა და თვალები მილულა.

...ჯანზე მოსულხარო, უთხრა ეკატერინეს გულსაპირმა და ეკატერინეს გული მოეცა. ვითომ მართლა გამოჯანმრთელდა? სვენებსვენებით გამოიარა მცირე მანძილი და მაინც დაიქანცა. სადარბაზოს კარი ძლივს შემოაღო და იქვე სკამზე დაესვენა. მერე ერთი სართული ამოიარა და დაღლა იგრნო... ჯანზე რომ იყო ეკატერინე, ფეხით ჩადიოდა ხერგაში, დაუღალავად ჩააღწევდა ხერგამდე, დაუტრიალდებოდა რაიკომს, რაიადმასკომს, რაივანათლებას. მათთან თუ ვერაფერს გააწყობდა, თბილისის მიამურებდა... ჰოდა, გატყდა ეკატერინე. საწაღელს კი მიადწია, ხემაღლის სკოლა არ მოაშლეინა, თვითონ კი გატყდა და მოიშალა.

დირექტორის კაბინეტში ზის ეკატერინე. შესვენებაა. წვიმს. მოწყობილი ეხსოვი ვერ ჩასულან და დერეფნებში

ხმაურობენ. ჰო, ახალგაზრდობას ხმაური უყვარს და იხმაუროს... დღეს საღამოსაც ახმაურდება სკოლის დერეფნები და კლუბი. სკოლის დრამატული წრე პირველ წარმოდგენას გამართავს. კარგად მოიქცა ეკატერინე „მამის მკვლელი“ რომ არ დაადგმევინა, „მამის მკვლელი“ რომ დაედგათ, ზურაბ ბარბაქაძის სული აწრიალდებოდა და განა ეკატერინეს შეუძლია ააწრიალოს ზურაბ ბარბაქაძის სული? ზურაბმა აღზარდა, ზურაბმა მოიწვია მასწავლებლად, ზურაბმა ჩააბარა ხემაღლის სკოლა.

...კლუბის დარბაზი გაქვდილია.

დაირეკა მეორე ზარიც, მალე დაიწყება წარმოდგენა. ეკატერინე დარბაზში შედის და მეხუთე რიგში განაპირა სკამზე ჯდება.

„ვერ მოვესწრები სკოლის ახალ შენობას, ვფიქრობდი მე და მოეტყუვდი. სწორედ ახალ შენობაში მართავს ჩვენი დრამატული წრე წარმოდგენას და მე წარმოდგენას ვესწრები“...

დაირეკა მესამე ზარი. ახლა სცენის სიღრმეში კოკი კიკნაველიძე ხმადაბლა იმღერებს „ჩელას“, ნელნელა აიხდება ფარდა, გამოჩნდება სცენა-მინდორი, მინდორის ყურეში ბებერი მუხა. შემოვა გელა ჩაფიჩაძე — ტარიელ გოლუა და მუხის ძირში დაჯდება.

კოკი კიკნაველიძე „ჩელას“ მღერის, ნელნელა იხდება ფარდა და სცენის სიღრმეში გამოჩნდება... ზურაბ ბარბაქაძე! ჰო, ტარიელ გოლუას ნაცვლად სცენაზე შემოდის ზურაბ ბარბაქაძე... ეკატერინეს გული შეუტოვდება, პირს დააღებს, უნდა შეჰკვივლოს, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოდის. დარბაზი ფეხზე დგება. ჰქუხს ტაში. ზურაბ ბარბაქაძე ფეხშიშველად და თეთრი პერანგი აცვია, შარვლის ტოტები მუხლებამდე აუკაპიწვება, მარჯვენა ხელში ანკესის ტარი უჭირავს, შარვლის ჯიბიდან ამოაქვს ასანთის კოლოფი, ჭიას ჩამოაქმევს ანკესს და სატეველას მორევში ისვრის... ჰო, სცენაზე სატეველა მოე-

დინება... დარბაზი ჩუმდება და დარბაზში გაისმის ზურაბის ხმა.

„მოსაფარი ვიყავ მე, და შენ შემიფარე!
მშიერი ვიყავ მე, და შენ დამაბურე!“

და ბებერი მუხის ნაცვლად სამი თელი ამოიშრათა სცენაზე, ეკატერინემ იცნო ის სამი თელი. იქვე, თელების ძირში, ზურაბ ბარბაქაძეს კარავი უდგას, დარბაზში მსხდომნი მას ვერ ხედავენ, კარავი კი ნამდვილად დგას თელების ძირში, კარავში ცეცხლი ანთია; ნაქაზე ქვაბი ჰკიდია და იმ ქვაბში სატეველას მურწა იხარშება. თევზაობას რომ მოათავებს, კარავში შევა ზურაბი, ქვაბს ჩამოვდამს, მოხარშულ მურწას ჰინჭრის ფოთლებზე დაწყობს, გაიმტკიცება თევზი, მერე კალათიდან ყველსა და მკანდს ამოიღებს, პრასის წილისაც, წელგამოყვანილ ჭიჭაში იზაბელას დაისხამს და დაილოცება.

...სეა, ყოველთვის, ხელი უნდა შეუშალოს ზურაბ ბარბაქაძემ ეკატერინეს! ხედავთ, ახალ შენობაში პირველსავე წარმოდგენაზე გამოეცხადა. აბორგებულა, სამარეში ვერ დატეულა მისი სული და სცენაზე ტარიელ გოლუას ნაცვლად შემოიჭრა ფეხშიშველი, პერანგის ამარა, ანკესით ხელში...

ზურაბ ბარბაქაძე ხაფიანი ლოდიდან დგება... საზეიმოდ მორთულა ბატონი ზურაბი დღეს — შავი კოსტუმი, თეთრი პერანგი, თეთრწინწკლებიანი შავი ჰალსტუხი, შავი ფეხსაცმელი... სუფთად, ძალიან სუფთად გაუპარსავს წვერი და თეთრი გრუხა თმა საგულდაგულოდ დაუფარცხნია.

ზურაბმა მარჯვენა ხელი მალა შემართა და დარბაზში ხმა გაიკმინდა.

— ძალიან მომეწონა სკოლის ახალი შენობა, მეგობრებო, — დინჯად თქვა ზურაბ ბარბაქაძემ, — დარბაზი შეათვალეირა, იოლად იბოვა ეკატერინე და თვალი ჩაუკრა, — თქვენ ბედნიერები ხართ და ამ ბედნიერების მომტანი ამ დარბაზში ზის და მე თქვენის-სახელით მივესალმები მას...

— ეკატერინე ხიდაშელი! ეკატერინე ხიდაშელი! — ისძის შეძახილები და ხალხი ფეხზე დგება. პირველი რევან ხაფიჩაძე მადის ეკატერინესთან, თავს მდაბლად დაუქრავს და ხელზე ეამბორება, ეკატერინეც მხრებზე მოახვია ხელები ზურაბს და შებღბღე აკოცა... მერე გულასპირი, მერე აბესალომ კიკნაველიძე, მერე ალექსანდრე ჩაფიჩაძე, მასწავლებლები, მოწაფეები... და ეკატერინე უცებ შეერთა, — მის წინ ეკა და სანდროს. ეკამ თვალი მოარიდა და თავი ჩაჰქინდრა, სანდრო კი თვალეში შესციცივებს ეკატერინეს.

ეკატერინემ ეკას შეუბღვირა, სანდროს თავზე გადაუსვა ხელი, სკამზე დიჯდა და თვალეები დახუჭა.

— და ვითხოვოთ, — კვლავ გაისმა ზურაბ ბარბაქაძის ხმა, — ამ სკოლას ეკატერინე ხიდაშელის სახელი მიეკუთვნოს.

ტაში. შეძახილები.

როდის-როდისღა დაწყნარდა დარბაზი. ეკატერინემ თვალი გაახილა და ზურაბს შეხედა, ზურაბმა გაუღიმა, თვალი ჩაუქრა და ნელ-ნელა უკან, სცენის სიღრმეში დიხია.

და ის სამი თელა გაუჩინარდა, ბებერი მუხა ამოიშართა სცენაზე, სწორედ ის მუხა, სატეველას მორეუთან რომ დგას, ისევ გამოესმა ეკატერინეს სატეველას შხუილი, მერე ხავსიანი ლოდიც გაჩნდა, ლოდზე ზის ზურაბ ბარბაქაძე — ფეხშიშველი და პერანგის ამარა, მორევეში ანკესი ჩაუგდია და ბუბუნებს.

„მოუსაფარი ვიყავ მე, და შენ შემეფარე.“

მშიერი ვიყავ მე, და შენ დამაპურე“.

ზურაბმა ნელნელა ამოიღო ანკესი, თევეზი არ ამოჰყვა ანკესს, ზურაბს გული მოუვიდა, დაატრიალა ანკესის ტარი და მორევეში მოისროლა.

ლოდიდან ადგა და კარავისკენ გაემართა...

— ძლივს! — თქვა ეკატერინემ, სული ამოითქვა და გარშემო მიმოიხედა. სიჩუმე. ფანჯრებზე აბრეშუმის თეთ-

რი ფარდებია ჩამოფარებული, მის სამუშაო თავიდას გრძელი, ძალიან გრძელი მაგიდა აქვს მოდგმული, გოძელი მაგიდის კარგემო რბილდასაჯლომიათი, ხოლო კაბინეტის ორი კედლის გასწვრივ მარელისის ხის სკამებია გამწყრივებული.

და გული ისე უცემს ეკატერინეს, გულზე ხელის დადებისა შეეშინდა.

„ნეტავ ახლა მოვილოდეს ეკა, შინ წამიყვანდა“...

სავარძელი ზურგით მოსინჯა, თითქოს შეამოწმა, ცოცხალი ვარ თუ არაო, მერე საათს დახედა.

— აჰი ცოტას დავისვენებ-მეთქი, მთელი საათი გასულა! — ჩურჩულით თქვა, ადგომა დააპირა, მაგრამ მუხლი ვერ გაშართა, ისევ ნიდაყვებით დაუყრდნო მაგიდას და თავი ხელებში ჩარგო.

...იღება კაბინეტის კარი, ეკა გამოჩნდება კალათით ხელში, მორიდებით, ხმადბლა ეტყვის — საუბზე მოგიტანეო, დედი, და ეკატერინე განრისხდება.

— შენც აქ ისაუბმებ, ყველა მასწავლებელი აქ ისაუბმებს! მესამე სართულზე ადი. ეკა, სასაუბზე ღიაა, მეც ახლავე მოვალ.

ეკა გაუჩინარდა და კაბინეტის კარი თავისთავად მიიხურა.

— აცეტებული ხარ, საცოდავო! აცეტებული ხარ, ეკა! ყოველდღე რამეს მოიმიზეზებ და მეტრინეობის კანტორაში შეითრევ თავს... წისკვილამდე ახალი გზა უმოკლესია, შენ კი ისევ ძველი გზით დაიარები წისკვილში, ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლთან ჩაივლი, ეზოში ჩაიხედავ, თუმცა ეზოში ჩახედვა რა საჭიროა, შეპირებული გყავს და ჰიშკართან დაგხედება სანდრო. ისიც შემოიგდებს ზურგზე ნაკრულას და... ვიცი, ეკითხები, სანდრო, — დედა მალე ჩამოვა? არაო, გიპასუხებს სანდრო და შენ ვითომ გწყინს, გულში კი გიხარია და ეს ვერ მომიწონებია, ეკა! მერე, უფრო რომ დარწმუნდეს, ისევ ჰკითხავ სანდროს, — მოიწერა არ ჩამოვალა? სანდრო გიპა-

სხვებს — არა, წერილი არ მოუწერიაო. რატომღაც დედა წერილებს არ გვიგზავნი... შენ ვითომ გაიკვირვებ და გულში კი გიხარია, რუსუდანი წერილებს რომ არ უგზავნი რევებს და სანდროს. რატომ გიხარია? ვიცი, ყველაფერი ვიცი! ხავს ეკიდები, ეკა! შესაბრალისი ხარ და მეგზავლები, როგორმე უნდა გიშველო, ეკა!

— ჰოო, უნდა უშველო! — ჩავსმა ყურში. ზურაბ ბარბაქაძის ხმა, — და ეკატერინე შეერთა, თვალი გაახილა, კაბინეტში მიმოიხედა, არავინ იყო, იფიქრა, მომეყურაო, ისევ მილულა თვალი და ისევ შემოესმა ნაცნობი ხმა. ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობდა ზურაბ ბარბაქაძე:

— სიყვარული მინდვრის ყვავილია, ქალბატონო ეკატერინე! არავის დაუთესია მინდვრის ყვავილი, თვითონვე ამოიფეთქა, გაისაშუქრა, მერე აიჭოჩრა და გაიყვავილა... მოიბალახეს და ისევ გაისაშუქრა, ისევ აიჭოჩრა და ისევ გაიყვავილა და სიყვარულიც ასეა, ქალბატონო ეკატერინე!

— როცა მარტოს დამიგულეებ, მაშინ გამომეცხადები, ზურაბ, და მე მეშინია შენთან შეხვედრისა. ნუ მიწყენ და, მეშინია. — ხმადაბლა და ნაღვლიანად თქვა ეკატერინემ, სავარძლიდან ადგა. სვენებ-სვენებით მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია და ფანჯარა გააღო, იფიქრა, ზურაბ ბარბაქაძის ხმას გარეთ გაეიტყუებო.

ეკატერინემ ეზოში ჩაიხედა და თვალი გაუშვედა.

— მეც ვხედავ, — ისევ ჩავსმა ყურში ზურაბის ხმა, — ჰო, ვხედავ: შენი ეკა კიშკართან დგას, მარცხენა ხელში თეთრა ქალათი უჭირავს, მარჯვენაში მინდვრის ყვავილების თაიგული, ის თაიგული სანდრომ მოუტანა.

პაუზა.

— და რევებ ჩაფიჩაქე იქვეა, ხედავ, ეკა?

— ვხედავ! — გაჯავრებით თქვა ეკატერინემ.

— ილიმება შენი ეკა! სანდრომ უნდა მის და საანდროც თვალბშიც შეგეცხადებენ ეკას. შენ ფიქრობ, შენი ეკა რევასაც უღიმი? მართალი ხარ, რევებ ჩაფიჩაქესაც ეღიმილება შენი ეკა. ჰო, ორივეს, რევასაც და სანდროსაც... ფანჯარა მიხურეთ, ქალბატონო ეკატერინე, თვალი რომ შეგავლონ, შეკრთებიან, გუნება გაუფუქდებათ, მიხურეთ ფანჯარა!

— დაილუბება! — დარწმუნებით თქვა ეკატერინემ და ფანჯარა მიხურა.

— დაილუბოს! მისი გული სიყვარულის გზაზე მიაბიჯებს და სიყვარულის გზაზე დალუბა...

— ებიკურე? — დაცივით თქვა ეკატერინემ.

— ცხოვრება! დიახ, ცხოვრება, — სიმტკიცე შემატა ზურაბ ბარბაქაძის ხმამ, — შენ არ გივლია სიყვარულის გზაზე, ამიტომაც მისი გულის ყივილი არ გესმის, ქალბატონო ეკატერინე! იგი კი თამამად მიაბიჯებს სიყვარულის გზაზე... იფეთქა და მიდის, სიმღერით და გოდებით მიდის... შენ ამბობ, ეს გზა უფსკრულზე გადისო? გაიაროს უფსკრულზე! შენი ეკა უფსკრულს არ უჭრთის, სიყვარულის გზაზე მიაბიჯებს და არაფრისა ეშინია...

სანდროსა და ეკას ხმამაღალი სიცილი შემოესმა ეკატერინეს და თვალი გაახილა.

სინამდვილეში ფანჯარებზე აბრეშუმის თეთრი ფარდებია ჩამოფარებული, მის სამუშაო მაგიდას გრძელი, ძალიან გრძელი მაგიდა აქვს მოდგმული, გრძელი მაგიდის გარშემო რბილადდასაჯლომინანი, ხოლო კაბინეტის ორი კედლის გასწვრივ მარეღისის ხის სკამებია გამწვრივებული.

„ნეტავ ახლა მოვიდოდეს ეკა, შინ წამიყვანდა.“

დაველოდები... ჰოო, დაველოდები და მოვა!

დავისვენებ. ცოტას დავისვენებ, ეკა მოვა და შინ წამიყვანს... — ეკიუხ —

...და მივიღებ ეკას რვეულიან ფანჯარაში. საოცარო კი არა რვეულიან თქვა.

ტერინეს სკივრში ყველაზე დაბლა; ზედ ფსკერზე დევს და ეკატერინეს კარგა ხანია სკივრისათვის ხელი არ უხლია. ჰოდა, როგორ გაჩნდა ეს რვეული ეკატერინეს მაგიდაზე? უთუოდ არ ახსოვს ეკატერინეს, სხვა რვეულებთან ერთად მიიტანა სკოლაში, თორემ... ჰო, მოიტანა და აგერ დევს: ეკატერინე ხიდაშელი — „რა მახსოვს ჩემი ბაღლობიდან. მოგონება“. დიდიხნის წინანდელი ამბავია. ახლა ეკა ოცდამეშვიდეშია, ეს მოგონება რომ დაწერა, თერთმეტისა იყო. — თერთმეტი წლისამ დაწერა ეს პატარა მოგონება და ქართული ენის მასწავლებელს სთხოვა, გამისწორეო. ქართული ენის მასწავლებელმა ეკატერინეს გადასცა და იმ დღიდან მოყოლებული ეკატერინე სკივრში ინახავს ამ რვეულს. ყოველწლიურად კი წაიკითხავს, ხანდახან ორჯერაც წაიკითხავს წელიწადში, წელს კი არ წაუკითხავს, ჰოდა, აგერ მაგიდაზე უდევს და წაიკითხავს.

„ოთხი წლისა როცა შევესრულდი... დიახ, ამ დროიდან მოყოლებული, ყველაფერი კარგად მახსოვს, ცოტა უფრო აღრინდელი — მხოლოდ აქა-იქ, კანტიკუნტად“.

ეკატერინეს მინაწერი: ვითომ ყველაფერი გახსოვს? მგონი, ცოტას ტრახახობ. არ ვარგა.

„დედაჩემი ძალიან ადრე იღვიძებდა. ხემალაში ყველაზე ადრე დედაშენი ღვება, მეც კი მასწრებს ადგომასო, — ხშირად მეტყოდა ხოლმე ძია გულასპირი... ადგებოდა დედაჩემი ადრე, ძროხას მოწველიდა, ყველს ამოიყვანდა, ეზოკარს შილაგებდა, კობტად, ძალიან კობტად მოიჯივებოდა და სკოლაში წასვლის დრო რომ დაუდგებოდა, შემეხმინებოდა“.

ეკატერინეს მინაწერი: „ძალიან კობტად მოიჯივებოდა“. სიცრუეა. შენ გეჩვენებოდა, დედაშენი „ძალიან კობტად მოიჯივებოდა“. შესაძლოა ეს შენი სურვილი იყო. შენ გინდოდა დედაშენი ყოფილიყო „ძალიან კობტად მოიჯივებოდა“. ჰო, ყველა ზაფხვის, განსაკუთრებით კი

ქალიშვილის სურვილია დედაშენი „ძალიან კობტად იყოს მოიჯივებული“...

— „გამოიღვიძე, ეკა, კარგახანია გათენდა. ნახე, რამხელა მზე ამოსულა“.

მე ძილღვიძილში ვიყავი, მეზარებოდა გამოღვიძება და ისედაც დახუჭულ თვალებს კიდე უფრო დავხუჭავდი, ვიცოდი, დედაჩემი შიშინარეს არ დამტოვებდა და ვიყავი ჩემთვის გატრუნული“...

ეკატერინეს მინაწერი: ეგ სწორია — ბავშვობისას ცოტა ზარმაცი კი იყავი. ეშმაკიც რომ ყოფილხარ, არ ვიცოდი.

„— მაშ, არ გაიღვიძებ? აბა, მე წავედი! — ხმამალა, ძალიან ხმამალა იტყოდა დედაჩემი, საძინებელ ოთახის კარს ხმაურით გააღებდა და ზალაში გავიდოდა“.

ეკატერინეს მინაწერი: ნამდვილია, ზუსტად ასე იყო.

„ვითომ რამე დაავიწყებოდა დედაჩემს საძინებელ ოთახში და ცოტა ხნის მერე ისევ შემობრუნდებოდა.“

„— კიდეც გძინავს, ეკური? — გაიკვირვებდა, ხელებს ჩემს ლოგინში შემოაცურებდა და ცივი თითებით ფეხისგულაზე მსუბუქად მომიკავებდა. თანდათან ზევით-ზევით წამოიღებდა ხელებს დედაჩემი, ქიათან მომიღუტუნებდა, გულმკერდზე გადამისკვამდა ხელისგულებს, კისერს და ლოყებს დამიკოცნიდა, მერე საჩვენებელი და შუა თითებით ქუთუთოებს გადამიწვევდა და თვალებს დამაკყვინებდა“.

„— რაო, ცივი ხელები მაქვს, ეკური? გამოგაღვიძე? — და საბანს გადამხდიდა. — ნახე, როგორ გაზრდილხარ წუხელ, ფეხებზე დაიხედე! — დარწმუნებით იტყოდა დედაჩემი და წამომახტუნებდა. მე სწრაფად დავიბანდი ხელპირს, დედა ჩამაცმევდა და ჰაიდა, კარის მეზობელთან, დეიდა ანტასთან წავიდოდიოთ.“

დეიდა ანტა აუცილებლად ტიშკართან შემოგვეგებებოდა, — რახანია თამრიკელა საუზმეზე გელოდებო, — დიმილით მეტყოდა, ხელს ჩამავლებდა და

სამზადისავენ წამიყვანდა. დედაჩემი კი სკოლისკენ გაეშურებოდა.

ეკატერინეს მინაწერი: ყოველივე წერილად დავიმახსოვრებია, ეკუსი! შენმა პირველმა სტრიქონებმა მაფიქრებინა, ხომ არ ტრამბახობს-მეთქი... წამიშლია პირველი მინაწერი.

„მამა არ მახსოვს, მამაჩემი ჯარში რომ გაუწვევიათ, ორი თვის შემდეგ დავბადებულვარ მე. ოთხი წლისა რომ შევსრულდი, თამარიკოს და არჩილის მამა, ძია ესტატე ჩამოვიდა, ცალფეხა კი ჩამოვიდა ძია ესტატე, მაგრამ ოჯახში ისეთი სიხარული დატრიალდა, ნუ იტყვიო! და მაშინ ვკითხე დედაჩემს, თამარიკოს და არჩილის მამა თუ ჩამოვიდა, რატომ მამაჩემი არ ჩამოვიდამეთქი. დედაჩემი შეკრთა, ახლაც კი მახსოვს, სახე გაუფიქრდა, მე თვალი ამარიდა და ისე თქვა:

— ძია ესტატე, ხომ ნახე, ცალფეხა ჩამოვიდა, განა ცალფეხა კაცს შეუძლია იომოს? არ შეუძლია. მამაშენი ჯანმრთელადაა და ომიც ჯერ არ დამთავრებულა...

— მამაჩემი ჯანმრთელადაა? გამიხარდა მე, თან გავიკვირვე, მინდოდა მეკითხა, საიდან იცი-მეთქი, მაგრამ დედაჩემი უკვე ტროდა, შემეშინდა, კალთაზე ავეკარი და მეც ავტირდი“.

...და ყოველივე ეს თითქოს გუშინ და გუშინწინ იყო: ფესშიშველა დატანტალებს ეზოში ეკა. უკვე შებინდებულა და მაინც ეზოში დატანტალებს, ხატულის დასდევს დასაპერად. ვერ დაუპერია და კისკისებს. გუტა მოადგება ჭიშკარს, დაიბლავლებს, შეეუნტრუშდება ხბო და ჭიშკრისკენ გაქანდება, პატარა ეკაც გაქანდება ჭიშკრისკენ, ეზოში შემოუშვებს გუტას. ეკატერინე სამზადიდან გამოსძახებს და პატარა ეკატარათეში შემორკეავს გუტას და ხატულისა.

...მერხზე გასუსული ზის პატარა ეკა და მასწავლებელს თვლებში მისჩერებია...

„ჰო, გუშინ და გუშინწინ იყო ეს, და ერთი დამიხედეთ, როგორ გამიეშაკდა

ის პატარა ეკა! ხეკაპურებს და ლელვის არაყს ჩემის სახელით მიაოთმევს რევანს ჩაფიჩაძეს... აი, ახლაც სკოლის ეზოშია, მინდვრის ყვავილების თაიგული უქირავს ხელში და რევანს და სანდროს ელიმილებს... ჰოდა, ახლაც დავუძახებ ეკას“.

კედლამდე ძლივს მილასლასდა, ფანჯრის სახელურს კი წაავლო ხელი, ფანჯარა კი ვერ გამოაღო, ვერა, ვერასგზით ვერ გამოაღო და ისეთი ხმა სადა აქვს ეკატერინეს, კარ-ფანჯარა დახურულ ოთახიდან ჭიშკრამდე მიაწვდინოს? აჰაჰაი, ცუდად, ძალიან ცუდადაა დიდი ეკატერინე! შეხედეთ, ხელებით მიპყრდნობია კედელს და მაინც ვერ იმაგრებს თავს. — სავარძელში მოისვენოს? მეტი არაა ჩემი მტერი, სავარძლამდე მიადწიოს ეკატერინემ... აჰა, ახლა ზურგიითაც მაგრა მიეყრდნო კედელს და მაინც ჭანაობს და ბარბაცებს, მუხლებში იკეცება, ქვევით-ქვევით მიიწევს და პატარავდება... ჩაიკეცა უკვე მოეშველენით!

სადა ხარ, პატარა ეკა! დედაშენი გიხმობს! გულსაპირს, ალექსანდრეს, აბესალომს გასძახე და გამოქანდით, ოორემ ცოცხალს ვეღარ მოუსწრებთ, ჰო, ვერ მოუსწრებთ და ცოდოა დიდი ეკატერინე, შენთვის ანდერძი აქვს სათქმელი. წვრილი, გაქაწრული, უმწეო ხმით ჩიფჩიფებს, სიტყვა ყელში გასჩხერია და ვერ ამოუთქვამს... ცოცხალს მოუსწარი, — თვალებით გეტყვის თავის სათქმელს ეკატერინე... გამოეცხრაფე!

თვალი მიმოავლო ოთახს და ყოველივე შავად ეჩვენა — კედლები, ჭერი, კარ-ფანჯარა, იატაკი, თეთრი ფარდებიც გაშავებულა, პაერიც შავია... წყვდიადი შემოპრია ოთახში, გულზე დააწვა ეს წყვდიადი ეკატერინეს და სადაცაა გასრეს!

და წყვდიადის მიღმა ნათელს ჰკიდა თვალი ეკატერინემ — მოგლო-სოფელი დამრულა ეკატერინეს. საშველად, სოფელს ეკა მიუძღვის წინ, რევანს ჩაფიჩაძე და სანდრო ფებდაფებ მოჰყვებიან

ეკას... მთელი ხემალი დაძრულა და მოდის! ჰო, ბებრებიც დაძრულან — გულასპირი, ალექსანდრე, აბესალომი... აჰა, ხმაც მოაწვდინა გულასპირმა — გამაგრდი, ეკა!

სკოლის ეზოს მოუახლოვდნენ და სად იყო, სად არა, ხალხის ტალღა ზურაბ ბარბაქაძემ გამოარღვია და პირველი შემოიჭრა ეზოში...

...ზურაბმა მაგრად ჩაავლო მკლავში ხელი და სხეული აუმჩატდა ეკატერინეს, მსუბუქად, ძალიან მსუბუქად აპყვა ზურაბის ხელს, წელში გაიმართა, ოვალი ჩაუკრა ზურაბმა, გაულიმა და

ყურში უჩურჩულა — წაგიდგეთ, ეკა! ნაბიჯი წადგეს და ოთახის კარი თვითონ გაიღო, ცეკვა-ცეკვით ჩაირბინეს კიბეები, ეზოში გავიდნენ, სკოლის ქიშკარიც თვითონ გაიღო, გარშემო არაფერი იყო, ჰო, არც სკოლის ეზოში, არც თემშარაზე არაფერი იყო და ზურაბ ბარბაქაძემ სასაფლაოსკენ გაიტყუა დიდი ეკატერინე...

იატაკზე პირაღმა წევს ეკატერინე. დია თვალეზი ჭერისთვის გაუყრია. ვერარას ხედავს, რამეთუ თვალნი მისნი აღარ არიან ხედავ!

□ ბაზრალაშა იმეზა □

ბერძენი ბერძენობილი

ღ ე ნ ი ნ ი

ის დაიბადა —
რადგანაც ცეცხლი,
ცეცხლი უნდოდა გულსა და ბუხარს,
ის დაიბადა —
მდინარის ხმებით, ქარიშხლის ხმებით,
რომ დაგვექუხა!

ის დაიბადა —
რადგან სწყუროდით ხეებს და მიწუნეკს
სიცოცხლე მწვანე.

ის დაიბადა —
როგორც სიმღერა და გაზაფხული
ფრთამოლაღანე.

ის დაიბადა —
და იმის შემდეგ ჩვენ იმის სითბო სულ
თან დაგვეყვება,

ის დაიბადა —
და დედამიწას დედამიწობა ეამაყება
ის დაიბადა —
ერთად ახდენა, რაც ჩვენს წინაპრებს
უოცნებოთ,

ის დაიბადა —
იყო აპრილი, მას შემდეგ აღარ
დაგვზამთრებია.

ცისა და მიწის შუქურად დადგა,
უვლის ჩვენს მიზნებს მწვანეფრთებიანს
და ახლა სძინავს,
ჰო, სძინავს რადგან,
მას სიცოცხლეში არ სძინებია!

ბინილი გაზაფხულზე

დათვრა,
განრისხდა გაზაფხულის ცა,
შემოიხია ტანზე აპრილი.
წარბნი შეჰყარა,
წამს რისხვად იქცა
და ჩაუმტვრია კაკალს თავ-პირი
და დგას კაკლის ხე გაოგნებული,
დგას და ზეცის მუშტს —
მებს მწარედ სწყევლის.
გვიან ცაც ნანობს,

უღებდა გული,
ლოთივით წვიმად ჩამოსდის ცრემლი.
ხე დგას ნაგვეში და მგლოვიარე,
ცის და...
საკუთარ ცრემლებით სველი.
ეჰ,
მზე მოურჩენს მას ამ იარებს,
მას ისევე მწვანე ფოთლები ელის
და კვლავ ურქმევა ხე მსხმოიარე.
კაცს კი...

კაცს, — ერთხელ სიტყვით დასეტყვილს,
ცრემლი რას უზამს,
ცრემლი რას ეტყვის,
ფერც მზე უშველის, რადგანაც, ძმებო,

ხე კი არ არის,
კაცი კაცია!..

ეროვნული
ზიზლიროსიქა

იხიც ვთქვათ: — მეზი დიდ ხეებს ეძებს,
პატარა ხეებს გაზრდას აცლიან.

ჩვენი მამები

ჩვენი მამები, —
გმირნი, დიდები,
მამულს ურჩენდნენ ნახმლევ იარებს.
მზეზე ალაზანს რომ ვაკვირდები,
თითქოს ერეკლეს ხმალი პრიალებს.

და გული,
გული, — გრძნობის საკირე,
სვამს მათ სიყვარულს აზარფეშებით.
ნურვის აოცებს,
ნურვის აკვირვებს,
თუ დიდ წინაპრებს აღარ ვეშვებით.

ქართული კაცის იცავდნენ სახელს
და სძულდათ ყველა —
ცრუ,
უსალამო.

ზედ ედებოდნენ სამშობლოს ნახმლევს,
როგორც მომავალს დღეთა მალამო.

უმზერდნენ მიწის და ზეცის სივრცეს,
ხან მხიარულნი,
ხან ნაწამები.
ქველბად იქცნენ,
ბორცვებად იქცნენ
და მოებად იქცნენ ჩვენი მამები.

და გული ერთ ფიქრს დარდივით იხვევს,
არ თქვათ:
მათ მტვრადაც არა ვღირვართო.
მხრებზე შემადგით სიღნაღის ციხე,
რომ გომბორივით წამოვიმართო.

სხივი ეგაგოს

კონსტანტინე ლობთქიფანიძეს

განა სათქმელი დიდხანს იწვალებს,
თუ სახმილივით იწვება სული?!
დაგესესებნი სიტყვის სიმწვანეს,
დაუოკებელ სიმღერის წყურვილს.

შრიალებ,
ხალხის გულში გაქვს ფესვი.
გაფოთლილი გაქვს მძლავრი რტოები,
და თუ მინდიას ხის სუნთქვა ესმის,
შენ გესმის სუნთქვა ჩვენი დროების.

ფეხდაფეხ მოხდევ ცხოვრების გრიგალს,
არც ჩავიშვებლავს, არც ჩაიშვებლო.

შენ შევიძლია აჯობო იგავს
და მოკედევ, როგორც კედებოდა რუხლო!

შირაქი შენი დიდი წიგნია
და ყანა, —
შენი სიტყვა მღელღვარე.
რაც განვიცდიდა და რაც ვიგრძენია,
შხის ტოლია და...
მზეზე ელვარებს.

დაე, ნურც ნურვინ გნახოს დამცხრალი,
სხივი ემატოს შენს ალალ ღიმილს.
კაცი კი არა, —
ნიყვარს ნაცარიც
თუკი მის გულში ღაღარი ღვივის!

ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი

რომანი

15

— ახლა ყური დამიგდე, — მითხრა ბებია, მე შორილად დავდექი მის წინ.

— გამიგონე, შვილო! სიკეთით დაიწყე და სიკეთითვე უნდა დაამთავრო. ჩამოხვედი, ბებია გაახაოე, ეს ძალიან კარგი ჰქენი. სამუშაოც კარგად დაამთავრე, მერე იანცე, იხეტიალე... ახლა, გეყოფა. ცოლი უნდა ითხოვო, დროა.

— ცოლი უნდა ვითხოვო? — გამეცინა, — ვინ ვითხოვო?

— ნუ იგრიხები და ნუ ჯიუტობ, ლადო! — ბებია მთავი ასწია და რაღაც ნაღვლიანად და დაქანცული სახით შემომხედა, — მე არ ვხუმრობ, ეს შენც კარგად იცი. აგერ, უკვე ერთი კვირაა, ბესარიონი შენს სიტყვას უცდის.

— რომელ ბესარიონზე მელაპარაკებ?

— ლადო ნუ შემშლი კქუაზე! შენ რა, არ იცი, ვის თხოულობ? არ იცი, ვის ესიძები, ვინ იქნება შენი სიამბოდე?... თფუ, მთელ თქვენს გვარსა და ჭილაგს! ჯერ არცერთი კვეიანი ინაშვი-

ლი არ მინახავს, — ბებია აღშფოთებით წამოდგა ტახტიდან და კარისკენ წავიდა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა, — ორი სიტყვა მაინც მითხარი გარკვეულად, რომ იმ ხალხს პასუხი მივაწვდინო.

— ბებია, — ხმა ავიმადლე გაოცებულმა, — მე ვთხოულობ ნუცას?

— არა, შენ კი არა, მე ვთხოულობ. ის ვინ ბრძანდებოდა, თვენახევარს ნუცასთან ბოსელში მარტოდ ჩაკეტილი რომ იყო? ვინ დაეხეტებოდა ნუცასთან ერთად სოფლის ორღობეებსა და ტყე-ღრეებში? ლადო, ბაბუაშენის ხსოვნას გაფიციებ: გამოტყდი, რომ ხუმრობ, ლაზღანდარობ, კქუაზე ნუ შემშლი, ბიჭო!

— ბებია, მე კი არა, შენ თვითონ ხუმრობ.

— მე ვხუმრობ?

— თუ ეს მართლა ხუმრობა არ არის, ბებიკო, მაშინ შეატყობინე ბესარიონს, რომ მე, ლადო ინაშვილი, არ ვაპირებ ცოლის თხოვას, არც მის ქალიშვილს ვთხოულობ და არც სხვას ვინმეს.

— დაიცე, ლადო! — ჩემმა სიმტყიცემ თავგზა აუბნია ბებიას, — მაშ ასეა, არა?

გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 5.

— ასეა, ბატონო!

— ასე როგორ იქნება! თუ მისკენ გული არ მიგიწევს, თუ არ გიყვარს, მაშ რატომ ჰკოცნიდი წამდაუწუმ? ჩემს თვალწინ, ჩემი თანდასწრებით.

— არ მახსოვს, რომ შენ თვალწინ მეკოცნოს, მაგრამ თუ ვკოცნიდი, ძმურად ვკოცნიდი, როგორც დას, ისე ვექცეოდ. მე კასიანესათვისაც მიკოცნია, პავლიასათვისაც, როცა ულუფა მოჰქონდა, თუ გინდა, აი ამასაც ვაკოცებ, — ვთქვი ეს, გამოფეკიდე წვერცანცარას, რქებში ხელი ჩავავლე და დრუნჩში ვაკოცე, — რას მიბრძანებ ამის შემდეგ, შევიტოო ცოლად ეს თვალბუყვითელი რქოსანი?

— კარგი, კარგი, ცირკის ლაზღანდარავ!

— აბა, შენ რა იცი, ბებიკო, იქნებ ახლაც გულში ისეთი სიხარული მიტრიალებს, რომ მზად ვარ ყველა გადავკოცნო!

— გულში სიხარული უტრიალებს! თამაშ-თამაშით გოგოს თავბრუ დაახვია, მოხიბლა და ახლა ჩირგვებში მიძვრები დასამალავად! ეხ, ლადო, ლადო, ამ ლაზღანდარობით ბოლოს თავი არ წააგო! განა პატიოსანი ადამიანი ასე მოიქცევა?

— ბებია ღმერთი, რჯული, ცუდი და უპატიოსნო არაფერი ჩამიდენია!

კიდევ დიდხანს ვდაობდით, მაგრამ ბებიაჩემი ვერ დავარწმუნე, რომ მართალი ვიყავი. მოხუცმა თავი ჩაქინდრა და თავისქნევით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— არა, ლადო, ასე არ ვარგა, ასე არ შეიძლება...

მიხაროდა ჩემი მოჩვენებითი გამარჯვება და ახალ-ახალი საბუთები მოვიმარჯვე თავის გასამართლებლად:

— აბა შენ თვითონ თქვი, ბებია მე რომ ყველა ჩემი მენატრურ ქალი ცოლად შემიერთო, ოთახში მათთვის ფეხის დასადგმელი ადგილი დამრჩებოდა?

მაგ ბებია: გაჩუმდა.

თავი მთლად წმინდანად მოვაჩვენე მეტიას:

— განა მე დამნაშავე ვარ და რამეს ვიმაღავ? მე ხომ მისთვის თითქმის არ მიმიყარებია.

— არ იქცევი, ლადო, წესიერად!

მაშინ მე ვერ გამეგო ამ ამბის მთელი სერიოზულობა. ჩემი მდგომარეობა იმ გალაღებული ნადირისას ხომ არ ჰგავდა, მონადირის ხმაური რომ მოესმა, ყურები ცქციტა და არ იცოდა რა ექნა, საით გაქცეულიყო, ან იქნებ არსაითაც არ იყო საჭირო გაქცევა და თავს იმით ინუგეშებდა, მონადირენი გვერდს ამივლიანო.

მაგრამ არც თუ მთლად ასე იყო ჩემი საქმე. მხოლოდ ამ პირველი შელაპარაკების დღეს შენიძლო თავი მენუგეშებინა ამ მიამიტური იმედით. შემდგომ კი... შემდგომ დაუჯერებელი ამბავი დატრიალდა. დაიწყო ნამდვილი ნადირობა, ისე, როგორც ნადირობის წესი და რიგია. ჯერ გარს შემომერტყუნენ, ბუნავიდან ამომავდეს, და „არიქა, არ გაუშვას“ ძახილით გამომედევნენ. იქამდე მიმიყვანეს რომ ფეხქვეშ მიწას ველარ ვგრძნობდი.

ახლა, ორი წლის შემდეგ, ამის გახსენება სასაცილოც არის და თავშესაქცევიც, მაგრამ მაშინ... მტერსაც არ ვუსურვებ იმას, რა შავი დღეც მაშინ მე დამაყენეს.

პირველად ჩიკო გამომეცხადა. ბოსელს უკან რომ ბებერი თუთისზე დგას, იქიდან გამოძვრა.

— ბებიაშენი იყო ახლა ჩვენთან. ყველაფერი გვიამბო.

— შერე რა...

— ფრთხილად დაიჯი თავი, გესმის?

— მიდი და თქვენი ბატები შეაშინე?

— მე არ გაშინებ, გაფრთხილებ.

— ყოჩაღ, ბიჭო, დიდი მადლობა!

— ამ დღეებში თორნიკე ჩამოღის.

— ერთი შენცა და შენი თორნიკეც...

— კა-არგი! — გამეცხავად, თავისადგებით გააბრტყელა სიტყვა ჩიკომ, — კა-არგი!

— რას დაყილებ ლობე-ლობე ბატეით, სჯობს თბილისში წახვიდე. ინსტიტუტში სწავლა უკვე დაიწყო.

— სანამ რქებს არ დაგამტვრევ, არსადაც არ წვაღ...
პირველად ჩიკო რატომ მოვიდა, ჩემთვის გასაგები იყო. მეორე არც ვაბტანგი მოსულა, არც თამაზი, არც ნუცას რომელიმე ახლო ნათესავი. ის უცნობი კაცი მოვიდა. ეს ვაჟბატონი ციკაბო დაღმართზე აქოჩრილი თხემლარის ტევრიდან გამოძვრა, მოშინაურებული დათვივით გზის პირას ლოდზე ჩამოჭდა და როცა გავუსწორდი, წაიბურტყუნა: — მოიცა, ორიოდ სიტყვა მინდა გითხრა... იცოდე, ნუცას არ დაგაჩაგვრინებ, გესმის?

— ნუცას არავინ ჩაგრაგს. — მიუხედავად თამაზად.
— არ დაგაჩაგვრინებ-მეთქი, გესმის, ციხეში ჩაეჭდები, ნუცას კი არ დაგაჩაგვრინებ.
— რატომ უნდა ჩაეჭდე ციხეში? ისეთი არაფერი დავიშავებია. უცნობმა სიმწრისაგან თავი გაიქნია.
— მე მისი ცოლად თხოვნა მინდოდა. თუ არ გჯერა, ჰკითხე და თვითონ გეტყვის.
— ვიცი, ძმობილო, ვიცი.

ჩვენ მანამდე ვლაპარაკობდით, ვიდრე უცნობი არ გაჩუმდა და განზე არ დაიწყო მზერა. სიერცეს გასკქეროდა, ვენახს უყურებდა, მწვანეში ჩაფლული ეზოს ცქერით იყო გართული. ვენახებს იქით წაბლნარი იწყებოდა. ვინ იცის, იქნებ ყოველივე ამას ვერც ამჩნევდა ფიჭვებში ჩაძირული კაცი, მაგრამ მისი ხმა ნაღვლიანად გულისტკივილით აღსავსე იყო.

— ჩამოხვედი და გოგოს თავი მოსკერი... მერე რა გოგოს! — ამ სიტყვებზე უცნობმა ვენახს თვალი მოაშორა და შეუპოვრად მომამტვრდა. — ციხეში ჩაეჭდები და აქედან ცოცხალს არ გაგიშვებ.
— ეე, რას დაივინე „ციხეში ჩაეჭდები, ციხეში ჩაეჭდებიო“!

— შენ აქ ქალაქი არ გეგონოს! — გაიგე? აღბათ იქ იქნები მიჩვეული ასეთ რამეებს! რად ჩამოხვედი აქ. ვერ დაეტყუე შენს თბილისში? გაგულადდა, ხმა

მტკიცე გაუხდა, — ახლა ნუცას ლორცის მწყემსი რეზოუკაც არ შეირთავს!

— ვითომდა რატომია?

— რატომია? ვითომ არ იცი. ეხ, ჩემი ნება რომ იყოს, ცოცხალს არ გაგიშვებდი, აი ასე, აი ასე, ქვიჯაში დავნაყავდი, — გაფარჩხა მარცხენა ხელის თითები და რამდენჯერმე დაირტყა ხელის გულზე ვეება მუშტი, — აი ასე, აი ასე...

— თავს გაგივიდა, ცოტა უფრო ფრთხილად იყავი. ზედმეტი დაგიღევია, წადი, გამოიძინე!

— ზედმეტი დამიღევია? მე დამიღევია? დაღევით არაფერი დამიღევია, მაგრამ ამეგსო მოთმინების ფილა, გულზე ცეცხლი მეკიდება. თვეზე მეტია, შენს ახლოს ვტრიალებ. გგონია, ადვილია? ნუცამ ამიკრძალა შენთან ლაპარაკი, — გიფრთხილდებოდა. ნუცას ხათრი რომ არ მქონდეს, აქ შენი ჰაქანება არ იქნებოდა. ჰო, არ იქნებოდა... დაიხსოვე, ჩემი სიტყვა ინაშვილო, რიგიანად და პატიოსნად მოიქეცი, ისე გაისარჯე, როგორც წესი და რიგია, გესმის? თუ კულის ჭიკინს დამიწყებ, სიკოცხლეს გაგიმწარებ, თუნდა ციხეში ჩამალბონ. ამას მე გეუბნები — ბონდო წვერაგა.

„აი, თურმა რა რქმევია ამ კაცს, — ბონდო წვერაგა!“

— წყნარად, ნუ ყვირი, ბონდო, თუ ჩხუბი გინდა, მითხარი და ერთ წაშში შეგისრულებ სურვილს, შენი ბუნდლა არ იქნება!

— რაო? ჩემი ბუნდლა არ იქნება? — ბონდო სიხარულისაგან თითქოს დაიბნა, და ჩემკენ გამოიწია თითებგაფარჩხულმა.

— გულღვიძლიანად შეგკამ! — მომაძახა ჩხუბის თინით ატაცებულმა და გააფთრებულმა.

არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ჩვენი ამბავი, იმ წუთს ბებია რომ არ გამოჩენილიყო. მან ბონდოს ქოჩორში ხელი სტაცა და შეშინებულმა დანგრისხებულმა დაიყვირა:

— არ გაბედო... არ გაბედო-მეთქი!

— უი, უუუი-უი-უი! — აყმუვლდა ბონდო — მეტყინა, ბებია!

— შენ კი ფიქრობდი...

— გირჩენია, შვილიშვილს ასწავლო ქუკა! გამოიწერა თბილისიდან შავი ქირი!

— ლადო! — გაოცებული ბებია ჩემსკენ შემობრუნდა, — რა ნება აქვს ამ ვიგინდარას, რომ მბრძანებლობს ჩვენს სოფელში!

ბონდომ დრო იხელთა და სირბილით დაეშვა დაღმართზე.

— ჰეი, შენ, ინაშვილო, თუ ბიჭი ვარ, გაყურებინებ სიერს! — დამემუქრა თავქუდმთვლეჯით მიმავალი ბონდო.

— გასწი, გასწი, უკან აღარ მოიხედო! — მიუძახებ მე. — შენ და შენისთანები ინაშვილებს ვერ შეაშინებენ! — დაუყვირა ბებიამ.

— მოეფერე, მოუალერსე მაგ გათახსირებულს, — გზიდან იძახდა ბონდო, — მოეფერე მაგ ძალიშვილს!

— შენ თვითონა ხარ გათახსირებულიც, ძალიშვილიც, არამზადაც და ყაჩაღიც! არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა ამ მიდამოში... გაიგონეთ, რა თქვა? გამოიწერაო, მე გამოვიწერე? ამისი პაპის პაპები და პაპის პაპის პაპები აქაური მკვიდრნი იყვნენ, მუდმივად აქ ცხოვრობდნენ. გამოიწერაო!

ბონდო დაბლა, გზის მოხვეულში, ბარდებში მიიშალა, ბებია კი ვერ იქნა და ვერ დაშოშმინდა. — გამოიწერაო, შეხედეთ, როგორ გაათავებდდა: თვითონ ეგ გამოიწერეს, მოათრვის აქ, ეგ მოყოლად შეარღნე, ეგა! რა უნდა შენთან, ლადო, მაგ ლეთის გლახას!

— შენ ის მოთხარი, რისთვის იყავი ბესარიონთან?

— როგორ თუ რისთვის? შენი პასუხი გადავეცი, ნუცას გათხოვების თაობაზე.

— ჯერ კიდევ ვერ გამოიბერტყეთ თავიდან ეს აბდა-უბდა?

— ლადო, ლადო! იცოდე, ახლავე დაეუძახებ, უკან დავაბრუნებ იმ თავზეხუტულბეულ ყაჩაღს.

— მე ვამეცინა.

— ნუ იცინი, შენი ჰიქიყიყი... ნუ იცინი! რა არ გამაგონეს ამ დღეებში არ მომასმენინეს ათ წუთში — წყევლა-კრულვაც, ხეყენა-დარიგებაც და მუქარაც, ვიდრე ჩვენს სახლამდე მივიღოდით, გამოიჩვენა, რომ მე თავაშვებული კაცი ვყოფილვარ, რომელიც ვარცხვენ მშობლების პატიოსან სახელს, ვყოფილვარ მცირეწლოვანი გოგონების გამხრწნელი, რომ მე, როგორც ბონდომ თქვა, თურმე ქალაქიდან შავი ქირი მომიტანია, მაგრამ აქ, სოფელში არ გავივია ოინები. არ ვიცი, ბესო ნიორაძემ რა აზრებით გამოუტენა თავი ბებიაჩემს, მაგრამ ეს კია, რომ ბებია ვერაფერში ვერ დავაჯერე, ისიც კი ვერ შევძელი ლაპარაკი შემეწყვეტინებინა და მეც მეთქვა ერთი სიტყვა.

ბებიამ ამოიოხრა და ნაღვლიანად თქვა:

— ლადო, აი აქ გავატარე ჩემი ცხოვრების სამოცი წელი, — თან თვალეზით ჩვენს ძველებურ სახლზე მიჩვენა.

— ვიცი, ბებია!

— რაღა არ გამოიცივალა ამ სამოცი წლის მანძილზე, რამდენ თაობას შევესწარი, მაგრამ არავის ჩემთვის უდიერი სიტყვა არ უქადრებია... არამც თუ ჩემთვის, არავისთვის ამ სახლში. ასეთი იყო ჩვენი ოჯახი.

კარი გავადე, გრძელი ჩრდილიანი ეზო გავიარეთ და სახლს მივადექით.

— პო, რაკი ცოლს არ თხოულვობ, ალბათ, წახვალ... წახვალ. მაგრამ მე რაღა ვქნა? წამოვიდე შენთან?... არა, არ მიყვარს ქალაქი, — თვითონვე უპასუხა თავის კითხვას ბებიამ. — ვერ გავუძლებ იქ, დაეიხრჩობი იმ თქვენს სოფელში არადა, აქ ჩემი ცხოვრება რა ცხოვრება იქნება? ყველას თვალი უნდა მოვარიდო და ყურში თითი დავვიკო. ახალგაზრდობის წლებში შეიძლება სიარცხვილს გაუძლო, სიბერეში კი ვერა, ვერ გავუძლებ. მე ხომ მარტო ვრჩები აქ... ნუ შეარცხვენ ჩემს ქალარას, შვილო. პატივი ეცი შენი საყვარელი ბა-

ბუას ხსოვნას. ისე მოიქეცი რომ მშვიდად წავიდე ამ წუთისოფლიდან.

ბებია თავსათარი მოიხსნა, ალბათ სიცხენ შეაწუხა. გული შემიკრთა, შევწუხდი ბებიაჩემის სიმწრისა და სასოწარკვეთილების გამო და ვუთხარი:

— კარგი, ბებია, კარგი, დავფიქრდები!

— დაფიქრდი, შვილო, ჩაუფიქრდი, ოღონდ დიდხანს ნუ დააყოვნებ, ბებია გენაცვალოს!

— ბესო? ბესო რას ამბობს?

— ბესო ჭერჭერობით დუმს, უკეთესი კი იყო ივინებოდეს, ღმერთმანი. გეტყვი გულახდით: ერთადერთ ქალიშვილს არამც თუ ბესო, უკანასკნელი, ყველაზე ღატაკი და გაჭირვებული გლეხი რომ არის, ის არავის დააჩაგვრინებს.

— მართალია. ნუცა თუ ნახე?

— მადლობა ღმერთს, რომ გავახსენდა, — ბებია საყვედურით თავი გაიქნია, — არა, არ მინახავს.. მითხრეს, უჭედიოდ არისო. არ შემიშვეს მასთან. მგონია, ჩაკეტილი ჰყავთ.

— რატომ, რისთვის?

— აბა ამას ვინ მეტყვის! — და ბებია დაიძრა მარანში ჩასასვლელი კიბისაკენ.

— ლადო! — კიბემდე არ იყო მისული, ისე დაიძახა მოხუცმა.

— რა იყო?

— ნუ აუხირდები ბესოს თავზე ხელალებულ ბიჭებს.

ბებია რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ შეჩერდა.

— ყური მოგვარი, მალე თორნივე ჩამოდისო.

— მადლობა ღმერთს. დიდხანს იქდა, ეყოფა!

— ყველანი აღდგომის ბატყენები არიან მასთან შედარებით.

— მამაც?

— არა, მამა სულ სხვა კაცია.

— მამა მგელია, — ვუთხარი.

— ჩემად, ბიჭო, ნუ ყვირი... მართლაც და რა ოჯახს გადავეყარეთ, უარესი ღმერთმა შეარცხვინოს!

მე გავედი ჩემს ოთახში და დავწეი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დავედგე... დარდი მძიმე ლოდად მაწვა გულზე. ბებიაჩემთან შელაპარაკების შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, თუ რა სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ ჩემი უგუნებობის მიზეზი ეს სასაცილო სერიოზულობა როდი იყო. ყველაფერი, რაც მოხდა, არ იყო ჩემთვის მოულოდნელი. თავიდანვე, სწორედ იმ დღიდან, როცა ბესარიონმა თავის ქალიშვილს ნება მისცა მენატურედ დამდგარიყო, ვგრძნობდი, რომ მთელი, ეს ამბავი შეიძლება სწორედ ასე შეტრიალებულიყო — საფრთხე დამუქრებოდა ჩემს თავისუფლებას. მაგრამ აბა რა დავაშავე, რა, ამ ხალხის წინაშე? განა არ ვცდილობდი ნუცას, როგორც ნათესავს ისე მოვეტყეოდი, განა მაშინვე სრული შეგნებით და ნებაყოფლობით არ მივაცუთვნე ჩემს თავს ნუცას მეხუთე ძმის როლი?

მაგრამ თურმე თავს ვიტყუებდი, თითქოს ვერ ვამჩნევდი, რომ ნუცა გატაცებული იყო ჩემით, — თბილისიდან ჩამოსული მოქანდაკით. მარტო ჩემი თავი რომ მომეტყუებინა, კიდევ ჰო, მაგრამ თავს რომ ვიტყუებდი, ვგრძნობდი, არა თუ ვცდილობდი დამეცხრო ნუცას ღელვა-შუთოვა, პირიქით, ძაღლონეს არ ვზოგავდი მის გასამძაფრებლად. არ ვიცე, როგორ, რა გზით ვაყუთებდი ამას, მაგრამ მე ხომ ვიცე, რომ ეს ასე იყო...

ასე ვფიქრობდი განმარტოებულ ორ საათში სულ გავიხსენე ჩემი და ნუცას თვენახევრის ურთიერთობა. ყველაფერი გავიხსენე — „მორბენალი ქალიშვილის“ ფეხებთან დაყრილი წვიმით დასველებული მავალიც, დაუმსახურებელი სილის გარტყმაც, ჩემი კრიმინალური შეკითხვაც: „როდის ვაპირებთ ქორწილს, ლამაზო?“, ბესარიონის ეშმაკური თავზიანობაც. დახსენებული ისიც მომაგონდა, რაც ჩემს გახუტებულ მუშაობაში გადავიწყებულ მქო-

ნდა: ბაბუა აფრასიონმა, ამ კობტა, ლამაზმა მოხუცმა რომ მიმიპატიე, როცა ამ ჩემი ამბის დასაწყისში კოლმეურნეობის კანტორის წინ გაშენებულ სკვერში შევხვდი.

ბებიასგან განმარტოებული, კარჩაკეტილ, ოთახში მომწყვდეული თითქოს ხელის ფათურით ვეძებდი ალყიდან გასაძრომ ხერხებს. აფრასიონთან მინდა წავიდე-მეთქი, რომ ვუთხარი, ბებია! თითქოს რაღაც იყნოსაო, უკმაყოფილოდ ასწია წარბი.

— ასე ერთბაშად რამ გავახსენა აფრასიონთან წასვლა?

— აბა, რა არის აქ ვასაკვირი? კეთილი მოხუცია, ჩვენი ახლო ნათესავია. სულთ და გულთ მიმიპატიე. ორ-სამ დღეს დავრჩები მასთან.. აბა როგორ შემიძლია ასეთი სერიოზული საკითხი ყელზე დანამბეჭენილმა გადავწყვიტო. სხვა რომ არა იყოს რა, მეც ხომ მაქვს ჩემი აზრი!

— ოჰ-ჰო, ჰო-ჰო-ჰო! რა ამაყი ვეზბატონი ბრძანდები! თუ ფიქრობ, რომ ეშმაკობით ფონს გახვალ, ძალიან ცდები. არამც თუ აფრასიონთან, თბლისშიც მივაგნებ შენს გზაკვალს.

— არავითარი ეშმაკობა არ გამიზრახავს. აფრასიონისგან სამ დღეში დავბრუნდები და ან ჰოს გეტყვი, ან არას.

მართლაც აფრასიონისგან სამი დღის შემდეგ კი არა, მეორე დღითვე დავბრუნდი, თანაც — მარტო კი არა, მთელი ბაღრაგის თანხლებით.

აი ასე წავიდა ჩემი საქმე.

ამრიგად, მე მივდიოდი სახლიდან და იმ წუთში არ ვიცოდი, სამი დღით მივდიოდი, სამი წლით თუ სამუდამოდ.

პირველი ჩემი საზრუნავი „მორბენალი ქალიშვილის“ ბედი იყო. მე მას ბოსელში, ბედის ანაბრად ვერ მივატოვებდი. მასზე ზრუნვა ბებიისთვის რომ დამეველებინა, არც ეს შემეძლო. მთელ სოფელში არ მეგულეობდა ისეთი ვინმე, ვისაც გაბედულად გავუმხელდი და გავანდობდი ჩემს გადაწყვეტილებას.

ასეთი კაცი მხოლოდ და მხოლოდ კასიანე იყო.

კასიანეს ვენახში მივაგენი... ჩრდილში ძველი მწვანე ანახორა გაეფინა წამოწოლილიყო.

მოხუცმა ყველაფერი იცოდა, მარტო ის არ იცოდა, რომ სოფლიდან გაპარვა მქონდა გადაწყვეტილი. სანამ ველაპარაკებოდი, კასიანე თავქვეშ ხელეამოდებული იწვა და თვალებს მიბრეცდა. ბოლოს კი დაიგუფუნა:

— მე ხომ შენი მეგობარი ვარ, ლალო! ყველაფერს შეგისარულე, რასაც დამავალე. ჭანდაკებასაც მოვუვლო, წყალსაც შევასხამ და ტილოსაც შემოვახვევ, თუკი საჭიროა. მაგრამ რატომ, რატომ უნდა გახდეს ეს საჭირო ლალო! გაჩუმდი, ხმა არ ამოვიღე.

— გითხრა, რატომ? — განგაძობ ცოტაოდენი შეყოვნების მერე, — მიდიხარ, მაგრამ როდის დაბრუნდები? როცა ბესო დაშოშმინდება? მერე, როდის დაშოშმინდება ბესო? როცა ნუცას გაათხოვებს! ნუცას კი, ასეთი ალიაჭოთის შემდეგ, ვინ იცის, გაათხოვებს? და არც შენ გიწერია დიდხანს ასეთი ლალი ცხოვრება. გამოჩნდება შენზე მონადირე ამორძალიც, შეირთავ ვინმეს, შენს საყვარელ თბილისში. შეირთავ და მამინ... მშვიდობით, სოფელო! აქეთვე მომავალი გზაც დაგავიწყდება. თავს აქეთ-იქით ნუ იქნევ, ჭალებს ადვილად შეუძლიათ ახალგაზრდა კაცს გზაკვალი აუბნიონ.

— შენ ყველაფერს ართულე და აზვიადებ, — შევეკამათე მე, — მე მხოლოდ ის მინდა, რომ იმ უღვაშიან მგელს ჭკუა ვასწავლო. დე, იცოდეს, რომ ლალო ინაშვილი მისი ფარების კრავი არ არის.

— ნუცა? ნუცა არ გადარდებს?

— ნუცა? რა დავუშავე? თითაც არ მიმიკარებია!

— ეეს! — კასიანე ბაბუამ თავი გაიჭინა და გაიციხა, — შეიძლება სწორედ ის დაუშავე, რომ თითი არ მიგიკარებია. შენც გამოხახე ისეთი რამ. რითაც გინდა იამაყო! თითი არ მიგიკარებია!

— ო, ეს უკვე ჩემი საქმეა, — ვიწყინე მე.

— შენი ვერა გამიგია, რა, ლადო. ნუთუ თბილისში შშენიერი გოგონები მართლა ჭოგჯოგად დადიან? მეეპყება...

— მე კიდეც შენი ვერა გამიგია, რა. ან იქნებ გადაგიბირეს და დახმარებაზე უარს მეუბნები? მაშინ მითხარი პირდაპირ.

— რაც არის, არის, გვეყოფა, ლადო! ნომეცი შენი მისამართი, თორემ ამ გამოთხოვებისას შემოგველანძლება ერთმანეთი.

ჩვენ ძალიან დაწვრილებით მოვილაპარაკეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, როგორ მოგვევლო ქანდაკებისათვის, როდის მივსულიყავით აფრასიონთან, რა შემთხვევაში მიგვემართა წითური სიმონისათვის და ასე შემდეგ. ყოველ შემთხვევისათვის მე ჩემი მისამართი ჩავაწერინე.

— გამლახავენ! — პირქუშად იხუმრა კასიანემ, — ჩემი წოდებაც დააიწყებდათ და ჩემი ხანდაზმულობაც, წვერებს დამაგლეჯენ.

— ბოლოს და ბოლოს, რა ჩავიდინე ასეთი? — წამოვიძახე აღშფოთებით.

კასიანე ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამოგდა, აილო თავისი მწვანე ანაფორა და გაუღიმებლად ჩამიკრა თვალი.

— ნუ ბუნღუნებ. შევიდეთ შინ. ნუთუ გამომშვიდობებისას არ უნდა დავლიოთ?

მარტოხელა კასიანეს სახლი მუდამ ძველ წისქვილს მაგონებდა. მიკვირდა კიდეც, რომ კუთხეში დოლაბების ხმაური არ ისმოდა და იატაკს ქვეშ წყალი არ დგაფუნობდა.

ჩვენ მაღალ, ტაბურეტის მსგავს მაგიდას ვუსხედით და ქვემოთ ტაფაზე თაჩმეტი კვერცხისა და ექვსი პომიდორის ერბოკვერცხი შიშინებდა. მაგიდის ახლო იატაკზე შემოწული შტოფი იდგა. დროდადრო კასიანე მას მუხლისთავე იდგამდა და ტოლჩებში ასხამდა წითელ ღვინოს.

ვსაუბრობდით, ათას რამეს ვყვებოდით, სიტყვა სიტყვას მოჰყვა, ამბავი

ამბავს და როცა თანჯარაში გავიხიდე, უკვე დაღამებულიყო.

— არ დამატრო, ბერიკაცი, თორემ აქედან ველარსად წავალ!

— კიდეც ერთი სადღეგრძელო და დავამთავრებთ. ჰა, დაიჭი ეს რის სადღეგრძელო იყოს? იმისი, რომ არ შეცდე, როცა ცოლის თხოვას დააპირებ. ცოლის შერთვაში მთავარი ის არის, რომ არ შეცდე. მართალია, ამ საქმეში იღბლიანი კაცი იშვიათია მაგრამ ხომ მაინც არის! ჰოდა, მეც კარვ იღბალს გისტრეებ.

— ეჰ, ჯერ რა დროს ვგ არის! — ვთქვი და პურის ქერჭით ტაფაზე ერბოკვერცხი მოვხვეტე. — წელან ვენახში საწყენი სიტყვები მითხარი. აბა როგორ არ ვიქნები ნაწყენი, დამესხი თავს და არ დამოხვე. შენ ხომ არ იცი რა მიძევს გულში? მე მინდა იმ მგელს შედიოდურობა მოვამლეწინო, ეშვები დავაგლიჯო და მერე შეიძლება თვითონ მე მოვტაცო ქალიშვილი (რა თქმა უნდა, თუ ქალი ისურვებს).

პირველად კასიანემ თითქოს ყურს არ დაუჭერა, მერე ხელის გული მაგიდას დაარტყა, ცოტა დაფიქრდა და თითოთ დამემუქრა. დამემუქრა, მაგრამ აღერსიანად:

— უჰ, შე ნავაზო, შე ძალღიშვილო, ეს რა კარგი რამ მოიფიქრე! მე ასეთი აზრი არ მომსვლია. ყოჩაღ, ინაშვილო! შეგიძლია უერთგულეს თანაშემწე მიგულო. ასეთი საქმისთვის უღელში შევებმები, თუ საქართვებამ მოითხოვა.

მე გამეცინა, როცა მოხუცს შევხედე.

— ჯერ დავიცადოთ, კასიანე ბაბუა, დავიცადოთ, ჯერჯერობით არავის მოტაცებას არ ვაპირებ. დემრის მადლობას მოვახსენებ, თუ აქედან ცოცხალმა დავაღწიე თავი.

— ნუცა მეგრალემა, — შუბლი შეიკმუნა კასიანემ, — კარგი გოგოა. შენ თუ არ ითხოვ, ასეთი მამის წყალობით, ვინ იცის, ვის ხელში მოხვდება საცოდავი. თუ შემთხვევა მოგვეცა, თარიოდე საწუგეშო სიტყვა მაინც უთხარი გადაკვრით.

— რა ვუთხრა?

— ასეა და ასე, ნუცა-თქო, ცოტა მოითმინე, მე და კასიანე არ დაგტოვებთ, დამშვიდდი-თქო.

— ო, არა! ეს რა გამოდის? როგორც ვხედავ, შენ კვლავ ვერ გამოიგე.

— ეტყობა, ვერ გავიგე, — ამოიოხრა მან ბოლოს, — არც არის გასაკვირი. კარგი, ლალო, შენი საქმე შენ უკეთ იცი. მაგრამ მაინც ნუ ახვალ გამოუშვადობებლად. ასე არ ივარგებს, ეს რა ვაჟაკობა იქნება!

— ახირებული კაცი ხარ. აბა, სად გამოვეშვადობო? შინიდან გარეთ არ უშვებენ. ესეც არ იყოს, ახლა დამეა, ეზოში ბნელა.

— უფრო კარგია, რომ ბნელა, — ავი გავიხსენე კასიანემ, — დავაცადოთ კიდევ უფრო ჩამობნელდეს. ისე მიგიყვან ნუცასთან, რომ ვერცერთმა სულიერმა ვერ გაიგოს.

— აბა როგორ მიმიყვან? გამეცინა მე. — სად მიმიყვან? ბესოს სახლში?

— ჰო.

— ნუცასთან, ოთახში?

— ჰო, ოთახში!

— ფანჯრიდან. თუ საიდან?

— ფანჯრიდან.

— ნუ შემშლი, თუ კაცი ხარ! იქნებ დღეს მასთან დედა იყოს ან მამიდა!

— კასიანემ იცის, რასაც ამბობს!

— ო, ეს საინტერესოა! აბა, მოდი გეგმა შევადგინოთ. — მე განზე მივწიე ტაფა და ტოლჩები, მერე ბუხრიდან აღებული ნახშირით დავიწყე სახლის გეგმის მოხაზვა, თან ვბუტბუტებდი: „აბა, აბა... რაც არ უნდა იყოს, მე თითქმის სიძე ვახლავართ და სიმამრის სახლი მაინტერესებს... ასე... აქ ფანჯრები... აქაც ფანჯრები. აქ კი ქვის კიბე. აბა, ძველო მონადირე, მაჩვენე, საიდან უნდა შევიდეთ“.

— აგერ აქედან, — მშვენიერად წაიკითხა გეგმა კასიანემ და მსხვილი თითი დააღო ნახაზს, — ბალის გავლით მივადგებოთ იმ ოთახის ფანჯრებს, სადაც ნუცა წევს.

— ფრთხილად, კასიანე ბაბუა, ჩასა-

ფრებული არ იყოს ვინმე, — ხუმრობით ვუთხარი და აღმაცურად გავხედე. მოხუცი დაიღრჩავა.

— ხომ იცი ნიორაძეების ჯილაგი, რომ მომისწრონ ვერ გადავურჩები. ჩემს ძელებსაც კი ვერ აკრფს კაცი.

— ნუ გეშინია, ლალო!

— ვული მიგრძნობს, რომ დამღუპავ... რაღაც ხიფათს გადავეყრებით.

ერთი საათიც არ იყო გასული, როცა ჩვენ ერთიმეორეს უკან მივდევდით ჩამობნელებულ შენებზე.

ნიორაძის სახლი არც ისე შორს იყო, ანეტას ეზოზე და ვენახზე მიმავალნი, უკვე ვუახლოვდებოდით მას.

— თუ ვინმე გამოჩნდა, მე დავეღაპარაყები, შენ კი გაიქეცი, რაც ძალი და ღონე გაქვს.

— ამაში ეჭვი ნუ შეგებარება... ბრიყვი ხომ არ გგონივარ, კასიანე ბაბუა! ოღონდ შენ მითხარი, როგორ მოვიქცე, რა ვუთხრა? გამოსამშვიდობებლად ამოვედი-მეთქი?

— რა ვიცი, უთხარი რამე. ენა დაგბმება თუ, რა?

— რომ იყვიროს, მთელი სახლი გააღვიძოს.

— თუ იყვირებს, პირზე ხელი დააფარე, მერე მოეფერე. მიუალურსე, ეს შევარ, ლალო-თქო, გამოსამშვიდობებლად მოვედი-თქო. დაე, იცოდეს, რა ბიჭსა ჰკარგავს. ოღონდ ალერსმა თავი არ დაგავიწყოს, გესმის.

— ოჰ, დამღუპავ, როგორც ვხედავ, არა და. ვერ რა დროს ჩემი სიკვდილია, კარგ ქანდაკებებს ვაკეთებ. კაცადაც ცუდი არა ვარ ოქროს ხასიათი მაქვს.

— ამას მართალს ამბობ... სუ, ჩუმალ... აგერ ფანჯარაც! აბა, ყველაფერი აწონ-დაწონე, მხრებზე რომ შემადგე, მისწვდები.

— ვერ მივწვდი... ვერაფრის გზით...

— მაშ კარგი! ცოტა დამიცადე.

დათვებზე ძველი მონადირე, ანაფორაში დაბერებული ყაჩაღი უხმოდ გაუჩინარდა სიბნელეში მე კი მარტოდ დავრჩი-კედელთან, ნუცას ფანჯრის

ქვემოთ, ძილის ბურანში ჩაბრუნული უმთვარო ღამეა, სექტემბრის ღამე. საღლატ, გვერდით, სიჩუმეში კრიკინებს კრიკინობელა. მე რამდენიმე ნაბიჯით დავეცილდი სახლს და ზევით ავიხედე. მეორე სართულზე შავად მოჩანდა გაღებულ ფანჯარა. ნუთუ მოვახერხებ ფანჯრის იქით გადასვლას? ოხ, ჯანდაბას, ჩემი თავი... რა უცნაურია ფიქრი მომივიდა!

— იქნებ კასიანეს ფანჯარა შეეშალა? აი მაშინ ნახე სერიო!

კასიანე უხმაურო ნაბიჯით გამოვიდა სიბნელიდან და ფანჯრის ქვემოთ ფრთხილად მიაყუდა კედელს საიდანღაც მოტანილი ორთვალა. მერე გაასწორა იგი და ნელა გამკრა იდაყვი ფერდზე.

— აბა, იმარჯვე, აცოცდი მალე! თუ არაფერი გამოვიდა, ნუ დაფიქრდები, უმალვე გადმოხტი და მოუსვი შენი აფრასიონისაყენ, ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს.

— მოდი, ვაკოცო!

— მომშორდი! რა დროს კოცნაა, შე გლახა... მე ორთვალზე შეედგები, შენ კი ჩემს მხრებზე... აბა, ჩქარა!

— დამაცა, ფეხზე გავიხდი.

— არა, არ გაიხადო, იქნებ ვაჭკვევა დაგპირდეს. ახლა კი აძვერი, აძვერი-მეთქი, გეუბნები.

— ძალიან ხომ არ დაგამძიმებ?

— არა, ჭერ ახალგაზრდა ხარ, მსუბუქი.

— აი, ბეჭებიც ასეთი უნდა!

— შემაღეკი!

— ჰო!

კასიანე ბაბუა ნელნელა წამოიშორდა, და მეც, თითქოს ამწეის აუყავდი, მალდა ავდიოდდი.

გალებულ ფანჯარას გაფუსწორდი, იქ ფანჯრის იქით საფრთხე და საშიშროება კი არ მეგულებოდა, არამედ უმწეო ქალიშვილის მიმნდობი გული. რა შეიძლება იყოს მძინარე ქალიშვილზე უფრო უმწეო და მიმნდობელი? მოპირდაპირე კედელზე მიადგმულ საწოლში ნუცას ეძინა. მე მოვასწარა მისი დანახვა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მე დავინა-

ხე, რომ იქ ვილაყას ეძინა, მაგრამ ეჭვი არ შემპარვია, რომ ეს ნუცა მყოფს დაგან, სხვა ვინმე რომ უოტოტოტო, შემპყრობდა სათუთი მეგობრობის ნაზი, ამათოთოლებელი გრძნობა. მე არც მიფიქრია ნუცას ვალეიქება. პირიქით, ამ წუთში რომ ვინმე ან რამე დამუქრებოდა მის სიმშვიდეს, მე დავიცავდი მას ყოველგვარი საფრთხისა და საშიშროებისაგან... მაგრამ რამდენხანს უნდა ვმდგარიყავი ფანჯრის რაფაზე? და აი, ოთახში ამოვყავი თავი.

არავითარი ჩამი-ჩუმში... მხოლოდ ჩემი სუნთქვა ისმის. გადავდგი ნაბიჯი. მეორე... მეშინია არაფერს დავეჯახო. ვერც წარმოვიდგენდი ასეთ საშინელ წუთებს. კიდევ ერთი ნაბიჯი... გული მიცემს... ღრმად ჩავისუნთქე...

ჩემი ფიქრები იმდენად არეული-დარეული, ურთიერთთან დაუკავშირებელი იყო, რომ ახლა წარმოუდგენელიც კია მათი აღდგენა.

აი, ახლა აქა ვარ. მერე, ვინა მინდოდა აქ წამოსვლა? მაგრამ ახლა სულ ერთია, მინდოდა თუ არა. მე აქა ვარ, ღამით, ნუცას ახლოს... მას კი სძინავს. მოიცა, გაიხსენე, შენს პაწია დასთან, ერთ საწოლში რომ ვაწვენდნენ, ერთმანეთთან ფეხშეჭკვეით. დიდი ხნის წინ იყო ეს, ბავშვობაში. გოგონა ცქმუტავს, ფართხალებს, კისკისებს და უცებ ჩუმდება. შიშით მაკვირდება სიბნელეში. მე რატომღაც უგუნებოდ ვხდები მისი შიშობრეული მზერისაგან... ღამეა... ღამით კი ყველაფერი ისე არ არის, როგორც დღისით... ღამეა. არა, ეს რას ჩავდივარ, ეს რა აშბავი შემემთხვა... „ითხოვე!“, „არ ვითხოვ!“ „ითხოვე!“, „არ შემიძლია“, „როდის აპირებ ქორწილს, ლამაზო?“ აგერ ისიც, ნუცა...

საწოლი კუთხეში იდგა, კედელთან. მივედი, ნუცას თავზე დაგადეკი. გული ძლიერად მიცემს. ვაკვირდები სიბნელეს და მეჩვენება, რომ ნუცას ხედავ...

არ ვიცი, დავინახე თუ არა ნუცა ნამდვილად... სიბნელე კი არა, სიბრმავეც ვერ შემიშლიდა ხელს დამეჩახა მისი სხეულის ყოველი ნაკეთი! ღამე კი არ

მიშლიდა ხელს, არამედ ჩემი აჩქარებულ გულისცემა. იგი გუგუნით მისშობდა ყურთასმენას...

— „ახლა კი წადი!“ — ეურჩევდი ჩემს თავს — რამდენ ხანს უნდა ადგე თავზე მძინარე აღამიანს, ჭურდი ხომ არა ხარ, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? რამდენ ხანს უნდა გიციდიდეს ქვევით საბრალო ბერიკაცი? წადი, მოშორდი აქაურობას!

ვერა, ვერ მოვახერხე წასვლა.

ნელ-ნელა დავიხარე საწოლზე და მანამდე ვიყავი დახრილი, ვიდრე ნუცას მსუბუქი სუნთქვა არ შემომესმა. უკან დავიხიე — ფანჯრისკენ. მაგიდასთან კინალამ სუამს წამოგკარი ფეხი. წყნარად, ნუ ჩქარობ. გადავდგი ერთი ნაბიჯი... მეორე... აგერ ფანჯარაც. როგორც იქნა, ღრმად ჩავისუნთქე გრილი ჰაერი. გული მაინც არ ცხრება, გამალებით ძვრის.

ფანჯრის რაფას დავეყრდენი. აქ, ფანჯარასთან, უფრო ლაღად ვსუნთქავ და ფიქრებიც აღარ მეფანტება... უცებ ნუცას გაღვიძება მომიხდა. იმიტომ ხომ არა, რომ გამოვემშვიდობო? ო, არა!

ფანჯარაში თავი გავყავი, რაფას თითქმის წელამდე გადავეყუდე, კინალამ გადავყარდი.

გარეთ თითქმის ისე ბნელოდა, როგორც ოთახში, მაგრამ ისე მეჩვენებოდა, რომ გარეთ, ფანჯრის იქით, დღე იყო. ნათელი დღე თუ არა. მყუდრო საღამო მაინც. აქ, ოთახში კი ღამე სუფევდა, წყვილიდი ღამე...

ჯიბეები მოვიჩხრიკე, ვერაფერი აღმოვაჩინე. მხოლოდ პიჯაკის ჯიბეში სტეკი ვიპოვე, ჩემი მოძღვრის — გამრეკელის ნაჩუქარი. იგი მაგიდაზე დაედე და ფანჯარაში გადავძვერი.

როცა შარავნაზე გავედით, კასიანე ბაბუამ სიბნელეში აღმაცერად შემომხედა და გაუბედავად მკითხა:

— რა ქენი?

— რავა, რა ვქენი?

— გამოემშვიდობე?

— გამოვემშვიდობე! — ეუბასუხე მე.

ნაშუადღევამდე ვხეტიალობდი. მოლოს, როგორც იქნა, აფრასიონის კიშკარს მივადექი.

სოფლის პირობაზეც კი აღრიანი დილა იყო.

ფრთხილად შევაბიჯე ეზოში და სკამზე ჩამოვჯექი, ტოტებგაშლილი კაკლის ქვეშ.

სახლში ჯერ კიდევ ეძინათ.

სიო ოდნავ არხვედა ფანჯრის ფარდებს. ჩემს უკან, ბოსელში ძროხა იწვა, წყნარად ფშვინავდა.

შორეული მთავრებილის ზემოთ ცა განათდა. დანამულ ხეებს პირველი ყვითელი ფოთლები დასცვივდა.

— აგერ შემოდგომაც კარზე მოგვადგა, — გავიფიქრე მე.

აყივლდნენ მამლები. მალე სულ ახლო, ჩემს გვერდით მთელი ხმით დაიყვილა აფრასიონის მამალმაც.

ისევ სიჩუმე გამეფდა.

მე უფრო მოხერხებულად მოვიკალათე კაკლის ხესთან. ხეს მივეყრდენი, თვალეები დაეხუქე და, ძილშორეული, წუხანდელი ამბების მოგონებებში ჩავიძირე. მალე მთელმხარეს სახლიდან ნაცნობი ხმა მომესმა.

— ვინ არის მანდ? უსათვალოდ გიცანი. აი ყოჩაღ, ყმაწვილო! მეგონა, დიდი ხანია გავმგზავრა-მეთქი. ტასო, ტასო, გამოხედე, ვინ გვეწვია.

ასე მომესალმა მალალ-მალალი, ღამაში ჰალარა ბერიკაცი, ბეზიაჩემის ბიძაშვილი აფრასიონი.

— ჯერ არ იყო და არ მადირსე მობრძანება. დღეს კი მზის ამოსვლამდე გამომეცხადე!

გადავბიჯე, თუ არა სახლის ზღურბლს, საამო სურნელებამ დამათრო. აგერ ძველებური ჭრაქუნა ბუფეტი, ფიცრული კედლები. სუფთათ დაგვილი იატაკი. ტახტქვეშ დაფენილი თხის ტყავი... ნელი ქარი აფრიალებდა ახლად გარეცხლი ფარდების კალთებს. ყოველივე ამას საკმეველივით შერეოდა შინმოყვანილი, ჩინებული თამბაქოს სუნი.

— როგორა მყავს ჩემი საბრალო თებ-
რონე! თითქოს ერთიმეორეს გვერდით
ვცხოვრობთ, მარა წელიწადში ორჯე-
რაც ვერ ვნახულობთ ერთმანეთს. გა-
ახარე არა, ბებია, ბიჭო?

დილით, საუხმეზე ეშმაკი შემომიჩ-
ნდა და თავიდან ბოლომდე მოვეყვი
მთელი ჩემი აშბავი. მხიარულად, სიცი-
ლით ვყვებოდი, არაფერი დამიშალავს.
ან კი რა მქონდა დასამალავი. მაგრამ
არაფერი რომ არ დამიჭერეს, ეს კარ-
გად ამოვიკითხე ჩემი მოხუცი მასპინძ-
ლების შეფიქრებულ და ონდავ შეც-
ბუნებულ სახეებზე. არ მოველოდი. მე-
წყინა.

დავიბენი.

— რა იყო, რა მოხდა, მართალი გვი-
თხარი?

დავიწყე ფიცი-მტკიცი:

— არ მელირსოს ამ ადგილიდან ად-
გომა, თუ ვტყუოდე!

მოხუცებმა თავი ჩაქინდრეს. ერთმა-
ნეთისთვისაც კი არ გადაუხედავთ.

— მოიცა, ლადო! მოიცა... გაუბედა-
ვად ამოიღო ხმა აფრასიონმა, გასაგე-
ზად ამიხსენი: გამოიქვეცი იქიდან?

— როგორ თუ გამოვიქვეცი? რატომ
უნდა გამოვქცეულიყავი? ციხეში ხომ
არ ვიყავი!

— ჭერ რიგიანად არც კი გათენებუ-
ლიყო, რომ მოხვედი, შარვალზე ბირ-
კები გაქვს მოდებული. პიჯაკი კირითა
გაქვს გათხუპნული.

— მეგობრებს გამოვეთხოვე. აქეთ-
იქით სიარული მომიხდა.

— როდის აპირებ უკან დაბრუნებას?

— როგორ თუ უკან? როგორ, ასე
თქვენთვის შეუფერებელი სტუმარი ვარ
თუ?

— ნუ ცხარობ, მოიცა-მეთქი, ჩემი
ლევანის ვაჟს ჩემს სახლში, არამც თუ
დასვრილი პიჯაკით, შელახული ნამუ-
სითაც კი შეუძლია მოვიდეს. — შემა-
გონებლად მითხრა აფრასიონმა.

— აი, მოვედი კიდეც! — ცოტა არ
იყოს, აჩქარებულად გავაწყვეტინე სი-
ტყვა აფრასიონს, — დაერჩები აქ რამ-
დენიმე დღეს, რასაკვირველია, თუ არ

შეგაწუხებთ, დავეუცი, იქნებ ამხობა-
ში შესარიონიც დაშოშმინდეს. თუ არა
და, ჩემს გზას ვეწევი. ღმერთმა ყველა
კარგად და მშვიდობით გაყოფოთ,
ოღონდ იყოდეთ და არ დაგავიწყდეთ,
სინდისი წმინდა მამკეს და შეუბლაღავი.
ამას იმიტომ კი, არ ვამბობ, რომ თავი
ვიმართლო.

აფრასიონი კი თავისას არ იშლიდა.

— მთელი თვე გოგოსთან გაატარე
და ერთხელაც არ შეხებხიხარა?

— არ შეხებხიხარა, არა!

— ბესარიონს არა სჯერა?

— არ მიჭერებს!

— ჰოდა... იქნებ მართალიც იყოს!

— როგორ თუ მართალი!

— ჰო, იქნებ არ ტყუოდეს... რა ვი-
ცი, კაცნი ვართ...

აფრასიონი მთელ დღეს მოსვენებას
არ მძლევდა, თავს მამბურებდა, ოხრა-
ვდა, მუხლებზე ხელისგულებს ირტყამ-
და, ჩემთან გაწამებული სახით მოდიო-
და, თითქოს მოსამართლე ყოფილიყოს,
რომელიც ვერ პოულობს დანაშაულის
შემამსუბუქებელ გარემოებას, მეკითხე-
ბოდა:

— ვანა არ შეგეძლოთ ის სამუშაო
შინ გვეკეთებინათ? შენთან, ან იმ გოგოს
სახლში?

— არ შეგეძლო. ეს ისეთი საქმეა,
რომ სახლში ვერ გააკეთებ.

— ბოსელში? ბოსელში გააკეთებ?
ლადო, დამეთანხმები, რომ ბოსელში
თქვენს ყოფნას არ უღის კარგი სუნი...

აფრასიონი თავის დროზე დიდი არ-
შიყი კაცი გახლდათ. ჭერ კიდევ არც ისე
დიდი ხნის წინათ, — როცა მე საულვა-
შეზე ის იყო ღინღლი ამომდიოდა, —
აფრასიონის ცოლი ტასო ჩვენთან მო-
დიოდა ხოლმე ტირილით და ბებიაჩემს
ჭმრის თავაშვებულებას შესჩიოდა. ბე-
ბია ამშვიდებდა გამწარებულ ქალს:
„არაფერია, ტასო, ცოტა ხანს კიდევ ად-
როვე, ადროვე და დაცხრებაო“. „აბა,
რას ამბობ, თებრონე. ამ ხნის კაცს რა-
და ვადა უნდა?“

ტასო უშვილო იყო. ალბათ თავს დამ-
ნამავედ თვლიდა ამ ოჯახური უიღბ-

ლობის გამო, მაგრამ თავის აღმოფთვებას მინც ვერ ფარავდა. ახლა კი, ეს რა მეტისმეტი ზნეობრივი წესიერება დაეუფლა აფრასიონის სიბერისას? სწორად უთქვამთ: მომნანიებელი შემცოდვე თვით პაპზე უფრო წმინდანიყო.

შემოდგომის მშემ ძალა მოიკრება.

მე გაწამებით ვეძებდი მყუდრო ადგილს. მინდოდა ერთი საათით წამქინა, ან თუნდაც ნახევარი საათით მაინც. მაგრამ სახლი პატარა იყო. არც ეზო იყო დიდი და ბერიკაცე ყველგან ადვილად მიპოვნიდა ხოლმე.

— აი, სად ყოფილხარ! თუ ღმერთი გწამს, მითხარი...

მერე კი, როცა აფრასიონი დაშოშმინდა, საქმეში ტასო ჩაერია. იგი ქმარს აქეზებდა სულ უფრო მეტად შემოეცნა ჩემთვის. მე ვერ გამეგო, რა მიზანი ჰქონდათ, რის მიღწევა სურდათ. იქნება ჩემი გამოტეხვა უნდოდათ, ან ჩემგან ცოდვების აღიარებასა და მონანიებას მოელოდნენ? მე მზად ვიყავი, გამოვმტყდარიყავი, მომენანიებია ცოდვები, მეთხოვა პატიება, ოღონდ ღოვნიში წოლა და ძილი მღირსებოდა... მაგრამ მოხუცებს, ჩემს გარდა, ყველაფერი დაღიწვებოდათ ამ ქვეყანაზე...

— რა იქნება ახლა? რა მოხდება?

— ასეთ საქმეს ვის დუშმალავ... ეს ნიორაქებები ხომ თავზეხელაღებული ავაზაკები არიან!

სადილობამ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მე შეყვინებოდა. აფრასიონი დროდადრო ისე შემომხედავდა, თითქოს სულში მიძვრებოდა, მევედრებოდა. ზოგჯერ შეპკივლებდა კიდევ, თითქოს კბილის ტყვილისაგან არის გამწარებულიო, და თავს აქნევდა, ხოლო ცოლი? როგორც კი თვალებში შემომხედავდა, ტასო ბებია ამოიხრებდა და ღვთისმოსავივით თვალებს დაბლა ხრდა: „ო, უფალო!“.

ნასადილევს, ცოტა ხნით, დუმილი ჩამოვარდა.

აფრასიონმა ყალიონი თუთუნით გატენა და ბუზბრდიან ალებული ნაკვერჩხალით მოუკიდა.

ტასო ბებია გულმოდგინედ შეუდგა ჭურჭლის რეცხვასა და გამწარებდა.

მე ჩუმად გამოვედი სახლიდან, სწორად ვდურთე თავი მარანში, მიეწი-მოეწიე სიმინდის ჩალა და საწინახელში ჩაეწიე.

მალე წამეჩინა. დიდხანს არ გაუვლია, რომ რყევა ვიგრძენი, თითქოს ჩემი საწინახელი ქვაფენილზე დაქანდა. კიდევ და კიდევ, თურმე თავზე მადვას აფრასიონი, მიწვლრევს მხრებს და რალაცას ჩამჩურჩულებს. მე არაფერი მესმის: ბოლოს, თითქოს ტელევიზორი შეაკეთესო, გაისმა ხმა:

— იქნება, იქ სხვა ვინმეც მოდიოდა თქვენთან?

— სად იქ? — ვერ გავიგე ნამძინარეგმა.

— სად და ბოსელში!

— რას ჩააცივდი, კაცო, ამ ბოსელს! თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე, მომასვენე.

— ვერ დაგანებებ. აბა თვითონ მითხარი, როგორ შემიძლია მოგასვენო?

— თებრონე მოგვინახულებდა ხოლმე. — წინააღმდეგობის გაუწევლად დაენებდი აფრასიონს.

— ბესარაონი?

— იყო ერთხელ... მისი უმცროსი ვაჟი მოდიოდა.

— მოლოდა? — განმეორებით მკითხა. ეტყობოდა, არ იცოდა, როგორ შეეფასებინა ეს ამბავი.

— ჰო, მოდიოდა ხოლმე.

აფრასიონმა ცოლთან წასვლა დააპირა, რომ დაუყოვნებლივ გადაეცა მოზოვებულები ცნობები, ისევე როგორც შეგირდს მიაქვს ოქრომჭედელთან გამოუცნობი ძვირფასი ქვა, მაგრამ მოხუცი შუა გზიდან დაბრუნდა.

— მაშ ვინ მოგიტანს შენს ნივთებს, თუ უკან არ აპირებ დაბრუნებას?

— კასიანე ბაბუა, დამპირდა, მოგიტანო.

— კასიანე ნახუცარი?

— სწორედ ის!

— კეთა დაკარგა ამ სიბერის დროს?

— სამაგიეროდ, შენ მოგემატა.

განაწყენებულმა აფრასიონმა ყალი-
ონი ააფშტუნა.

— არა, ერთი ჩემი ამბავიც იკითხე,
თოვლის ზევივით თავზე რომ დამეცი...
ერთხელ თუ მაინც გიფიქრია, რას გვე-
ტყვის თებრონე, როცა ყველაფერი გა-
მოძვლავნდება?

ამ დაკითხვასაც გავუძელი ვაჟაკუ-
რად, გავუძელი, მაგრამ როცა საღამოს
აფრასიონმა იგივე ამბავი წამოიწყო,
მე ყველაფერზე ხელი ჩავიჭნიე და ვუ-
თხარი.

— ნუ გეწყინება, აფრასიონ ბაბუა,
მაგრამ თუ ასეთ ლაპარაკს თავს არ და-
ანებებ, დავკრავ ფეხს და ხვალვე გა-
ვუდგები თბილისის გზას. მაშინ მეტე-
ბეთ ყველა ნათესავმა.

მუქარამ გაჭრა, თვით ტასო ბებიაც
კი აფორიაქდა: „მართლა, რა მოხდა,
რას ჩააცივდი ამ კაცს, აფრასიონ!“

ლოგინი გამიშალეს, დამაწვინეს: მე-
ტიმეტად დაქანცული ვიყავი და დიდ-
ხანს ვერ დავიძინე. მთელი ღამე
ვტრიალებდი ქვეშაგებში, ვოხრავდი,
ჩემს თავს ვწყევლიდი. მაგრამ რაც იყო,
იყო, აი, სულ მალე მოვწყდები აქაუ-
რობას. შორს ჩემგან ესენიცა და მათი
ადამისდროინდელი ადათ-წესებიც! წე-
რილს მხოლოდ წითურ სიმონს მოე-
წერ, შემოვფთოვლი კარგი ოსტატები
დაიქირაოს ქანდაკების გამოსაყვანად...
ნუცა? ჰო, ნუცასაც უნდა მივწერო,
იქნებ, ისიც ჩემს დღეშია.

კედელს იქით არც ბებრებს ეძი-
ნათ, ჩურჩულებდნენ. ყური მიეუხვდე,
მაგრამ ვერ გავარკვია, რას ლაპარაკობ-
დნენ. მხოლოდ სახელები მესმოდა: —
ბესო... თებრონე... ლადო... ელენე...
ყველაზე ხშირად ბესოს სახელს იმეო-
რებდნენ. დიახაც, ასედაც უნდა იყოს!

გათენებისას გავიღვიძე. რალაც გაუ-
რკვეველმა ხმაურმა გამომაღვიძა. ჩუ-
რა უნდა იყოს? ავტომობილის ძრავის
ხმა. დახე, ძლივს ამოდის აღმართზე!
ვინ არის, ამ დილაადრიან მანქანას რომ
დააქროლებს? ავერ წნორებს ახლოს,
გზაჯვარედინზე გაიარეს. აღმართი გა-
თავდა და ხმაც მიწყდა. ფარების მკრთა-

ლმა შუქმა წამით გაანათა ფანჯრები.
მანქანა გაჩერდა და მისი მკნინის მძღველი
ხუნება გაისმა. კრიალიტ გზოვლს ხელს
ყავი.

ჩვენთან არიან.
— აქეთ, აქეთ. მანქანას არ შემოიყ-
ვანთ ეზოში?

— სჯობს აქ იდგეს.
— როგორც გნებავთ.
ამოდიან.
— ჯანდაბას მაგის თავი, არ მაცალა
გამოძინება.

— არაფერია, კიდევ მოასწრებთ.
— ფანჯრიდან ხომ არ ვაღმობტება?
— თუ გინდა, დადექი ფანჯრის ქვეშ.
— გეყოფა! ჩუმად...

მაშ ასე! სერაფიონმა მილალატა, და-
მბებულა სადაც ვერ არს, და ახლა ისი-
ნი მოვიდნენ, რომ მანქანით თან წამიყ-
ვანონ. მგონია ორნი არიან, ამ მოლალა-
ტე აფრასიონის ჩათვლელად — ვახ-
ტანგი და ჩიკო. აქვე მომესმა ბებიანი-
მის ხმაც:

— ეი, ნიორაძეებო! არ გაბედოთ, ხე-
ლი არ ახლოთ, თორემ...

ჩემო ძვირფასო ბებია... შენც ავა-
ყენეს ამ უთენიაზე?

რა უნდა ვქნა? გასაქცივი გზა მოკ-
რილია და უკანასკნელი ტყვიაც არ გა-
მანინია რომ შუბლში დავიხალო. ტახტ-
ზე გავიშემე და თვალები დავხუცი.

კედელს იქით ნაბიჯების ხმა ისმის,
თავშეკაგებული ჩურჩულიც მომესმა.

— გამარჯობა, თებრონე, გამარჯობა,
გენაცვალე!

ეს ტასო ბებიას ხმაა.

— უკაცრავად, გვაპატიე, რომ ასეთ
უძროო დროს შემოვიჭერიო!

— ბოდიშს ნუ იხდი, თებრონე, არ მე-
ძინა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუ-
კავს. ეს რა ქნა თქვენმა ყმაწვილმა,
თებრონე?

— ოხ, ნულარ მეტყვი, შენი ჰირიმი,
ნუ მეტყვი, უბედურებას ვადაეყარა!

— შემოდით, გენაცვალე, შემოდით!

— სუ, ჩუმად! — ეს მოლალატე აფ-
რასიონი სისინებს, — ჩუმად, არ გააღ-
ვიძოთ.

— რაო? — ხმაშაღლა აღშვოთდა ჩიკო, — ვიცადოთ, სანამ ეგ ძილისგულდა არ გაიღვიძებს?

— ცოდვაა, ცოტა ხანს კიდევ იძინოს. წუხელ სულ არ უძინია. თანაც დაღლილია, მანქანით კი არ მოსულა აქ, ფეხით მოვიდა.

ეს, აფრასიონ ბაბუა, განა ამით გამოისყიდი შენს დანაშაულს?

— დაილალო! მე მაგაზე უფრო დავილალე. ვახტანგ, პირი რას დავილია?

— დაიცა, ჩიკო!

— ერთი შენც კიდევ.. რატომ უნდა დავიცადო?

— გაჩუმდი, რა გააკირე საქმე. ამ შენზე უფროსებიც არიან.

მოთმინება აღარ მეყო. წამოვდექი და კარი თვითონ გავაღე.

— მაინც გავაღვიძე, ლადო, — დამნაშავეს ღიმილით მომელაქუცა აფრასიონი, — ვეხვეწე, ვევედრე, არ იხმაუროთ-მეთქი, მაგრამ რას იზამ, ახალგაზრდები არიან, ფიცხი და თავშეუკავებელი ნიორაძეები. ხე... ხე...

— აგერ მეც აქა ვარ, — ანთებული თვალები მოვავლე ყველას და მკლავები წინ გავიწვდინე, — აბა, მაგრად შემბოკეთ, არა და ახლავე ფანჯრიდან გადაეშვები!

ვახტანგმა და ჩიკომ გაიციინეს.

— მოეშვი ჯამბაზობას, ლადო, ჩაიციე!

წასვლის წინ აფრასიონი შეეცადა მცირე სუფრა გაეშალა იმ განზრახვით, რომ ყველაფერი შინაურულად, მეზობლურად დამთავრებულიყო. სუფრაზე განზრახ არ წავეიარე ხელი არაფერს. აფრასიონს კი თავისდამამცირებელ თხოვნა-მუდარაზე ასე ვუპასუხე:

— ამ ოჯახში არამც თუ ღვინოს, წყურვილით რომ ვკვდებოდე, ერთ ჰიქა წყალსაც არ დავლევ!

მოხუცს ტუჩები აუთრთოლდა, თვალებზე ცრემლი მოადგა. მე მაინც არ მოვიბრუნე გული და წასვლის წინ ვუთხარი: შენც ვითომ ძველი ქართველი ხარ, სვანური ჭული გხურავს! ასე უნდა

მთიელთა ადათ-წესების დაკვა? სტუმარი ხომ ღვთისაა!

საბრალო აფრასიონი აწრიალდა, სუფრიდან დანა აიღო და მომაწოდა:

— ლადო, ან ახლავე საკუთარი ხელით ყელი გამომჭერი, ან არადა, მავატე, ამ წუთში, ამ ხალხის წინაშე!

მე ხელები უკან შემოვიწყე და შეპყრობილი დივერსანტივით ნელი ნაბიჯით გამოვედი სახლიდან.

გზაში, მანქანაში, შევიტყე, რომ ჩემი საქმე შესამჩნევად წინ წასულიყო. სანამ მე აფრასიონის ოჯახში ვიყავი სტუმრად, ამასობაში ბესოს ყველაფერი აუწონ-დაუწონია და რჩევა-დარიგება უთხოვია კოლია ქათამაძისათვის. „აი, შენ, — უთქვამს ქათამაძისათვის ბესარიონს, — კულტურული კაცი ხარ, მითხარი, ნუ გეშინია, ამისხენი, მოქანდაკე ვალდებულია თუ არა ცოლად შეირთოს ის ქალიშვილი, რომლის ქანდაკებაც გააკეთა? თუ არ არის ვალდებული?“ კოლია ქათამაძეს დაუდასტურებია, უნდა ითხოვოსო, მგონი, ვალდებულიც არისო, — დიახ, სწორედ ასეა! — კმაყოფილებით წაიღრინა თურმე ბესარიონმა.

ღამის სიბნელე ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო, როცა მე ჩემს ძველ ადგილზე დამაბრუნეს, მაგრამ ისე კი არა, როგორც თავისუფალი მხატვარი და მთების ლაღი შვილი, არამედ როგორც უკვე შეპყრობილი დამნაშავე.

— თუ ოდნავ საეჭვოდ მოიქცეს, შეგვატყობინე, ბებია თებრონე!

— შეგატყობინებთ, შვილო, შეგატყობინებთ. ახლა კი წადით.

— რისთვის და სად წავიდეთ? — დამთქნარა ჩიკომ და ზიზლით ხელი ჩაქნია.

ვახტანგი არ დაეთანხმა. წავიდეთ, და მამასთან ერთად მოვიფიქროთ. შემდეგში როგორ მოვიქცეთო.

— კარგს იზამთ, თუ რამეს მოიფიქრებთ.

— კარგი იქნებოდა, თებრონე ბებია, რომ მისი ჩემოდანი სადმე გადაამეძალა,

შენც და ჩვენც უფრო დამშვიდებული ვიქნებოდით.

— კარგი, კარგი, ახლა კი წადით!
 — ნუ გვყრი, თებრონე ბებია, ნუ გვაჩქარებ. ახლა მაგას ვერტმფრენიც რომ უყიდო, აქედან წამსვლელი არ არის, — და ჩიკომ ისევ დაამთქნარა.

ისე ლაპარაკობდნენ ჩემზე, თითქოს მათ გვერდით არ ვყოფილიყავი.

ჩემი დაბრუნების მეორე დღეს შედარებით უფრო მშვიდობიანი დილა გათენდა. გადავწყვიტე მესარგებლა ამით, დამესვენა, სული მომეთქვა და ზოგი რამ გამომერკვია.

აი, მაგალითად, კოლია ქათამაძე. ბესარიონმა მაინცდამაინც მას რატომ ჰკითხა რჩევა-დარიგება და როგორ დაითანხმა იგი, რომ სასურველი პასუხი მიეცა. ეს არის ისე უბრალო და ფუჭი კითხვა. მე და კოლია ტოლები არ ვიყავით, მაგრამ შეგობრები ვახლდით.

კოლია საქონელს მწყემსავდა და წიგნს კითხულობდა. მისი უწყინარი ძროხა ისე გამოირჩეოდა სოფლის ნახირში, როგორც თვითონ კოლია ქათამაძე გამოირჩეოდა ყველასაგან. კოლია ძროხას დაატარებდა თოკით და თან ხელში მუდამ წიგნი ეკირა. ხშირად უნახავთ ვენახის ბოლოს ან ფერდობებზე: ძროხა ბუჩქებს ფოთლებს წიწკნიდა, კოლია კი წიგნს კითხულობდა. ზოგჯერ ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ძროხა თოკით თავისკენ ეწეოდა კითხვით გართულ კოლიას. შეშინებული

კოლიაც უცებ თავს მაღლა ასწევდა. რამდენიმე ნაბიჯს ძროხისაკენ უსწავდა გამდა და საყვედურით იტყუოდა: „აბა, საით შექაჩები? ასე შეიძლება?“.

როგორც კი ქათამაძე სასოფლო საძოვარზე გამოჩნდებოდა, უმაღლე გარს შემოეხვეოდნენ გოგო-ბიჭები. ისინი მას კოლას ეძაღნენ. ყოფილი სემინარიელი და ოცდაათან წლებში — ევლიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობის წლები — ისტორიის მასწავლებელი კოლია ქათამაძე სუსტი, ქალური ხმით ბავშვებს ბერძნულ მითებს მოუთხრობდა, ან სიერცისაყენ თვალაპყრობილი ზეპირად კითხულობდა რუსოს და ტოლსტოის აფორიზმებს, პატარები პირდაღებულნი უსმენდნენ, მოზარდები კი დაინტერესებას დამკინავ-წამახალისებელი შეძახილებით მალავდნენ: „აი, მესმის...“ შეზე, უწიგნოდ კითხულობს... აბა, აბა, გააგრძელე“.

ასე ამრეზილად უტკეროდნენ კოლიას. მაშ, რატომ მიმართა ბესარიონმა მას რჩევისათვის? საქმე ის არის, რომ პროფესორი გიორგი, აქაური მკვიდრი, კოლიას ახლო მეგობარი იყო. მართალია, პროფესორი ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ მისი ძლიერი ავტორიტეტი ჯერ კიდევ იცავდა სოფლელ მწიგნობარს ავი ენებისაგან.

აი, სწორედ ამ მწიგნობარმა დაუდასტურა ბესარიონს — დიახ, მოქანდაკემ თავისი მენატრე უნდა შეირთოს, მგონი, ვალდებულებაც არისო...

□ გაზრდილმა იმნაბა □

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ბიბლიოთეკის განყოფილება
 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109

მედეა შავლიაშვილი

ღარო ბებო

მოთხრობა

— ღარო ბებოს ფანჯრებთან არ გა-
აარო, დაგწყევლის.
რატომ?

— ბავშვები ეჯავრება და იმიტომ.
ნაგვის მანქანის ზარი ბეჯითად წყრი-
ალებდა, მაგრამ კარლიაში მღვარმა
ღარო ბებომ ნათქვამი მაინც გარ-
კვევით გაიგონა. შემობრუნდა და
მთქმელს შეხედა.

გული გადაუქანდა უცებ.
პირგანიერ ნაგვის ვედროს გოგოს
წერილი მხრები ცალ გვერდზე დაეფე-
რდებინა.

ვედროში ფურნის ორკილოგრამიანი
თეთრი პური პამაკში მწოლიარესავით
ირწოდა. ზვიდან კარტოფილისა და
ბადრიჯნის რამდენიმე ნაფცქვენი ეგდო.

პურს ცალ გვერდზე აბლუნოდა ქე-
რქი. ერყობოდა კარგად ნაფუები ცო-
მის მოწოლისათვის ვერ გაეძლო. გა-
ხელის ადგილზე დაბრაწულიყო და
თონეში ჩაბრუნებულ კახური პური-
ვით საყნაწუნო გამხდარიყო.

ზედ გაწოლილი ბადრიჯნის ლურჯი
ქერქი გალაქულივით პრიალებდა მზე-
ზე

ქალი თვალებით აცილებდა ნაგვის
თავზე მოქცეულ ფურნის თეთრ პურს,
კარტოფილისა და ბადრიჯნის ნაფცქვე-
ნებით აქა-იქ დალაქულს.

გოგო პატარა იყო. მძიმე ვედრო
ფეხებში ედებოდა.

სხეები ფეხმარდად მთარბენინებდნენ
ნაგავს. სამსახურში წასვლას ეშურე-
ბოდნენ.

ვილაცამ გვერდი გაჰკრა გოგოს. ვე-
დრო შეტორტმანდა და პური გადმო-
სავარდნელად აყირავდა. გოგოს პატა-
რა ხელმა დროზე მოუღწრო და ად-
გილზე დააბრუნა. მხოლოდ კარტო-
ფილის რამდენიმე ნაფცქვენი გადმო-
ვარდა ასფალტზე.

უკან მომავალი მებალის ცოლი ხმა-
მალა აბუზღუნდა:

— რა სისუფთავე უნდა მოჰკიდოს
ასმიკამ აქაურობას. ჯერ დაგვა არ მო-
ულთაგებია და ამით უკვე მოასწრეს
დანაგვიანება.

კარტოფილის ნაფცქვენები წამოკ-
რიფა, თავის ნაგავს დააყარა, პურიან
ვედროს გვერდი უქცია და მანქანას-
თან ჩარიგებულ შწკრივს ამოუღვა.

პური ისევ რწვევა-რწვევით აგრძელე-
ბდა გზას. არც ჩამოტეხილი ჰქონდა
სადმე, არც ჩამონაპერი. როგორც ფო-
რმიდან ამოელოთ, ისევე მთელი და
სად-სალამათი მიდიოდა სანაგვე მანქა-
ნის ძარისაკენ.

კიბის მოაჯირს მიყრდნობილი და-
რო ბებო ღერუფნის ღია კარიდან მო-
ნუსხულივით შესცქეროდა უკვე რიგ-

ში ჩამდგარ გოგოს, წერილი მკლავები მძიმე ვედროს რომ დაეჭვება. ვერც პატარას მოეფიქრებინა ვედროს მიწაზე დადგმა და არც დიდმა უკარნახა ვინმემ. ყველას თავისი საქმე აწუხებდა. ზოგი რძის მანქანის გამოჩენას ელოდებოდა, სხვანი — ბოსტნეულის მალაზიაში პამიდორს თუ მოიტანენო, კითხულობდნენ.

შის ერთმა სხვიმა იმდენი ჭნა, იმდენს ეცადა, მინც ვაძვრა ვერხვის გაჩვირებულ ფოთლებში, გოგოს ვედროზე ირიზად გაწვა და პური გასაქრელივით შუაზე დაკვალა.

რიგი სწრაფად მიდიოდა. ქარაზე შემომდგარი სარქისა მენაგვე ერთმანეთის მიყოლებით ჩქარ-ჩქარა სცლიდა ვედროებს — წინაღობით გაფუჭებული პამიდორის აშორებული ნაფუჭებებით ან ვიღაცის ქუსლმონგრეული, ფეხსაცმელებით პირმომბეღლებს.

ცოტა და... ის თონეში დაბრაწული თეთრი პურიც იმათ შორის დაიდებდა ბინას. თავზე სატოლმედ მოხარშული კომბოსტოს დახვეული ფოთლების წვესს დაიწურავდა.

დარო ბებო ბოლომდე რაღაცას ეიმედებოდა. სულწასული ელოდებოდა აძვრებული გული როდის დადინჯდებოდა და როდის მისცემდა ფეხის გადადგმის ნებასა და საშუალებას.

პატარა მკლავმა ძარის კიდემდე ვერ უწია ვედროს. ის კი იყო, ვიღაცა ახმახმა ვედრო ჩამოართვა და მისი სახელური სარქისას ხელს დაუბირისპირა, რომ დარო ბებო შეუფერებელი სიმკვირცხლით მოსწყდა მოაჭირს, მანქანის თვალს აქლოშინებული მიაწყდა და ორივე ხელით ვედროს ფსკერს წაებოტინა. რაკი ვერ შესწვდა, ახლა ძარის გვერდს ჩააფრინდა, ფეხი თვალზე შემოდგა და ზედ ასვლა მოიწადინა.

— დაიცა, ქალო, სად ებლოტები, მე აქ რისთვისა ვდგავარ? მომწოდე ეგ შენი ვედრო, — დაუბღვირა სარქისა მენაგვემ და პურიანი ვედრო ვადმოაპირქვევა.

აქოთებული ნაგვის სუნნი ქალს ცხვი-

რში ეტაცა. თვალთ დაუბნელებდა მან რამ პური პაერშივე დაეჭვებდა ხელით. მერე ცალით მეტრდში ჩაიჭრა. მეორე ძარის გვერდს მოუფათურა, მაგრამ ველარ ჩაეჭიდა, თავი ველარ შეიძავრა და უკან გადმოქანდა.

პირველად იმ ახმახმა შეაშველა ხელი. მერე სხვა ქალებიც მისცვივდნენ ვი-ვიშითა და საყვედურებით.

— დარო ბებო, რას შვრებით, სად გაგონილა ამ ხნის ქალის მანქანაზე ასვლა? ჩვენ დავგასაქმებდით, თავს რაზე იკლავდით, ერთიც ენახოთ დაშავებულ-ლიყავით?

ფეხქვეშ მიწა იგრძნო თუ არა, ყველას ხელები სათითაოდ და სანქაროდ ჩამოიშორა. ზედაც არავის შეხედა. არც მადლობა აღირსა ვინმეს, არც საყვედური. „ჩემი ორი საფლავდაკარგული შვილი მოუსაკვლეთის გზას იმითომ დააღვა, ამ არგასაწყვეტებს ეს დალოცვილი გამოუღვეველი ჰქონოდათ. ესენი კი... ფუ, ამათ აღამიანობას. ლამის ძალით იწყვეტენ ამის მადლს“, — გაიფიქრა ავად და სახლის გზას რაც-რაცით დააღვა.

მამინვე ონკანს მიამურა. პური სანით გარეცხა, ცეცხლზე მიატარ-მოატარა, კარგად გააშრო და გახუხა. მერე წვრილად და თანაბრად დაჭრა და გახურებულ ქურაში შეაწყო.

ის კი იყო თავის ხელსაქმეს მიუბრუნდა, ლეილა შემოვიდა.

— დარო ბებო, ისევე ფეხის საწმენდსა ქსოვთ? დაანებეთ თავი, რასა სწვლობთ? ნახეთ, როგორი ფეხის გასაწმენდი მოგიტანათ ოთარმა ქარხნიდან. მოხერხებულციც არის და ლამაზიც.

დარო ბებომ ჭერ ქალს შეხედა, მერე ფეხის გასაწმენდს. ვეებერთელა ოთხკუთხედი ჭაგრისი წითლად შეღებილ ხის ჩარჩოში მკიდროდ იყო ჩამაგრებული. თუმცა ძალიან წააგავდა ღორის ჭაგარს, ჭაგარი არ უნდა ყოფილიყო. რაღაც სხვა იყო, უფრო მაგარი, მაგრამ უფრო მოქნილიც. მაგი, ჭაგრის მსგავსი ძაფები შიგადაშვიტით იყო შეფერადებული შავსა და თეთრ

ფერს, ხის წითელი საღებავი ნაწიბურით ევლებოდა გარშემო.

ის მაგარი, ჯაგრის მსგავსი ძაფები თუ მავთულები ფეხსაცმლის ლანჩებს გასწმენდდა კი არა, ერთიანად გააპრილებდა.

სახმარად ხომ ვარგისი იყო, გასასუფთავებლადაც იოლი.

ტალახიანს ერთი ვედრო წყალი გააკრიალებდა, მტვრიანს — ცოცხის გადასმა.

კარგა ხანს უყურა ქალმა ჯაგრისს. ხელიც გადაუსვა. ჩარჩოც მჭიდროდ ნაკეთებიაო, შეაქო და ისევ თავის ქინკებს მიუბრუნდა.

— დარო ბებო, არ გესმით, ნუღარ აკეთებთ-მეთქი მაგას.

— მაშ რა ექნა?

— შეეშეთ და გადაყარეთ.

წვრილი ნაჭრებით პირამდე თავმოზნეულ ორ ბოხჩას შორის იჭდა დარო ბებო. ხალიჩაზე ფეხმორთხმული, წელში — იოგოვით გასწორებული. იმ გრძელ ნაჭრებს ქალის კერპ თმასავით მაგრადა სწნავდა, მერე ხვიარასავით წრიულად სიბრტყით ახვევდა ერთმანეთზე, მომდევნო წრის თითო წვერს წინა წრეში აქა-იქ უყრიდა და ერთმანეთთან მჭიდროდ ამაგრებდა.

ვინ იცის, რა დროინდელი ან ვისეული იყო ნაწიბურიანად ჩახეული ის გრძელი ნაკუწები. ჩითისა თუ მიტკლისა, საბნის პირისა თუ ჩარსაყის ჩანახევები — საგულდაგულოდ საამღღეოდ შემონახულები.

ქალმა ძარღვებდაბერილი ხელით ბოხჩა ამოაბრუნა. ბებრულ თითებს ვარდისფრად მოხატული ჩითის გორგალი ამოჰყვით — თალიკოს ნანას საქორწილო საბნის ფეხისჩითის ჩანახევი.

რა შიშატანილები ეშხადებოდნენ იმ ჯერისწერისათვის. რა ავბედი და უიღბლო ეჩვენებოდათ ის საქმე. საქმრო კარგა ხნით უფროსი, უკვე ცხოვრებაგამოვლილი და ცოლნაყოლი იყო. გოგო ახლა ახელდა იმ ცხოვრების დასანახ თვალებს. პირველად ის შეეყა-

რა და დაფეთდა. იმის ეჭვით ქვეყანა ველარ დაინახა და იმაზე უაფროსი ძმეყანაზე ველარავინ დაიგულა.

მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით იღბლიანად წარიმართა იმათი საქმე. უფროსი ბიჭი უკვე ბაღში შიბაბარა, მეორეშემაც ფეხი აიდგა.

ვარდისფრად მოხატულს ქრელი ამოჰყვა, შავი ფონი წითელ-ყვითელ პეპლებით იყო მოჩითული. დარო ბებომ თვალი აარიდა, ისევ ბოხჩის შუაგულში ჩაიხურთა.

საცოლადვი თინას მუთაქის პირების მონარჩენი იყო ის ჩითები. ფეხზე ძლიველა დადიოდა, ლამეებს ჯოჯოხეთურ ტკვილებში სტეხდა და გათენდებოდა თუ არა, შინც საქმეს შიადგებოდა. ლოკინების განახლებით მკლავებს იწყევტავდა, მურაბებს ხარშავდა, ქმარშვილს შუშაბანდს აღებინებდა, ყველაფერი ლაზათიანად იყოსო. სიკვდილის თადარიგს სიცოცხლესივე იჭერდა.

მერე ყვითელშოლიანი წვრილი ზონარი მოხვდა თვალში — საბავშვო ბალის ფანჯრის ფარდების ჩამონაკერი. სწორედ ამ ქალბატონმა სთხოვა შემოიკერეო. მაშინ მაგის გოგო იქ დადიოდა და იმიტომ დაავალეს მაგას. ახლა ის გოგო ისე აიყლანწა, კალათბურთის ბადეს ხელითა სწვდება ლაშის.

მერე სხვა გორგალმა მიახედა თავისიკენ და დარო ბებომ ძლივს გაიხსენა ვისი ჩარსაყის არშისეული იყო ის ნარჩენი.

თუკი ვინმესთვის რამე გაეკეთებინა, თითქმის ყველა საქმეს ჩაეტოვებინა თავისი კვალთ.

ეს ნაკუწ-ნუკუწები დარო ბებოს უსიხარულო ცხოვრების თავისებური და უცნაური მეშატაინენი იყვნენ. ვინ იცის, როდიდან მოყოლებული აქნობამდე ელოდებოდნენ თავიანთ დღესა და საათს, რათა სხვათათვის გამოუსადეგარნი დარო ბებოს უაირათიან ხელში მაქნისად ქვეულოყვნენ. საჭირო და სახმარ საგნად გარდაქმნილიყვნენ.

თავისთვის კი არ უნდოდა, სხვებისთვის ემეტებოდა. ჯერ ნანაანთ მოუქსოვდა ფეხსაწმენდს, მერე თინაანთ. არც ამას გამოარჩევდა მეზობლებში. ამასაც დაუწნავდა ჰრელ ჩითებს, ერთმანეთს კარგად შეუხამებდა ნაყურის სიგრძეს თუ ფერსა, მკიდროდ და მაგრად ჩასწნავდა, ახლო-ახლო ჩაამაგრებდა, დაბერტყვის დროს არ დაშლილიყო...

ქალმა თავი ასწია და წითელჩარჩოვან წაგრისს შეხედა.

— მაგ ფეხსაწმენდს თქვენ უფრო გამოიყენებთ, თქვენთან მეტი ფეხი ტრიალებს.

— ჩვენთვისაც მოიტანა, დარო ბებო, ჩვენი სულ წითელ-ყვითლად არის მოხატული.

— ეგეც გამოგადგებათ. თქვენთან იყოს. მე ისევ ამას დაეწნავ. ეგ ძვირი ეღირება, ეს კი პურს არა მთხოვს და წყალს.

რას ამბობთ, ბებო, ფული რა სახსენებელია, ან სიძვირე რასა ჰქვია? აკი ვითხარით, ოთარის ქარხანაში აქეთებენ-მეთქი.

— არა, მე არ მინდა. მაგრამ რაკი არ დაგიშლია, კიბის ბოლოში დადე, დერეფანიც სუფთად შეინახება და ეს ჩემი ნაცოდვილარიც ხშირად გასარეცხი არ შეიქმნება.

ქალი მხრების ჩეჩვით გავიდა ოთახიდან.

ბებო ისევ ბოხჩებს მიუბრუნდა, მაგრამ მუხლებზე უძღურად დაყრილი ხელები ვეღარ აიძულა ახალი ზონარი ამოერჩიათ და აღრე არჩეულის ფერთან წებამებინათ.

ერთხანს ასე იჭდა გაშტერებული. მერე ხელი გასწია და გვერდითა კარადის კარი ისე გამოხსნა, მუხლი არ გაუშლია.

კუნჭულში მიმალული, იმ ორის ტოლა მესამე ბოხჩა ორივე ხელით გამოიღო და მუხლებს შორის ჩაიდგა.

ცოტა ხანს იყუჩა. მერე ძარღვებდა-ბერილი ხელი ზევიდან ისე გადაუსვა, თითქოს მოფერება თვითონ ბოხჩამა

სთხოვაო. მცირე ხანს ზედმეტწინა მერე ბებრული თითებით ცუკანძის ცუკანძს მოხსნას შეეცადა. როცა თავი გადაულელა, დახედვის მაგიერ თვალები დახუჭა.

კარგა ხნის შემდეგ თავს ძალა დაატანა და პირველი, რაც ხელში მოხვდა, ბოხჩიდან ზევით სათუთად ამოაძვრინა.

მისი ნაბოლარას თეთრი პერანგი აღმოჩნდა. დახედა, მაგრამ მაშინვე იგრძნო ყურებას ვერ გაუძლებდა და ისევ აარიდა თვალი. მერე თვალდახუჭულმა ვინ იცის, რა დროინდელი ამბავი გუშინ მომხდარივით გაიმეორა.

გაკვეთილების შემდეგ მეორეკლასელი ლევანი სახლში გამოესტუმრებინათ — სცენაზე ლექსი უნდა სიტყვა და სუფთად ჩაიცივო. კარადაში ჩამოკიდებული, გათახთახებული პერანგები ვერ შევამჩნიეო, სულელმა და რაც ზედა სცმოდა, ის დაეუთოვებინა. აწყვეტილი ღილიც ნართის ძაფით დაეკერებინა, თანაც შიგნიდან.

პერანგს მაჯაც ოდნავ გარღვეული ჰქონდა.

გახვეებულმა თითებმა ღილი ბაგესთან მიიტანეს.

პაწაწინა ღილი იყო, რეცხვისაგან ერთიანად გვერდებგაგლუვებული. იმდენად უბრალო იყო, დანარჩენი პრიალა ღილებიდან ერთი შეხედვით გამოირჩეოდა. რა საპერანგე ის იყო, ბალიშის პირზე დასაკერებლად თუ გამოდგებოდა. ძაფიც იმ სისქე იყო, კვანძი თითქმის ღილის ტოლა ჰქონდა.

რაკი ღილი შიგნიდან იყო დაკერებული, პერანგის ჩაღილფა არ შეიძლებოდა, ნაპირები გადაიხლართებოდა, მაგრამ ლევანს მაინც საკინძმეშკრულს ეთქვა ლექსი.

— დედა მოგიცდეს, შეილო, იმოდენა ხალხი შემოგცქეროდა, ასეთი ღილით როგორ იდექი სცენაზე? თანაც ყველას აჯობაო, მასწავლებელმა.

ქალმა იგრძნო ყელში მოწოლილი ბურთი დახრჩობას ემუქრებოდა. პერანგი სასწრაფოდ გვერდზე გადადო

და ახლა სხვა ნივთს შეახო გრძნობა-
დაკარგული თითები.

ეს პირველი ყელსახვევი იყო, დიდმა
რომ ყელზე გაინასკვა. ვანოს დაბადე-
ბის დღეზე მიდიოდა. დილიდან ემზა-
დებოდა. მთელი დღე კისრიდან არ მო-
უხსნია, მივეჩვიოთ. ვინ იცის, რამ-
დენჯერ შეიხსნა და შეინასკვა, რამდენ-
ი პერანგი მოარგო და მოუსადერაგა.
და მაინც ვანოსთან კისრით კი არა, ჭი-
ბით მიიტანა. მერე ვანოს წამოსცდა:
იმ საღამოს ანაც იქ იყო. კიდევ იმი-
ტომ იყო სახლში მობრუნებულმა
ალარც ძმა დაადინა და აღარც შშობლე-
ბი. გათენებამდე სტევისა და სამლე-
რის ხმა გამოდიოდა იმის ოთახიდან.
გოგოს თვითონ ეთხოვნა, "შენ გამაცო-
ლეო და იმ სულელსაც თავი გამოიჭნუ-
რებულ რაინდად წარმოედგინა.

მოულოდნელად ქალს მოეჩვენა, კე-
ფაში რაღაც მაგარი დამარტყესო და
ზურვისავე შემოტრიალდა. ხალიჩაზე
ისე მოაფათურა ხელი, თითქოს საიმე-
დო საყრდენს რასმე ექებდა. ხელში
შერჩენილ ყელსახვევს პირველადან-
ნახულივით დააცქერდა, გაცრეცილი
ტუჩები ააცმაცუნა და ძლივსძლივო-
ბით, მაგრამ ისე გარკვევით ჩამარცვლა:
შვილო, ახლა ანა ვანოს სამი შვილის
დედააო, თითქოს შვილს უღარესად
საჭირო და სავალდებულო საქმეს ატ-
ყობინებდა და ეშინოდა ვაი, თუ თქმა
ვერ მოვასწროო. მერე მორთხმული
მუხლები გაშალა, ხელი ნელა გააცურა
და ხალიჩაზე გვერდულად წამოწვა.

კარგახანს გაუნძრევლად იწვა. ბო-
ლოს როცა აზრდაკარგულ თვალებს
ხედის უნარი დაუბრუნდათ და გულმა
საგულედან ამოხტომის ცდას თავი და-
ანება, იდაყვს დაეყრდნო და თავზე
ძალდატანებით წამოჭდა. ავანკალებუ-
ლმა ხელებმა ყველაფერი ისევ ბოხ-
ჩაში ჩააბრუნეს და ბნელ კუნჭულში
საიმედოდ მიმალეს, სხვათა თვალს მია-
ფარეს.

— არც საწამლაკი მჭირდება, არც
სახარობელა, როცა დავთქვამ, დროა-
მეთქი — შენც მეყოფი. შენ ჩამოგარე-

კინებ ჩემს უკანასკნელ სეპარატულ ფერ-
დაკარგული ბავით გაუხიარობინებსა
და თვალებით ერთხელ კიდევ უსიტყ-
ვოდ მიუაღერსა.

მერე მორჩილად წამოდგა. სარდაფში
ჩავიდა და კუთხეში მიწყობილ, ხმა-
რებიდან გამოსულ ნივთებს შორის
ოთხკუთხა ფსკერიანი, დაწული კა-
ლათა ამოაძვრინა. კალათს ცალი ყუ-
რი აწყვეტილი ჰქონდა. გამხმარ წიკე-
ლებს ერთგან პირიც აეშვათ, რღვევა
დაეწყოთ. ადრე ამ კალათს სოფლიდან
თუთის ან ლელვის ჩამოსატანად ხან
ერთი მეზობელი თხოვლობდა, ხან მე-
ორე. ხანდახან ბაზრობაზეც მიჰქონ-
დათ, თუ ბევრი კვერცხის ერთბაშად
ყიდვას აპირებდა ვინმე. ახლა კი, რაც
წერილი მეთვლით დაწული რგვალ-
ძირიანი კალათები გაჩნდა. ამას მაზან-
და დაეკარგა, ზედ აღარავინ უყურებს.

კალათი კარგად დაბერტყა და ზევით
ამოიტანა. მერე შიგნიდან თეთრი მუ-
შამბა გამოაყრა. გაჩეღან — ძველი,
მაგრამ თახახიანი ზეწრის ჩანახე-
ვი შემოაკრა, სახურავიც მუშამბაში
გამოაკრა. წინა მხრიდან მსხვილად და-
აწერა: „პურის ნატყებებისათვისო“ და
იმ შერჩენილი ცალი ყურით დერეფნის
კედელზე მომალლოდ ჩამოკიდა, მა-
წანწალა ძალი ან აბეზარი კატა არ
შესწვდომოდა. მერე უჭრიდან მოზრ-
დილი, უხინჯოდ გაუთოებული პარკი
ამოიღო და მეზობლებს დაუარა: —
დღეს ამ პარკში ჩამიყარეთ მორჩენი-
ლი ნატყები, სამერეოდ კი ის კალათი
იციოდეთ და იმაში ჩაყარეთ ხოლმეო, —
დაარჩავა.

სახლში მობრუნებულს გოგო-ბიჭე-
ბის ქრიამული შემოესმა გარედან. ამ
ხნის ქალი კატისებური სისწრაფით
ეცა ფანჯარას და რაფაზე ჩამწკრივებუ-
ლი გირჩები ქერძის ხეს შესეულ ბავ-
შეებს უმოწყალოდ დაუშინა.

— აი, კენესა და ჩალოგინება თქვენს
მტერსა და ავადმასხენებელს, თუ გადა-
განჯივით აქ ფუთფუთსა და ქვილს.
ახა თუ გაიგონონ ადამიანის ლაპარაკი
ამ დიდხანსდასარჩენებმა, თუ თვალის

შესვლა მაინც დააცადონ ნაყოფს. აქედან დაიკარგენით. სანამ თავგატეხილები არ დამიფრენიხართ, თქვე სიკვდილისაგან დასაფრენებო და დასაფარავნო!

ისეთი გაცეცხლებული და გაავებული ხმითა ყვიროდა, გულგახეთქილი ბავშვები ფაცხა-ფუცხით ცვიოდნენ ხიდან.

მოზრდილები ისე დამფრთხალნი გაბროდნენ, შაბოლარა ყველას დააეწიყდა. პატარამ ვერ მოასწრო ხიდან ჩამოსვლა, რადგან ცალი ფეხი ორთითა ტოტში გაეჩხირა, მერე კი ვერა და ვერ მიაწვდინა მიწას. შიშისაგან გაჯანიერებული თვალებით მისწერებოდა გაავებულ დედაკაცს და ამოდო ჭახირობდა, ხის ტყვეობიდან თავის დასხნას ვერ ახერხებდა.

გაჩხრილობებულმა ტოტებმა მკლავები ერთიანად დაუკაფრა. ბევრი აწვალა აღმა-დაღმა გაფარჩხული ფეხები, მაგრამ ვერ შეაერთა.

ქალი გრძობდა მისი შემხედვარე ბავშვი შიშისაგან იბნეოდა და ცუდუბრალოდ ცოდვილობდა, მაგრამ მანამდე არ მოშორდა ფანჯარას, სანამ ბიჭმა ღრიალი არ მორთო. ტირილის ხმაზე უფროსმა ძმამ მორბინა, შემფთოებული თვალები ფანჯარას შეაღებდა, მაგრამ გული გაიმაგრა, ხესთან სწრაფად მიიბრბინა და პატარა მიწაზე ჩამოსვა.

— დარო ბებო!

ბებოს თავი კარისაკენ შეაბრუნებინა ძახილმა.

— თქვენ დაჭრილ ხელს სახვევი უნდა შევხსნა, უკვე მოუშუშდა იარა.

— ახლავე მოგზედავ, — გაეხმაურა მოსაუბრეს, ეზოში გამოვიდა და „დაჭრილ ხესთან“ მივიდა. — ჰო, შენსენი, მორჩენილია. კიდევ კარგად გადარჩენილა. იმ გიქმა გოგომ ისე დაამგერა მანქანა, მეგონა გახმებოდა.

— თვითონაც წუხდა: „მეორე დღეს ომის ინვალიდებით შებლანდული ხე რომ დავინახე, ძალიან შემრცხვა ბებოსიო. მანქანი თვე წავედი და იმ ერთის ნაცვლად ორი ნერგი მივეტანეო“.

— ჰო, აგერ მწკრივის ბოლოში წაქვებლებით წვრილტანიანებო რომ დავხანან, ისინი არიან, მაგ ორმა ორმოცდაათამდე შეათავა ჩემი დარგული ხეები...

— უჰ, ბებო, ყველამ რომ მაგის მეთელი ჩარგას, ქვეყანა ხომ ბალნარად გადაიქცევა.

— დარგვას და ზრუნვას ვინა ჩივის, ნეტავი გაკეთებულს არ ანიავებდნენ. ნადო ყვებოდა: ჩვენი ფაბრიკიდან ყოველ კვირას თითო მანქანა კოქსა ჰყრიანო.

— რა კოქს, ბებო?

— კოქსიძაფებს ხმარობენ და კოქებს სანაგვეზე ჰყრიან, თითქოს მეორედ და მესამედ აღარ დაიხვეოდეს ძაფი. სკოლაში ყოველ წელს ჭართს აგროვებინებენ მოწაფეებს. ის ჭართი ზღვაში წვეთია იმ რკინებთან შედარებით, რასაც ჩვენს გარშემო სახლების მშენებლობისას მიწაში მარხავენ. მიაყენებენ ბულდოზერებს და ზემოდან ბელტებს აბრუნებენ. გული არავის ეწვევა, იმ რკინა-ჭართის მოსაგროვებლად ხელი არავის ექავება. ყაირათი ყველას სათაჯლოდ მიაჩნია.

სულ იმ ერს შევენატრი, ნახმარი წყლიდან ცხიმს ცალკე რომ აგროვებენ და ქონს საბონში თუ სხვა რამეში იყენებენ.

გაოცებულმა მოსაუბრემ სახეში ჩახედა ქალს: „ეს რამოდენა საზრუნავი გაუჩენია ამ დღემიწურულს. თვითონ ორი პარასკევიც აღარ უდევს წინა. ვისთვისა ფიქრობს ამდენს? მე შენ გეტყვი შეილებისა და შეილოშვილების ჯოგი უტალახიანებს კარის ბუქს? — გაიფიქრა გაოცებულმა.“

— ბებო, როგორა ხართ? — მებაღის ცოლმა მორიდებით შემოალო კარი. — არ დაგიკლოთ სიცხემ?

— სიცხე ამასა და ამის თავს. მთელი თვეა ლოგინს მალესინებს, ჩემს თავს არა ვჩივი, თალიკო შევიკალი ხელში, საშსახურში წასვლამდეცა მჩხვლტამს, მოსვლამ მერეც. მაინც არ დამადგა საშველი.

— ნუ ჯავრობთ. თქვენ მეტი ამაგი გაქვთ ყველაზე. კისელი მოგიტანეთ, ხომ არ შიირთმევთ? დილითვე მიიღოდა გამომეგზავნა, მაგრამ ჩემი თავნება გოგო ვერ დავიყოლიე: „ბებოს ვერ შევაწუხებ, რადგან ბავშვები, ძაღლები და კატები ერთნაირად ეჯავრებათ“. ასე სულელაა, რა ეშველება არ ვიცი!

ავადმყოფი ისე შეერთა, თითქოს ვილაყამ სულში აუფათურა ხელები „შენზე ჰკვიანი ისა ყოფილა“, — გაიფიქრა ავად. — რაკი იმანა თქვა, აღბათ აგრება. მაგათ ვერაფერს გამოაპარებ. რასაც დიდისა თვალი ვერა ხედავს, პატარები გულითა ხედავენ, — ცოლად თქვა ხმამაღლა.

— რას ბრძანებთ, ბებო, მე საწყენად კი არ მითქვამს. თქვენ ვისი შემძლებული ხართ. ის არის უკვე და სულელი, — ქალი შეეცადა სიტყვა სხვაზე გადაეტანა: — ამ ქალაღში პურის ნატეხებია, სად დავაწყო? კალათი ავსებულა.

— ზედა უჯრიდან თეთრი პარკი ამოიღე და კალათი შიგ ჩაეშლე. რალაცა ამბავია ბარნაბა მერძევის თავზე. მესამე დღეა აღარ გამოჩენილა, პური არ წაუღია.

— რაკი მთებში ჩამოთოვა, გზა შეიკვრებოდა. სანამ არ გასწმენდენ, როგორ გადმოვა?

— ამას წინაზე ცხვრის ყველი მითავაზა. ფული ვაძლიე, იუკადრისა. მაგ ყველს თავის წონა ოქროზეც არ გავცვლი. კარგამყოფმა რძეზე მიკარი ხელი, ეგება ავადმყოფმა ეს მაინც ისი ამოვნოო, — მითხრა.

— კარგი კაცი ყოფილა. მეც სახლს დავუღაგებ-მეთქი, მაგრამ თქვენ ყველაფერი ისე გიწვრილაღებთ, რას მოვეპილო არ ვიცი.

— გმადლობთ, ნუ შეწუხდები. დღისით თალიყიანი მპატრონობენ, მოგვიანებით ჩემები მოდიან ხოლმე და მივილიან.

ქალი კარამდე თვალებით მიაცილა ავადმყოფმა, მერე კედლისკენ უძლუ-

რად შეაბრუნა კისერი და ისე დაჩრუ-ჩრულა: „ჩემებო“, თითქოს საყურთარ თავს დასცინა.

„ჩემები“ — დარო ბებოს ყოფილი თანამშრომელი და მისი ქალიშვილი ლილი იყვნენ.

უმამოდ დაბადებული გოგო აბრეშუმის ფაბრიკაში გაიზარდა თითქმის. ნახევარზე იქ იყო. არავისაგან შეთავაზებულ ხილსა თუ ნახმარი კაბის აღებას არა თაკილობდა, მაგრამ განსაკუთრებით დაროს შეეყვალა. ჯერ თოქინის კაბისათვის ეხვეწებოდა ნაყუნებს, მერე თვითონაც დაროს შეეყვრილ კაბებში დაიწყო გამოწყება. ადრე დედობილს ეძახოდა, მერე „მეორე დედა“ შეარქვა. ქალიშვილობაში ფეხი რომ შედგა, „მეორის“ თქმა წარამარა ავიწყლებოდა, რადგან კაბა უფრო გრძელიცა სჭირდებოდა და უფრო ძვირიანიც.

იმ დღიდან მოყოლებული, რაც შინ-ნოუსვლელთა ოჯახის წევრების სიაში (აღმასკომში რომ გამოაკრეს) ბებო დაროს გვარმა პირველ ათეულში გადაინაცვლა. მისი ერთსულიანი ოჯახი მოულოდნელად გასამსულიანდა. იმ ხანებში ქრელი ჩითისაგან მოქსოვილ ფეხსაწმენდს დიდი გარჯა და ჯაფა დააღდა.

ახალ ბინის ორდერში მეორე სული იმ კანონის საფუძველზე ჩაიწერა, რომ პირველს — მოხუცსა და უპატრონოს, მომვლელი და ქომავი სჭირდებოდა.

— დედი გესმის?

— რა მოხდა?

— შენმა ჩიუტმა ავადმყოფმა კარები შემოაჯახუნა და ჩარაზა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხვალე გვითხრას: „ჩემები მოვიდნენ და დამილაგესო“.

— აბა ვინ ულაგებს?

— თვითონ. ყოველ დამე ფანჯრებს აღებს და რეცხვასა და ხეხვას იწყებს.

— ფანჯრებს რალად დააღებს... რომ გაცივდეს?

— აბა რა ქნას, როდისმე ხომ უნდა



განიავოს ოთახი. დღისით რომ გახსნას სარკმელი, ხომ შეიძლება ღმერთი გაუწყრეს და სკოლიდან მომავალი ბავშვების ხმა შეიპაროს. მაგას რა ნემსი და წამალი უშველის, ძალით იკლავს თავს.

— რაღა ვქნა, მართლა რომ ვაიციდღეს და შეუბრუნოს? — ქალმა ფანჯარა გამოხსნა და მეზობლისას შეხედა. — არა, ნანა, ორივე დახურულია და შიგაც ვილაკეები არიან.

ნანამ კედელს ყური მიადო და ხმების გარჩევას შეეცადა.

— ჩხირი კედელს, როგორ მოხდა, მართლა მოსულან. წადი, დაწევი, დღეს აღარაფერი უჭირს, მგონი, — დაამშვიდა დედა და თვითონაც დასაძინებლად მოეშვადა.

მოეშვადა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიძინა, რადგან დაროს ოთახიდან გამოსული ხმები თანდათან მალღაურდებოდა და ავდებოდა.

ის კი იყო დედას უნდა შეხშიანებოდა: დარო ბებოს ეჩხუბებიანო, რომ უცებ კარის გაჯახუნებისა და კიბეებზე ჩარბენილთა აჩქარებული ხმა შემოესმა. მერე ისეთი სიჩუმე და მყუდროება დასადგურდა ირგვლივ, ლამის ფიფქების ცვენის ხმა გამოირჩეოდა.

მეორე დღეს, როცა თალიყო ნემსის გასაკეთებლად შევიდა, ბებო დარო უკვე აღარ იყო.

ფანჯრებგალიავებულ ოთახში ისე ციოდა, ლამბაქზე დასხმული წყალი ყინულად ქცეულიყო ლამის.

ლამის მაგიდაზე ნათურა ანთებული დარჩენილიყო. ლამპის სადგარზე სურათი იყო მიყუდებული.

ეტყობოდა მოყვარულს გადაეღო. ოდნავ ბაცი ფერი ჰქონდა, წამლიდან ნაადრევად ამოვლით თითქოს.

სურათიდან ორი ბიჭი იყურებოდა. თეთრი ტანსაცმელი ეცვათ, საყელო-გადაღვლილი ერთმანეთს ისე ჰკვანდნენ, როგორც იმ ვაშლის ნახევრები, ერთ მათვანს ხელში რომ ეჭირა ჩაკბე-

ჩილი. სწორედ ვაშლის ჰამისას მიესწრო ფოტოგრაფს ნაუცხატოვანდ ერთონ ვერც კი მიხვდა ალბათ სწორათს თუ უღებდნენ.

ცხელი ზაფხულის შეადლე უნდა ყოფილიყო, მიწას მოკლე ჩრდილები დასცემოდა. ფოთლებში გაპარული სხივები სახეზე, ტანსაცმელზე და ხელებზე პატარა მზეებად ციმციმებდნენ. ჩრდილს შეფარებულებს მზე თვალებს აჭუტვინებდა მაინც, ეტყობოდათ გადაღებამდე რაღაცაზე გულოვანად იცინოდნენ, მერე ალბათ კიდევ შეეცადნენ სასურათედ დარბაისლურად გაღიმებას. მაგრამ თვალბმა ვერ მოასწრეს და შიგ ჩასახლებული უამრავი ეშმაკები ვერ დამალეს. ბაგეზე კი იმნაირი კეთილი ღიმილი ეფინათ, მთელ ჭვეყანას ეყოფოდა გასათბობად და გასახარებლად.

მიცვალებულის ოთახი ისეთ საყინულედ ქცეულიყო, ძნელი დასაჩერებელი ხდებოდა, რომ სადღაც, ოდესღაც მზე ასე აცხუნებდა და ადამიანები ამდენ სიკეთესა და სითბოს ჰპირდებოდნენ ვინმეს.

რადიო პირველი ადამიანის კოსმოსში გაფრენას სიმღერებითა და მარშებით დღესასწაულობდა. დიქტორი აღტაცებული ხმით გადმოსცემდა ახალ ამბავს.

თვალდაწითლებული მეზობლები საშხარეულოსა და კიბის მოედანზე შეგროვილიყვნენ. შეწუხებული სახეებით ერთმანეთს რაღაცას უზიარებდნენ.

ყელში მოწოლილი ბურთი სულს უხუთავდათ. დაჯარიანებულები ერთმანეთს უმწეოდ შესცქეროდნენ და ვინმე მადლიანს ეჭებდნენ თუ ელოდებოდნენ, ვინც მიცვალებულს გულიანად დაიბრებდა, რომ ის ყელში მოწოლილი ბურთი თვითონაც ცერემლში გაედნოთ და შვევა ეგრძნოთ.

ამ დროს გაისმა დერეფანში შემოსული ლილის ხმა:

— ეჭვე ვიციდი, რამეს გამოივდებდა. მაგისთანა ავი სულისაგან ყვე-

ლაფერი იყო მოსალოდნელი.

გავებული ქალი მიცვალბულის ოთახისაკენ გაემართა, მაგრამ ვილაცამ გზა გადაუღობა, აბანებნო.

— ეგ ბოროტი ვაბანებისა კი არა, ფაქჩრიდან გადაგდების ღირსია.

იმ ვილაცამ მხარში ხელი ჩავლო. ქალი შემობრუნდა და გაოცებისაგან გაფართოებულ თვალებს წააწყდა. იმ თვალებს ჯერ ვერ მოესწოთ განრისხება.

— ვიცი, ვიცი, აქაურ მეზობლებს ანგელოზად ვაჩვენებდათ თავს. ძალიან ანგელოზი იყო — ბავშვები და ცხოველები შავი ქირივით ეჯავრებოდა.

— მიცვალბულზე ავის თქმა მაინც ცოდვაა, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ერთმა.

— ცოდვა? მე კი არა ვარ ცოდვა, რომ დამლუპა და იმოღენა ფული შეიტყაპუნა?

— დარო ბებო ვისი დამლუბველი იყო, ქიანველას ფეხს არიდებდა, — არ დაუჯერა ნათქვამი ერთმა.

— სხვისი ფული რად უნდოდა, თავისიც ოხრად რჩებოდა, — მხარი აუბა მეორემ.

— რაში გამოიყენებდა და იმ თავის საყვარელს გაუგზავნიდა!

ისე გაანჩხლებით წამოიყვირა ქალმა, ოთარს ჩაქუჩი გაუვარდა ხელიდან. „ეს უკვე მეტისმეტიაო“, — ბოხი ხმით ჩაილაპარაკა, კარის ჩამოღებას თავი დაანება და თავის სახლში შევიდა. იქაურობას გაერიდა.

დანარჩენები კი უფრო მკიდრო წრედ შემოერთყნენ ქირისუფალს. ყელში გაჩხერილი ბურთი უცრემლოდ დადნა. რამდენიმე წუთის შემდეგ თითოეულმა წრეში ჩამდგარმა იცოდა, რომ:

ამ გათახსირებულს (დარო ბებოს) ის საყვარელი გათხოვებამდეც ჰყოლია, ქმრის დროსაც და შეილების დაღუპვის შემდეგაც. კაცი მასზე ხუთი წლით უმცროსი ყოფილა და, რა თქმა უნდა, მისი ქმრობა არ ენდომებოდა. ომიდან ხეიბარი დაბრუნებულა. პოდა, ამ

უნამუსოს (დარო ბებოს) მკვლელობა იმით მოუნდომებია, რომ უკვლავი უკვლავად, ამდენი წლის განმავლობაში ყოველთვის უკვლავად, ჯერ თავისი ხელფასისა და მერე პენსიის მეოთხედს თვის ჩაუგდებლად იმას უგზავნიდა. თანაც ფულის ქვითრებს საყვარლის წერილებით უფრთხილდებოდა და სადღაც მალავდა.

ეს ბინა ამ ქალსაც (ლილის) ისევე ეკუთვნოდა, როგორც იმ ბებერს (დარო ბებოს). მაგრამ იმან სიკვდილი არ იღიარსა და ქალს რა ექნა, ერთ ოთახში ბებერთან ერთად ხომ ვერ იცხოვრებდა. ამიტომ დედაშვილს ბებრისათვის ფული მიუციათ. ამხანაგობაში შედი და შენს სახელზე ორთახიანი ბინა ააშენე, შენ უარს არავინ გეტყვისო. აქამდე ხელზე ისვევდა და აიშედებდა თურმე. გუშინ უკანასკნელი დღე ყოფილა ყველა სია გადაუჩხრეკიათ, მაგრამ ამისი გვარი ვერსად უბოვიათ. წუხელის თავზე დასდგომიან, მაგრამ ვერ ამოუთქმევენებიათ, სად წაიღო ფული. სად წაიღებდა, ალბათ ისიც იმ საყვარელს გაუგზავნაო, უფიქროა და ეს ქვითრები წაუღიათ თანა, რომ იმ კაცის შვილებისათვის მიეგნოთ და თავიანთი საკუთრება უკან დაებრუნებინათ.

იმ საღამოს მებაღის ცოლი სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს მაგიდას უწყობდა და თან აცრემლებული უამბობდა:

— ეს უბედური ყმაწვილქალობაშივე დაქვრივებულა. მერე ერთ კაცს ცოლობა უთხოვნია, მაგრამ რაკი ის ხუთი წლით უმცროსი ყოფილა, ამას ცოლობაზე უარი უთქვამს. კაცი არ მოშვებია, ბიჭებსაც დამეგობრებია. დიდი ამაგი და შრომა გაუწევია უმამოდ დარჩენილთა დაზრდაში. ომმა ამ ბედდამწვარს შვილები წაართვა, იმას ცალი ხელი და ფეხი. ოჯახს ომის მერე მოჰკიდებია ხეიბარი, მომვლელი ხომ უნდოდა, ამ ჩაშაგებულსა და ჩაქუფრულს როგორღა გაუბედავდა ცოლად წამომყვითო. ის კაცი დაწვრილშვილე-

ეროვნული
საბჭოთაო
კულტურის
მინისტროს
ბიბლიოთეკა

ბელა და ახლა ყოველთვის ურად ეს უგ-
ზავნიდა თურმე ფულს იმ ხეიბარს.

დარო ბებო ისეთი ამაყი ქალი იყო, თავის გაპირვებას არავის გააგებინებდა და მარტობას არავის შესჩივლებდა... თავისი დარდით სხვას არ შეაწუხებდა, არ დაანაღვლიანებდა. ის ერთადერთი კაცი იყო, ვინც მაგის დარდს გულწრფელად გაიზიარებდა, თავის სადარდებლად გადააქცევდა. ის დაღუპულები იმისათვისაც ხომ შეილებივით ახლობლები იყვნენ.

ის კაცი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ მისი შვილებისათვის ფულის გაგზავნა გუშინდლამდე არ შეუწყვეტია დარო ბებოს.

პანაშვიდზე დედაშვილი მთავარ ჭირისუფლად ისხდნენ. ფულზე ხმას აღარ იღებდნენ, ეტყობა იპოვეს. დედა შვილს ნამუსსა სწმენდდა: გულფიცხია, თორემ სიავის ჩარჩენა არ იცისო.

კარადის უჯრაში, სამარხის გვერდით, კიბის ფული დაეტოვებინა დარო ბებოს.

— რა კიბისა?
თალიკოსათვის უთქვამს: **სხვეტი** ნაშვიდებზე ყველაზე უფრო კუჭყიანი კიბეების დანახვა მაწუხებდაო. კინძლო ჩემი პანაშვიდისათვის ასმიკას მოარეცხინოთო ჩვენი კიბეებით.

— მოარეცხინეთ?
— საასმიკოდ რად გავხდიდით, ჩვენ რალას მაქნისები ვართ, მეტს რალას გავუკეთებთ. იმ ფულით ყვავილებს ვუყიდით, — ბავშვები საფლავზე დაუწყობენ დარო ბებოს.

მთელი უბანი, დიდი თუ პატარა დარო ბებოს ეძახდა. იმას კი არც დედობა დააცალა ღმერთმა და არც ბებობა აღირსა.

— თამრიკო, ჩვენი ეზოს ბავშვები დარო ბებოს საფლავზე ყვავილებს რომ წაიღებენ, შენ არ წამოხვალ?

— რომელი დარო ბებოსი, ბავშვები რომ ეჯავრებოდა?

— დედამ თქვა უყვარდაო.



საბჭოთა
კულტურის
მინისტროს
ბიბლიოთეკა



ქ. კარბელაშვილი

სიდი კავკასიონზე

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდად მნიშვნელოვანი დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება, სხვა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებთან ერთად, ითვალისწინებს ქალაქებს — თბილისსა და ორჯონიკიძეს შორის რკინიგზის მშენებლობას კავკასიონის ქედზე გავლით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ამას წინათ ჩატარებულ 35-ე კონფერენციაზე და შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-13 პლენუმზე ბავსისმით აღინიშნა, რომ თბილის-ორჯონიკიძის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობა რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი მოვლენა გახდება. დიას, დღეს უკვე ახლო მოწინავე ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეთა დიდიხნის ოცნების განხორციელება — კავკასიონზე გავლით უფრო მოხერხებული გზით დაუახლოვდეს ერთმანეთს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ქალაქები.

ქრ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრება — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები და ინჟინრები ხშირად მსჯელობდნენ თბილისსა და ვლადიკავკასს შორის უმოკლესი გზით რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობაზე. სხდომებზე იმართებოდა ცხარე კამათი და ეს არავის აკვირვებდა, — კავკასიონის მთები ადვილად დასაძლევია არასოდეს ყოფილა არც ცხენით, და არც ფეხით მოსიარულისათვის და მასზე ვაგონების მოძრაობა ზოგს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

ჩრდილო კავკასიის რკინიგზით ამიერკავკასიისთან დაკავშირება დიდ ეკონომიას მისცემდა მხარეს, ხელს შეუწყობდა მის აღორძინებას, განავითარებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას, გაამატოვებდა ხალხთა ურთიერთობას, — ასე ფიქრობდნენ გაბედული ტექნიკური იდეის მომხრენი.

და აი, ახლა, როცა საბჭოთა ინჟინრები უკვე პრაქტიკულად მუშაობენ ტრანსკავკასიის რკინიგზის უკეთესი ვარიანტის შესარჩევად, ინტერესს არ არის მოკლებული გავიხსენოთ ამ გაბედულ ტექნიკურ იდეასთან დაკავშირებული ცალკეული ისტორიული ეპიზოდები.

ქვემოთ ვებუქვადეთ ინჟინერ ა. კარბელაშვილის ისტორიულ-დოკუმენტურ ნარკვევს, რომელიც კავკასიონის უღელტეხილზე რკინიგზის გაყვანასთან არის დაკავშირებული და გვიამბობს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მომხდარ ამბებს.

რედ.

შხაუნა წვიმამ ისევე მოულოდნელად გადაადო, როგორც დაიწყო. გამოიღარა და დრუბლებიდან შუემ გამოინათა.

წვიმისაგან გაფრთხილი შეიძველები, თუ გაშვიდელები ისევ გამოჩნდნენ ცხინვალის ბაზარზე. მოტრეკებოდნენ საქონელს, მალე აქ ვაჭრობა ისევ განაღდა.

ბაზრის გვერდით გაძაველ გზაზე რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. წვიმას თავით ფეხთამდე დაეხველებინა მხედრები. ალბათ ამიტომ წაღის გუბებებს არ ერიდებოდნენ და ცხენები ტალახში იყენენ ამოსვრილები.

ბაზრას რომ დაუახლოვდნენ, ორი დანინა-



ურდა, ერთი რუსი ოფიცერი იყო, მეორე კი კართველი ჩანდა.

— გამარჯობათ ცხინვალელნი! — ხელი ზევით შემართა კართველმა და გლეხების ჩაუფს მესალმა.

— გამარჯობათ, გაგიმარჯობთ!

— ფალავანდიშვილი საით სივრცობს? გლუხებმა გულდაგულ მაისწავლეს თავადის სახლი და მხედრებშიც მაშინვე გზა განაგრძეს. აივანზე გამოსული ფალავანდიშვილი ცხენოსნებს დაეყვირა, მაგრამ ვერც ერთი ვერ იცნო.

— რას გვიბრძანებთ? — თვითონ მიმართა, რაღი შეიტყუო მას კითხულობდნენ.

— თბილისიდან მოვდივართ, წერილი გვაქვს ორბელიანისაგან.

— დიდად ხსნიამოვნოა. აგრე დასველებულები რას განერებულხართ კარებთან, შემობრძანდით და მოსივეთ.

სწრაფად ჩაივდა კბეებსზე. უბრძანა კიშკარი გაედგოთ სტუმრებისათვის.

დიდი ხანი არ გასულა, რომ ფართო საბტუმრო ოთახში სუფრასთან თავადი უკვე შეინარულადა ესაუბრებოდა თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს.

— მაშ, თქვენ გელოვო ვუღუგოდ ბრძანდებით, არა? მხოლოდ ამისხენით, რატომ ფიქრობთ კავკასიონი მაინც და მაინც ზენე მხარეზე გადასწრათ. ძვირი დაქდება ეს საქმე? გელოვო გულმოდგინედ აუხსნა მასხინძელს.

— ერთი რამ უნდა იცოდეთ და გთხოვთ გადასცეთ გრიგოლ კაპიტანის ძეს: ჩვენებურები არაფერს დაიშურებენ, თუკი მართლაც რკინიგზა ცხინვალზე გაივლოს. ეგ კი არა, ამას წინათ ვუტყვებმა: თავყრლობა გამართეს და ვადაწევლებს მოავრობას მოსთხოვეთ ტელეგრაფის სტაციის გახსნა.

— ამის შესახებ შეღამარა გრიგოლ ორბელიანი. აგი ზომ კავკასიაში ტელეგრაფის ხაზების გაყვანის მოთავე გახლავით.

— ევით, სწორედ თავადმა ორბელიანი დასდო კონტრაქტი გერმანულ ფირმასთან კავკასიაზე პირველი სატელეგრაფო ხაზის აგებაზე. ბევრი ყოფილა მოწინააღმდეგე, რადგან კავკასიონისა ეშინოდათ.

წულუკიეს გაუღიმა.

— მარაღს ბრძანებთ. თვით იწინებრებსაც აფიქრებდათ ეს საქმე. პოეტმა კი მაინც თავისი გაიტანა. თუ არა 1863 წელს გაყვანილი ტელეგრაფი თბილისი-ვლადიკავკაზში, ადვილად, წარშობადგინია რა სიძნელეები გვექნებოდა ახლა ამბების ვადაცემაში მოსკოვამდე და პეტერბურგამდე.

— ახლა კი რას ამბობს გრიგოლ დიმიტრისძე რკინიგზის მშენებლობაზე?

— მიაჩნია, რომ რუსი და ქართული ხალ-

ხის მეგობრობის ხიდად იქცევა რკინიგზა კავკასიონზე, მხოლოდ აფიქრებს მიხე რკინიგზა ელუბის სირთულედ. საიღუმლოდ ვეღუგოთ; ემდინიან, რომ მთავრობა არ წავა დიდძალი ხარჯის ვალებაზე. თუმცა სჭერა, დღეს თუ არა ხვალ მაინც სინამდვილედ იქცევა ეს დიდი ჩანაფიქრი.

— ყოველ შემთხვევაში, მინდა ვიხიბრაო, რომ ჩვენე მხრიდან ქუდზე კაცი ვაშოვა, თუ საქმე დაიწყო.

— ქტრქტობით ლაპარაკია გეოლოგიურ გამოკვლევეებზე, ენახოთ რა პირობები იქნება გვირახის გასაყვანად როკის ვადასხვლელებზე.

— გვირახი აუცილებელია, არა?

გვიანობამდე საუბრობდნენ თავად ფალავანდიშვილის ოჯახში. მეტე ბინდი რომ ჩამოწვა, საგულდაგულად მოასვენეს სტუმრები.

მეორე დღეს თავადმა დღიადრიანად გაისტუმრა იხინი, ცხინვალში ჩაუფს ორი მხუდარი შეემატა, რომლებიც ფალავანდიშვილმა გაყოლა — ხელს არ შეეგშიდინ, თუ არ მოგვებმარბიან საქმეშიო, უობრა წულუკიეს.

მხედრებმა კი თავადმა დაავალა თბილისელეზიხათვის არაფერი გაეხდათ საზრუნველი.

„რა მოსვენებაა კაცია ეს გრიგოლ ორბელიანი“, — აევიცტა ფიქრი თავადს იმ დღეს.



1872 წლის 28 აპრილს ვაზეთმა „დროებაში“ გამოაქვეყნა პატარა ცნობა, რომელმაც შეიტხველთა დიდა ყურადღება მიიხსრო. ვაზეთი წერდა: „ამ ფაშთ ლაპარაკია, რომ ტფილისის რუსეთთან შეერთებისათვის რკინიგზა მთებში შეიძლება გავიდესო. ამისათვის მოუნდება ერთადგილს ექვსი ვერხის სიგრძით მთაში გვირაბის (ტონელის) გათხარა. გვირაბის გათხარა მწელი არ იქნებაო, რადგანაც რბილი, ქვიდა მთა არის ვასახრელი ადგილები და მუშაობას რვა მილიონზე მეტო არ მოუნდებაო, დანარჩენე ადგილებში გზა მთების ფერდობებზე და ვაკეებზე გავა. ანგარაშობენ, რომ ეს რკინის გზა ისე მწელი განაკეთებელი არ იქნება, როგორც აქამდის ეგონათ და გვირახი ადვილ გასაყვანიაო მოსწენისის გვირახზე, რომელიც 14 ვერსია. ეს არი ეკოლონის პოლეკონიკ სტატკოესკის, რომელიც ვლადიკავკაზის გზას აკეთებდა რამდენიმე წლის წინათ და, როგორც აქაურთ რუსული ვაზეთი „კავკაზი“ ამბობს, კავკაზის გზის მთების ცოტაში განვიფარებულაო.“

ქტრ კიდევ 1867 წლის დასაწყისში იწინერკაპიტანმა ბ. სტატკოესკომ კავკასიაში მეოფე გარტების მთავარი შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ბ. მილიუტინს კტტხსენებითი ბარადი წარუდგინა თბილისის გეოლოგიის შორის რკინიგზის გაყვანის საქმეებზე რაკაკ ეკონომიური და სახმედრო მოსაწრებებით ახალუბება და დაწვრილებითი განგარაზეტე.

ბი მოპყავდა ტვირთისა და მგზავრების შესაძლებლობა გადარეგნაზე.

სამხედრო ხელმძღვანელობამ გაიფიქრეს წინა კავკასიაში რკინიგზის გაყვანის დიდი მნიშვნელობა და იმავე წლის აპრილში ინჟინერ-კაპიტანი ზ. სტატკოვსკი ერთი წლით შევიდა რაში, ხაერანგეთში, ბელჯიში და ინგლისში მიაფიქრა გვირაბებისა და საშოო გზების დასაბუთებლად და იმ მეთოდების შესასწავლად, რომლებსაც ამ ქვეყნებში იყენებდნენ.

რკინიგზის მშენებლობის დაწყება ერთსაანს კავკასიაში ვერ მოხერხდა. მხოლოდ 1866 წელს კავკასიის მეფის ნაცვალმა დაამტკიცა „ამიერკავკასიის რკინიგზის მიწყარადის სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის დებულება“ და შექმნა მშენებლობის სამმართველო, რომლის უფროსად დანიშნა გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვ. ლევაშოვი, მთავარ ინჟინრად — უცხოელი ინჟინერი ბელი, ხოლო სამუშაოების უფროსად ამ დროისათვის უკვე ინჟინერ-პოლკოვნიკი მ. სტატკოვსკი. პირველ რკინიგზს ერთმანეთთან თბილისი და ყოთი უნდა დაეკავშირებინა.

1860 წლის მარტში კავკასიის მეფის ნაცვალმა პარტად დაითვალაერთა თბილისი-ყოთის რკინიგზის მშენებლობა და მადლობა გამოუცხადა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროს ვ. ლევაშოვს და სამუშაოთა უფროს ზ. სტატკოვსკის.

1871 წლის 14 აგვისტოს უცხოელიდან ყოთში პირველი მარტარებული გავიდა. მობრბობის ვახანის წინ რკინიგზის ეს უბანი შეემოწმეს ცნობილმა ინჟინერმა მ. ვარსკვლავიანი და ზ. სტატკოვსკიმ. აღსანიშნავია, რომ 1877 წელს ქუთაისის შტოზე სარკინიგზო მომართვა სწორედ ინჟინერ-პოლკოვნიკი ზ. სტატკოვსკის შემოწმების შემდეგ გაიხსნა, რომელიც ამ დროს ყოთა-თბილისის რკინიგზის ინსტრუქტორის მოვალეობას ასრულებდა. უფრო ადრე, 1874 წელს ზ. სტატკოვსკი სურამის უღელტეხილზე ჩატარებული სამუშაოების შემოწმებას ასრულებდა.

ამჯერად, ინჟინერ-პოლკოვნიკი ზ. სტატკოვსკი თავისი დროის საქმაოდ განათლებული და ავტორიტეტული ინჟინერი იყო და მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდა კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლებას.

კავკასიონზე გზების გაყვანით ზ. სტატკოვსკი ქარ კიდევ 1859 წელს დანიშტრებდა, როცა პეტერბურგის უწყებების თურქულში გამოავტყვენა წერილი — „გზა კავკასიის მთების უღელტეხილზე“.

მპქ შეშლავ ზ. სტატკოვსკი კავკასიონის ქედზე რკინიგზის გაყვანის ერთ-ერთი მომთავე ვახდა. სწორედ მან დააუფინ ეს საქაისი რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში, რომელსაც ინჟინერი მ. ვარსკვლავიანი

შვილი თავმჯდომარეობდა. ეს რომლის საბჭოში მაღალთასამდებობის კარგმა და ცნობილი ინჟინერები შეუადრდნენ. საზოგადოების საპატიო წევრი ვრ. თარბულიაძე იყო — მოკტი და ხარბალი, დიდი საზოგადო მოღვაწე.

მაგრამ უფრო ადრე, ვიდრე გაზეთ „დროებაში“ შემოღმოყვანილი ცნობა გამოქვეყნდებოდა, ქართველმა საზოგადოებამ იცოდა, რომ თბილისში რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში უკვე მიმდინარეობდა ცხარე კამათი კავკასიონზე რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობაზე.

1870 წლის 21 მარტი, ზ. სტატკოვსკის მიანიდა, რომ რკინიგზის გაყვანა კავკასიონზე თბილისის და ვლადიკავკასის დასაკავშირებლად არ არის მოუხერხებელი და საშიში. რკინიგზამ ერთმანეთთან უნდა შეერთოს ვლადიკავკასია და მცხეთა. მშენებლობა 4-დან 6 წლამდე გაგრძელდება, ხოლო მისი ღირებულება — 16 მილიონი მანეთი იქნება.

გვირაბის გაყვანა უნდა მოხდეს გეროს მთის მახლობლად, ვიღის ზეგნი და მდინარე ბუდარის დაბლობში. გვირაბის სიგრძე 6 ვერსზე მეტი იქნება.

მ. ვარსკვლავიანის აზრით, კავკასიონზე რკინიგზის გაყვანა გერგერობით ნაადრევია. ამიერკავკასიის რუსეთთან დასაკავშირებლად მიანშეწონილია ვლადიკავკასიის რკინიგზამ პეტროვსკს და ბაქოს მადლიოს, ხოლო აქედან — თბილისს. აგი ფიქრობს, ზ. სტატკოვსკის პროექტის განხორციელებას 9 წელი დასჭირდება, ხოლო ხარჯები 25 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ნ. პოვოსკი გამოატყავს მოხაზრებას, რომ რკინიგზა წილკანიდან უნდა გაიყვანონ არაგვის მარჯვენა მხარზე, უშევის არაგვის შესართავამდე, ხოლო შემდეგ ახსინის, ან არგუნის ზეგნით გაგრძელდეს.

1 მიხეილ გარსევიანიშვილმა (1808-1883) დიდი ამაგი დასდო საქართველოში გაშლილ სიბრიგაციო, პიდროტექნიკურ და საგზო მშენებლობის დარგს. დაწერა უნიკალური შრომები: „კავკასიის პიდროკალია“, „ამიერკავკასიის რკინიგზები“, „კავკასიაში და ამიერკავკასიაში სიბრიგაციო ნაგებობათა მშენებლობა“, „გზა ინდოეთში კავკასიონის უღელტეხილის ვაკლით“. აგი იყო რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ფუძემდებელი და მისი უცვლელი თავმჯდომარე.

1883 წელს მიხეილ ვარსკვლავიანიშვილი დიონიშ პეტერბურგის ერთ-ერთი უჭველესი უმაღლესი ტექნიკური სისწავლებლის — გზათა სარკინიგზო ინსტიტუტის დირექტორად. აგი იყო რუსეთში საზოგადოებრივი პიდროტექნიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

კამათი საზოგადოებაში ღამის 12 საათზე დასთავრდა.

1871 წლის 7 აპრილი. ღღის წესრიგშია პ. სტატოვსკის მოხსენება — „რკინიგზა კავკასიის მთების უღელტეხილზე ვლადიკავკასია და თბილისს შორის“.

კავკასიის მთების უღელტეხილზე რკინიგზის გაყვანის საქმისი ერთი შეხედვით იმდენ ვადაუღიანად წინააღმდეგობებს შეიკავს, რომ მხოლოდ ღვად იმისა, რომ გზამ, ასე ვთქვათ, აზია და ევროპა უნდა შეერთოს, ბევრს არ სურთ ამ თემზე ლაპარაკი. მიითქვამს ეს ხდება, მაშინ, როცა აღებზე უკვე შესაძენ რკინიგზა გაუყვით, თუ არ წავთვლით წემერინის რკინიგზას. კავკასიის უღელტეხილზე რკინიგზის გასაყვანად არსებობს ორი გადასასდელი ერთი — ჭერის მთები, მდინარე არაგვის დაბლობიდან მდინარე ბაილარის დაბლობი და შემდეგ საფოსტო გზა, და მეორე, კონსტანტინოპოლიდან არაგვის დაბლობიდან მდინარე ცნოს დაბლობი, როგორც ბაილარი, ისევე მდინარე ცნოს მდინარე თერგს ერთვთან და ერთნაირი მეტეოროლოგიური პირობები აქვთ, რადგან ერთმანეთისაგან 25 ვერსით არიან დაცილებულნი. — ამბობს მომხსენებელი და შემდეგ დაწვრილებით მოხსენებს სხდომას ზოგიერთ ტექნიკურ საქმისს.

1872 წლის 28 აპრილი. ამერად საზოგადოებაში მოხსენება — „ინდოეთში მიმავალი რკინიგზის შესახებ“ ვაყუთა ვენერაღმართში ა. არწრუშია.

მისი თქმით, ამერკავკასიის ტერიტორიის გამოყენებაზე სავაჭრო მიმოსვლისათვის ინდოეთთან, სანტიტრესო მოსაზრება გამოთქვა საფრანგეთის კონსულმა თბილისში ვაიმამ ჭერ კიდე 1827 წელს. კონსული ამბობდა: „საქმარისია, დავხედოთ დედამიწის რუკას, რათა დავინახოთ, რომ პირდაპირი ხაზი, ვაყვანილი ივროპის ცენტრიდან, პარიზიდან, ინდოეთის ცენტრამდის — კალკუტამდის, ამერკავკასიაზე გაიშართება, ბუნებას კანონი გარდაუვალია: პირდაპირი ხაზი ორ წერტილს შორის არის ყველაზე უმოკლესი, და სავაჭრო გზაც ევროპასა და ინდოეთს — შწარმოებდესა და მომხმარებელ ქვეყნებს შორის — ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა წავიდეს ამ სწორი გზით“.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს ამის დამამტკიცებელ ფაქტს. ინგლისელებმა ტელეგრაფის ხაზი ვაყვანეს ინდოეთში თურქეთზე ვადით და რა მოხდა? ალბანის გამოიწვია მასზე უფრო ძლიერი მეტოქე — ტელეგრაფის ხაზი, რომელმაც ევროპა ინდოეთთან უმოკლეს ხაზით — ამერკავკასიაზე და სპარსეთზე ვადით შეერთა ერთმანეთთან.

სწორედ ამიტომ მიანიდა მომხსენებელს, რომ ინდოეთის რკინიგზამ უნდა გაიაროს ამერკავკასიაზე და თერბანზე პირდაპირი მიმართუ-

ლებით და არა გრძელი მოხვევით, სამართლისა კენ.

ი. არწრუნის თავის მოსაზრებებში კიდევ ერთხელ უნდა დამტკიცოს, რომ რკინიგზის გაყვანა კავკასიაზე დიდად შეუწყობს ხელს ამ იდეის განხორციელებას.

„საიდუმლოება“ სუსტად, მაგრამ რამდენადმე მაინც თანდათანობით შედევდება. მკითხველმა ახლა უკვე იცის, რომ გარდაცვლილი ადამიანს ჰყოლია და, სატრფო, სათაყვანებელი ადამიანი, რომლისაც ერთდროს ყველაზე უფრო შეტად სწამდა (უთუოდ მისი „სულიერი მოძღვარი“) და დედა, მაგრამ ყველაფერი ამის ცოდნა კი არ აწილებს, არამედ კიდევ უფრო აცხოველებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას: მაშ, რა მოხდა ამ კაცის ცხოვრებაში ისეთი, რომ სიცოცხლის მიწურული ასეთ მარტოობაში გაატარა?

მკითხველის ინტერესთან ერთად ამ აბზაცში ცხოველდება აგრეთვე ნოველის ემოციური მხარეც, რომელიც მძაფრი დრამატისმის შემცველი ქვეტექსტებითაა გაპრობებული. ამ მონაცემთა შემავალი ყველა წინადადებას ქვეტექსტის ერთი მონაწილე აქვს: ავტობიოგრაფიკულ ტრაგეში იმ ადამიანისა, რომელიც სიყვდილის ეპის მოკლებულია მისთვის უახლოესი ადამიანებისაგან სითბოსა და თანგრძნობის. ამ კონკრეტული ჩანაფქრის განხორციელებას ემსახურება აქ ყველაფერი.

თავის მიზანდასახულებას მწერალი აღწევს შეკუმშული და მოქნილი ფრაზებით, სევდიანი, გარეგნულად თითქოსდა მშვიდი, მაგრამ შინაგანად აღუღებელი ტონით, სრულიად ჩვეულებრივი სიტყვებითა და სადა, მაგრამ ემოციურად დატვირთული ეპითეტებით. ამ აბზაცში თამოყრილი ეპითეტები, ერთი მხრივ, გამოხატავენ დიხ, სატრფოს, „სულიერ მოძღვრის“ და დედას განსხვავებული ნიუანსების მქონე განცდებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე ეპითეტების იქით იგულისხმება ის „დიდი“ სულიერი ტრევილიც, რაც უნდა განიცდებოდეს სიყვ-

დიდის ეპის უცხოეთში. მარტოღმეოზ ადამიანს.

შემდეგი აბზაცი, რომელიც ერთი მოყვებითელი ფრაზისაგან შედგება: „მოკლეა უცხოეთში“, ცალკე უფრო ამბობებულ ტონშია განხორციელებული, რადგანაც წინა აბზაციის შედარებით, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ფაქტურად ეს ერთი წინადადება ხსნის წინა მოწყვეტში დეჟარულად გატარებულ აზრს. ეს არის მასუბი მკითხველის შეკითხვაზე: „რატომ დღისა სული მარტობაში ამ პერსონაჟმა?“

ამის შემდეგ უკვე მკითხველის ცნობისმოყვარეობა იქითკენაა მიმართული, რომ გაიგოს, თუ რისგან ვარდობავალი უცხოებაში გადახვეწალი ადამიანია.

„თახანაირი სწეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმო“, — ასე იკითხება მომდევნო ფრაზები, რომლებიც მკითხველის ინტერესს ქერ კიდევ ვერ აქმაყოფილებს. დაძაბულობა კვლავ გრძელდება.

„ცხუდარი გაქრეს“, — ამ აბზაცში მკითხველის ცნობისმოყვარეობა კულმინაციას აღწევს: ახლა კი უნდა გაიგოს მან, ბოლოსდაბოლოს რით იყო დაავადებული ნოველის გმირი, მაგრამ ამქარადაც მწერალი ისეთი შინაარსის შემსყველ წინადადებებს აწვდის მკითხველს, რომ ის კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაში რჩება: და მისი დაძაბულობაც მატულობს. აი, ეს წინადადებებიც:

„აროფსოსრმა ხელემა ჩამოუშვა და გავკრევებულმა წამოიძახა:

„შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!“

„ერთმანეთს შესცქეროდნენ“.

დაძაბულობასთან ერთად ნაწარმოების დასასრულისაკენ იზრდება თხზულების ემოციური შარავი, რომლის შოკარი მიზეზა ნოველის შინაარსის მიუერბოლიზაციაში უნდა ვუძებოთ. მიუერბოლიზაცია იწყება შემდეგი სტრაქონიდან:

„— ბატონებო, გული, გული სადღაა?“ ამას მოსდევს კიდევ უფრო ექსტრემული მიერბოლის შემსყველი ფრაზა:

„გულის მაგიერ ფერფლად აღარჩენილიყო“. ქვეტექსტი ამ წინადადებასა წაოთლია. ნოველის მთელ მანძილზე მწერალი მხოლოდ ამ ფრაზით მოგვანიშნებს იმ ადამიანის ტრაგიზმის ხილრზე, რომელსაც სამშობლოს გარეთ მოუბდა ცხოვრება.

ტექსტის შემდგომ ნაწილში კვლავ ცხოვრებაში, სინამდვილეში დასაშვები ფაქტია მოწოდებული:

„დეკემით გაგებული უბედურებისაგან თავსარდაცემული დღმა შევიდა სავარელი შვილის ოხლად დატოვებულ ოთახში, კვითინებდა: ასე გამომეტე ქვრივი, ოხერი? საღაა შენი

კარგი გული, ამდენის ვაითა და უფი რამ ზაგადვი საგულეში?“

სტრაქონი

აქაც ნ. ლორთქიფანიძე მისთვის რეკლამის მანერითა: შეუთმულად, უკიდურესად ძუნწად, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე ამბობებულად გამოხატავს გაუბედურებული დედის უზომო მწუხარებას. აქაც სრულიად უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი ეპითეტებია: „თავსარდაცემული“, „სავარელი“, „ოხდალად დატოვებული“, „ოხერი“, „კარგი“.

მომდევნო აბზაცებში ისევ ნაწარმოების შინაარსის მიუერბოლიზაციაა განხორციელებული: „კედლიდან, პატარა რუქამ გასცა მასუბი“:

„— შე დავაქციე!“

„— შე დავწვი! — გახმარდა სურათი მაგალაზე“.

და თუმც მწერალი საგანგებოდ დღმს, მაგრამ მკითხველი მაინც კარგად გრძნობს, რომ იმ პატარა რუქაზე, რომელმაც დაჰყენო უცხოეთში მყოფი ქართველის გული, გამოხატული იყო საქართველო, ხოლო სურათზე, რომელმაც ფერფლად აქციო მისი გული, საქართველოში დატოვებული ხატოლო.

ზემოთ მოტანილ სტრაქონებს მოსდევს კვლავ რეალობის შემსყველი ფრაზა: „სიტყვები არავის გაუგონია“, რომლითაც მთავრდება ნაწარმოები. და აი, ასეთი მონაცყელობა ნოველის შინაარსის „რეველუბრიციზმის“ და „არანეველუბრიციზმის“ მეტ დამაქრებლობას ანიჭებს უკანასკნელს და ამით კიდევ უფრო ეფექტურს ხდის მის ზემოქმედებას მკითხველზე.

საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ნოველის უკანასკნელ აბზაცებში ინტონაციური მახელები სწირდება, თხზულების ტონი სულ უფრო და უფრო მდელდარე და ნერვიული ხდება, რაც ნაწარმოებში კოხიციტ-ძახილის და ძახილის წინადადებებთანაა გამოხატული.

ამგვარად, განსხვავებით ნ. ლორთქიფანიძის სხვა ნოველებისა, კერძოდ, „თავსაფრიალი დედაკისა“ და „ტრაგედია ფემირილ“ ნ. ლორთქიფანიძეს ამ ნოველის სოუეტატურ შინაარსში „რეველუბრიციზმის“ გვერდით შემოაქვს „არანეველუბრიციზმის“, ფანტასტიკურობაც, როგორც მძაფრ გრძნობათა ცხოველი გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება.

საზოგადოდ, „გულში“ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ, რაც შეიძლება, ცხოველად იქნეს გამოხატული სამშობლოს გარეთ მყოფი ადამიანის ტრაგიზმი.

ასეთვე ნ. ლორთქიფანიძის ერთნულ მოტაცებე დაწერალი თხზულებანი, რომელთაც შეტად თავისებური ადგილი უჭირავს ქართული პროზის განვითარების ისტორიაში.

ჩვეულებრივ, ქართულ მწერლობაში ეს თემა — სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეის

გამოხატეთაა გაშუქებული (ვგულისხმობთ, პირველ რიგში, ეპიკური ფანრიის თხზულებებს: „დაპირი თავდადებულ“, „ნათელა“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაბტრიონი“, „ბაშო-აჩუკი“, „გმირთა ვარაძე“ და სხვ.). მსგავსმა შენაარსმა განაპირობა ამ თხზულებათა მსგავსი ფაბულური სქემებიც: ქართული ვაჟაკები გმირულად იბრძვიან სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ტრადიციულად ამ ასპექტში შუქდება პატრიოტიზმის თემა ქართველ მწერალთა პოეზიებასა თუ პროზაულ ნაწარმოებებში.

ნიკო ლორთქიფანიძე კი აცდდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაბატონებულ ხაზს ქართულ პროზაში და ერთგვარი სიახლე შეიტანა ეროვნული მოტივის დამუშავებაში: მან სამოქმედო ასპარეზზე გრძნობები გამოიყვანა. გრძნობაა ნ. ლორთქიფანიძის აქ განხილულ თხზულებათა ერთდერითი შინაარსი და შთის წამყვანი პერსონაჟიც. სევდა, უკმაყოფილება, აღშფოთება, პროტესტი, სირცხვილი, სიძულვილი, იმედი — აი, მის პროზაულ ნაწარმოებთა მოქმედი პირები. ამ გრძნობათა გამოხატვით შეაგონებდა ნ. ლორთქიფანიძე რეაქციის მძიმე წლებში თავის თანამემამულეებს დაუძღვევლ სიძულვილს მონობისადმი, თვითმპყრობელური რეჟიმისადმი და ამავე გზით უღვივებდა მკითხველს ბრძოლის სურვილს. ამაში მდგომარეობს

ნ. ლორთქიფანიძის ლირიკულ ნაწარმოებთა დიდი მოქალაქეობრივი მნიშვნელობა. საკითხისადმი თავისებურად მიდგომის ნ. ლორთქიფანიძეს თავისებურივე მხატვრული ხერხები მოაქვნიდა: ლირიკულად აგებული ფაბულა და სიუჟეტი, ლირიკულად განხორციელებული პერსონაჟები, გარემო და ბუნების სურათები; სათანადო განწყობილებათა გამოწვევა ტექსტში ისტორიული და ბიბლიური პირების შეყვანით, ქარბად მოცემული ქაბატექტები, კონტრასტები, აქცენტირებული სიტყვებისა თუ მონაკვეთების განმეორებაში, შინაგანი რიტმიზაცია, ფრაზებისა და სიტყვების თავისებური განლაგება, ინვერსია, არქაიზმი, გაბმობრივი მრავალწერტილები, კითხვითი და ქაბილის წინადადებები, ეფემერული სახვითი საშუალებანი, ხან შინაგანი მღელვარების გამომხატველი ნერვიული ტონი, ზოგჯერ აწვეული პათოსი, ხან კი თბობა ხაგანგებოდ დაწვეულ ტონში, საზოგადოდ, ინტონაციური მხვილების განსაკუთრებული ხაზგასმა — აი, ის ხერხები, რომლებსაც მიმართავს ნ. ლორთქიფანიძე ეროვნული გრძნობის განსახორციელებლად. ასეთია ნ. ლორთქიფანიძის, როგორც მხატვრის, ამოუწურავი შესაძლებლობანი ერთი კონკრეტული თემის დამუშავების ფარგლებში.



თბილისი
 უნივერსიტეტი
 ფილოლოგიის
 ინსტიტუტი



დინასტიის აღსასრული

სერგი ჭილაის სახელი დღეს არ გამოიჩინა. სამწერლო ასპარეზზე. თითქმის ოთხი ათწლეული წელია, რაც მას ვიცნობთ, როგორც ქართულ საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო მკვლევარს, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს. ამასთან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი, წლების მანძილზე „მტერებს აცლიდა არქივის საბუთებს“, რათა მხატვრულ კრიონიკაში გაეცოცხლებინა ჩვენს წინაშე ერთი დიდი ქართული გეარის — დადიანთა გეარის ისტორია XIX საუკუნეში. და აი, ზედვიხედ გამოვიდა ორი წიგნი: „ეკატერინე ჭავჭავაძე“ და „შვილები“. ბუნებრივია, რომ ერთი საგვარეულოს, და მით უფრო სამეგრელოს მთავართა საგვარეულოს თითქმის საუკუნინი ისტორიის ჩვენება ისე არ მოხერხდებოდა, რომ იმ დროის სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების მრავალ ფაქტს ამ მოვყარა თავი, ორივე თხზულება შეიცავს მრავალ საინტერესო, დღეს მივიწყებულ ფაქტს ამ ხანის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ძირითადად ეს ფაქტები საარქივო მასალების, ეპისტოლარული მემკვიდრეობისა და პრესის მონაცემებს ეყრდნობა, აქლადაკვლ მიხედავთ ავტორი მოვლენებს, თითქმის თარიღების მიხედვით აღაგებს და ასე ქმნის თავის „კრიონიკა“ წოდებულ ნაწარმოებებს.

რომანი-კრიონიკა, ანუ პირდაპირ კრიონიკა ისტორიულ-მხატვრული პროზის ერთ სახეობას წარმოადგენს. იგი იმით განსხვავდება ისტორიული რომანისა თუ მოთხრობებისაგან, რომ არ მოითხოვს სიუჟეტურ ხლართებს. მწერლისთვის ფანტაზიას ნაკლები როლი ენიჭება დოკუმენტურ მასალებთან შედარებით და ნაწარმოებებში აიკვება, ძირითადად, ეპოქის ძირეული, მამოძრავებელი მოვლენების კრიონოლოგიური თანმიმდევრობის ჩვენების პრინციპებზე.

საქართველოში რომანი-კრიონიკას არც ტრადიციის გააჩნია და არც რაიმე ღირსშესანიშნავი ნიმუში. როგორც წინას, ქართული კაცის, კერძოდ, ქართველი მწერლის მიმართება წარსულთან შედამ სცილდებოდა სიხუსტისა და დო-

კუმენტურობის ჩარხოს. სწორედ ამის გამო, იმთავითვე დიდი უფრადლება მიიპყრო ს. ჭილაის ქვე „ეკატერინე ჭავჭავაძე“, ხოლო შემდგომ — „შვილები“.

„ეკატერინე ჭავჭავაძე“ უკვე კარგა ხანია შეიქმნა მკითხველთა ფართო წრე და აღიარებაც მოიპოვა არა მარტო ქართველ, არამედ რუს მკითხველებსაც გულს მოხვდა ქართველ პოეტთა მუხის, საქართველოს უმშვენიერესი ასულს — ეკატერინე ჭავჭავაძის ტრაგიკული ისტორია.

როდესაც „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა „ეკატერინე ჭავჭავაძის“ პირველი ნაწილი, საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი მუგობარი ნიკალოზ ტიხონოვი სერგი ჭილაის სწერდა: „რომანი რომანტიკულ დროთა შესახებ აღსავსა პოეტურ სერათებით და იკობება შეუნელებელი ინტერესით. ყოჩაღ, სერგეი ესტაბეს ძე! მიიღეთ გულითადად მადლობა ძველი კავკასიელისაგან“.

ხოლო ბორის პოლევოი, წიგნით მიჩნობული სიამოვნებისათვის, მადლობას უხდოდა ავტორს: „მე ძლიერ მიყვარს საქართველო. მაგრამ ჩემება სამარცხენოდ, მე არც ისე კარგად ვიცი მისი ისტორია. თქვენმა წიგნმა გამიხსნა სარკმელი, რათა დამენახა გასული საუკუნის დასაწყისის საქართველო, დამეხმარა იგი უკეთ გავეცნო და უფრო მეტად შევეყარებინა თქვენი ვან-საეფრებელი ხალხი“.

ეკატერინე ჭავჭავაძის ცხოვრება რაღაც სიმბოლურ სახეს ატარებს ფეოდალური საქართველოს ისტორიის წარმოდგენისათვის. ფუფუნება, თავნებისევა, გაროზი სიამაყე... შემდეგ კრიზისის დასაწყისი და გამოსვლის შიგნა, ტაბის შენარჩუნების ამოცანები... პეტერბურგი, პარიზი, დაკუმბოლი სადადიანო... მწარე შეგნება საკუთარი კრახისა, იმედისა და სასოწარბვეთის მონაცვლეობა... სავერჯელი პირშიის აღზევების უსაფუძვლო რწმენა...

დამოლოს, დედოფლის სიკვდილი. ესაა ფეოდალური ეპოქის დიდების დასასრული. ამის შემდეგ წაღწალებულნი ეჭიდებიან წარსულის ხავსს, რომლის ბერძენი რომანოვების ძირშემბალი სახლია.

* ს. ჭილაი — შვილები. გამოცემლობა „მერანი“, 1973 წ.

აქედან იწყება ქრონიკის მეორე ნაწილი — „შვილები“.

პირველსავე სტატიებში იგრძნობა განწირულების ატმოსფერო. პირველივე სიტყვა უბრალოდ დარჩენილი მიწებულსკისა ამ განწირულზე მეტყველებს:

„რა ეშველება ახლა ჩემს ოჯახს, აა?“

ერთი შეხედვით, ნიკო უნიათო კაცია, საწყლად ქველმოხრილი გარემოებათა წინაშე. მაგრამ მკითხველი კარგად გრძნობს, რომ აქ საქმე პიროვნულ თვისებებში არ არის, ნიკოს არაერთიანი საშუალება არ გააჩნია გარემოებებთან ბრძოლისა, რადგან ეს გარემოებანი თვით ისტორიისა და მისი უკომპრომისო განაჩენი, თუ ეკატერინეს ცხოვრების ჩვენებას თან ახლავს ის რომანტიკული სამოსი, რომელსაც როგორც ჩანს, წარმოქმნის თვით ამ ულამაზესი და უღიფთესი ნებისყოფის ქალის შარავანდედი, „შვილები“ ყოველდღიური მკაცრი პროზაითა გაპირობებული.

ნიკო ესაუბრება ეკატერინეს ლინდს. აქ თითქოს გარდასული საქართველო ემუდარება აწმყოს — ალაღვინოს ის, რაც მისსავე დროს დაინგრა, ხელი აწეოთ სასოწარკვეთით აღიარებს თავის უძღვრებას:

„— მე ისე წყველ თქვენგან, საწყლადი ვერ ავისრულდი, წარმოებული ტახტი ვერ დავიბრუნე... უნდადგარი იღონე და ტახტი დაიბრუნე...“

— დედაჩემო, დედა-ბატონო, მთლად ეშწო გავხდი შარტოდ შთენილი. შენ, შენ მოგმართავ ამ შარტობის ვაშს, დღღოფალო, შენ მიკარნახე, შენ ჩამაგონე, როგორ მიეცეთ, რითი ეშწევილი ჩემსა მამულსა, ჩემსა ოჯახსა აწ განწირულსა მთლად დასაღუბად, დედაჩემო, მიწვეფე გზა ხსენსა, მასწყველე, რა გზას დედადგე, რითლა ეშწევილი შენგან შარტოებულ სამთავროს“ („შვილები“, გვ. 17).

გზას, ამ გზის ჩვენებას თხოვდა ნიკო, მაგრამ გზა არ იყო, თავისი დროის ამ უგანათლებულსა ადამიანმა, რომელიც პეტერბურგსა და პარიზში სწავლობდა, იცოდა ექვსი ენა, ბრწყინვალედ ერკვეოდა მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების დაბრუნებებში, თავის პატარა სადღიანოში ვერაფერი გავარჯა და არც შეიძლებოდა გავიარებინა.

ნიკომ არა თუ ვერ დაიბრუნა ტახტი და ვერ შეაერთა დაშლილი სადღიანო. თავისი მამულების გაყიდვა-გაგირავებით მიტერიადური სახსარი გამოაცალა საკუთარ სამკედროს. „შვილები“ სწორედ ამ ეპიზოდით იწყება, როდესაც პეტერბურგს წასასვლად შემზადებული ნიკო ფულს მდღიური ქალების გაყოფით შორდობს. ზალის ფასად იყიდება მამულები, მაგრამ ნიკო ხვალნდელზე არ ფიქრობს. მთავარია, ფულს იშოვოს სახარფო ფული.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოებულ ქრონი-

კის ხასიათს ატარებს, მწერალი ახერხებს ტიპიურობამდე აიყვანოს ნიკოს სახე. ანუ გვინდა არა შარტო როგორც კონკრეტულს შარტოებს, არამედ როგორც თავისი საუკუნის მოქალაქე.

ნიკო დადიანის პიროვნებაში შეეროებულია განათლებული მოქალაქის საზოგადოებრივად მალაღრიგებული ქნედებაც და კატასტროფის წინაშე მდგარი ფეოდალის ანგარება და მხვეპელობაც.

როგორც კულტურულმა პიროვნებამ, ნიკომ კარგად იცის განათლების მნიშვნელობაც და სულიერი კულტურის ძველთა ღრუნებებაც და ამ მხრივ დიდდაც ვაილო ხელი: მის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის დადიანთა ფასდაიდებული ბაბლიოთეკის შეწირვა სენსაციურ მოვლენად იქცა. ვახუთება ფართოდ გამოეშვარნენ ამ ფაქტს. ბევრმა მიხება ნიკო დადიანის მამულიშვილურ მავალთს. აღსანიშნავია ნიკოს მიერ მშობლიურ სოფელში დაშწარი სკოლის სადაცლო შენობის აგებაც, საკუთარ სახლში შინაური აფთიაქის შექმნაც (სხვათაშორის, წამლებს უსასყიდლოდ არიგებდა).

ფულითა თუ საკუთარი გავლენით ნიკო დადიანი დაეხმარა მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივ ეკონომიურ წამოწყებას საქართველოში. ასეთი იყო ქართულ საგლობელთა ჩამწერა ექსპედიციის ფუნდამენტის შექმნა, თუ ზეგულ-ფოსიის ტერიტორიის გაყვანა, სკოლებზე ხრუნეა თუ ქობების ამოშრობის საქმეში მონაწილეობა.

მეორე მხრივ, ნ. დადიანის მიერ გულგებნი ყველგა სასამართლო პროცესები გულგებნიად იდგომამებულს გამო, გუთთავებული დედა დათინ დედისეული ნივთების გაყოფაზე, უმცროსი მისი უწილოდ დატოვება და სხვა, აშკარად გეხებათათებს ფეოდალს, ისიც კიზისის წინაშე მდგარს, ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ ფეოდალის ფსიქიკა ვერ ურავლება შეცვლილ დროებას. ნიკოს უნდა იცხოვროს ისევე ხელგაშლილად, ფანტოს ფული ისევე უანგარო შოდ, როგორც ცხოვრობდა და ფანტავდა სადადიანოს სიმტკიცის ხანაში. ვერაფეთარი შემოსავალი ვერ აუღის მის ხარჯებს, მაგრამ ნიკოს სხვაგვარად არ შეუძლია ცხოვრება. ტიპიურია ფეოდალის მის ამ უგანასენელი ნაშეგრის ვახრწინლი ბუნებაც: ლითობა და ერთგომანია.

ტიპიურია ნიკოს სიციცხლის დასასრულიც: ხელმოკერულს პოლიტიკურ ასპარეზზეც და ოჯახურ ცხოვრებაშიც, მას იმის იმედი აღარ რჩება, რომ მისი შვილი შინც ასცდება მისსავე ბედს. არც შეიძლება დარჩეს, რადგან ამის საფუძველი თვითვე გამოაცალა: უკულმართი გზით წარმართა შვილის აღზრდა-განადგულება.

ბევრის მოქმედი ეპიზოდი, როდესაც მამის გასვენებაზე ჩამოსულ ნიკო-უმცროსი უფის სხეულზედაც არა აქვს, რომ ორიდევ უმარტავდეს,

ქართული ფრანხთ მადლობა უთხრას ამ საზოგადოებას, რომელმაც ესოდენ დიდი პატივით დაკრძალა მამამისი.

სიყვდილის წინა ხანებში ნიკო-უფროსმა მწარედ განიცადა თავისი შეცდომა: „მე ახლა მხოლოდ ჩემს ნიკოს შევეყრებ იმედის თვალთ, ვგებ მას ასეღეს ჩემი ბედი, მაგრამ არც ეს მწერა. არა მწერა იმიტომ, რომ უცხოობაში ბედნიერება არც უნდა ეძიო...“

— დიხს, უბედურმა ჩემმა შეიღმა ვნაც არ იცის მშობლიური და ამა როგორ და რით გამოადგეს თავის მამულსა“ (ჩქვე, გვ. 161).

წაწარმოების ერთი კარგი პასუხთავანია ნიკოს ე. წ. „დაუწერელი წერილები“. უფრო ზუსტად, პეტერბურგში ჩაჩენილი, განკატეხილი, ასაქმი შესული კაცის მწარე ფიქრები. ესაა თვალის გადავლება თავის ამაოდ გავილ ცხოვრებაზე, დაფიქრება თაობათა ურთიერთობაზე, ოჯახის არსზე, კაცის დანიშნულებაზე ამ ქვეყნად... და უველგან ამსოღებური უსასობა, ყველგან დამსხვრეული იმედები.

„ეს აქ პეტერბურგში ევებები ოჯახურ ბედნიერებას — ვერ ემაოვე იგი. აქ მპირალებოდნენ ტახტსა და დიდებას, გამიცრუება იმედი, ტყუილი გამოდგა ყველა შეპირება. რა ვარ მე ახლა, ოცნებადამსხვრეული, ლოკინად ჩავარდნილი, ეველი და უთვალტომო“ (ჩქვე, გვ. 161).

ნიკო დადიანისა და მისა კლასის ტრაგედია, მართალია, ძირეული, მაგრამ მინც ერთი მოტივია „შეილებისა“. დანარჩენი, ერთი შეხედვით, ფონი წაწარმოებისა, მოიცავს მრავალ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხს, რომელიც XIX საუკუნის ორი უკანასკნელი ათეული წლისთვისაა დამახასიათებელი. პირველ რიგში, ესაა ციხიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მომსაყრება საქართველოში — სკოლებში ქართული ენის აკრძალვა. მეორე მხრივ, აქაა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლას შემაირახტრენი საქართველოში — ილია და აკაკი — ვერ კიდევ ფლობენ ცხოვრების სპეცს და ხალხის უდიდესი სიყვარულთა და პატივისცემით სარგებლობენ. აქაა, რომ მათი ავტორიტეტი შეურყეველია, ჩამდენადც ეროვნული თავისუფლების იდეა ქართველი ხალხისათვის ვერ კიდევ მწიავე პრიბლემად დგას.

აკაკის პატრიოტული სიტყვა აწილ მიუბრტის — დადიანს სიძის დაკრძალვაზე და საზოგადოებისა რეაქცია ამ სიტყვებზე — ამ ფაქტის ურყუარი საბუთია. ისიც აქაა, რომ ეროვნული იდეა კარგა ხანია აღარ წაწარმოადგენს ერთადერთ საზოგადოებრივ იდეას. რაც, ერისთავის იტბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებში კიდევ ერთხელ ცხადჰყავს, რომ საზოგადოების მოაზროვნე წევრებში მძაფრად იდეოლოგიური განხეთქილება იკრძნობოდა. ამ განხეთქილებაზე ნახვამით აღნიშნა, რომ რ. ერისთავის პოეზიას მძაფრი სოციალური ედე-

რადობა ქონდა, რომ პოეტის ექვეყნებულ შეიღი ძალით გამოჩნდა დანიავრულად „დაწმენტილს“ — სესისი, ტეტრას, თანდილას მწარე ჩაფიქრება და მოთქმა.

რაც, ერისთავის სიიბილეთ სტამბოზე გამოვლინებული იდეური განხეთქილების ლოკიკურ ვაგრძელებას წარმოადგენს თავი „გადაუნახული დროშის მცველი“. ამ თავს წინ უღლვის ნიკო დადიანს ჩამოსვენებისა და დაკრძალვის ცერემონიისის სავალდ ფართო აღწერა, და ეს ლოკიკურთა: ფეოდალური საქართველო პატივთა და დიდებით ასაფლავებს თავის უკანასკნელ ბერცს. დასრულდა ყოველგვარი დინასტია, იწყება ახალი ერა. ამ თვალსაზრისით, აღხულებლის ორი ზემოთ ხსენებული, ერთმანეთის მომდევნო თავი ორი ეპოქის მკვეთარი გამოყენის ჩვენებას ემსახურება, მართლაც, საქართველოს არ გაუვლია კაპიტალიზმის ეპოქა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თუ რუსეთის იმპერიალიზმს ლენინი უწოდებდა რუსტეტს რკული ამპერიალიზმის წიქვეში, იმპერიალის შორეულ რაიონებში, მათ შორის საქართველოშიაც, კაპიტალიზმის სუსტი ლეროები და ფეოდალიზმის ნაშთები ერთად მოკინობდნენ, ერთმანეთს ზღვს უშლიდნენ და არცერთს არ ქონდა იმდენი ძალა, რომ მოპირდაპირე მოესპო. ფეოდალიზმს უკვე გამოლოდა ღონე, კაპიტალიზმს — ვერ ვერ მოეკრეფა. საქართველო ნახევრადფეოდალური, ნახევრადკაპიტალისტური ფორმაციიდან პირდაპირ რვეოლუციის გზას დაადგა ესაა ერთი მავალითა საზოგადოებრივი ფორმაციების დაჩქარებული განვითარებისა. იმიტომაც, რომ დადიანების სამკვიდროდან ასე უეცრად გადავივართ მწერალს რკინიგზის მუშათა ოჯახში — გვიე ვავამკორის ოჯახის ატმოსფეროში, ეს ოჯახი ციხიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების მსხვერპლია. გვიცვა და მისი მუველუც რვეოლუციური მოღვაწეობისათვის გადასახლეს. მათი ერთადერთი გოკონა, „ნაადრევეად დაბრუნებული“ იხა დარდისგან დათავიდეყოფდა და თხუთმეტი წლის ასაკში ვარდაიცვალა კოდეც. პიროვნული და საზოგადოებრივი გულისწყრომა ერთმანეთს ევაკება და გვევაკრებზის დაუცხრობელი შერისძიების სურვილიც მძაფრდება. გვიისთვის სავსებით ნათელია, რომ დღეს უკვე შეუძლებელია ვილაპარაკოთ ერზე, როგორც ერთ მთლიანობაზე, რომ ერის ორა წაწილი სამკედრო-სამსიცოცხლოდ დუბირისპირდა ერთმანეთს და მზარდი პაროლუტარიატი სპრძოლველად იწევეს. ეს ახრი შესანიშნავი-და გამოხატული ვიეს მეკობრის, შესამდისეული გიორკის სიტყვებში: ერის აღება ისე ზოგადად, განურჩევლად, კლასობრივი და სოციოლური დაყოფის გაუთვლისწინებლად, უმარბებებლია ჩვენ ვველისსმობთ, რომ საზოგადოება კლსკებადაა დაყოფილი და მათ შორის ჩემი და ამაკაა ბრძოლა და ეს თვით ერთი

ერის წარმომადგენელთა შიგნით. ჩვენ იმასაც ვგულისხმობთ, რომ ამ დანაგრეულთა რიცხვი გეომეტრიული პროპორციით იზრდება და, ამავ დროს, შათი მოკაეშირე სხვა ერების ის დანაგრეული კლასი, რომელიც ისევე ებრძვის ბატონებს, მდიდრებს, მემამულეებს, კაპიტალისტებს“.

მართალია, ვიორჯი ფრანგმენტელადა წარმოდგენილი თხზულებაში, მაგრამ ესაა ერთი მათგანი, ვინც გვივ გაგვეკორთან, ოსიძის ქალსა და მრავალ სხვებთან ერთად იცავს გაღანიხელ დროშებს. ამ თაობის წარმოჩინებით დაასრულა თავისი ფუნქცია XIX საუკუნემ და ამ თაობისავე დეაწლით დაიწყო მოქმედება მეოცე, ანუ, როგორც თვით მწერალი წერს: „ასე დაიწყო ახალი საუკუნე საქართველოში, ყველაზე უმრწემესი, მაგრამ ყველაზე ურთულესი და მღელვარე, მეოცე საუკუნე“.

ამ საუკუნის მოვლენებს შეიცავს უკანასკნელი ოთხი თავი, სადაც ნიკო დიდიანიდან საღვთო ღაღანი-მიურატის ცხოვრებაზე გადავყავართ მწერალს. ესაა 1905 წლის გლეხთა მოძრაობა, აყენებულ გლეხთა თავდასხმა მიურატების სახლებზე, როდესაც მიურატები იძულებულნი გახდნენ შეესრულებინათ გლეხთა მოთხოვნები.

შემდეგ მდგომარეობა იცვლება. იწყება განხეთქილება გლეხების ხელმძღვანელთა შორის და რაზმების დაქსაქსევა, რეაქციის მიძლევა და აღნიანოვ-აფარსკის სასტიკი რეპრესიები გურიასა და სამეგრელოში.

რევოლუციური XX საუკუნე მაინც ძალას იკრებს და, მიუხედავად რეაქციისა, ახალი შეტევებისათვის ემზადება: „რეაქცია ზვიმობს თავის გამარჯვებას, მაგრამ იცოდეთ, ეს დროებითია, ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია“.

— ...ხომ ამოვარდა ქარიშხალი ეს ჩვენი საუკუნის ქარიშხალია. ჩვენ იმ ქარიშხლის მოციქულნი ვართ. მოვა დრო და ისევე ამოვარდება ეს ქარიშხალი. მის ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს“.

ასე მიმართა ვივი გვეკორმა თავის რაზმელებს და ამ მიმართვაში გაისმა ის დიდი რწმენა და გაბრძნობა ნება, რომელსაც უნარი ჰქონდა კვლავ გაეგრძელებინა ბრძოლა.

ამ ნაწილის ერთი საუკეთესო თავია „წიწი-მტრში რომ მოკლეს ილია“. ესაა ამ ერთგული უზედრების განჩირეკა და მსყაერდება თანამედროვის თვალთ. ესაა დიდი ეროვნული ტივილით შეერთებული ქართველი ხალხის ერთიანი გლოვის შესანიშნავი წარმოსახვა.

თხზულებას მეორე მონაცემის ცენტრალური ფიგურაა ეკატერინე ჭავჭავაძის ქალი, საღვთო მიწატი- ოფსილაც, რომე ეკატერინემ თავისი თავის ბედი ურანგულად სსაფეო შტოს

წარმომადგენლის ბედს შეუერთა. ღრუმიმედს იმყარებდა ამ აღიანსზე, რამდენადღე, შიგნითა რით, საღაღიანოს მტკიცე საყრდენს უქმნიდა. მაგრამ ეკატერინემ არ იცოდა (და არც შეიძლება სყოღიოდა), რომ სამეგრელოს ერთი სამთავროს აღდგენისათვის არც ბერბონები შეიწუხებდნენ თავს და არც შათი მემკვიდრენი, და, მეორეც, რომე შეეწუხებინათ, ისტორიის მდინარეს აღმა სვლას გერ იძულებდნენ. ამიტომია, რომე საღვთეს ბედიც, ისე, ვით ნიკოსი, დაღმა მიექანება.

ისევე, როგორც ნიკო პირველ ნაწილში, საღვთევე საყმოდ სრულდა და ხელშესახებადა გამოკვეთილი. ესაა დედოფლურად ზვიადი, ძლიერი ნებისყოფის, თავის თავზე უზომოდ შეყვარებული ქალი, რომელიც ყველაგან და ყველასაგან თავიანისცემასა და უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს. ეს ქალი, თავისი პირადი ადგილით საზოგადოებაში და თავისი განათლებული და დიდგვაროვანი მუღლის წყარობით, ბევრი პროგრესული ნაბიჯის მოთავე გახდა. „საღვთეს თვალსაჩინო ადგილზე ეყავა საზოგადოებაში, — ამბობს მის შესახებ თავადი აღშემაია, — მან მარტო პირველი ორთქლმაღალი ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი ვი არ შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში, არამედ ნათესაობითა და ნაცნობობით პირდაპირი კავშირი გააბა საფრანგეთთან. მასთან მოდიოდნენ მწერლები და მეცნიერები, გენერლები და არტიტები, ინჟინრები და აგრონომები... და გულთ, გაშლილი ზელით ვეგებებოდა სტუმრებს პრინცესა“.

საღვთეს შტო, ისევე, როგორც ნიკოსა, ნადავს მოწვევებოდა. მისი ორივე ვაჟი საფრანგეთის ქვეშევრდომია, მაგრამ ერთი, უმცროსი — ნაპოლეონი პეტერბურგში ცხოვრობს, ხოლო უფროსი, ლუსიენი, ძირითადად სამეგრელოში. შესანიშნავად ახასიათებს მათ მწერლისეული ორი ამბავი. ნაპოლეონმა რუსეთ-იაპონიის ომში მიიღო მონაწილეობა. მწერალი აანალიზებს ამ მოვლენას: „ეკავა რომ თქვას, რა იშეებდა საფრანგეთის ქვეშევრდომს რუსეთის მუღის გარშემო პატრიოტიზმი? — არა. ასეთი გარძნობა საფრანგეთის ქვეშევრდომს არ ექნებოდა, არც საფრანგეთი იყო დაინტერესებული რუსეთის გამარჯვებით.“

ოკდაათ წელს გადაცილებულ ამ მამაკეს არავითარი ერთგული თუ პოლიტიკური იდეოლოგი არ გააინია, მისთვის ომში მონაწილეობა ვაეკაცობისა და თავის გამოჩენის საშუალებაა, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მის სამშობლოს ეს ომი არაფერს არგებს. მაგრამ საქმეც

ნსა, რომ ნაპომ ორ სამშობლოს შორის ჰქმნას რიტი სამშობლოს შეგრძნება დაცარა და დარჩა ძირკვადრებული წერტილი.

ამას შესანიშნავად გრძნობს მისი რძალი, ფრანგი ქალი შარი, როდესაც თავის ქმარს ასე ახასიათებს: „თითონაც არ იცი კარგად, რომელი სამშობლოს შვილია. დიად, ის, ვინც ორ სამშობლოს ეპოტინება, ვერც ერთს ვერ შეიყვარებს გულთ“.

ამიტომაც, რომ ეკატერინესა და მისი შვილების ზეადი ოცნებანი და ეროვნული მიზნები არც ნაპოსა და არც ლესაუნს აწუხებს, ისინი მხოლოდ ინსტინქტურად გრძნობენ საკუთარ უნადაგობას და ასევე ინსტინქტურად მიჰყვებიან დინებას.

ლესიენის შვილი აშლი ქმრისაგან მოძულეებულმა მარიმ საფრანგეთში წაიყვანა, და რასაკვირველია, ფრანგულ მიწას დაბრუნებული მიფრატა სამოლოდ გაფრანგდა და მისი რვა შვილი, მიუხედავად ქართული სახელებისა, ქართველები აღარ იყვნენ. ნაპო უცოდშვილად გადაშენდა. ასევე არ ჰყავს მემკვიდრე სალომეს ქალიშვილს ანტუანეტას (ბებე).

ეს შტო ფიზიკურადაც ამოიშრიტა. ეს რეალური ფაქტია, მაგრამ ამავე დროს სიმბოლურაც.

ეკატერინეს სამი შვილის არცერთი შთამომავალი არ შერჩა საქართველოს. მეტიც, არცერთის საფლავი არაა საქართველოში.

მოვიდა ახალი ხანა, დაიღუპნენ და გადაშენდ-

ნენ დინასტიები. სრულიად ახლებელთა ცხოვრების საკვსთან. მკვრამე წინასწარს ლანდი, თავისი კარგითა და ავით არასოდეს ეძლევა დავიწყებას. წარსული ჰქვებავს აწმუოსაც და მომავალსაც. არასოდეს არ იბნება დღის წესრიგიდან კითხვა: საიდან მოვდივართ და საით მივდივართ?

ისტორიულ თხზულებას მხოლოდ ეროვნული გრძნობა და სიამაყე აწერინებს მწერალს. ასეა ამ შემთხვევაშიაც. თავისი წიგნით, „შვილები“ ს. ჭილაიამ თანამედროვე მოქალაქის თვლით გადახედა წარსულს. იპოვა მასში ნერგი, რომელიც აწმუოს ტანმაგარ მუხას წარმოქმნიდა და ვეიჩვენა, როგორ იყვლევდა ეს ნერგი გზას მზისკენ. მაგრამ, ამავე დროს, მწერალმა გვიჩვენა წარმავალის კვდომის ის დიდი ტრაგედია, რომლის გარეშე არ იბადება აწმუო. ორივე შემთხვევაში თავისი ქვეყნის სიყვარული ამოძრავებდა მწერალს. აკი თვითონაც ამას გვეუბნება თავისი თხზულების ბოლოთქმამთ:

„სამშობლოსა და გულის კარნახით ეწერდი ამ წიგნებს. ძველ მემატიაგნეთა დარად შეუერთი საბოგარი მამეს: თუ რამ შეეცოდებ, შეშინდეთ, ზემო ბეურის მომთმენო მკითხველო. ამას კი თამამად ვიტყვი, რომ ზვენი საერთო საფიცარის — საქართველოს უანგარო სიყვარულმა დამაწერინა ეს წიგნი“.

3. ცინკარძე

შემოქმედის მართალი სახე

გაქონებულმა „ახლოვნებამ“ ახლახან გამოქვეყნა თეატრმოდნე ნინო შეანგორაძის გამოცდევია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის თამარ ჰვაჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს, ეს მონოგრაფია უსათუოდ გააბარებს ზვენი თეატრის ყოველ თავიანისმკემელსა და მოქმედებულს.

წიგნით შეანგორაძე: „თამარ ჰვაჭავაძე ახლოვნება“, 1978.

ნინო შეანგორაძემ საქმის კარგი ცოდნით და გულისხმიერებით შეისწავლა დიდი მსახიობის მიერ განუღილი საკმაოდ რთული შემოქმედებითი გზა. აეტრობი მოგვითხრობს ამ თავისებურ, სისხლსაყვს და მართალ მშატერულ სახეებზე, რომელნიც თამარ ჰვაჭავაძის სცენაზე შეუქმნია.

ნ. შეანგორაძე ხაზგასმით აღნიშნავს მსახიობის შემოქმედების განრობრივ მრავალფეროვნებას, ქრონოლოგიის დაცვით თანმიმდევრუ-

ლად გვაცნობს ყოველ სახეს, დიდ მსახიობს რომ შეექმნია. წიგნში გამოყენებულია მსახიობის დღიურები, რომელშიც ავტორს ბევრი საინტერესო რამ ჩაუწერია ამა თუ იმ როლზე მუშაობის დროს. ჩანაწერებში აღბეჭდილია მსახიობის ფიქრები და განცდები, სცენაზე დიდ ვიარტებთან შეხვედრისას რომ განუცდია.

ნინო შვანგირაძის ნაშრომის მეოხებით, თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებასთან ერთად, ჰეიზელეი ქართული თეატრის ისტორიის დიდ მონაცვეთს, მისი არსებობის საბჭოური პერიოდის გაკვეთელ მონაცვეთს ეცნობა; საინტერესოდია მოთხრობილი თეატრის რეპერტუარის, სპექტაკლის ავტორების, რეჟისორების, მსახიობების პარტნიორების შესახებ.

თამარ ჭავჭავაძის ცხოვრებისა და სასცენო შემოქმედებითი გზა ადვილი არ ყოფილა; როგორც ყველა შემოქმედს, მასაც განუცდია სიხარული თუ მარცხი. ეს დამახასიათებელია ყოველი დიდი მსახიობის ბიოგრაფიისათვის და ამ შხარც თ. ჭავჭავაძე გამონაცდის არ წარმოადგენდა.

ერთ ვარემოებასაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება: თ. ჭავჭავაძის სასცენო ცხოვრება ასე აეწყო, რომ მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა ჰყოლია საყუთარი, მუდამ მის გვერდში მდგომი რეჟისორი. ასე იყო თეატრში, ასე იყო კინოშიც. თეატრი კოლექტიური შემოქმედების ასპარეზია, ოღონდ რეჟისორი უპველად უნდა იყოს ყოველი ნიჭიერი მსახიობის განსაკუთრებული გულშემატკივარი, მით უმეტეს, თუ მსახიობი ბუნებით მოკრძალებულია. თუ თეატრში ასეთი სიტუაცია არ არის, დიდ მსახიობსაც შეიძლება გავჭირდეს, ან სულაც გზას ასდგეს.

ყველაზე საუკეთესო კი ის არის, მსახიობს მისი ნიჭისა და ინდივიდუალობის შესაფერი როლი შეხვედეს და, თანაც, საჭირო რაოდენობის რეპერტუალები ჩაატაროს. პარადოქსად არავის მოეჩვენოს: მსახიობი რაც უფრო დიდი ნიჭით არის დაჯილდოებული, მით უფრო მეტი დრო სჭირდება მას სახის სრულყოფილი ვახსენისათვის.

თამარ ჭავჭავაძე იყო უნიკალური და უნივერსალური ნიჭის არტიტი და, ამასთან ერთად, მშრომელი, მუშა ადამიანი: ყოველ დღესა თუ პატარა როლში თ. ჭავჭავაძე მუდამ ეძიებდა სახის შთავარ იდეას, ყველაზე უფრო და-

მასასაბუბელ ნიშნებს, ამიტომ იყო რომ არასოდეს ცდებოდა, ზუსტად მიავხვდნო სოლუციამა თუ იმ როლის გასაღებს.

თამარი ბუნებისაგან უხედა იყო დაჯილდოებული ტრაგიკული მსახიობის ნიჭით. ამაზე მეტყველებდა მისი ტემპერამენტი, აღზნების უსწრაფესი უნარი, განუმეორებელი სიძლიერის და უსაზღვრო დიამაზონის ზმა, რომელსაც ის მუდამ თავისუფლად ფლობდა. თამარის დიდი მსახიობური ინტელიცია ჰქონდა, მეტყველი ეესტი, სისიდავე, პლასტიცრობა. ბუნებაში ხომ შესანიშნავი გარეგნობით დააქილდოვა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ვარდა, თ. ჭავჭავაძეს ამასაბუბედა სილაღე, სიმუბეჭე, იუმორი და უშეალობა.

ტრაგიკული იყო თუ კომიკური მისი გმირი, მსახიობი ორგანულად ვერ იტანდა სენტიმენტალობას, მანერულობას, იაფფასიან ეფექტს, დიდი ნიჭი მას შესაძლებლობას აძლევდა ადამიანურა, მართალი ყოფილიყო ტრაგედიაშიც და კომედიაშიც. იგი ორივე ეანრში ერთნაირი წარმატებით თამაშობდა. ნ. შვანგირაძე მკითხველს აცნობს თ. ჭავჭავაძის ეანრობრივ შრავალფეროვნებას და იმასაც აღნიშნავს, რომ იგი შრავალფეროვნებაში თანაბრად ძლიერი იყო.

დაუფიწყარია თ. ჭავჭავაძის ლაურენსია ლოპე დე ვეგას «ცხერის წყაროში», რომელშიც მსახიობი პირველად გამოჩნდა მთელი მისი მდიდარი შესაძლებლობებით. მე მოწმე ვახლდით იმისა, თუ ამ სპექტაკლის პრემიერა, როგორ იქცა ახალი საბჭოური თეატრის დაბადების დღედ, სახალხო დღესასწაულად.

ნინო შვანგირაძე წერს: «ამ დიდი მოვლენის მნიშვნელოვანი მონაწილე თამარ ჭავჭავაძე იყო... მაყურებელს გამოყვია ცოცხალი და შესანიშნავი საზე ლაურენსიასი, რომელიც თამარ ჭავჭავაძის მიერ შექმნილი იყო დიდი ტემპერამენტით, ემოციურობით, ექსპრესიით».

ამის შემდეგ თამარ ჭავჭავაძემ სცენაზე ერთი მეორეზე უკეთესი სახეები შექმნა.

ნინო შვანგირაძე ჰეიზელეს ერცლად ესაუბრება თ. ჭავჭავაძის მიერ განსაბიერებულ ვიარტებზე, როგორცაა, მავალითად, სალომეა გომონენილი რეჟისორი სანდრო ახმეტელის მიერ დადგმულ ო. უალდის ამავე სახელწოდების პიესაში; შემდეგ აქ ლამაზაია ბეტრიტინი (შელის «ბეატრიტე ჩენი»), რომელიც წიგნის ავტორის სიტყვებით «მსახიობის ტრაგედული

რეპერტუარის გვირგვინად იქცა და მის ავტორს დამახტურებელი დიდება მოუტანა. შემდეგ ნინო შვანგირაძე სამართლიანად გამოუყოფს კერტიანის სახეს სარდუს პიესაში „მადამ სან-ფენ“ და სხვ.

სრულიად გარდასახული და განახლებული მოგვევლინა თამარ ჭავჭავაძე დიანას როლში (ლოპე დე ვეგას „სტევისთვის სულელი თავისთვის ჭკვიანი“, დადგმა რევისორ დ. ალექსიძისა). თამარი ლაღად დაფრინავდა სცენაზე, და მთელი მისი თამაში გამსჭვალული იყო ხალასი, ცოცხალი იუმორით.

წიგნში ცალკეა გამოყოფილი თ. ჭავჭავაძის მიერ შექმნილი გმირული, შეამბოხებ ხასიათის ქალთა სახეები. ეს გმირები თამარის მრავალფეროვან შემოქმედებაში პეროიკულ ტონალობას და დიდ მასშტაბს ღებულობდა. მსახიობი აზოგადებდა მათ, მოსაჯდა რა რევოლუციური ენებით და პოლიტიკური აქტივობით, წერს ნინო შვანგირაძე: ამ სახეებიდან ის განსაუხრებელი გამოყოფს ტატიანას (მ. ლავრენიევის „რდევიაში“), ლოლას (ე. კალაძის „როგორ“), გულთამაშს (მ. კაკაბაძის „ფერაყეარე თუთაბერი“), სვან ქალ ბაილის (დია ჩიანელის „ბაილი“), შარაშას (გერკელ ბაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“), დარიკოს („ნინოშვილის გურია“) და სხვ.

რომელი ერთი მოვიგონოთ თამარის გმირებიდან. აი, თუმცა მისი ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლაღატი“). ამ როლზე თერმე ის ახალგაზრდობიდან ოცნებობდა, და როცა შესაძლებლობა მიეცა განესახიერებინა იგი, მართლაც უმშვენიერესი სახე შექმნა. მისმა გულწრფელმა თამაშმა არაერთგზის მოხვედრა ცრემლი მათურებულს.

სცენაზე გამოსვლის წინ თამარი მუდამ ღელავდა: მისთვის, როგორც მსახიობისათვის, სახის გარეგნული ნიშნები მეორეხარისხოვანი იყო. თამარი უგრილოდ და უკონტროლოდ გარდაისახებოდა ხოლმე. რეკვიზიტს თითქმის აღარ აშჩენდა, ვმირის სახეზე მუშაობისას იგი საგნებსა თუ ნივთებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, ფიქრობდა, რომ მათურებლისათვის ეს არ არის მთავარი. მ. გორკის „ვასა ევლუნოვაში“, რეპეტიციების დროს, ხშირად ურეკვიზიტოდ, სარეპეტიციო სამუშაო კაბაში თამარი დრამატულ სცენებს ისე ემოციურად ატარებდა, რომ ზღენ, მისი პარტიზორები

აღუღებელი ვეუტრებდით მას. მასტრეს როგორ აღტაცებით უსმენდნენ მის რეპეტიციებს აკაი ვასაძე და აკაი ხორცეძე. რეპეტიციებით იმ წუთებში, როცა ვასა ევლუნოვა უკანასკნელ მონოლოგს წარმოსთქვამს, ეს იყო დიდი, ძალზე ამოღუღებელი შთაბეჭდილება. მაგრამ, სამწუხაროდ, პრემიერაზე მსახიობის ამ შინაგანმა ძალამ მათურებლად იმ სიმამრით ვერ მოაღწია, რადგან მანამდე უცნობმა რეკვიზიტმა გამოიღვანა მსახიობი მდგომარეობიდან და რასაც ვერცხვია, წაართვა მის სახეს ის ვადამდები აღზნების ძალა, რაც გვხიბლავდა ევლუნოვა-ჭავჭავაძეში რეპეტიციებზე.

თამარ ჭავჭავაძეს ევლუნოვას საზე ტრაგედიაში ამავედა, სინამდვილეში კი „ვასა ევლუნოვა“ — დრამა და რევისორ დ. ალექსიძისა ეს პიესა ასე ჰქონდა ვადამდეტილი, ამიტომ იყო, რომ სპექტაკლში ვასა კარგა ხნის მანძილზე თითქოს ეველა მოქმედ პირისაგან განსხვავებულად ცხოვრობდა. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ თამარი საეცებით დაეფულა ვასას დრამატული სახის ნიუანსებს, რეკვიზიტის სხვაგვარად მომარჯვა და სპექტაკლიც ახლებურად ადგურდა.

მოგონებებმა გამიტაცეს. დაუბრუნდეთ ისევ წიგნს. მკითხველი დარწმუნებული ვარ, მომხრეებსაც ასეთ გესკურსებს; აქ მინდა აღვნიშნო, რომ შვანგირაძე, სრულიად სამართლიანად, მაღალ შეფასებას აძლევს თ. ჭავჭავაძისეულ იოკასტეს (ლოდოკუსის „ოიდიპოს მეფე“). აი რას ვკითხულობთ წიგნში:

„მსახიობი მისთვის ჩვეული ტრაგიკული ძალით უჩვენებდა, თუ როგორ შლიდნენ იოკასტეს არსებას ვარდმოვანი, როგორ არევედნენ ისინი მის სულს. შართალია, იოკასტე ბედის ქარტახილის მსხვერპლი აღმოჩნდა და ვარდნულად თითქოს ბედისწერა ზეიმობსო, მაგრამ მათურებლის წინაშე არ წამოშვარა გათელილი, დაბეჩავებული ქალი. პირიქით, ჩვენ წინ აღმართა საზე მამაკურად მეგრძოლი და ვაუტეხელი ძლიერი, პიროვნებისა, „ღმერთებთან შეჭიდებული პიროვნებისა“.

ნ. შვანგირაძე თ. ჭავჭავაძის უკანასკნელი როლის — მისის სეფის (ე. პატრიკის „უცნაური მისის სეფი“) მეტად საინტერესო ანალიზს გვთავაზობს: „სეფის როლის განსახიერებაში გამომდევნდა ის სეფი, ცხოვრების ბოლო წლებში მსახიობს რომ აწუხებდა და



დ 1603

მანუელი კოლი — შხალზე მამოსულს

მანს შერდივის სახელი ქართველი მეიხველისათვის უცნობია არ არის, იგი ჩვენი სტუმარი იყო და მოიპარა მთელი საქართველო. ამ მოგზაურობის შედეგად მან დაწერა წიგნი „ციხის კვეთა“ („მოკლეროდენს ლანდ“); ეს არის პირველი წიგნი საქართველოზე დანიშნული; იგი უკვე მეორედ გამოიცა წიგნი ილუსტრირებულია თვით ავტორის მიერ — აქ არის მწვენიერი გრაფიკული ნახაბები — კლდედანი გადმომზარალი მეტეხი, ბათუმის აუვაუბული ბაღნარები, ქართული პურის თონე, სიღნაღი და სხვ. თვით წიგნში ავტორი უკლად მოკვიხსრობს ქართველი ხალხის შემოქმედებას შრომანზე, ქართული საბჭოთა კულტურის წინსვლასა და აღმავლობაზე. მის შესანიშნავ ადამიანებზე, რომლებიც თავდადებით იღვწიან სამშობლოს საეთილდეოდ.

სულ ახლახანს მანს შერდივის მისი შესანიშნავი რომანებისათვის მედნიჭა დანიის აკადემიის დიდი პრემია. პრემიის გადაცემის ცერემონიალი შედგა კოპენჰაგენში, გამოყენებითი ზელოვნების მუზეუმის დიდ დარბაზში.

სახეში ცერემონიალის დროს მანს შერდივის შემოქმედებაზე სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ფ. ვანსენმა შერდივის რომანი „ფრიდენოლის ციხე-სიმაგრე“ მანს შეადარა მოლოხოვის „წენარ დის“ და აღნიშნა, რომ ეს არის თანამედროვე ეპოსი, რომელიც მოიცავს მთელ ეპოქას.

მწერალს გამოუწერეს და იქვე გადასცეს ზედი 50,000 კრონზე (ასი კრონი უდრის დაახლოებით 12 მანეთს) ამის შემდეგ მწერალმა სიტყვა აიღო და თქვა:

„მადლობას მოვახსენებ დანიის აკადემიას, მადლობას მოვახსენებ პროფესორ ვანსენს და მწვენიელი ისეთისავე სიხარულს, როგორც მწვენიელი ადამიანი, რომელსაც გადაუღვდეს მანუელი რგოლი მანს შემდეგ, როცა ის უკვე

სამშვიდობოზე იყო გამოსული. მაგრამ, ნათქვამია, სჯობს ვუიან, ვიდრე არასოდეს. ის გარემოება, რომ ყოველივე ის, რაც მე დამიწერია, ახლა ქალღმის დირსად მიიხსნეოთ, თავისთავად, ჩემთვის ძლიერ სასიხარულოა!

სწერო — ეს იმას ნიშნავს მიმართედ სხვა ადამიანებს. მე იმას არ ვამტკიცებ, რომ მწერლის შემოქმედება — ეს მუდამ ან ქადაგება, ან მოწოდება. და ეს მაინც ადამიანებთან ურთიერთობაა. მწერალი თავის თავისთვის არ წერს, არ შეიძლება იყო ზელოვანი და იყო მარტო ზელოვნება — ეს არის შენი კავშირი ქვეყანასთან.

სანგრძლივი წლების მანძილზე, ჩემი ცხოვრების უკვლავ ნაყოფიერ წლებში მე ძალზე ცივად მგებრობოდნენ პრესაც და რადიოც. ჩემი რომანის „დაღუპული ვახუშტის“ რადიოთი გადაცემა — აგრძალეს, ხოლო რომანი „იდეალისტი“ საერთოდ აკრძალული იყო. არის სოლიდური დანიური ვახუშტები, რომლებიც წლების მანძილზე უარს ამბობდნენ დატეკულთ სემი თუნდაც ერთი სტრიქონი. გარდა ვახუშტის „ლანდ რეკოლქისა“, არცერთი ვახუშტი არ ახსენებდა ჩემს ნაწარმოებებს. ერთხელ ერთმა ბურჟუაზიულმა ვახუშტმა ახსენა ჩემი რომანი „მორიელი“ და ისიც ფელეტონად გადათარგმნა.

ესადა, როცა ებრძვი ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მისი საფუძვლების შერყევას ცდილობ, იმედ არ უნდა იქონიო, რომ იგი გაჩაღდ და ეთილად მოგებკრობა.

მე მადლობელი ვარ ჩემი მეოხხველებსა, რომელთაც მაიძულეს ვწერო გასაგებად. მწერალმა არ შეიძლება წეროს უკვლასათვის, მაგრამ მის შეუძლია წეროს ბევრისთვის. დანიური ენა — ზუსტი, ცოცხალი, მარჯვია, და ამ ენაზე შეიძლება გამოსთქვა უკვლავი ამ ქვეყანაზე, უკვლა ადამიანური გრძნობა. პატარა დანიის ენას მან აღმოაჩინდა ძალია გაეძლო იმუღებითი გაგებამაღლების ტენდენციისათვის ოღენბურგელი მეფეების დროს. დეი, მას აღმოაჩინდეს ძალია გაეძლოს უხადღებულ „ნოევერსომულ ერთიანობასა“.

ციტხონ შენა წიგნი, ეს უფრო დიდი სიხარულია, ვიდრე ის, რომ წამდაუწყემ გაქვებდნენ გაზეთებში. შეხებ შენს მკითხველს პირისპირ მთელ შენს კვლევანში და იგრძნოს ის ერთიანობა, რომელიც დამკარგება ხოლმე იმით შორის ვინც წიგნებს წერს და ვინც კითხულობს, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური აღიარება. მაგრამ მე მაღლობელი ვარ ამ ოფიციალური აღიარებისათვისაც. მე მას ვთვლი კარგ ნიშნად, იმის მომასწავებლად, რომ ველვარულ ანტიკომუნისტს, რომელიც ახლა პროტაშინსკად იქცევა, შესაძლებელია ვხა ვადელვარდის სულიერი ცხოვრებისაყენ, დეტოვით მის ფარგლებს ვარეთ.

როცა მწერალი ხანდაზმულობის წლებში პრემიის ღებულობს, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას შეიცავს, ეურნალისტები მამინევე დაუწყებენ ხოლმე ვამოკითხვას — რაზე გინდათ დახარჯოთ ეს თული? ეს რამდენიმე დღეა მეც სულ ამას მეკატეხებიან.

ახლა, როცა პრემია უკვე ჯიბეში მაქვს, მე მათ ვუბნახებ: „მე ამ ფულს მიეცემ ამ გაზეთს, რომელიც ორმოცი წლის მანძილზე მძღვლვდა აფულებს მეწერა ის, რაც მინდოდა. მე გადავიცემ ამ ფულს „ლანდ ოვ ფოლს“ მადლობის ნიშნად სიტყვის თავისუფლებისათვის, რომელიც მან მე მომანიჭა ამ წლებში, როცა ყველა გაზეთის რედაქციის კარი ჩემთვის დაკეტილი იყო“.

ფიგითი

პარტიული აპროკაზი ფონარ ენაჰ

„თემა-73“ ახლად დაარსებული ფინური ეურნალი ან აღმანახია, რომელიც წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ უნდა გამოვიდეს, უოველი ნომრისათვის სპეციალური თემა წინასწარ დაიგეგმება და აღმანახიც თითქმის მთლიანად იმ თემას მიეძღვნება.

„თემა-73“-ის პირველი წიგნი თითქმის მთლიანად მიეძღვნა საბჭოთა კავშირის ლიტერატურას, კერძოდ სოციალისტურ რეალიზმს, ვიეტნამის მეზობლ ლიტერატურას და ფინეთის ახალგაზრდა პოეტების ლირიკას.

აღმანახის დაბეჭდილია მაქსიმ ვორკის წერილი „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“, იქვეა გამოქვეყნებული კონსტანტინ სიმონოვის, ევეგენი ვეტუშენკოს, ზინვიტ აიტმატოვის, რასულ გამზატოვისა და ანატოლი დრეშკოვის წერილები. შემდეგ ეურნალში წარმოდგენილია აზერბაიჯანის, საქართველოს, ლატვიის, ყირგიზეთის, ესტონეთისა და კარელიის მწერლების პროზისა და პოეზიის ნიმუშები.

საქართველოდან ეურნალში დაბეჭდილია ორი ავტორი: ედიშერ ყიფიანი და ლია სტურუა.

ედ. ყიფიანის მოთხრობას „ხელბე“ ძლიერ დაინტერესებია ეურნალის შემდგენლები და ეურნალისათვის წამძღვარებულ საკმაოდ მოკლე წინასიტყვაობაში, რომლის ავტორია ეურნალის რედაქტორი იუჰა ვიკიენენი, წერია:

„სწორად დაქრობენ, საბჭოთა კავშირში მეცნიერულ-ტექნიკოლოგიური პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ მწერლისთვის ძალიან ძნელი ხდება დაწვიოს მას, მაგრამ ქართველი ედიშერ ყიფიანი თავისი ნოველით საკმაოდ ნათლად ამტკიცებს: მიუხედავად ტემპის სიჩქარისა, სრულიად შესაძლებელია ამ ეპოქის ზუსტად აღწერა იყო“. ედ. ყიფიანის მოთხრობა უთარგმნია სეპო ლაშონენს.

ქართული პოეზიის ნიმუშები წარმოდგენილია ლია სტურუას სამი ლექსით: „მონადირეები“, „პირველ აღამიანს, რომელიც კოსმოსში გავიდა“ და „მხატვარი“.

ლია სტურუას ლექსების მთარგმნელია ბრიტა პოლტინა. ლია სტურუას ლექსები პელსინკის რადიოთოჯ გადაუციათ ამ რამდენიმე წლის წინათ, რაც, იმავე ბრიტა პოლტილას აზრით, ქართველი პოეტი ქალის დიდ წარმატებაზე მეტაველებს.

მ დ რ

აინშტაინი ხვდება... ბალილის

მიმდინარე წლის გდრ-ის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავია ბერლინის სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი პაულ დესაუს ახალი ოპერა „აინშტაინი“. დიხს, ოპერა შეიქმნა სახელგანთქმული გერმანელი ფიზიკოსის ალბერტ აინშტაინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ამ ბოლო დროს გერმანულ პრესაში უამრავი წერილი თუ რეცენზია დაიწერა ოპერა „აინშტაინის“ შესახებ, და ყველა მათგანი აღფრთოვანებულ სტრქონებს უძღვნიან ოპერის ავტორს და დამდგმელ კოლექტივს. ოპერის ლიბრეტო ევეთენის კარლ მიეელს.

„აინშტაინი“ პაულ დესაუს დიდი ხანია ჩაუფიქრებია, ამის თაობაზე მას ადრე ბერტოლტ ბრუკტანაჲ ჰქონია საუბარი და, როგორც ირკვევა, საკმაოდ ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მომავალი ოპერის კონტრეტები. მაგრამ კარლ მიეელს მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ დაუწერია კომპოზიტორისათვის საკირო და შესაფერისი ლიბრეტო.

„აინშტაინი“ პაულ დესაუს სათვალავით მეოთხე ოპერაა „ლუქულუსის“ (1951), „პუნტოლას“ (1966 წ.) და „ლანაცელოტის“ (1969 წ.)

მემდეგ კომპოზიტორმა ოპერა მიუძღვნა „აინ-შტაინის“ პირველ დამდგმელს რეთ ბერგ-პაუხს, თავის მეუღლეს.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოპერა „აინ-შტაინი“ არაა ბიოგრაფიული ნაწარმოები, ესაა ფილოსოფიურ-მუსიკალური დრამა, რომელშიც გადმოცემულია მეცნიერის პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე; იგი ისტორიისა და ხალხის წინაშე პასუხს აგებს თავისი აღმოჩენისათვის, მაგრამ ოპერაში აინშტაინის სახე განზოგადებულია და იგი კონკრეტულად არ ეხება მხოლოდ ატომური ბომბის დამზადების საკითხს... ოპერაში აინშტაინი ხელდება წარსული დროის გენიალურ პიროვნებას — გალილეო გალილეის, ჟორდანო ბრუნოს, ლეონარდო და ვინჩის, ეს მეტად რთული საკითხი, რომ სცენაზე ერთმანეთს ხედება მე-16 და მე-20 საუკუნე, უჩვეულოდ ლოგიკურადაა გადაწყვეტილი და არავითარ უზრუნველობას არ იწვევს. რადგან ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა ოლიმპიზე, მართალია ოთხი საუკუნის შემდეგ აინშტაინმა დაიშვილა ადგილი.

ოპერა „აინშტაინის“ წარმოდგენა წარმატებით გრძელდება ბერლინის სახელმწიფო ოპერაში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მთავარი როლის განმასახიერებელს, ცნობილ მომღერალს თეო ადამს.

სწორად წაითხული ნიბელუნგები

უკანასკნელ ხანს გაჰმურებულ აშშ-დ ვერ-ში და გფრ-შიც არის ცნობილი გერმანელი მწერლის ფრანც ფიშმანის მიერ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მე-13 საუკუნის გერმანული ეპოსის „ნიბელუნგების სიმღერის“ პროზაული ხარგმანი (აქვე უნდა შევიხსინოთ, ამ რამდენიმე წლის წინ იმავე ფრანც ფიშმანმა პროზად გადააკეთა გოეთეს „რაინვე მელა“, რაშიც დიდი პოპულარობა მოუტევეს „რაინვე მელა“ ახალ მთხრობელს).

ფრანც ფიშმანი გდრ-ის სხვადასხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, გახულ წელს მან ლიონ ფოიქსანვერის მედალი მიიღო, რომელიც ფ. ფიშმანს თვითონ ლიონ ფოიქსანვერის ქვეყნა ვადასცა; მის მოთხოვნებსა და ლექსებს მის სამშობლოს ფარგლებს გარეთაც იცნობენ და მათ შორის საბჭოთა კავშირშიც.

„ნიბელუნგების სიმღერის“ ფრანც ფიშმანის სეული ახალი პროზაული თარგმანი, კრტიკოსების ღრმა რწმენით, ხელს უწყობს გერმანულ ეპოსის პოპულარიზაციას, და რაც მთავარია, იგი ძლიერ „პემანიზირებულია“. აქ უნდა

გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: თავის დროზე გერმანელი მილიტარისტები და კერძოდ პრეტორელები ცდილობდნენ ეს შესანიშნავი ეპიკური თქმულება თავიანთი ბოროტი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. ისინი თავიანთი სიმაგრეებისა თუ საშხედრო ოპერაციებისათვის სახელგმსაც კი ამ ეპოსიდან იღებდნენ („ნიგურიდის ხაზი“, „ჰავენის შეტევა“ და ა. შ.), და საერთოდ ფალსიფიკაციის გზით ცდილობდნენ ისე მოეჩვენებინათ საქმე, თითქოს ეს ნაწარმოები ომისა და აგრესიის მქადაგებელთა შთამაგონებელი ყოფილიყოს. ფიშმანმა კი, პროზაულ თარგმანში, ნათლად გვიჩვენა, რომ ეს ასე არ არის.

ასევე ფრანც ფიშმანის დიდ დამსახურებად ითვლება ის, რომ მან ზედმიწევნით კარგად გადაწყვიტა ეპოსის ენის პრობლემა. ცნობილია რომ „ნიბელუნგების სიმღერას“ სიტყვის, მუხისა და ფუნქციის ბერგმა განთქმულმა ოსტატმა მიმართა: გოეთემ, ჰაინემ, ზამროგმა, დე ლა მონტმა, ვაიბელმა, ვაგნერმა და სხვ. ფრანც ფიშმანმა თავის ახალ ნაშრომში ჭიბითადად გამოიყენა ძველ ზემო გერმანულ დიექტზე დაწერილი ორიგინალი და ბრწყინვალედ თარგმნა იგი თანამედროვე გერმანულ ლიტერატურულ ენაზე, ამასთანავე, ორიგინალის უძველეს სტრიქონებს შეუნარჩუნა მუსიკალური ხმაინაბა.

„ნიიფ დოინე ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი გერნერ ნოიბერტი ასე აფასებს ფრანც ფიშმანის ამ ახალ შრომას: „წარმოიდგენია რაოდენ დიდი შრომაა გაწეული ამ ახალ წამოწყების განსაზოციებლად, რადგან, საბოლოო გამში, აქ მთავარი იყო ის, რომ ერთდროულად შეფასებულყო და გადაფასებულყო კიდევ და ახლებურად გამოფრულიყო ყოველი ფრაზა, რადგან „ნიბელუნგების სიმღერა“ მთელი ათწლეულების მანძილზე გარკვეულ იდეოლოგიურ ფუნქციას ასრულებდა, რეაქციულ მიზნებს უწევდა პროპაგანდას. მასზე მუშაობა ჩვენი სოციალისტური განათლებისა და აღზრდის აუცილებელი ნაწილია. ნაბელუნგების ეპოსი, შუასაუკუნეების კულტურის ძველი — ყოველთვის დარჩება ჩვენი ნაციონალური კულტურის უქნაბ ძეგლად“.

გ ფ რ

წიგნის ავტორი — უბრალო მუშა

უჩვეულო იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი ნაწარმოს მუშის ჰელმუტ კრიიციის ნაწარმოების ბედი, რომელიც

არც თუ დიდი ხანია გამოჩნდა წიგნის ბაზარზე. მუშა ჰელმუტ კროიცი თავის დღიურში შექონდა ყველაფერი ის, რაც მის საწარმოში ხდებოდა 1967 წლის სექტემბრიდან 1970 წლის ოქტომბრის ბოლომდე. ჰელმუტ კროიცი დღიურში იწერდა შემდეგ ამბებს: როგორ ვარდაიყვალა ფერმის მფლობელი, როგორ მაიყიდეს ფირმა ახალ მენაჯერს, როგორ გამოჩნდა ახალი მენაჯერი თანამშრომლების წინაშე და რა უთხრა მათ, შემდეგ ამას მოჰყვება ფერმის ახალი მფლობელის ყველა იმ მაქინაციების აღწერა, რამაც გამოიწვია მუშების უმეოფოღეობა, რაც პრეტესტში გადაიზარდა და ბოლოს საქარო გახდა საქმეში პოლიციის ჩარევა.

და აი ყველაფერი ეს, თითქოს და ერთი შეხედვით არც თუ მაინცა და მაინც დამაინტერესებელი ამბებია, აისახა ჰელმუტ კროიცი წიგნში „ბრძოლა თუ მიტოვლება“ („საწარმოო დღიურია“).

გფრ-ის ცნობილია „ფიშერის გამოცემლობაში“ ჰელმუტ კროიცი დასახელებული წიგნით დაიწყო „წიგნის წიგნის“ სერიის გამოცემა, რომელთა ავტორები არიან „მეშათა ლიტერატურის წრების“ წევრები.

ახლა მოვუსმინოთ რას წერს ამ წიგნზე და ამ სერიის თაობაზე დასავლეთგერმანული ყოველკვირეული „დი კაიტს“ რეცენზენტი იტრენ ლოდემანი: „არც ერთმა დეტექტივმა ისე არ გამოიტაცა, როგორც ამ წიგნმა. ჩანაწერიდან ჩანაწერამდე იზრდება მკითხველის არა მარტო აღმოფხვრება, არამედ ინტერესიც თუ კიდევ რას გამოიფხვრებენ ახალს, რა ცილისწამებს, ტრიუქს თუ მანევრს შიშობთავენ დასავლელი ხალხის წინააღმდეგ და ყოველივე ამას როგორ უპასუხებენ ადამიანები, ვაუწყებენ წინააღმდეგობას ამ ბოროტებას თუ დემოკრატიკობას? სასოწარკვეთას მიეცემიან? როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ — იბრძოლონ თუ დანებდნენ? ამ წიგნის უარყოფითი პერსონაჟი — ბოსი, ზუსტად განსახიერებს იმას, რასაც კაპიტალიზმი ეწოდება. იგი დაუნდობელი და სრულად რეალური ექსპლუატატორია“ — ასეცენს რეცენზენტი.

საზღვარგარეთ

„დინასო — ეს ნიშნავს იმყოფედო“

მეორე საუკუნის დიდი ფრანგი პოეტი პოლ ელუარი ფერწერის ღრმა და ფაქიზი მკოდნეღო ამით იყო პირობადებული მისი მეგობრობა მსოფლიოში სახელგანთქმულ მხატვრებთან: ბაბლო პიკასოსა და მარკ შაგალთან, ანრი მ-

ტითან და ფერან ლევესთან, მაქს ერსტთან და ვალენტინა ჰილვოსთან და სხე პოეტებთან. ვის ლექსების მრავალ ბრწყინვალე ტრექტორში აღბეჭდა მათდამი ეს დამოკიდებულება, ზოგ წიგნზე იგი მხატვრებთან ერთად მუშაობდა. ცნობილია, რომ პიკასოსთან თანამშრომლობით შეიქმნა მისი გამხატვრებული კრებული „სამყაროს სახე“.

პოლ ელუარი ხელოვნებაზე დაწერილი მთელი რიგი ესეების ავტორია, რომლებშიც საქმის ღრმა ცოდნით მიმოხილულია ფერწერის საეოთხები: მანეჟ შეადგინა და კომენტარები დაურთო ხელოვნებაზე დაწერილ თხზულებებს ანთოლოგიას, რომელშიც მხატვართა, კრიტიკოსთა და ესთეტიკოსთა გამოჩინებულებია თავმოფერილი უძველესი დროიდან დღევანდლამდე. ავტორის ვარდაცვალებამდე. პ. ელუარის წარდაცვალებების 20 წლის თავზე, რაც გასული წლის დამლევს შესრულდა, პარიზის ერთ-ერთმა გამოცემლობამ ამ ორთავიანულრი წიგნის ხელახალი გამოცემა განახორციელა.

პ. ელუარს მხატვართა მთავარი მიზნად მიანდა, რომ მათ ხალხისათვის ესწავლებინათ სამყაროს ახლებურად ხედვა. „დინასო, ეს ნიშნავს ვაიგო და იმპიქედო, წერდა პოეტი: დინასო, ეს ნიშნავს დაჯავშნოთ ადამიანი სამყაროსთან და ადამიანი ადამიანთან“. ელუარი ფერწერაში ყველაზე მეტად ჰუმანისტურ და სოციალურ პათოსს აფასებდა.

აღნიშნულ წიგნს დართული აქვს მრავალრიცხოვანი პორტრეტები, შესრულებული პოეტის მეგობარი მხატვრების მიერ: აქვია თანაშედროვე მხატვართა საინტერესო ნამუშევრების რეპროდუქციები.

შეხვეტი

ამზარ პოს პრემიის ლაურეატები

შედეი მწერალი პერ ეალო ცნობილია სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. იგი ფანტასტიკისა და დეტექტივის ეანრის მწერალთა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ მისი რომანი „ოცდამეაურთმეტე განყოფილების დაღუპეა“ მძაფრი სოციალური პრობლემების შემცველი ნაწარმოებია.

მაი შოკალიან ერთად დაწერილ პერ ეალოს ბოლოდროინდელ წიგნს „მოცინარი პოლიცია“ ედვარ პოს სახელობის პრემია მიეკუთვნა.

ახლა პერ ეალო და მისი თანავტორი შვეიციაში დეტექტიური ეანრის ყველაზე პოპულარული და გამხატვრებული ოსტატები არიან. მართალია, დასავლეთში დეტექტიური ნაწარმოებები წალეკით ემუქრება ნამდვილ ლიტერ-

ტურას. მაგრამ ნამდვილი წარმატებით მაინც ვერ დიკვეხნის, ისინი წამიერა გასართობის ფარგლებს მაინც ვერ სცილდებიან. პერ ვალო და მისი შოკალი კი დიდი წარმატებით სარგებლობენ და ნამდვილ ლიტერატურულ აღიარებას პოულობენ. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ მათ ედგარ პოს სახელობის პრემია მიეკუთვნათ.

იზაღება კითხვები: რა არის მათი წარმატების მიზეზი? რა ანსხეავენ მათ წიგნებს დასავლეთის დეტექტიური ლიტერატურის მასობრივი ნაკადისაგან?

ამ კითხვებზე თვით პერ ვალოს პასუხს მოვესმინოთ, რომელიც მან ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში შემდეგნაირად

ჩამოაყალიბა: დეტექტივისტი მწერლები ბერ-ეუზიულ სამყაროს ასახავენ და, კითხვებულთა განსაზღვრული რაოდენობა შეათ, რომლებიც მათივე გემოვნებისა და მოთხოვნილებების შესატყვის გასართობ საკითხავს მოითხოვენ, ჩვენ კი — განაგრძობს პერ ვალო — ვარდევთ ამ ტრადიციას და ვცდილობთ შევქმნათ დეტექტიური რომანი, რომელიც სერიოზული სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით იჭნება გამსჭვალული.

ცხადია, დეტექტიური რომანის ასეთმა ტრანსფორმაციამ, რაც მან ვალოსა და შოკალის ხელში განიცადა. საშუალება მისცა ამ მწერლებს ნამდვილ ლიტერატურას დახლოებოდნენ.



6 28/110

3360 80 333.


საქართველოს
საქართველოს
ИНДЕКС
76128



„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ